

**ჰინერიკ შნიტგერი  
დოქ. რონ ვიგრიული**

**გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი**

**დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და  
საერთაშორისო სტანდარტებთან**

**სიესტა  
თბილისი**

**2011**

წინამდებარე ნაშრომი გამოცემულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით. გამომცემელი არ იღებს პასუხისმგებლობას წიგნის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.

Das vorliegende Buch wurde mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH herausgegeben. Der Herausgeber übernimmt für die Richtigkeit und Vollständigkeit des Inhaltes keine Verantwortung.

ტექსტში გადმოცემული დასკვნები და შეფასებები არ უნდა იქნეს განხილული, როგორც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) შეხედულებები.

წიგნის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ გვერდზე:  
[www.gtz.de/law-caucasus](http://www.gtz.de/law-caucasus)

giz



Im Auftrag des

Bundesministerium für  
wirtschaftliche Zusammenarbeit  
und Entwicklung

გამოცემაზე პასუხისმგებელი | ჯგუფი „სიესტა“

გამომცემელი | ქეთევან კილურაძე

ტექნიკური უზრუნველყოფა | გვანცა მახათაძე

© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2011

გამომცემლობა „სიესტა“, 2011

გამოცემულია 2011, თბილისი

ISBN 978-9941-414-59-6

გამომცემლობა შპს „სიესტა“

სიესტა

თბილისი, ვერიკო ანჯაფარიძის ქ. №16

ტელ./ფაქსი: +995 32 92 31 49, +995 32 22 07 08

ელ-ფოსტა: [books@siestagroup.ge](mailto:books@siestagroup.ge)

[www.siestabooks.blogspot.com](http://www.siestabooks.blogspot.com)

[www.siesta.com.ge](http://www.siesta.com.ge)

**HEINRICH SCHNITGER  
DR. ROIN MIGRIAULI**

## **DAS INSOLVENZGESETZ GEORGIENS**

**Darstellung und Vergleich mit dem Konkursgesetz und  
den internationalen Standards**



**2011**



## სარჩევი

<b>Vorwort</b> . . . . .	8
<b>წინასიტყვაობა</b> . . . . .	9
<b>1. ზოგადი შენიშვნები ვალაუვალობის კანონის შესახებ</b> . . . . .	11
1.1. ვალაუვალობის კანონის ზოგადი სტრუქტურა . . . . .	14
1.2. ვალაუვალობის წარმოების დახასიათება . . . . .	14
1.3. ურთიერთობა სხვა კანონებთან . . . . .	16
1.4. ვალაუვალობის (გაკოტრების) საფუძვლები . . . . .	19
<b>2. 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის მიზნები</b> . . . . .	21
<b>3. განსჯადი სასამართლოები</b> . . . . .	23
<b>4. გამოსაყენებელი საპროცესო ნორმები</b> . . . . .	25
<b>5. ვალაუვალობის (გაკოტრების) საფუძვლების ფორმულირება</b> . . . . .	29
<b>6. განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი პირები</b> . . . . .	31
<b>7. ვალაუვალობის განცხადების განხილვა</b> . . . . .	36
7.1.1 1996 წლის გაკოტრების კანონისა და 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის ნორმათა შედარება . . . . .	37
7.1.2 წარმოება ვალაუვალობის განცხადების წარმოებაში მიღებამდე . . . . .	39
7.2 გადაწყვეტილება წარმოების გახსნის შესახებ . . . . .	42
7.2.1 გადაწყვეტილება ვალაუვალობის არასაკმარისი მასის არსებობისას . . . . .	42
7.2.2 განჩინება წარმოების გახსნის შესახებ . . . . .	44
<b>8. ვალაუვალობის მასა</b> . . . . .	45
8.1. ამოსარიცხი და უფლებრივად დატვირთული ნივთები . . . . .	48
8.1.1 საკითხის განხილვა გაკოტრების 1996 წლის კანონში . . . . .	49
8.1.2. საკითხის განხილვა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ 2007 წლის კანონში . . . . .	51
8.2 შეცილების მომწესრიგებელი ნორმები . . . . .	53
8.2.1 შეცილება 1996 წლის გაკოტრების კანონის მიხედვით . . . . .	58
8.2.2 შეცილება 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის მიხედვით . . . . .	59
8.3 ხელშეკრულებების განხილვა . . . . .	60
8.3.1 ხელშეკრულებების საკითხის განხილვა 1996 წლის გაკოტრების კანონის მიხედვით . . . . .	64

8.3.2 ხელშეკრულებების საკითხის განხილვა 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის მიხედვით . . . . .	.65
8.4 ვალაუვალობის მოთხოვნებისა და შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვეითვა . . . . .	.66
8.4.1 ურთიერთმოთხოვნათა გაქვეითვა 1996 წლის გაკოტრების კანონის მიხედვით . . . . .	.68
8.4.2 ურთიერთმოთხოვნათა გაქვეითვა 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის მიხედვით . . . . .	.69
<b>9. ვალაუვალობის მასის მართვა და მისი განკარგვის უფლებამოსილება . . . . .</b>	<b>.70</b>
9.1 ვალაუვალობის მასის მართვა გაკოტრებისა და რეაბილიტაციის წარმოების დაწყებამდე . . . . .	.72
9.2 ვალაუვალობის მასის მართვა გაკოტრების მმართველის მიერ . . . . .	.76
9.3 ვალაუვალობის მასის მართვა რეაბილიტაციის მმართველის მიერ . . . . .	.80
<b>10. ვალაუვალობის კრედიტორთა ცნება . . . . .</b>	<b>.81</b>
<b>11. კრედიტორთა მოთხოვნების დადგენა . . . . .</b>	<b>.84</b>
11.1. 1996 წლის გაკოტრების კანონით დადგენილი წესები . . . . .	.86
11.2. 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონით დადგენილი წესები . . . . .	.87
11.3. პრიორიტეტები მასის განაწილებისას. . . . .	.89
<b>12. წარმოებაში კრედიტორთა მონაწილეობა . . . . .</b>	<b>.92</b>
12.1 კრედიტორთა კრება . . . . .	.94
12.2 კრედიტორთა კომიტეტი . . . . .	.96
12.3 უზრუნველყოფილი კრედიტორები . . . . .	.96
12.4 კრედიტორები. . . . .	.97
<b>13. მოვალის სამართლებრივი სტატუსი წარმოებაში . . . . .</b>	<b>.98</b>
<b>14. მომრიგებელი საბჭო . . . . .</b>	<b>102</b>
<b>15. ლიკვიდაცია თუ რეორგანიზაცია . . . . .</b>	<b>105</b>
<b>16. აუქციონის ჩატარება . . . . .</b>	<b>108</b>
<b>17. რეაბილიტაციის წარმოება . . . . .</b>	<b>115</b>
<b>18. ვალაუვალობის წარმოების დამთავრება და შესაძლო განახლება. . . . .</b>	<b>120</b>
<b>19. სასამართლოს სამართლებრივი სტატუსი და ფუნქციები . . . . .</b>	<b>123</b>
<b>დანართი I. კრედიტორის მიერ დეპოზიტის გადახდის მნიშვნელობა მე-6 მუხლის მიხედვით . . . . .</b>	<b>. 125</b>

დანართი II. სასამართლოს გადაწყვეტილების ნიმუში ვალაუვალობის საკმარისი მასის არარსებობის გამო გადახდისუუნარობის განცხადების უარყოფის შესახებ . . . . .	127
დანართი III. ვალაუვალობის მასის წარმომადგენლის ამოცანებისა და ფუნქციების შესახებ . . . . .	131
დანართი IV. რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების განაწილების ლოგიკასთან დაკავშირებით . . . . .	133
დანართი V. რეაბილიტაციის გეგმის შესახებ კენჭისყრის ლოგიკასთან დაკავშირებით . . . . .	136

---

## Vorwort

Marktorientierte Wirtschaftssysteme kennen neben dem Erfolg auch das Scheitern von Marktteilnehmern. Marktwirtschaftlich orientierte Rechtsordnungen müssen darauf Antworten geben. Von der Qualität auch dieser Antworten hängt vieles ab: Ob das Scheitern für Schuldner und Gläubiger dauerhaft ist, womöglich sogar die Stabilität der Volkswirtschaft beeinträchtigt, oder ob sich für Beteiligte wie für Volkswirtschaft auch neue Chancen eröffnen.

Diese Antworten zu geben ist Aufgabe des Insolvenzrechts. Es regelt Rechte und Pflichten der Beteiligten bei Zahlungsunfähigkeit des Schuldners und das Insolvenzverfahren. Das Insolvenzverfahren bezweckt, entweder die Zahlungsfähigkeit des Schuldners wieder herzustellen oder die Situation geordnet abzuwickeln. Über konkrete Insolvenzen hinaus wirkt sich das Insolvenzrecht aber mittelbar auch auf andere Bereiche aus, etwa auf das Kreditwesen: Kreditgeber werden die Kreditvergabe auch von ihren Chancen abhängig machen, bei Insolvenzen der Kreditnehmer Kredite zurückzuerlangen.

Georgien hat seit der Wiedererlangung seiner Unabhängigkeit beträchtliche Erfolge erzielt, eine marktorientierte Wirtschaftsordnung aufzubauen. Ein Gesetz über Insolvenzverfahren trat bereits 1996 in Kraft. Es wurde 2007 durch das Insolvenzgesetz abgelöst. Seither wurde der Gesetzestext durch zahlreiche Entscheidungen georgischer Gerichte aller Instanzen, anwaltliche Beratung, Lehre und Forschung an Hochschulen und Expertisen in Ministerien mit Leben erfüllt.

Dieses Buch soll Rechtsanwender und Wissenschaftler in Gerichten, Kanzleien, Ministerien und Universitäten unterstützen. Zwei ausgewiesene Experten haben die Autorenschaft übernommen. Heinrich Schnitger, als Richter am Amtsgericht Bremen (Deutschland) Spezialist zum Insolvenzrecht Deutschlands, begleitet als Dozent an der Justizhochschule Georgiens und als Gutachter seit langem auch die Insolvenzrechtsentwicklung in Georgien. Roin Migriauli, Professor an der Universität Georgiens und Partner der renommierten Anwaltskanzlei Migriauli & Partner in Tbilisi, hat sich unter anderem auf Insolvenzrecht spezialisiert und seit vielen Jahren auch rechtsvergleichend zu diesem Thema gearbeitet. Als Co-Autoren verbinden sie in diesem Buch richterliche, anwaltliche, wissenschaftliche und rechtsvergleichende Perspektiven.

Die Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ)<sup>1</sup> hat das Erscheinen dieses Buchs gerne unterstützt. Seit Mitte der Neunzigerjahre begleitet sie die Rechts- und Justizreform in Georgien. Arbeitsschwerpunkte der GIZ liegen dabei auf Beratungen auch zu Rechtsanwendung und Rechtspopularisierung. Lehrbücher wie der „Schnitger/Migriauli“ dienen genau diesen Zwecken: Sie erleichtern die Rechtsanwendung und vertiefen Rechtskenntnisse. Im „Schnitger/Migriauli“ haben sich zwei renommierte Co-Autoren eines bedeutsamen Rechtsgebiets angenommen. Wir sind sicher: Die georgische Fachöffentlichkeit wird dieses Werk mit großem Gewinn lesen.

Tbilisi, im Frühjahr 2011

Zeno Reichenbecher  
Programmliter  
GIZ-Programm „Rechts- und Justizreformberatung  
im Südkaukasus“

---

1 Bis 31.12.2010 Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH



## წინასიტყვაობა

ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური სისტემებისათვის, ბაზრის მონაწილეების წარმატებასთან ერთად ნაცნობია ასევე წარუმატებლობაც. ბაზარზე ორიენტირებული მართლწესრიგი, პასუხს უნდა იძლეოდეს ასეთი შემთხვევებისათვის. პასუხების ხარისხსზე კი ბევრი რამ არის დამოკიდებული: ხანგრძლივია თუ არა ეს წარუმატებლობა კრედიტორებისა და მოვალეებისათვის, უქმნის თუ არა ასევე საფრთხეს სოფლის მეურნეობის სტაბილურობას, ან უხსნის თუ არა ახალ შესაძლებლობებს ბაზრის მონაწილეებს ისევე როგორც სოფლის მეურნეობას.

ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა კი გაკოტრების სამართლის ამოცანაა. იგი აწესრიგებს მოვალის გადახდისუუნარობისას მონაწილე მხარეების უფლებებსა და მოვალეობებს და გაკოტრების წარმოებას. გაკოტრების წარმოება მიზნად ისახავს, მოვალეების გადახდისუუნარობის აღდგენას ან წარმოების ჯეროვნად ჩატარებას. გაკოტრების სამართლის მოქმედების სფერო არაპირდაპირ ვრცელდება ასევე სხვა სფეროებზე, ისეთი როგორც არის საკრედიტო სექტორი. კრედიტის გამცემი პირები, კრედიტის გაცემას დამოკიდებულს გახდიდნენ გაკოტრების შემთხვევაში კრედიტის მიმღების მიერ მათი უკან დაბრუნების შანსებზე.

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, მათ შორის ეკონომიკურ სფეროში. შექმნა ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკა. 1996 წელს ძალაში შევიდა კანონი გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ. აღნიშნული კანონის გაუქმება განხორციელდა 2007 წელს კანონით გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ. მას შემდეგ კანონის ტექსტის სრულყოფა მოხდა არა ერთი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, საადვოკატო კონსულტაციებით, სწავლებითა და უმაღლეს სასწავლებლებში განხორციელებული სამეცნიერო კვლევითა და სამინისტროებში ჩატარებული ექსპერტიზით.

ამ წიგნმა სასამართლოებში, საადვოკატო ფირმებში, სამინისტროებსა და უნივერსიტეტებში მოღვაწე იურისტებსა თუ სხვა დაინტერესებულ პირებს დახმარება უნდა გაუწიოს. წიგნის ავტორობა ითავა ორმა გამოჩენილმა ექსპერტმა. ჰაინრიჰ შნიტგერი, რომელიც გახლავთ ბრემენის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე და მრავალი წლის მანძილზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოწვეული გერმანელი ტრენერი და ამავდროულად ექსპერტი საქართველოს გაკოტრების სამართლის განვითარებაში. დოქ. როინ მიგრიაული, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი და ცნობილი საადვოკატო ფირმის „მიგრიაული და პარტნიორების“ პარტნიორი, გაკოტრების სამართლის ექსპერტი. ბატონ როინს აქვს სამართლის აღნიშნულ დარგში შედარებით სამართლებრივი მოღვაწეობის ხანგრძლივი გამოცდილება. ამ წიგნში თავმოყრილია მოსამართლის, ადვოკატის, მეცნიერისა და შედარებით-სამართლებრივი ხედვა და პერსპექტივები.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ)<sup>1</sup> დიდი სიამოვნებით გაუწია დახმარება ზემოხსენებული წიგნის შექმნაში. 90-იანი წლებიდან GIZ-ი დახმარებას უწევს საქართველოს სახელმწიფოს სამართლისა და იუსტიციის რეფორმებს განხორციელებ-

1 2010 წლის 31 დეკემბრამდე გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ)

---

ბაში. GIZ-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია კონსულტაციები საკანონმდებლო საქმიანობაში, ასევე დახმარება სამართალშეფარდებისა თუ გამოყენების კუთხით და სამართლის პოპულარიზაცია. სახელმძღვანელოები, ისეთი როგორც ეს სახელმძღვანელოა, სწორედ რომ ამ მიზანს ემსახურება. ახალი იურიდიული ლიტერატურა ხელს უწყობს სამართლებრივი ცნობიერებისა და ცოდნის გაღრმავებას. ჩვენ გჯერა, რომ ქართული იურიდიული წრე დიდი ინტერესით გაეცნობა ამ წიგნს.

თბილისი, გაზაფხული 2011 წელი

ცენო რაიჰენბეჰერი  
პროგრამის ხელმძღვანელი  
GIZ-ის პროგრამა  
„სამართლისა და იუსტიციის კონსულტაცია სამხრეთ  
კავკასიაში“

## 1. ზოგადი შენიშვნები ვალაუვალობის კანონის შესახებ

არსებობს უამრავი გარემოება, რომელთა გამო სანარმო იძულებული ხდება, თავისი ეკონომიკური აქტივობა მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჩეროს. ეს კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რამაა, ისევე როგორც შესაძლებლობა, დააარსო ახალი სანარმო ან გააფართოო არსებული. ეკონომიკური აქტივობის შესანყვეტად სულაც არ არის სავალდებულო, ეს მოხდეს სანარმოს ვალაუვალობის საფუძველზე. სანარმოს ვალაუვალობამ იქამდე არ უნდა მიგვიყვანოს, რომ სანარმოს ეკონომიკური აქტივობაც შეწყდეს. ძალზე ზოგადი განმარტებით, ვალაუვალობა ნიშნავს სანარმოს უუნარობას, გადაიხადოს თავისი ვალეები, როცა მათი გადახდის ვადა დამდგარია. ამით ვალაუვალობის ყველა კანონი აწესრიგებს ურთიერთობებს კრედიტორებსა და მოვალეებს შორის. ვალაუვალობის კანონი კრედიტორებს შორის აწინილებს მათი მოთხოვნების შეუსრულებლობის რისკებს. ამით იგი ზოგადად ზეგავლენას ახდენს საკრედიტო სისტემაზე, ასევე იმ შესაძლებლობებსა და ფორმებზე, რომლებშიც კრედიტი გაიცემა ან მიიღება. კრედიტორი, რომელიც შეიძლება დარწმუნებული იყოს, მოვალის ვალაუვალობის შემთხვევაშიც შეძლებს რალაცის მიღებას, უფრო იქნება მზად, გასცეს კრედიტი. ამიტომაც კრედიტორისათვის სწორედ რომ მნიშვნელოვანია, შეეხება თუ არა მას რაიმენაირად ვალაუვალობის წარმოება, მაგალითად, როგორც უზრუნველყოფილ კრედიტორს; მოვალე კი უფრო მაშინ შეძლებს კრედიტის მიღებას, როდესაც კრედიტორები დარწმუნებულნი იქნებიან, ვალაუვალობის შემთხვევაში ჩატარდება გამჭვირვალე წარმოება წინასწარ განჭვრეტილი შედეგით, რომელიც აღკვეთს იმას, რომ მოვალის ქონების საგნები დაცული იყოს კრედიტორების მხრიდან ხელყოფისაგან. კრედიტორებისათვის მნიშვნელოვანია, ამ წარმოებაზე ხელი ადვილად მიუწვდებოდეთ. მაშინაც კი, როდესაც ვალაუვალობის კანონი მხოლოდ მოვალის კრიზისის დროს გამოიყენება, იგი მაინც ფართო კვალს ტოვებს კრიზისის გარეთ ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

ამდენად, თუკი ვალაუვალობის შესაძლებლობა აუცილებელი შედეგია საკრედიტო სისტემისა, რომელსაც ჩვენი თანამედროვე ეკონომიკური წყობა სულ უფრო დიდი მასშტაბებით ეფუძნება, მაშინ გასაოცარი არ არის, რომ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, კერძოდ კი მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ინტენსიურად ინტერესდებიან საკითხით, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ვალაუვალობის სამართლის სათანადო სისტემა.<sup>1</sup> ამიტომ-

<sup>1</sup> ინტერნეტში მიმოხილვის ყველაზე სწრაფად მოძიებას შეძლებთ, თუ შეხვალთ მსოფლიო ბანკის GILD პორტალში (Global Insolvency Law database): <http://web.worldbank.org/WEBSITE/EXTERNAL/TOPICS/LAWANDJUSTICE/GILD/O?pagePK:181022-hteSitePK:215006,00.html>

მაც, არსებობდა და დღესაც არსებობს სხვადასხვა მაკლასიფიცირებული სისტემა, რომელთა მიხედვითაც ქვეყნების ვალაუვალობის სამართლის სისტემები იმის მიხედვით ფასდებიან, აკმაყოფილებენ თუ არა ისინი საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ არ შეიძლება არსებობდეს რაღაც სამოდერლო კანონი ვალაუვალობის საქმეთა წარმოების შესახებ. ამასთან, ეკონომიკური პირობები სხვადასხვა ქვეყანაში მეტისმეტად განსხვავებულია. ვალაუვალობის კანონმა მისაღწევი მიზნების თვალსაზრისით შეიძლება აგრეთვე სხვადასხვა საკითხზე გაამახვილოს ყურადღება და, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა გაითვალისწინოს, რაც ინსტიტუციურად სტრუქტურად იწოდება.<sup>2</sup> ეს ნიშნავს, რომ იგი უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის ფაქტობრივ შესაძლებლობებს ამ სახის წარმოების განსახორციელებლად. ვალაუვალობის სამართლის სფეროში კანონმდებლობის ახალ მიმართულებად შეიძლება იმაზე მინიშნება, რომ საქმე ეხება სანარმოთა გადარჩენის კულტურის გამომუშავებას.<sup>3</sup> თუმცა კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც კანონის თითოეულ პუნქტს მიეძღვნა, ძალზე თავშეკავებულია. UNCITRAL-ს მოცემული აქვს სისტემური მიმოხილვა მოსაწესრიგებელ პუნქტებთან დაკავშირებით.<sup>4</sup> იგი გვიჩვენებს, რომ ძალზე ძნელია დეტალურად დაფიქსირდეს გარკვეული გადაწყვეტა, როგორც საერთაშორისო სტანდარტისა. ამას გარდა, არსებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში აღარ არის გარანტირებული, რომ ვალაუვალობის კანონის მოქმედებისათვის გამოიცემა ისეთი რეკომენდაციები, როგორებიც ამ პუბლიკაციებშია, ვინაიდან ისინი წარმოიშვნენ აზიაში 1997 წელს გავრცელებული ეკონომიკური კრიზისის შედეგად. არ არის გარანტირებული ისიც, მოქმედებს თუ არა ამის შემდეგ იგივე წესები, რაც აშშ-იდან ახალი ეკონომიკური კრიზისი წამოვიდა. ქვემოთ მოცემულ განმარტებებში ამა თუ იმ განსახილველი პრობლემის შესავალში ხშირად არის იმის აღწერის მცდელობა, თუ რა შეიძლება განხილულ იქნეს ეს საერთაშორისო სტანდარტად. თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული, ეს განმარტებები სათავეს იღებენ UNCITRAL-ის Legislative Guide-დან. გარდა ამისა, ხშირად შევუპირისპირებთ ერთმანეთს 1996 წლის გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონისა და 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის წესებს, რათა ნაჩვენები იქნეს ალტერნატიული გადაწყვეტის შესაძლებლობები.

ვალაუვალობის წარმოებაში ყველა კრედიტორი კოლექტიურად მონაწილეობს. ეს გარემოება შეიძლება პირდაპირ იყოს წარმოების მთავარი ღერძი იმ სიტუაციაში, როცა ყველა კრედიტორი სრულად ვეღარ დაკმაყოფილდება. მათ არ უნდა მიე-

<sup>2</sup> იხ. Worldbank, Principles and guidelines for building effective insolvency systems and debtor-creditor-regimes, I ნაწილი, მე-3 ნაკვეთი.

<sup>3</sup> Worldbank, იხ. მე-2 სქოლიო, მე-6 ნაკვეთი: Creating a corporate rescue culture.

<sup>4</sup> UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law.

ცეთ საშუალება, სათითაოდ შეიქმნან ის უპირატესობები, რითაც სხვა კრედიტორებზე უფრო სწრაფად განახორციელებენ იძულებით აღსრულებას; თავის მხრივ, მოვალესაც იმაში უნდა შეეშალოს ხელი, რომ უპირატესად არ დააკმაყოფილოს ცალკეული კრედიტორები. ამიტომაც ვალაუვალობის წარმოების ტრადიციულ მიზნად მიიჩნევა კრედიტორთა თანაბარზომიერი დაკმაყოფილება. ამასთან, ხშირად ამატებენ, რომ მხოლოდ ის კრედიტორები დაკმაყოფილებიან თანაბარზომიერად, რომლებიც თანაბარ სიტუაციაში იმყოფებიან. კრედიტორი, — და აქ, უპირველესად, უზრუნველყოფილი კრედიტორი სახელდება, — რომელმაც დადო საკრედიტო ხელშეკრულება განსაკუთრებული სახელშეკრულებო პირობებით, ამის საპირისპიროდ უნდა მოელოდეს, რომ ეს განსაკუთრებული სახელშეკრულებო პირობები ასევე ძალაშია მოვალის გავალაუვალობის შემთხვევაშიც. ძირითადად შეიძლება ითქვას, რომ ვალაუვალობის კანონში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისიც, თუ როგორ გავლენას მოახდენს კანონი ვალაუვალობის წარმოების გარეთ ეკონომიკურ და სამართლებრივ სიტუაციაზე.<sup>5</sup>

კრედიტორების დასაკმაყოფილებლად მოვალის მხოლოდ შემოსავალი და ქონება გამოიყენება. ამიტომაც ვალაუვალობის წარმოება გარანტიას უნდა იძლეოდეს, რომ კრიზისის დროსაც ეს ნამდვილად მოხდება. ქონება დაცული, ხოლო მისი ღირებულება გაზრდილი უნდა იქნეს, რათა ოპტიმალური შედეგი მიიღწეს. ამასთან, ქონების დაცვა ნიშნავს, რომ იგი დაცული უნდა იქნეს როგორც მოვალის, ასევე ცალკეული კრედიტორის ხელყოფისაგან. ამიტომაც, როგორც წესი, იგი განსაკუთრებული ქონებრივი ობიექტის (ვალაუვალობის მასის) სახით გადაეცემა თანამდებობის მფლობელ პირს,<sup>6</sup> რომელმაც თავისი ფუნქციები კრედიტორებისა და მოვალის ინტერესების სასარგებლოდ უნდა განახორციელოს. ვალაუვალობის წარმოების განსაკუთრებით მძიმე ფუნქციათა რიცხვს მიეკუთვნება ისეთი ღონისძიებების განახორციელება, როგორებიცაა, ფაქტობრივად, მიღწეული იქნება ვალაუვალობის მასის ღირებულების მაქსიმალიზაციის მიზანი.

<sup>5</sup> იხ. Worldbank, მე-2 სქოლიო, მე-5 ნაკვეთი, the continuum of commercial relationships

<sup>6</sup> თანამდებობის მფლობელი პირი შემდგომში დახასიათებული იქნება მმართველის ძირითადი ტერმინით. ვალაუვალობის კანონებში მას სხვადასხვა სახელი აქვს და ქართულ გადახდისუნარობის 2007 წლის კანონშიც წარმოების სხვადასხვა ფაზაში იგი განსხვავებულ სახელებს ატარებს.

## 1.1. ვალაუვალობის კანონის ზოგადი სტრუქტურა

ვალაუვალობის კანონის სტრუქტურისათვის ფუძემდებლური საკითხია, თუ როგორ არის განაწილებული სხვადასხვა მონაწილესა ან ინსტიტუტზე წარმოების განხორციელების ამოცანები. ეს იმაზე უნდა იყოს დამოკიდებული, პრაქტიკულად რამდენად შეუძლიათ ამ ინსტიტუტებს, შეასრულონ აღნიშნული ამოცანები. უმრავლეს ქვეყანაში ვალაუვალობის საქმეთა წარმოებები სასამართლოების მიერ იმართება. ამისათვის რეკომენდებულია, კომპეტენტურად მივიჩნიოთ განსაკუთრებული სასამართლოები სპეციალურად კვალიფიცირებული მოსამართლეებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი საკითხია ისიც, თუ რა ამოცანების გადაწყვეტა უნდა გადაეცეს სასამართლოს. ვალაუვალობის წარმოება, ჩვეულებისამებრ, მოითხოვს, რომ რთული ეკონომიკური გადაწყვეტილებები სწრაფად იქნეს მიღებული. ამ კუთხით სასამართლო, როგორც წესი, არ არის შესაფერისი ინსტიტუტი. ამიტომ ვალაუვალობის კანონმა შეიძლება ბევრი გადაწყვეტილება დანიშნულ მმართველებს, კრედიტორთა ერთობლიობას, კრედიტორთა კომიტეტებს ან ცალკეულ კრედიტორებს გადასცეს. სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი შემდეგი საკითხია, მიეცეს თუ არა სასამართლოს შეხედულებათა გამომხატვის ფართო შესაძლებლობა. რამდენადაც სასამართლომ ეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს, ამას პრაქტიკულად ვერც ავცდებით. სწორედ ამიტომაც ყოველთვის რეკომენდებულია, შეიზღუდოს ის სიტუაციები, რომელშიც სასამართლომ ასეთი საკითხები უნდა გადაწყვიტოს.

## 1.2. ვალაუვალობის წარმოების დახასიათება

ვალაუვალობის კანონი უპირატესად საპროცესო კანონია. იგი აწესრიგებს, თუ როგორ იწყება, როგორ ხორციელდება და როგორ მთავრდება წარმოება. ამასთან, იგი წარმოების მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებსაც განსაზღვრავს. ეს არის — მართალია, არა სავალდებულო, მაგრამ ჩვეულებრივი წესით — სასამართლო წარმოება. თუმცა ეს განსაკუთრებული წარმოებაა, რომლის შედარებაც სამოქალაქო პროცესთან თითქმის შეუძლებელია. სამოქალაქო პროცესი იწყება სარჩელის შეტანით და მთავრდება სასამართლო გადაწყვეტილებით. ამ გადაწყვეტილებით სასამართლო წვევტს საკითხს, არსებობს თუ არა სამართლებრივად ის პრეტენზია, რომელიც მოსარჩელემ თავისი სარჩელით წამოაყენა; ვალაუვალობის საქმის წარმოებაც, მართალია, ჩვეულებისამებრ, ასევე ვალაუვალობის წარმოების გახსნის

შესახებ განცხადებით იწყება, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოების გახსნის შესახებ უკვე არის გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება მივამსგავსოთ სამოქალაქო პროცესში გამოტანილ გადაწყვეტილებას. კერძოდ, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, არსებობს თუ არა ვალაუვალობის (გაკოტრების) საფუძველი, გამართლებულია თუ არა ვალაუვალობის წარმოების განხორციელება. ვალაუვალობის საქმის წარმოების განხორციელება კი უფრო მეტად ჰგავს იძულებით სააღსრულებო წარმოებას, ვინაიდან ამჯერად ხორციელდება მოვალის ქონების რეალიზაცია კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით. თუ საქმე რეორგანიზაციის წარმოებამდე მიდის, კიდევ უფრო მეტად იზრდება ამ წარმოების განსხვავება ჩვეულებრივი სასამართლო პროცესისაგან, რამდენადაც, უპირველესად, საქმე გვაქვს ეკონომიკურ ხდომილებასთან.

წარმოების მომწესრიგებელი ნორმების გარდა, ვალაუვალობის კანონი, სავალდებულო წესით, მატერიალური სამართლის ნორმებსაც შეიცავს. მან უნდა მოაწესრიგოს საკითხი, კარგავს თუ არა მოვალე უფლებებს და რა ფარგლებში, თავის ქონებაზე, რომელიც მას ზოგადი ნორმების მიხედვით ეკუთვნის. იგი შეეხება ისეთ საკითხებს, კერძოდ, როგორცაა, ისევ არის თუ არა მოვალე ვალაუვალობის წარმოებაში უფლებამოსილი, და რა ფარგლებში, რათა განკარგოს თავისი ქონება და მისმა საწარმომ გააგრძელოს საქმიანობა. სამეწარმეო საზოგადოების შემთხვევაში, ეს არის საკითხი იმის შესახებ, უნდა იყვნენ თუ არა დირექტორები კვლავ ამ როლში, თუ მათი უფლებამოსილებები მთლიანად გადაეცემა მმართველს. კრედიტორებთან მიმართებით მოსაწესრიგებელია საკითხი, თუ რამდენად იზღუდება ვალაუვალობის წარმოებაში მათი უფლებები, რომლებიც მათ აქვთ ვალაუვალობის წარმოების ფარგლებს გარეთ, საკუთრებისა და ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ვალაუვალობის კანონები, ჩვეულებისამებრ, შეიცავენ წესებს იმის შესახებ, რომ მმართველს უფლება აქვს, შეიჭრას სახელშეკრულებო ურთიერთობებში. ეს შეეხება ხელშეკრულებებს, რომლებიც ორივე სახელშეკრულებო მხარის მიერ ჯერ კიდევ სრულად არ არის შესრულებული. ამასთან, ვალაუვალობის კანონის ცენტრალური საკითხი სხვადაა, კერძოდ, შეიძლება თუ არა, შეიზღუდოს კრედიტორთა უფლებები მოვალის ქონების მიმართ, რომლებიც მათ აქვთ საკუთარი მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის სახით. კანონის სამართლებრივ-პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა ამ უზრუნველყოფილი კრედიტორების სასარგებლოდ ან არასასარგებლოდ შეიძლება განსაზღვროს კანონის ხასიათი მთლიანად. და ბოლოს, ხანგრძლივი სამართლებრივ-პოლიტიკური ტრადიცია აქვს მმართველის უფლებას, საცილოდ აქციოს ზოგიერთი კრედიტორის სასარგებლოდ განხორციელებული მოვალის იურიდიული მოქმედებები, რათა ისინი უფრო დაუახლოვდნენ კრედიტორთა თანაბარზომიერად

დაკმაყოფილების მიზანს. ამასთან, ვალაუვალობის წარმოების მიზნის მისაღწევად ბათილად შეიძლება გამოცხადდეს ის იურიდიული მოქმედებები, რომლებიც სრულიად კანონიერია ვალაუვალობის წარმოების ფარგლებს გარეთ.

### 1.3. ურთიერთობა სხვა კანონებთან

ვალაუვალობის კანონი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უკიდურესი აუცილებლობის კანონი, რომელიც სანარმოს ვალაუვალობის შემთხვევაში ცვლის ან სრულიად აუქმებს მატერიალური და საპროცესო სამართლის ჩვეულებრივ მოქმედ ნორმებს. ეს შეიძლება სრულიად სხვადასხვანაირად განხორციელდეს, იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რა მიზნებს ისახავს ვალაუვალობის კანონი. საჭიროებებიდან გამომდინარე, ვალაუვალობის კანონი შეიცავს სააღსრულებო სამართლის ცვლილებებს, ვინაიდან ვალაუვალობის წარმოების გახსნით ან, ზოგჯერ, ვალაუვალობის განცხადების შეტანით, ჩვეულებისამებრ, იკრძალება ცალკეული კრედიტორების მიერ მოთხოვნების ინდივიდუალური აღსრულება. იმ მოთხოვნების აღსრულება, რომლებიც ამ მომენტისათვის უკვე დასაბუთებულია, შემდგომში მხოლოდ ვალაუვალობის წარმოების ფარგლებში ხდება ვალაუვალობის კანონის წესების შესაბამისად. ხოლო ეს წესები არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ მოთხოვნების მიმართ, რომელთა დასაბუთება ხდება მხოლოდ ვალაუვალობის წარმოების გახსნის შემდეგ.

ვალაუვალობის კანონი, როგორც წესი, შეიცავს ასევე სპეციალურ ნორმებს მოთხოვნათა დადგენისათვის (აღიარებისათვის), რამდენადაც მათი აღიარება ხდება ვალაუვალობის წარმოების ფარგლებს გარეთ სასარჩელო წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმების მიხედვით, ვალაუვალობის კანონი მოთხოვნათა აღიარებისათვის შეიცავს უფრო გამარტივებულ და დაჩქარებულ პროცედურებს. ამასთან, კითხვაზე, თუ რომელი წარმოება არის მართებული, ვალაუვალობის წარმოებასთან დაკავშირებით, უნდა განვასხვავოთ ვალაუვალობის წარმოებაში კრედიტორთა ორი ფუნდამენტური უფლება: ჯერ ერთი, ძალზე სწრაფად უნდა დადგინდეს, შეუძლია თუ არა პირს კრედიტორის სახით წარმოებაში მონაწილეობა. ეს კი, პირველ ყოვლისა, ნიშნავს იმას, თუ ხმის რა უფლება აქვს მას კრედიტორთა კრებაზე. ეს საკითხი არ ითმენს გადადებას, რამდენადაც თავად ვალაუვალობის წარმოება არ უნდა გაჭიანურდეს ზომიერად მეტად. ამდენად, აუცილებლად საჭიროა გამარტივებული პროცედურის არსებობა წარმოებაში კრედიტორის მონაწილეობის უფლების დასადგენად; კრედიტორის მეორე ფუნდამენტური უფლება გამოიხატება



მისი პრეტენზიით, მონაწილეობა მიიღოს იმ ამონაგების განაწილებაში, რომელიც მიიღება მოვალის ქონების რეალიზაციის შედეგად. ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს იმავე სახით დაჩქარების მოთხოვნა. აქ შესაძლებელია, კრედიტორის მოთხოვნის თაობაზე არსებული დავა ჩვეულებრივი სასარჩელო წარმოების გზით გადაწყდეს.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ვალაუვალობის კანონი შეიცავს სპეციალურ ნორმებს მატერიალურ სამართალთან მიმართებით. კრედიტორთა უფლებებში გადამწყვეტი ჩარევა, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური ხასიათისაა და ნიშნავს, რომ მოვალე უძღურია, სრული მოცულობით შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები. იმისათვის, რომ ეს ჩარევა კრედიტორთა შორის შეძლებისდაგვარად თანაბრად გადანაწილდეს, მათი მოთხოვნები დაუყოვნებლივ ვადამოსულად განიხილება. ამ შემთხვევაში, ისინი უნდა გადაანგარიშდეს ფულად ღირებულებაში. განსაკუთრებით, ფიზიკური პირის ვალაუვალობის წარმოების შემთხვევაში დაისმება საკითხი — აგრძელებს თუ არა არსებობას წარმოების დამთავრების შემდეგ კრედიტორთა მოთხოვნების შეუსრულებელი ნაწილი. სამენარმეო საზოგადოების ვალაუვალობის შემთხვევაში, კრედიტორთა მოთხოვნის შეუსრულებელი ნაწილის არსებობის გაგრძელება წმინდა თეორიული ხასიათისაა. რამდენადაც საზოგადოება ვალაუვალობის საქმის წარმოების დასრულების შემდეგ აღარ არსებობს, კრედიტორები ამით „კარგავენ“ თავის მოვალეს. თუ მოვალე ფიზიკური პირია, იმავდროულად დგება საკითხი — უნდა იყვნენ თუ არა კრედიტორები უფლებამოსილნი, ვალაუვალობის წარმოების დასრულების შემდეგაც ნაუყენონ მოვალეს თავიანთი მოთხოვნები, თუ ვალაუვალობის წარმოებით იმავდროულად უნდა გამოცხადდეს მოვალის დარჩენილი ვალდებულებების გათავისუფლება. პირიქით არის საქმე, როდესაც მოვალის მოვალეები, ძირითადად, ვალაუვალობის წარმოებაშიც არიან ვალდებულნი, შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები მოვალის მიმართ. ამასთან, ხშირად წამოჭრილი პრობლემა სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებაა, როცა კრედიტორი იმავდროულად მოვალის მოვალეა. ეს გვხვდება იმ ხელშეკრულებების დროს, რომლებიც ორივე კონტრაჰენტის მიერ ჯერ არ არის, ან სრულად არ არის შესრულებული. ვალაუვალობის კანონი უნდა შეიცავდეს წესებს იმის შესახებ, არის თუ არა მმართველი უფლებამოსილი, და რა ვითარებაში, ცალმხრივად მოითხოვოს ასეთი ხელშეკრულებების შესრულება ან შეუსრულებლობა. თუკი გადახდასთან დაკავშირებით არსებობს მოვალესა და კრედიტორს შორის მსგავსი ურთიერთპრეტენზიები, მაშინ ვალაუვალობის კანონმა უნდა მოაწესრიგოს, კრედიტორს შეუძლია თუ არა აირჩიოს, და რა ვითარებაში, მოვალისადმი გადახდის სანაცვლოდ გაქვითოს საპირისპირო მოთხოვნა. ასეთი კრედიტორი ისეთსავე კარგ მდგომარეობაშია, როგორშიც უზრუნველყოფილი კრედი-

ტორი, ვინაიდან ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით მას შეუძლია მიაღწიოს თავისი მოთხოვნის კვოტის გარეშე დაკმაყოფილებას, იმ კვოტისა, რომელიც მას მიესადაგებოდა ვალაუვალობის კანონით განაწილების ზოგადი წესების მიხედვით. და ბოლოს, ვალაუვალობის კანონში განსაკუთრებულად საკამათოა უზრუნველყოფილ კრედიტორთა სამართლებრივი მდგომარეობის მონესრიგება. ამასთან, შესაძლო წესები შეიძლება ისე გამოიყურებოდეს, თითქოს უზრუნველყოფის საგანთან მიმართებით ვალაუვალობის წარმოებით არანაირად არ ზარალდება უზრუნველყოფილ კრედიტორთა სამართლებრივი სტატუსი. მაშინ ამ კრედიტორს შეუძლია თავისი უფლებები მოვალის საკუთრების მიმართ ისეთივე სახით განახორციელოს, როგორც ამას განახორციელებდა ვალაუვალობის საქმის წარმოების გარეშე. თუმცა ვალაუვალობის კანონის მიზნის მისაღწევად უზრუნველყოფილი კრედიტორის ეს უფლება, ასევე პირიქით, უზრუნველყოფის საგნების რეალიზაცია შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მმართველის განკარგვით უფლებამოსილებაში იყოს მოქცეული.

და ბოლოს, ვალაუვალობის კანონმა გარკვეული გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებითაც უნდა მიიღოს, უნდა შეიცვალოს თუ არა ვალაუვალობის შემთხვევაში, და რა ფარგლებში, სამენარმეო და შრომის სამართლის ნორმები. სამენარმეო სამართლის სფეროში ეს, პირველ რიგში, ეხება იმას, შელახულია თუ არა, და რა ფარგლებში, წილის მესაკუთრეთა და საზოგადოების კანონიერ წარმომადგენელთა უფლებები. ვალაუვალობის უფრო ახალი კანონები ხშირად ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ საწარმოსათვის გათვალისწინებული რესტრუქტურის რეალიზაციის დროს გაკოტრებული საწარმოს კანონიერი წარმომადგენლები ვალაუვალობის წარმოების გახსნით ავტომატურად კი არ კარგავენ თავიანთ თანამდებობას, არამედ კვლავ აგრძელებენ საწარმოს მართვას, ახლა უკვე მმართველის როლში. ამასთან, რესტრუქტურის რეალიზაციის წარმოების შედეგი ხშირად ისაა, რომ კრედიტორები მოთხოვნების დაკმაყოფილების სანაცვლოდ საწარმოს წილებს იძენენ (debt to equity swap). ვალაუვალობის კანონი იმგვარად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ ცხადი იყოს, დაშვებულია თუ არა წილის მესაკუთრეთა უფლებებში ასეთი ჩარევა. ამავე დროს, რესტრუქტურის რეალიზაცია ხშირად მხოლოდ იმითაა შესაძლებელი, რომ ასევე ხდება დასაქმებულთა უფლებებში შეჭრა. ამიტომაც ვალაუვალობის კანონმა უნდა განსაზღვოს, თუ რა ზომით იქნეს დაშვებული უფლებებში ასეთი შეჭრა.

#### 1.4. ვალაუვალობის (გაკოტრების) საფუძვლები

ვალაუვალობის წარმოების გასახსნელად კანონისმიერი საფუძვლების ფორმულირება ცენტრალური პუნქტია ვალაუვალობის საქმის წარმოების მიზნისთვის.<sup>7</sup> საფუძვლების შეზღუდულმა ფორმულირებამ შეიძლება დააფრთხოს მოვალეები და კრედიტორები და თავი შეაკავებინოს მათ წარმოების აღძვრისგან. რამდენადაც დროში გაჭიანურების გამო მოვალის ქონების ღირებულება იკლებს, შესაძლებელია, ხშირ შემთხვევაში ვერ იქნეს მიღწეული, კერძოდ, რეორგანიზაციის მიზანი; მეორე მხრივ, უნდა გატარდეს ზომები, რათა ბოროტად არ იქნეს გამოყენებული ვალაუვალობის კანონი. ბოროტად გამოყენების მაგალითი კი იქნებოდა შემთხვევა, როდესაც მოვალე, რომელიც სულაც არ იმყოფება ფინანსურად მძიმე მდგომარეობაში, აღძრავს ვალაუვალობის წარმოებას მხოლოდ იმიტომ, რათა მიაღწიოს კანონის ძალით დაცვას კრედიტორთა სააღსრულებო მოქმედებებისაგან; ბოროტად გამოყენების სხვა მაგალითი იქნებოდა, როდესაც მოვალის კონკურენტი დროულად აღძრავს წარმოებას, რათა მოვალის ბიზნესაქტივობის შეწყვეტით თავისათვის უპირატესობა მოიპოვოს; და ბოლოს, ბოროტად გამოყენებად შეიძლება შეფასდეს შემთხვევა, როდესაც სადავო მოთხოვნის კრედიტორი ვალაუვალობის წარმოებას მოვალეზე ზეწოლის განხორციელებისათვის იყენებს, რათა მან აღიაროს მისი მოთხოვნა, ხარჯიანი სასამართლო პროცესის გარეშე.

ვალაუვალობის კანონებში გაკოტრების აღიარებულ საფუძვლად ხშირად მოიაზრება გადახდისუნარობა (liquidity test ან cash flow test). ეს არის მოვალის უუნარობა, შეასრულოს თავისი ვალდებულებები მათი შესრულების მომენტისათვის. კრედიტორებისათვის გაკოტრების ამ საფუძვლის უპირატესობა ისაა, რომ ისინი მას ყველაზე ადრე ადგენენ და ვალაუვალობის წარმოებაში შეუძლიათ ამ საფუძვლზე მითითება. კრედიტორთა მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს სრული წარმოდგენა მოვალის ყველა ვალდებულებასა და მის ყველა ლიკვიდურ საშუალებაზე. ეს ინფორმატიულობა, პირველ რიგში, შეიძლება ბანკებს შეეხებოდეს. სხვა კრედიტორებს მხოლოდ იმის გარკვევა შეუძლიათ, მოხდა თუ არა მათი მოთხოვნების ვადაში შესრულება. აქედან გამომდინარე, მოვალის გადახდისუნარობაზე აქ ასე მარტივად ვერ გაკეთდება დასკვნა. ცხადია, ეს ის შემთხვევა არ არის, როცა მოვალე სადავოდ ხდის მოთხოვნის საფუძვლიანობას. ასევე არ შეიძლება, ზოგადად, მოვალის გადახდისუნარობაზე საუბარი, როცა დაუფარავია ცალკეული მოთხოვნები. ხოლო თუკი სახეზეა მხოლოდ მოვალის მიერ გადახდის დროებითი შეწყვეტა, არ უნდა დავუშვათ, რომ სახეზეა, ზოგადად, მოვალის გადახდისუნარობა. სხვა შემთხვევაში, სიცოცხლისუ-

<sup>7</sup> ამასთან დაკავშირებით იხ. UNCITRAL Legislative Guide, მე-2 ნაწილი, B Commencement of Proceeding.

ნარიან სანარმოებს ნაჩქარევად და წინდაუხედავად განირავდნენ გასაკოტრებლად; მეორე მხრივ, იმპერატიულად უნდა იქნეს მიჩნეული გადახდისუუნარობის სიმპტომად ის გარემოება, როცა მოვალემ ზოგადად შეაჩერა თავისი ვალების გადახდა. ზოგადად ვალების გადახდის შეწყვეტა — ეს არის გადახდისუუნარობის გარეგნული სიმპტომი, „სამხილი“ მოვალის გადახდისუუნარობის შეცნობისა. ვალების გადახდის შეწყვეტაში იგულისხმება ყველა სამართალურთიერთობიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულებების (ქირის, გასამრჯელოს, ხელფასის, კრედიტისა და ა.შ.) შეწყვეტა.<sup>8</sup> ამდენად, მოვალე თავისი ქმედებით (უფრო კი, უმოქმედობით) თვითონ იძლევა თავისი გადახდისუუნარობის გარეგნულად შეცნობის საშუალებას. სწორედ ამ სიმპტომზე იყო მითითება გაკოტრების 1996 წლის კანონში (მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი).

გაკოტრების შემდეგ საფუძვლად ვალაუვალობის კანონში შეიძლება მიეთითოს მოვალის ზედავალიანების (balans sheet test) შესახებ. იგი სახეზეა, როცა სანარმოს ვალდებულებები ქონების (აქტივების) ღირებულებას აღემატება. გაკოტრების ეს საფუძველი, როგორც წესი, მხოლოდ მოვალემ შეიძლება დაადგინოს და არა კრედიტორებმა, რომლებსაც არ აქვთ ინფორმაცია მოვალის ქონების შესახებ (აქაც, ალბათ, ისევ ბანკის გამოკლებით). თეორიულად, ზედავალიანება გაკოტრების დამაჯერებელი საფუძველია, ვინაიდან ამ სიტუაციაში მოვალის საკუთარი კაპიტალი გამოყენებულია. ასე რომ, ქონებაზე კონტროლის ფუნქცია კრედიტორებზე უნდა გადავიდეს. თუმცა ზედავალიანება არც ისე ადვილი დასადგენია, ვინაიდან იგი ქონების რთულ შეფასებაზე დამოკიდებული. ამასთან, ქონების შეფასება ასევე იმაზე დამოკიდებული, საქმე სიცოცხლისუნარიან სანარმოს ეხება თუ არა. ქონების შეფასება უნდა განხორციელდეს შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმისა და პრინციპის საფუძველზე. 1996 წლის გაკოტრების კანონი ადგენდა ისეთ კრიტერიუმს, როგორიცაა სანარმოს საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა (მე-2 მუხლი, მე-4 პუნქტი). ამ კრიტერიუმის დაშვებით, ზედავალიანების დადგენა მოიცავდა საპროგნოზო ელემენტებს, რომლებიც მიმართულია სანარმოს სიცოცხლისუნარიანობის შეფასებისაკენ.<sup>9</sup>

უპირატესად ვალაუვალობის ახალ კანონებში გაკოტრების ერთ-ერთი განშირებული საფუძველია მოსალოდნელი გადახდისუუნარობა. ეს არის გადახდისუუნარობა, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს ახლო ან შორეულ მომავალში. გაკოტრების ეს საფუძველი, როგორც წესი, დაკავშირებულია მხოლოდ მოვალესთან, როგორც ვალაუვალობის წარმოების დანაწილების შესაძლებლობა. მაგალითებად ხშირად სახელ-

<sup>8</sup> შდრ. როინ მიგრიაული, „შესავალი გაკოტრების სამართალში“ (დამხმარე სახელმძღვანელო), მე-2 გადაამუშავ. გამოცემა, თბ., 2006, გვ. 20.

<sup>9</sup> შდრ. ამასთან დაკავშირებით, როინ მიგრიაული, „შესავალი გაკოტრების სამართალში“ (დამხმარე სახელმძღვანელო), მე-2 გადაამუშავ. გამოცემა, თბ., 2006, გვ. 23.

დება ის,<sup>10</sup> რომ მოვალე-საწარმოს არ შეუძლია, დაფაროს მომავალში გადასახდელი ვალდებულებით ურთიერთობაზე დაფუძნებული ვალეები ან იგი დამოკიდებულია ზიანის ანაზღაურების პროცესზე და იცის, რომ მისგან თავს წარმატებით ვერ დაიცავს და ზიანის ასანაზღაურებელ თანხას ვერ გადაიხდის. სავარაუდოდ, მცირეა გაკოტრების ამ საფუძვლის ბოროტად გამოყენების საფრთხე, ვინაიდან მოვალე წინდაუხედავად არ დაიწყებს ვალაუფალობის საქმის წარმოებას; მეორე მხრივ კი, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა შესაძლებლობებს სთავაზობს ვალაუფალობის წარმოება მოვალე-საწარმოს. „მოვალისადმი კეთილად განწყობილი“ ვალაუფალობის წარმოებაში მოვალე საწარმოს შესაძლებლობა ექნებოდა, რეორგანიზაცია განეხორციელებინა, რაც ვალაუფალობის წარმოების გარეთ წარმოუდგენელი იქნებოდა.

## 2. 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის მიზნები

ისევე როგორც 1996 წლის გაკოტრების კანონი, 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის 1-ლი მუხლიც შეიცავს წესს ზოგადი მიზნების შესახებ. ასეთი ფორმულირებები ყოველთვის ძალზე ზოგადია და მათგან დასკვნების გაკეთება ხშირად მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ფორმულირებაში გარკვევით არის მოცემული ცალსახა საკანონმდებლო განზრახვა. და მაინც, 1996 წლის გაკოტრების კანონის 1-ლი მუხლისა და 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონთან დაკავშირებული სხვადასხვა კანონპროექტის ისტორიები გვიჩვენებს, რომ არც მთლად უმნიშვნელოდ მიიჩნევა ის, თუ რა მიზნებს უკავშირებს კანონმდებელი კანონს. 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის 1-ლი მუხლი მოვალისა და კრედიტორების ინტერესების დაცვას ერთმანეთის გვერდით თანაბარუფლებიანად ასახელებს. ეს კი ვალაუფალობის საქმის წარმოებისათვის სავალდებულო სულაც არ არის, ვინაიდან საერთოდაც არსებობს იმის მიზეზები, რომ კრედიტორთა ინტერესებს უპირატესობა მიენიჭოთ. ამას გარდა, 1-ლი მუხლის ფორმულირებიდან იმასაც ვასკვნი, რომ უწინარესად უნდა გადამოწმდეს, შესაძლებელია თუ არა მოვალის ფინანსური პრობლემების სხვაგვარად გადაჭრა, ვიდრე მისი ქონების ლიკვიდაციით. ამის შედეგად რეაბილიტაციას გარკვეული უპირატესობა ენიჭება. ამდენად, აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონის მიზანია, შეუერთდეს ვალაუფალობის ახალ კანონებში ასახულ მისწრაფებას — გადარჩენილ იქნეს სიცოცხლისუნარიანი საწარმო. 1996 წლის კანონის ბოლო რედაქცია<sup>11</sup> შეიცავდა ფორმულირებას, რომელიც თითქოს ნეიტრალურად უდგებო-

<sup>10</sup> UNCITRAL Legislative Guide, მე-2 ნაწილი, B 2(i).

<sup>11</sup> 1996 წლის კანონის 1-ლ მუხლში ბოლო ცვლილება განხორციელდა 2001 წლის 30 აპრილს.

და ლიკვიდაციის ან რეაბილიტაციის საკითხს. ამჟამინდელი ფორმულირებით 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი უფრო მეტად უბრუნდება 1996 წლის გაკოტრების კანონის 1-ლი მუხლის თავდაპირველ რედაქციას, რომელშიც იყო მოთხოვნა, რომ უპირველესად საწარმოს სანაციის საკითხი შემონმებულებიყო.

მაინც ეჭვქვეშ უნდა დაყენებულიყო, რომ კანონის კონცეფცია მთლიანობაში მართლაც ამგვარად ფორმულირებულ მიზანს ისახავდა. შეიძლება უფრო საპირისპირო დასკვნაც გაკეთდეს, რომ უპირატესი მიზანი ლიკვიდაციაა. კანონი ორ განსხვავებულ წარმოებას იცნობს, რომლებიც ეფუძნება წარმოებაში მიღებულ ვალაუვალობის განცხადებას, კერძოდ, გაკოტრების წარმოებას, თანახმად V თავისა, და რეაბილიტაციის წარმოებას, თანახმად VI თავისა. ამ ორ წარმოებას შორის არჩევანი უნდა გააკეთოს, 33-ე მუხლის თანახმად, 3 წევრისაგან შედგენილმა მომრიგებელმა საბჭომ. ვინაიდან როგორც მოვალეს, ასევე კრედიტორებს შეუძლიათ თითო წევრის არჩევა საბჭოში, ამით დაცულია მოვალეებსა და კრედიტორებს შორის 1-ლ მუხლში დასახელებული თანასწორობა. და მაინც, გაკოტრების უპირატესობა იქიდან იკვეთება, რომ მოვალის მიერ მე-17 მუხლის მიხედვით შეტანილი განაცხადის საფუძველზე იგი ყოველთვის უნდა გაიხსნას — ეს იმას კი არ ასაბუთებს, რომ რეაბილიტაციის წარმოება მოვალის ნების საწინააღმდეგოდ ვერ განხორციელდებოდა. რეაბილიტაციის წარმოების დროს მოვალის საწარმოს მოვალე კი არ ხელმძღვანელობს, არამედ — რეაბილიტაციის მმართველი (44-ე მუხლი). 2009 წლის 6 ნოემბრის კანონის შესაბამისად, რომლითაც ცვლილებები იქნა შეტანილი გადახდისუუნარობის კანონში (შემდგომში — 2009 წლის ცვლილებების კანონი), ხელშეუხებელი დარჩა კრედიტორისა და რეაბილიტაციის მმართველის ეს მნიშვნელოვანი ზეგავლენა. ამდენად, მე-17 მუხლი ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ რეაბილიტაციის წარმოება განიხილება როგორც მოვალისადმი კეთილგანწყობა. თუკი მოვალე თავად განაცხადებს უარს რეაბილიტაციის განხორციელებაზე, მაშინ დაიწყება გაკოტრების წარმოება. ეს გარემოება კიდევ უფრო გასაგები ხდება 23-ე მუხლში მოცემული წესით. სასამართლოში მოვალის არასაპატიო მიზეზით ორჯერ გამოუცხადებლობა იწვევს სავალდებულო გაკოტრების საქმისწარმოების დაწყებას.

შემდგომში გაკოტრების უპირატესობა იქიდანაც გამომდინარეობს, რომ რეაბილიტაციის წარმოებისათვის ძალზე მაღალი წინაღობებია დაწესებული. მაშინაც კი, როცა მომრიგებელი საბჭო მოიწონებს რეაბილიტაციის გეგმას, მისი განხორციელება, 47-ე მუხლის მიხედვით, ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის თანხმობაზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, რეაბილიტაციის წარმოებაში მოვალის ვალებისაგან გათავისუფლება ან ვალების რესტრუქტურისა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ყველა კრედიტორის თანხმობით განხორციელდეს (49-ე მუხლი). ეს არის სწორედ

ის წინააღმდეგობები, რომლებიც შეიძლება ვერ გადაილახოს ნორმალური ვალაუფებლობის საქმის წარმოებისას.

### 3. განსჯადი სასამართლოები

ვალაუფებლობის საქმის წარმოებისათვის 2007 წლის გადახდისუნარობის კანონი მე-4 მუხლით ადგენს თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებისათვის სპეციალურ განსჯადობას. ამასთან, სპეციალური განსჯადობა მოქმედებს არა მხოლოდ თავად ვალაუფებლობის საქმის წარმოების, არამედ ყველა იმ დავის მიმართ, რომლებიც მოვალის ქონებას შეეხება. ამდენად, თბილისისა და ქუთაისის სასამართლოებს ვალაუფებლობის სასამართლოები შეიძლება ეწოდოს. მე-11 და მე-12 მუხლებში, რომლებშიც სასარჩელო წარმოებისათვის სპეციალური ნორმებია თავმოყრილი, ამ სასამართლოთა განსჯადობა, მართალია, პირდაპირ აღარ არის მითითებული, თუმცა კონტექსტიდან ცხადია, რომ ვალაუფებლობის ორივე სასამართლო ასევე განსჯადია ყველა სარჩელისათვის, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს ვალაუფებლობის წარმოების მიმდინარეობისას. გარდა ამისა, მე-4 მუხლის მე-5 აბზაცის თანახმად, ვალაუფებლობის სასამართლოს განსახილველად უნდა გადაეცეს ვალაუფებლობის განცხადების წარმოებაში მიღების მომენტისათვის 1-ლი ინსტანციის სხვა სასამართლოში განსახილველად არსებული წარმოებები, რომლებიც ქონებრივ დავასთან არის დაკავშირებული. აქ, ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა, თუკი ვალაუფებლობის წარმოების გახსნისთანავე ყველა სასარჩელო წარმოება შეჩერდებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად. ეს მოსაზრება უკვე იყო გამოთქმული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.<sup>12</sup> თუმცა არ არის ნათელი, ექცევა თუ არა ახლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედების ქვეშ ვალაუფებლობის წარმოების გახსნა. წარმოების შეჩერების არსი ასეთია: თუ მოვალე მოსარჩელეა სასარჩელო წარმოებაში, ვალაუფებლობის წარმოების გახსნით იგი კარგავს თავისი ქონების დამოუკიდებლად განკარგვის უფლებამოსილებას. ქონების განკარგვის უფლებამოსილება მოგვიანებით გადადის გაკოტრების მმართველზე ან რეაბილიტაციის მმართველზე. მაშასადამე, მოვალის, როგორც წარმოების მხარის, ქმედუნარიანობა დროებით იკარგება, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ქმედუნარიანობის დაკარგვის შემდეგ უკვე აღარ არსებობს პროცესის

<sup>12</sup> შდრ. როინ მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში (დამხმარე სახელმძღვანელო), მე-2 გადაამუშავ. გამოცემა, თბ., 2006, გვ. 117.

წარმართვაზე მოვალის უფლებამოსილება, იგი უფრო მეტად მმართველზე გადადის. ამ უკანასკნელმა კი შემდეგ დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს, გააგრძელოს თუ არა საერთოდ პროცესი, სადაც იგი მოსარჩელეა. მმართველი ამას არ დაუშვებს, თუკი მას სარჩელის წარმატების პერსპექტივა უარყოფითად ესახება. სასარჩელო წარმოების შეჩერების სხვა ალტერნატივად იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ვალაუვალობის წარმოება შეიძლება განვიხილოთ იმ „სხვა საქმედ“, რომლის გადაწყვეტამდეც შეუძლებელია სარჩელის განხილვა.<sup>13</sup> თუ საქმე ისეთ პროცესს ეხება, რომელშიც მოვალე მოპასუხეა, მოსარჩელე ისედაც ვალდებულია, თავისი მოთხოვნა ვალაუვალობის წარმოებაში განაცხადოს და დაადგენინოს იგი. ამდენად, უმეტეს შემთხვევაში, მოსარჩელეს ისედაც არ ექნება სასარჩელო წარმოების გაგრძელების ინტერესი.

ვალაუვალობის ორ სასამართლოზე კონცენტრირება უდავოდ მხარდასაჭერია. ვალაუვალობის წარმოების თავისებურებები შემდგომში წარმოაჩენს საკითხებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იქნეს სასამართლო პერსონალურად და ორგანიზაციულად აღჭურვილი, რათა შეძლოს საერთოდ ასეთი წარმოების განხორციელება. ამასთან, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა ფუნქციებს მიანიჭებს ვალაუვალობის კანონი სასამართლოსა და რა ფუნქციებს — წარმოების სხვა მონაწილეებს, კერძოდ კი მმართველს. იმ ფუნქციებთან დაკავშირებით, რომლებსაც კანონი სასამართლოს ანიჭებს, საქმე ნაწილობრივ შეეხება წმინდა სამართლებრივი ხასიათის გადაწყვეტილებებს, ხოლო სხვა გადაწყვეტილებების შემთხვევაში საქმე გვაქვს უფრო ეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილებებთან. მოსამართლისათვის ეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილებების მიღების წინაპირობა მისი საკმარისი კვალიფიკაციაა. ღიადაა დატოვებული საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა სასამართლო შესაბამისი ინსტიტუტი ასეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, თუმცა ეს საკითხი შეიძლება საკამათო იყოს.

ორგანიზაციული ხასიათის სიძნელებებთან შეიძლება ვალაუვალობის წარმოების სხვა ასპექტმაც მიგვიყვანოს, კერძოდ კი იმ ფაქტმა, რომ საქმე ერთიან წარმოებას ეხება. აქ ერთმანეთის პირისპირ საპროცესო მხარეები კი არ დგანან, როგორც ეს სამოქალაქო პროცესში ხდება, არამედ წარმოებაში კრედიტორთა ერთობლიობა და მოვალე მონაწილეობენ. მონაწილეობის სახე აქ განსაკუთრებულად არის სტრუქტურირებული. კრედიტორები გადაწყვეტილებებს, ერთობლიობით იღებენ ან კრედიტორთა კრებაზე, ან კრედიტორთა კომიტეტზე. თუმცა, ისინი, ასევე თავიანთ ინდივიდუალურ მოთხოვნებს ახორციელებენ. სასამართლოც გადაწყვეტილებას იღებს,

<sup>13</sup> როინ მიგრაიული, იქვე, გვ. 117.



ამ ინდივიდუალური მოთხოვნების შესახებ, მაგრამ იგი გარკვეულ ფუნქციასაც ასრულებს იმ გადაწყვეტილებების მიღებისას და განხორციელებისას, რომლებსაც კრედიტორები კოლექტიურად იღებენ. ამ მიზეზებიდან გამომდინარეც მიზანშეწონილია ვალაუვალობის ორ სასამართლოზე კონცენტრირება.

#### 4. გამოსაყენებელი საპროცესო ნორმები

გადახდისუნარობის კანონის მე-5 მუხლში გადმოღებულია ჯერ კიდევ 1996 წლის გაკოტრების კანონში მოცემული პრინციპი, რომ, თუკი გადახდისუნარობის კანონი სპეციალურ ნორმებს არ შეიცავს, გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები. ამჟამად კანონის II თავში (გასაჩივრება) მოცემული ნორმები კერძო საჩივრისა და სარჩელების შესახებ ნაწილობრივად მნიშვნელოვანი გადახვევაა.

თუკი 1996 წლის გაკოტრების კანონის 31-ე მუხლის მიხედვით, განჩინებები კერძო საჩივრით გასაჩივრებას მხოლოდ მაშინ ექვემდებარებოდა, როცა ამის შესახებ ცალსახად იყო კანონში მითითებული, ამჯერად ეს წესი ვალაუვალობის საქმის განმხილველი სასამართლოს ყველა განჩინებაზე ვრცელდება. ვინაიდან არ არსებობს ვალაუვალობის სასამართლოს გადაწყვეტილებების სხვა ფორმა, გარდა განჩინებისა, ამდენად გასაჩივრებას ექვემდებარება განჩინების ფორმით მიღებული ყველა გადაწყვეტილება. ამან შეიძლება წარმოების მნიშვნელოვნად გაჭიანურება გამოიწვიოს, რადგანაც კერძო საჩივრის შეტანისას საქმის მთელი მასალები ზემდგომ სასამართლოში უნდა გადაიგზავნოს (მე-9 მუხლი, მე-2 პუნქტი). გარდა ამისა, კერძო საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს არა მხოლოდ წარმოების მონაწილეთა მიერ, არამედ, აგრეთვე, იმ პირების მიერაც, რომლებსაც „ეს განჩინება უშუალოდ ეხებათ“. გაურკვეველია, თუ როგორ უნდა იქნეს ეს გაგებული. ვალაუვალობის საქმის წარმოება, როგორც წესი, ეკონომიკური თვალსაზრისით, „უშუალოდ ეხება“ პირთა დიდ წრეს (მოვალის ოჯახის წევრებს, დასაქმებულ პირებს, მომწოდებლებს, კლიენტებს, თემებს და ა.შ.).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე და შემდგომი მუხლების ზოგადი ნორმების საპირისპიროდ, გადახდისუნარობის კანონს კერძო საჩივრის შეტანისათვის უფრო მოკლე, 5-დღიანი ვადა შემოაქვს. სიახლე ისაა, რომ ვალაუვალობის სასამართლოს უფლება აქვს, 5 დღის ვადაში გადაამოწმოს, მიიჩნევა თუ არა კერძო საჩივარი დასაბუთებულად. ასეთ შემთხვევაში მას თვითონ შეუძლია მისი დაკმაყოფი-

ლება (მე-9 მუხლი, მე-2 პუნქტი). წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმის მასალები უნდა გადაიგზავნოს ზემდგომ სასამართლოში, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ახლად შემოღებულ 14-დღიან ვადაში. ზემდგომი სასამართლოს განჩინება, როგორც საბოლოო განჩინება, აღარ საჩივრდება საკასაციო ინსტანციაში, როგორც ეს იყო დადგენილი 1996 წლის გაკოტრების კანონით. უზენაეს სასამართლოს შექმლო შეემონებინა მიღებული განჩინება კასაციის ნორმების მიხედვით. ამდენად, სამწუხაროა, რომ უზენაესი სასამართლო აღარაა ჩართული კერძო საჩივრის წარმოებაში.

გადახდისუუნარობის კანონის მე-11 და მე-12 მუხლები შეიცავს სპეციალურ ნორმებს სარჩელების განხილვის შესახებ. კანონის თავდაპირველ ვერსიაში მე-11 მუხლის მე-3—მე-5 აბზაცები გადაწყვეტილებების მისაღებად შეიცავდა ვადებს, რომლებიც განსაკუთრებულად მცირე იყო. 2009 წლის ცვლილებების კანონით, ეს ვადები ოდნავ გაიზარდა, თუმცა არცთუ ისე არსებითად: პირველ ინსტანციაში სარჩელი 5 დღის ვადაში უნდა იქნეს წარმოებაში მიღებული და 20 დღის ვადაში — გადაწყვეტილი. აპელაციის შეტანის ვადა 5 დღეა; სააპელაციო სასამართლომ წარმოებაში მიღების შესახებ 3 დღის ვადაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ხოლო აპელაციის შესახებ — 20 დღის ვადაში. კასაციის შეტანის ვადა 5 დღეა; საკასაციო სასამართლომ წარმოებაში მიღების შესახებ 3 დღის ვადაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ხოლო კასაციის შესახებ — 20 დღის ვადაში. მაქსიმალური ვადების გამოყენების შემთხვევაში სასარჩელო წარმოება სამივე ინსტანციის გავლით 71 დღის განმავლობაში გადაწყდებოდა.

საეჭვოა, რომ კანონმდებელმა ამ ნორმებს რეალური წარმოდგენები დაუკავშირა. კერძოდ, საკითხავია, თუ რა სახის სარჩელები იყო ჩაფიქრებული კანონის შემუშავებისას. მე-11 მუხლის 1-ლ აბზაცში თავდაპირველად ზოგადად იყო ნათქვამი, რომ წარმოების მონაწილეებსა და მესამე პირებს უფლება აქვთ, აღძრან სარჩელები. მე-3 აბზაცში ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებული იყო, რომ სარჩელები 3 დღის ვადაში უნდა ყოფილიყო შეტანილი. მაგრამ არაფერი იყო ნათქვამი, თუ როდის უნდა დაწყებულიყო ეს ვადა. 2009 წლის ცვლილებების კანონმა, აქ სიცხადე შეიტანა: მე-11 მუხლი ახლა მხოლოდ იმ სარჩელებს აწესრიგებს, რომელთა მეშვეობითაც კრედიტორი თავისი მოთხოვნის მოთხოვნათა რეესტრში შეტანას მიაღწევს. ამას აწესრიგებს მე-11 მუხლის 1-ლი აბზაცის ახალი რედაქცია. მე-3 აბზაცს კი შემდგომი სიცხადე შეაქვს — სარჩელი კრედიტორთა კრებიდან 5 დღის ვადაში უნდა იქნეს შეტანილი. ამასთან, ღიად რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ რა ვადა მოქმედებს სარჩელისათვის, როდესაც კრედიტორმა დაგვიანებით განაცხადა თავისი მოთხოვნის შესახებ. მაშინ, დაგვიანებულმა კრედიტორმა 5 დღის ვადის ათვლა იმ მომენტიდან უდა დაიწყო, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა სასამართლოს განჩინება მოთხოვნათა რეესტრში მისი მოთხოვნის არასახვის შესახებ.

მე-11 მუხლთან დაკავშირებით, რომელიც ახლა უკვე ცხადად აწესრიგებს მოთხოვნათა რეესტრში მხოლოდ მოთხოვნის აღიარების შესახებ სარჩელებს, ჩნდება კითხვა, უნდა იქნეს თუ არა გამოყენებული სხვა სარჩელებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზოგადი ნორმები? ვალაუფალობის საქმის წარმოებისას, მაგალითად, შეიძლება დავა წარმოიშვას მმართველსა და მესამე პირს შორის ქონებრივი საგნის ვალაუფალობის მასისათვის მიკუთვნების თაობაზე, ანდა ვალაუფალობის მასის მართვისას მმართველმა შეიძლება დადოს ხელშეკრულებები პირებთან, რომლებიც საერთოდ არ არიან ვალაუფალობის კრედიტორები. ამ დროსაც შეიძლება წარმოიშვას დავები და პროცესებამდე მივიდეთ. რამდენადაც ასეთი სარჩელებისათვის გადახდისუუნარობის კანონი არ შეიცავს არავითარ სპეციალურ მოწესრიგებას, ამიტომ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზოგადი ნორმები. ფაქტობრივად, ეს გამართლებულიც კი არის. არ არსებობს იმის გამართლება, რომ შეიზღუდოს მესამე პირის ან მმართველის კონტრაჰენტის უფლებები.

უცნაური ნორმაა აგრეთვე მე-12 მუხლის მე-2 აბზაცი. ამ ნორმის თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, სასამართლოს შეედლო მიეღო გადაწყვეტილება ვალაუფალობის საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, თუ სასარჩელო წარმოებაში გამოვლინდებოდა, რომ სარჩელის დაკმაყოფილება არსებითად შეცვლიდა ვალაუფალობის საქმის წარმოების შედეგს. ეს ნესი მაშინაც უნდა მოქმედებდეს, როცა უკვე დაწყებულია გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება. აღნიშნული აბზაცი კი იმგვარად უნდა გავიგოთ, რომ საქმე ეხება სარჩელს, რომლის დაკმაყოფილებითაც მოისპობოდა გაკოტრების საფუძველი. დავუშვათ, მოვალეს ვინმეს წინააღმდეგ აღძრული აქვს თანხის გადახდასთან დაკავშირებული სარჩელი. თუკი ვალაუფალობის განცხადების ირგვლივ გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული, მაშინ შეიძლება აზრი ჰქონდეს წარმოების დასრულების დალოდებას. ამას კი მაშინ აქვს აზრი, თუკი სარჩელის წარმატების შემთხვევაში მოვალის გადახდისუუნარობა მოისპობოდა. ძირითადად, იგივე გვექნებოდა სახეზე, როდესაც, პირიქით, მოვალე სასარჩელო წარმოებაში მოპასუხეა. მისი გადახდისუუნარობის საკითხი იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, ეს სარჩელი მის წინააღმდეგ დასაბუთებულია თუ დაუსაბუთებელი. ამიტომაც აზრი აქვს იმას, რომ ვალაუფალობის წარმოებას ჯერ არ მიეცეს მსვლელობა. ასეთ შემთხვევებში ხომ არ იქნებოდა სწორი, სასამართლოს საერთოდ უარი ეთქვა ვალაუფალობის განცხადების წარმოებაში მიღებაზე.

თუმცა, 2009 წლის ცვლილებების კანონის მიხედვით, მე-12 მუხლის ასეთი ინტერპრეტაცია უკვე შეუძლებელია. როგორც ზემოთ აღინიშნა, მე-11 მუხლი ახლა ისეთი სარჩელების საკითხებს აწესრიგებს, რომლებიც მოთხოვნების რეესტრში კრედიტორთა მოთხოვნების აღიარებისკენა მიმართული. მე-12 მუხლი გარკვევით უთითებს მე-11 მუხლზე და ახლა უკვე მხოლოდ კრედიტორთა პირველი კრების გა-

დატანას ითვალისწინებს, და არა ვალაუვალობის წარმოების გადადებას. ამით მე-12 მუხლის რეგულირების სფერო განსაკუთრებულად შეიზღუდა. აღნიშნული ნორმის გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა კრედიტორის სარჩელი გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში მიღების მომენტისათვის უკვე განხილვაში იყო. მე-11 მუხლში კი გარკვევითაა საუბარი მხოლოდ ისეთ სარჩელებზე, რომლებიც კრედიტორთა პირველი კრების შემდეგ იყო დაშვებული. ამდენად, ლოგიკურია, რომ ასეთმა სარჩელებმა ძირითადად არ უნდა გამოიწვიოს კრედიტორთა პირველი კრების გადატანა. მაგრამ შეიძლება არსებობდეს იმის საკმარისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რომ კრედიტორის არალიარებულმა მოთხოვნამ შეიძლება წარმატებას მიაღწიოს ცალკე სასარჩელო წარმოებაში და იგი მოგვიანებით მაინც იქნეს ჩანერილი მოთხოვნების რეესტრში, ხოლო მოთხოვნების რეესტრის შესაძლო ცვლილებამ შეიძლება ასევე ამონაგების განაწილების გადასინჯვა გამოიწვიოს. ასეთ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალია პირველი კრების ჩატარების თარიღის გადატანა, თუმცა ალოგიკურია ასეთი გადატანის მაქსიმუმ 90 დღით შეზღუდვა.

გასაჩივრების შესახებ საპროცესო ნორმებისა და სარჩელის შესაძლებლობების მიხედვით კიდევ ერთი უცნაური დასკვნა გამოდინარეობს, კერძოდ, ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით საქმე შეიძლება პარალელურ წარმოებებამდე მივიდეს. კრედიტორთა მოთხოვნების აღიარების შესახებ სასამართლომ ახლა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, 29-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად.<sup>14</sup> კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს განჩინების წინააღმდეგ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. სხვა მონაწილეებსაც შეუძლიათ კერძო საჩივრის შეტანა, თუ ჩათვლიან, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არასწორი იყო და მან მათი უფლებები შელახა. თუმცა კრედიტორსაც, რომლის მოთხოვნაც არ იქნა აღიარებული, მე-11 მუხლის თანახმად, შეუძლია ასევე სარჩელის შეტანა. თუკი ერთდროულად კერძო საჩივარიც და სარჩელიც იქნება შეტანილი, მაშინ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის წარმოება მანამდე უნდა შეჩერდეს, სანამ სარჩელის ირგვლივ არ იქნება გადაწყვეტილება გამოტანილი. ამასთან, სწორია, რომ ასეთ შემთხვევებში სასამართლომ საერთოდ გამორიცხოს კერძო საჩივრის დასაშვებობა. კრედიტორს, რომელიც შემდგომში მოთხოვნათა რეესტრში არ იქნა შეყვანილი, დარჩებოდა მხოლოდ სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა. ეს კი იქნებოდა მისი უფლებების საკმარისი დაცვა. გარდა ამისა, სწორი იქნებოდა ასევე, თუკი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლს დაემატებოდა ნორმა, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავდა, რომ ვალაუვალობის წარმოების გახსნისას შეჩერდებოდა ყველა ის სასარჩელო წარმოება, რომელშიც მოვალე მოსარჩელე ან მოპასუხეა.

<sup>14</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით 11.2 ქვეთავი.

ასეთი ნორმის აზრი შემდეგშია: როდესაც მოვალე მოსარჩელეა ასეთ პროცესში, მაშინ ვალაუფალობის მმართველს უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების უფლება, გააგრძელოს თუ არა საერთოდ ეს პროცესი. ამას მმართველი მხოლოდ მაშინ გააკეთებს, როდესაც იგი საკმარის პერსპექტივას დაინახავს, ერთი მხრივ, რომ მოიგებს პროცესს, ხოლო მეორე მხრივ, რომ შემდგომში წარმატებით განახორციელებს მის აღსრულებას. თუკი ეს ორივე წინაპირობა არ შესრულდება, მაშინ მმართველი პროცესს არ გააგრძელებს, რადგანაც არ იარსებებს ამით ვალაუფალობის მასის გაზრდის პერსპექტივა. როდესაც, პირიქით, მოვალე მოპასუხეა პროცესში, მაშინ ვალაუფალობის წარმოებაში მოსარჩელისათვის არსებობს ერთადერთი მარტივი გზა — აღიარებინოს თავისი მოთხოვნა. კერძოდ, მოსარჩელეს, როგორც კრედიტორს, შეუძლია თავისი მოთხოვნა განაცხადოს მოთხოვნათა რეესტრში, ხოლო თუკი მოსარჩელის მოთხოვნა აღიარებული იქნება და აისახება მოთხოვნების რეესტრში, მაშინ მისი მიზანი მიღწეული იქნება; მაგრამ თუკი კრედიტორის (მოსარჩელის) მოთხოვნა არ იქნება ვალაუფალობის წარმოებაში აღიარებული, მაშინ მან უნდა გადაწყვიტოს, ერთი მხრივ, კერძო საჩივარი შეიტანოს, თუ, მეორე მხრივ, (ასევე) სარჩელი აღძრას, რომლისათვისაც მე-11 მუხლით მოკლე ვადებია დადგენილი. კრედიტორი თავის ამ გადაწყვეტილებას არა მხოლოდ იმას დაუკავშირებს, სავარაუდოდ, მოიგებს თუ არა იგი სარჩელს, არამედ იმასაც, ექნება თუ არა მას მოგების შემდეგ ვალაუფალობის მასიდან რაიმეს მიღების პერსპექტივა. ეს განაპირობებს შემდგომში ასევე მის რიგს მოთხოვნათა რეესტრში.

## 5. ვალაუფალობის (გაკოტრების) საფუძვლების ფორმულირება

ვალაუფალობის (გაკოტრების) საფუძვლებად მე-13 მუხლში გადახდისუნარობა და მოსალოდნელი გადახდისუნარობა სახელდება. გადახდისუნარობად მე-3 „ა“ მუხლის თანახმად, ითვლება მოვალის უუნარობა, დააკმაყოფილოს კრედიტორთა ვადამოსული მოთხოვნა. ცხადია, ეს დეფინიცია არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გადახდისუნარობა გაიმიჯნოს გადახდების დროებითი შეწყვეტისაგან. კონკრეტული გამიჯვნები, ალბათ, ისედაც მხოლოდ სასამართლო პრაქტიკაში განვითარდება. განსაკუთრებით ზოგადად არის გადმოცემული მოსალოდნელი გადახდისუნარობის ფორმულირება მე-3 „ბ“ მუხლში. ამ ნორმის თანახმად, ასეთი საფუძველი ყოველთვის მაშინ არის სახეზე, როცა მოვალე სათანადო ზომების მიუღებლობის შემთხვე-

ვაში გახდება ან შეიძლება გახდეს გადახდისუუნარო. ეს ფორმულირება შეეხება ყველა მოვალეს.

ამიტომაც არის მნიშვნელოვანი საკითხი, რომ მოსალოდნელი გადახდისუუნარობა მხოლოდ მაშინ იქნეს აღიარებული გაკოტრების საფუძვლად, როცა მოვალე შეიტანს ვალაუვალობის განცხადებას. ასეთი იყო აქამდე არსებული სამართლებრივი ვითარება, 1996 წლის გაკოტრების კანონის მიხედვით. თუკი მოსალოდნელი გადახდისუუნარობა გაკოტრების საფუძვლად იქნებოდა აღიარებული ასევე კრედიტორის განცხადების შემთხვევაში, მაშინ ეს იქნებოდა მოვალის უფლებებში მეტისმეტად ფართო შეჭრა. და ბოლოს, კრედიტორს მოვალის მიმართ მხოლოდ ის პრეტენზია აქვს, რომ მან მისი მოთხოვნა შეასრულოს. მართალია, მე-13 მუხლი ცალსახად არ განსაზღვრავს, რომ მოსალოდნელი გადახდისუუნარობა მხოლოდ მაშინ ითვლება გაკოტრების საფუძვლად, როცა მოვალე გადახდისუუნარობის განცხადებას შეიტანს. თუმცა ასეთი ინტერპრეტაცია შეიძლება გამოვიყვანოთ მე-14 და მე-18 მუხლებიდან. მე-14 მუხლის 1-ლი აბზაცის „ა“ ქვეპუნქტი „გაკოტრებულ და მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფ“ მოვალეს განიხილავს განცხადების შეტანაზე უფლებამოსილ პირად. მე-18 მუხლის 1-ლი აბზაცის „დ“ ქვეპუნქტი კრედიტორის მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში მხოლოდ იმას ადგენს, რომ მან წარმოადგინოს მოვალის გადახდაუუნარობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

განსაკუთრებული არსი წესისა, რომ მოვალის განცხადებისას მოსალოდნელი გადახდისუუნარობა უკვე გაკოტრების საფუძველია, ძირითადად ისაა, რომ ამით იზრდება საწარმოს საბოლოო კრახისაგან გადარჩენის შესაძლებლობა. ვალაუვალობის კანონი, რომელიც საწარმოს გადარჩენის საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, ცდილობს, მოვალეს მისცეს სტიმული, დროულად წარადგინოს ვალაუვალობის განცხადება, რათა წარმოების დაცვის რეჟიმში, და პირველ ყოვლისა, კრედიტორთა აღსრულებისაგან თავის დაცვით შესაძლებელი გახადოს საწარმოს რეორგანიზაცია. თუმცა, კანონის კონცეფციის მიხედვით,<sup>15</sup> ეს მიზანი მიუღწევადია, ვინაიდან მოვალეს მხოლოდ გაკოტრების წარმოების დაწყების შესახებ შეუძლია განცხადების შეტანა. ვალაუვალობის განცხადების ადრეულად შეტანის სტიმული ის იქნებოდა, თუკი მოვალე ამის სანაცვლოდ, წარმატების რეალური პერსპექტივის შემთხვევაში, შეძლებდა რეაბილიტაციის წარმოების შესახებ განცხადების შეტანას.

<sup>15</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით მე-2 თავი.

## 6. განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი პირები

თავდაპირველად აქ უნდა დავასახელოთ რამდენიმე ზოგადი პრინციპი. ყურადსაღებია, რომ განცხადების შემტანად გვევლინება თავად მოვალე და ერთი ან რამდენიმე კრედიტორი. ამასთან ერთად, ვალაუვალობის ზოგიერთმა კანონმა განცხადების შეტანის უფლება შეიძლება სახელმწიფო ორგანოსაც მიანიჭოს. მოვალის განცხადების შემთხვევაში, ძირითადად ძალზე დაბალია საფრთხე იმისა, რომ იგი განცხადების შეტანის უფლებას ბოროტად გამოიყენებს. მოვალეს, ჩვეულებრივ, მხოლოდ მაშინ შეაქვს განცხადება, როგორც უკანასკნელი საშუალება, როცა იგი, მართლაც, ფინანსურად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. მოვალის მხრიდან ვალაუვალობის (გაკოტრების) საფუძვლის დასაბუთებული წარმოდგენა ხშირად საკმარისად განიხილება ხოლმე და მხოლოდ დიდი ეჭვის პირობებში საჭიროებს იგი უფრო ზუსტ შემოწმებას. აშშ-ის სამართალი ასეთ შემთხვევაში მთლიანად უარსაც კი ამბობს გაკოტრების საფუძვლის წარმოდგენაზე და უსიტყვოდ აღიარებს მას. თუმცა განსხვავებული სასამართლო პრაქტიკა მკვიდრდება საქართველოში, როდესაც მოვალის ვალაუვალობის განცხადების შემთხვევაში სასამართლო უდგენს მას ხარვეზს და ითხოვს განცხადებაში მითითებული ფორმალური გარემოებების (მაგალითად, დებიტორების მოთხოვნების, საბანკო ანგარიშების, ქონების ან კრედიტორების მონაცემების და სხვ.) დოკუმენტურად დასაბუთებას.<sup>16</sup>

განსაკუთრებით მაშინ, როცა მიზანი მოვალის რეორგანიზაციაა, ჩვენ უფრო მოქნილი გაკოტრების საფუძვლის მომხრე ვართ. განცხადების ადრეული შეტანა ზრდის წარმატებული რეორგანიზაციის შანსებს და ამიტომაც იგი კანონითაც უნდა იყოს გამყარებული. იმ შემთხვევებშიც კი, როცა მოვალეს რეორგანიზაციის წარმოებაში დიდი გავლენა აქვს, არ არის გამორიცხული მისი მხრიდან განცხადების შეტანის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. წარმოების გახსნისთანავე მოვალე დაცული აღმოჩნდება კრედიტორთა მხრიდან განხორციელებული აღსრულებებისაგან. ვალაუვალობის კანონის წესების მეშვეობით იგი ხშირად იღებს სამართლებრივი ხასიათის შესაძლებლობებს, გაითავისუფლოს თავი უსარგებლო ხელშეკრულებებისაგან და გამართოს ხელახალი მოლაპარაკებები მათ თაობაზე. ეს ხშირად შრომით ურთიერთობებს ან საპენსიო ვალდებულებებს შეეხება. წარუმატებელი რეორგანიზაციის შემთხვევაში, რასაც, სავარაუდოდ, ლიკვიდაცია მოჰყვება, კრედიტორებმა თავი შეიძლება წნეხის ქვეშ იგრძნონ, რათა დაეთანხმონ თავიანთ მოთხოვნებზე ნაწილობრივ უარის თქმას. ყველა ამ შესაძლებლობამ

<sup>16</sup> იხ. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 26.10.2009 წლის განჩინება საქმეზე — №2/8147, თბილისის საქალაქო სასამართლოს 27.12.2009 წლის განჩინება საქმეზე — №2/10145, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010.30.2010 წლის განჩინება საქმეზე — №2/7228 .

შეიძლება ნახალისოს მოვალე, რომ განცხადება შეიტანოს, თუმცა, ფაქტობრივად, ასეთ დროს შეიძლება საერთოდაც არ არსებობდეს გაკოტრების საფუძველი. 1996 წლის გაკოტრების კანონის მიხედვით, მოვალეს გაკოტრების საქმის წარმოებაში ჰქონდა სხვადასხვა შესაძლებლობა თავიდან აეცილებინა ადრეული ლიკვიდაცია; 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის სტრუქტურის მიხედვით, მოვალეს ზეგავლენის მხოლოდ საპირისპირო შესაძლებლობა აქვს, რომ დაუყოვნებელ ლიკვიდაციას მიაღწიოს. ამიტომაც უფრო ნაკლებად სავარაუდოა მოვალის მხრიდან განცხადების შეტანის ბოროტად გამოყენება. თუმცა 2009 წლის ცვლილებების კანონმა მე-16 მუხლის „დ“ პუნქტში შეიტანა შესწორება, რომლის მიხედვითაც, მოვალის სანარმოს კანონისმიერმა წარმომადგენელმა მხოლოდ კი არ უნდა განმარტოს, არამედ უნდა დაასაბუთოს კიდევ, რომ მოვალე გადახდისუუნაროა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე იმყოფება. ამით გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საფუძვლის დასაბუთების ტვირთი სასამართლოდან მოვალის წარმომადგენლობით ორგანოზე გადავიდა, რამაც უნდა გაუადვილოს სასამართლოს, მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დაუბრკოლებლად გამოიტანოს განჩინება მოვალის განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ.

2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი, ამასთან, კრედიტორებსაც არ უადვილებს გზას ვალაუვალობის წარმოებისაკენ. 2009 წლის ცვლილებების კანონმა კი მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის დამატებით ერთგვარად გაუმარტივა მათ საქმე: აქამდე განმცხადებელ კრედიტორს ყველა მტკიცებულება თავად უნდა წარმოედგინა, ახლა კი განმცხადებელს შეუძლია, დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე მოსთხოვოს სასამართლოს, რომ მტკიცებულებები მან (სასამართლომ) გამოითხოვოს. ეს ნორმა იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ კრედიტორის შუამდგომლობის დასაბუთება სასამართლომ მაშინ უნდა მიიჩნიოს საკმარისად, თუ აქედან მოვალის გადახდისუუნარობის ალბათობა გამომდინარეობს. თუკი მან შუამდგომლობა წარადგინა, მაშინ სასამართლო თავისი ინიციატივით დაადგენს, ნამდვილად არის თუ არა სახეზე მოვალის გადახდისუუნარობა.

1996 წლის გაკოტრების კანონი განცხადების შეტანის უფლებას ზოგადად მოვალისა და თითოეული კრედიტორისათვის ითვალისწინებდა. 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი კი მე-14 მუხლში, ძირითადად, ზღუდავს კრედიტორებისათვის განცხადების შეტანის უფლებას. რეგულირების ტენდენციას უნდა მივაწეროთ, ალბათ, ის, რომ მხოლოდ დიდი მოთხოვნის მქონე კრედიტორებს უნდა ჰქონდეთ განცხადების შეტანის უფლება. დაწესებული ფარგლები ძალზე შორსაა იმ თანხებისაგან, რომლებიც შეიძლება დასახელებულიყო კრედიტორთა მხრიდან განცხადების შეტანის უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. ამას გარდა,



კრედიტორისათვის ძლიან მაღალი ბარიერია ის, რომ მან სასამართლოს სალაროში<sup>17</sup> 10.000 ლარის ოდენობის თანხა უნდა გადაიხადოს (მე-6 მუხლი).

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, შეიტანონ განცხადება მოთხოვნის შესრულების (გადასახადის გადახდის) ვადის დადგომიდან მხოლოდ 60 დღის შემდეგ და თანაც მაშინ, როცა მოთხოვნა არანაკლებ 50.000 ლარს შეადგენს. ეს შეიძლება ერთგვარი დამცავი ფარი იყოს იმ მცირე სანარმოებისათვის, რომლებსაც, შესაბამისად, მცირე ვალები აქვთ. თუმცა გაურკვეველია, იყო თუ არა ეს, სავარაუდოდ, კანონმდებლის განზრახვა. ასევე მაღალი ბარიერებია დაწესებული სხვა კრედიტორებისათვისაც. ცალკეულ კრედიტორს მხოლოდ შემდეგი ორი სახის ალტერნატივის შემთხვევაში აქვს განცხადების შეტანის უფლება: მას ხელთ უნდა ჰქონდეს 2 სასამართლოს გადაწყვეტილება ჯამში 50.000 ლარის თანხის ოდენობით და გადაწყვეტილების აღსრულება დაწყებული უნდა იყოს, ანდა საქმე უნდა შეეხებოდეს კრედიტორს, რომლის მოთხოვნაც მოვალის მთლიანი დავალიანების 30%-ს აღემატება. პირველი ალტერნატივის შემთხვევაში გაუგებარია მიზეზი იმისა, თუ რატომ მაინცადამაინც, სულ ცოტა, 2 სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს სახეზე. პირდაპირ თვითნებობას ემსგავსება, როცა 60.000 ლარის მოთხოვნის მქონე კრედიტორის მიმართ სხვაგვარი მიდგომაა, ვიდრე იმ კრედიტორის მიმართ, რომელსაც 2 გადაწყვეტილება აქვს, თითოეული 30.000 ლარის ოდენობით. მეორე ალტერნატივის შემთხვევაში დგება საკითხი, თუ როგორ უნდა დაადგინოს კრედიტორმა, რომ მისი მოთხოვნა მოვალის მთლიანი დავალიანების 30%-ს აღემატება. მოვალეები ნებაყოფლობით არ იხრებიან იქითკენ, რომ კრედიტორები თავიანთ საფინანსო ბუღალტერიაში ჩაახედონ. საგადასახადო ორგანოებს კი აქვთ წარმოდგენა მოვალის საბუღალტრო აქტებზე, მაგრამ მათზე არ ვრცელდება მე-14 მუხლის პირველი აბზაცის „დ“ ქვეპუნქტი. ხშირად ბანკებს კრედიტების გაცემისას მოლაპარაკებების წარმოების დროს აქვთ ისეთი უფლებამოსილება, რომ ხელშეკრულებით თანხმდებიან შესაბამისი ინფორმაციის გაცემის ვალდებულებაზე. სხვა კრედიტორების შემთხვევაში კი, როგორც წესი, ასეთი რამ არ გვხვდება. გარდა ამისა, შესაძლო მოვალეების სახით არიან ისეთი დიდი სანარმოები, რომლებიც, ზოგადი ნორმების შესაბამისად, ვალდებული არიან, გამოაქვეყნონ საკუთარი ბალანსები. თუმცა აქაც ძალიან იშვიათად შეიძლება ჰქონდეთ ცალკეულ კრედიტორებს ასეთი მაღალი წილი მოვალის მთლიან დავალიანებაში. თუ ამ ნორმების მიხედვით, კრედიტორს არ შეუძლია, მარტომ შეიტანოს განცხადება, მაშინ რჩება განცხადების ერთობლივად შეტანის მხოლოდ დასახელებული ორი შესაძლებლობა. ამისათვის კი საკმარისია, სახეზე იყოს კიდევ ერთი კრედიტორი, თუ მთლიანი მოთხოვნა 150.000 ლარს აღე-

<sup>17</sup> იგულისხმება სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიში.

მატება; კიდევ ორი სხვა კრედიტორის შემთხვევაში კი საკმარისია მთლიანი მოთხოვნა 50.000 ლარზე მეტი იყოს.

ბოლოს დასახელებულ ნორმებთან დაკავშირებით კანონი თავდაპირველად სხვა წინაპირობას აყალიბებდა, რომელიც არც მთლად გასაგები იყო. კერძოდ, კრედიტორის მიერ წარდგენილი მოთხოვნები „მოვალის მიერ არ უნდა გასაჩივრებულიყო კანონმდებლობით დადგენილი წესით“. პრობლემა ის იყო, რომ კანონმდებლობაში ასეთი წესები არ არსებობდა. მოვალეს, რომელიც თვლის, რომ მოთხოვნა დაუსაბუთებელია ან მისი შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, ვერანაირი სამართლებრივი ნორმებით ვერ აიძულებენ, „გაასაჩივროს“ ეს მოთხოვნა. პირიქით, მას შეუძლია დაელოდოს, აღძრავს თუ არა კრედიტორი სარჩელს და ამის შემდეგ მოითხოვოს მისი უარყოფა. როგორც ჩანს, ეს ნორმა უფრო იმით აიხსნებოდა, რომ იგი აქ გადმოღებულ იქნა კანონის ადრინდელი პროექტიდან, რომელიც EBRD-მა შეიმუშავა საქართველოსათვის. ამ კანონპროექტში დასახელებული იყო ისეთი ფაქტები, რომელთა შესრულებისას კანონით ივარაუდებოდა მოვალის გადახდისუუნარობა (კანონპროექტის მე-20 მუხლი). კანონპროექტი ითვალისწინებდა, რომ კრედიტორს შეეძლო საგაკოტრებო უწყების მიერ (ასეთი უნდა შექმნილიყო კანონპროექტის მიხედვით) შემუშავებული ფორმულარის მეშვეობით მოვალისაგან 21 დღის ვადაში მოეთხოვა ვალის გადახდა. თუკი მოვალე მიცემულ ვადაში ვალს არ გადაიხდიდა, მაგრამ ასევე არც მოთხოვნის გაუქმებას მოითხოვდა, მაშინ მას შეეძლო, შემდგომში მის წინააღმდეგ შეტანილი ვალაუვალობის განცხადების საწინააღმდეგოდ, სასამართლოს განსაკუთრებული ნებართვით, დაესაბუთებინა, რომ იგი ნამდვილად არ იყო გადახდისუუნარო. მოვალე, რომელიც კრედიტორისაგან მიიღებდა გადახდის მოთხოვნას და მიიჩნევდა, რომ არ იყო გადახდისუუნარო, ამით იძულებული იყო, დაეწყო პროცესი კრედიტორის წერილობითი მოთხოვნის ძალადაკარგულად გამოსაცხადებლად. ამისათვის კანონპროექტში სპეციალური ნორმები არსებობდა. მოვალეს ამ წარმოების ფარგლებში შეეძლო, სხვათა შორის, დაესაბუთებინა, რომ არსებობს მასა და კრედიტორს შორის დავა მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ. თუ იგი ამას მიაღწევდა, მაშინ კრედიტორის წერილობითი მოთხოვნა ძალადაკარგულად გამოცხადდებოდა. ამის შემდეგ კრედიტორი ვალაუვალობის განცხადებას ველარ დაეყრდნობოდა.

მაშინაც კი, როცა კანონით გათვალისწინებული ეს ნორმები საქართველოში არ არსებობს, მაინც შეიძლებოდა მე-14 მუხლში ერთი გასაგები აზრის ჩადება. ვალაუვალობის წარმოება არ არის სათანადო წარმოება იმისათვის, რათა შემომწმდეს მოთხოვნის საფუძვლიანობა; ხოლო მოვალის მიერ ვალის გადაუხდელობიდან მხოლოდ მაშინ ივარაუდება მისი გადახდისუუნარობა, როცა მას არ გააჩნია სერიოზული შეპასუხებები მოთხოვნის საფუძვლიანობის საწინააღმდეგოდ. 2009 წლის

ცვლილებების კანონით მე-14 მუხლი ამ მიმართულებით შეიცვალა. კერძოდ, მოვალის მხრიდან არ არის საჭირო იმ მოთხოვნების წერილობით შედავება, რომლებსაც განმცხადებელი კრედიტორი წარადგენს. აღნიშნული წესი ზოგადი სამოქალაქო სამართლის მოთხოვნებსაც კი სცილდება. არავის აიძულებენ, წერილობით შედავოს მოთხოვნას, რომელსაც იგი გამართლებულად არ მიიჩნევს. უფრო მეტიც, მას მშვიდად შეუძლია დაელოდოს, აღძრავენ თუ არა სინამდვილეში სარჩელს. ამდენად, უფრო სწორი იქნებოდა, თუკი კანონში ჩაინერგებოდა, რომ მოვალე მოთხოვნას „სერიოზულად არ შედავებია“. რამდენადაც სამეურნეო ცხოვრებაში ასეთი შედავებები ხშირად ისედაც წერილობით ხდება, ამიტომაც კანონის ფორმულირებასთან დაკავშირებით პრაქტიკაში იშვიათი პრობლემები უნდა წარმოიშვას.

2007 წლის გადახდისუნარობის კანონის სიახლე ისიცაა, რომ კრედიტორებმა მოვალეს განცხადების შეტანამდე, სულ ცოტა, 30 დღით ადრე წერილობით უნდა აცნობონ ვადაგადაცილებული მოთხოვნის შესახებ (მე-14 მუხლი, მე-2 აბზაცი). მხოლოდ მას შემდეგ იქცევიან ისინი განცხადების შეტანაზე უფლებამოსილ პირებად, თუ ეს პირობა შესრულებულია. ალბათ, ეს იდეაც EBRD-ის მიერ შემუშავებული პროექტის იმ ნორმებიდან არის გადმოღებული, რომლებიც კრედიტორის წერილობით მოთხოვნას შეეხება. 22-ე მუხლი კიდევ ერთხელ შეიცავს ფორმულირებას შეტყობინების ვალდებულების შესახებ იმ ნორმებთან მიმართებით, რომლებიც სასამართლოს მიერ ვალაუვალობის განცხადების წარმოებაში მიღებას შეეხება. კანონით გათვალისწინებულია, რომ და მე-14 მუხლის მე-2 აბზაცში მითითებული კრედიტორები ვალდებული არიან, აცნობონ მოვალეს, რომ განზრახული აქვთ განცხადების სასამართლოში შეტანა. თუკი ისინი ამის შემდეგ შეიტანენ განცხადებას, მოვალეს კვლავ უნდა აცნობონ ამის შესახებ და ამჯერად უკვე ზუსტი მონაცემების მითითებით (შეტანის თარიღი, სასამართლოს დასახელება და ა.შ.). მართალია, მოვალის მეორედ ინფორმირების შესახებ კანონი ცალსახად არაფერს ამბობს, მაგრამ განცხადების შეტანის თარიღსა და სასამართლოზე მითითება იძლევა იმის ვარაუდს, რომ მოვალეს ეს დეტალები კრედიტორისაგან მოგვიანებით კიდევ ერთხელ უნდა ეცნობოს. მიუხედავად ამისა, უკვე არსებულ გადახდისუნარობის წარმოებებში ჯერ არ ყოფილა განმცხადებელი კრედიტორის მხრიდან მოვალის მეორედ ინფორმირების შემთხვევა. ვფიქრობთ, მოვალის ორჯერადი ინფორმირების შემოღებით კანონმდებლის სურვილია, პირველი ინფორმირების გზით მოხდეს კრედიტორის მეშვეობით მოვალის წინასწარი გაფრთხილება (მე-14 მუხლი, მე-2 აბზაცი), ხოლო კრედიტორის შემდეგი შეტყობინებით მოვალეს ეცნობება განცხადების შეტანის შესახებ (22-ე მუხლი, 1-ლი აბზაცი). ხოლო ყოველივე ამის შემდეგ, მოვალეს უკვე სასამართლო აცნობებს განცხადების შეტანის თაობაზე (22-ე მუხლი, მე-3 აბზაცი).

## 7. ვალაუვალობის განცხადების განხილვა

ზოგადად, მოვალის ძირითად უფლებად მიიჩნევა ის, რომ მას სასამართლომ მანამდე უნდა მოუსმინოს, ვიდრე მიიღებდეს გადაწყვეტილებას წარმოების გახსნის შესახებ. თუ განცხადება თავად მოვალემ შეიტანა, იგი ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ საქმის გარემოებების გამოკვლევას. მოვალის გამოკითხვის გზით სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, მართლაც სახეზეა თუ არა წარმოების გახსნის წინაპირობები, ასევე — ხომ არ ხდება განცხადების შეტანის ბოროტად გამოყენება. თუმცა მოსმენის ძირითადი მნიშვნელობა მაშინ ვლინდება, როცა განცხადება კრედიტორს შეაქვს. რამდენადაც წარმოების გახსნა მოვალის უფლებებში ჩარევას, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, პროტესტი გამოთქვას წარმოების გახსნის საწინააღმდეგოდ.

სხვა საკითხია, უნდა მოუსმინონ თუ არა უკვე გახსნის წარმოებაში<sup>18</sup> სხვა კრედიტორებსაც. ისინი, ბუნებრივია, დაინტერესებულნი იქნებიან, საქმის კურსში იყვნენ ვალაუვალობის განცხადებასთან დაკავშირებით. თუკი კრედიტორები ასეთი განცხადების შემდეგაც გააგრძელებენ მოვალესთან გარიგებების დადებას, მაშინ მათთვის იქმნება იმის საფრთხე, რომ მოვალე მომავალში ველარ შეასრულებს მათ მიმართ შესასრულებელ საპასუხო მოქმედებებს. ამიტომაც, ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, ბევრი კრედიტორი დაასრულებდა მოვალესთან საქმიან ურთიერთობას; ზოგიერთი კრედიტორი იმასაც შეეცდება, რომ მოვალის ქონებაზე დაჩქარებული სააღსრულებო წარმოებით მანამდე დაკმაყოფილდეს, ვიდრე გაიხსნება ვალაუვალობის წარმოება. კრედიტორების მხრიდან ასეთი მოსალოდნელი რეაქციის გამო ჩნდება საშიშროება, რომელიც ნაადრევად გაცემული ინფორმაციის შედეგად წარმოიშობა. სწორედ, კრედიტორის განცხადების შემთხვევაში არ არის არანაირად გარანტირებული, რომ ეს განცხადება ვალაუვალობის წარმოების გახსნამდე მიგვიყვანს. თუკი სხვა კრედიტორები მაინც შეიტყობდნენ განცხადების შეტანის შესახებ, მაშინ მოვალე შეიძლება ხანგრძლივად დაზარალდეს მხოლოდ კრედიტორების შემდგომი რეაქციებიდან გამომდინარე. ვალაუვალობის წარმოების გახსნის შემთხვევაშიც უკანასკნელ წამს განხორციელებული იძულებით აღსრულებით შემცირდებოდა ვალაუვალობის მასა, რითაც დაირღვეოდა კრედიტორთა თანაბრად დაკმაყოფილების მიზანი. ამდენად, ვალაუვალობის კანონებთან მიმართებით რეკომენდებულია, კრედიტორთა ინფორმირება მხოლოდ ვალაუვალობის წარმოების გახსნის შემდეგ მოხდეს.

<sup>18</sup> 1996 წლის კანონის მიხედვით, გახსნის წარმოება გრძელდებოდა, სულ მცირე, 45 დღის განმავლობაში, ხოლო 2007 წლის კანონის მიხედვით, ეს განცხადების წარმოებაში მიღების ეტაპი და იგი 5 დღის განმავლობაში გრძელდება.

### 7.1.1 1996 წლის გაკოტრების კანონისა და 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის ნორმათა შედარება

2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის IV თავი შეიცავს ნორმებს „გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში მიღებისა და მისი შედეგების“ შესახებ. 1996 წლის გაკოტრების კანონის ნორმებთან მიმართებით სახეზეა წარმოების სტრუქტურის აშკარა ცვლილება. ამდენად, თვალსაჩინოების მიზნით, ორივე წარმოების სტრუქტურა ერთმანეთთან უნდა იქნეს შედარებული.

1996 წლის გაკოტრების კანონის შესავალ (პირველ) თავში მოწესრიგებული იყო გაკოტრების გახსნის წარმოება, ხოლო ამავე თავის მე-6 მუხლში მითითებული იყო, რომ სასამართლოს თავდაპირველად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე და მომდევნო მუხლების შესაბამისად უნდა მიეღო გადაწყვეტილება გაკოტრების განცხადების წარმოებაში მიღების ან არმიღების შესახებ. სასამართლო ასეთი გადაწყვეტილებით არ წყვეტდა განცხადების დასაბუთებულობის საკითხს, იგი მხოლოდ მის დასაშვებობას განიხილავდა. ქართული საპროცესო სამართლის მიხედვით, სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის განხილვისას არ ხდება წარმოების სხვა მონაწილეთა მოსმენა. შესაბამისად, მოპასუხეს სარჩელი მხოლოდ მისი წარმოებაში მიღების შემდეგ გადაეგზავნება. გაკოტრების კანონში მსგავსად იყო მოწესრიგებული, რომ გაკოტრების განცხადება მოვალეს უნდა ჩაბარებოდა მისი წარმოებაში მიღების შემდეგ, სარჩელის ჩაბარებისათვის დადგენილი წესების მიხედვით (მე-6 მუხლი, მე-4 აბზაცი). ამით პირდაპირი მითითების გარეშე რეგულირდებოდა, რომ მოვალეს ეგზავნებოდა მხოლოდ კრედიტორის მიერ შეტანილი გაკოტრების განცხადება. მოვალის განცხადებისათვის არ არსებობდა შესაბამისი ნორმა მისი კრედიტორისათვის გადაგზავნის შესახებ. სასამართლო ვალდებული იყო, განცხადების მიღების შემდეგ, მე-7 მუხლის თანახმად, მოესმინა მოვალისათვის და საკუთარი ინიციატივით გამოერკვია საქმის ფაქტობრივი გარემოებები. მას შეეძლო, ამისათვის ექსპერტიც მოეწვია, ასევე შეეძლო, მოვალის ქონების დაცვის მიზნით, დროებითი მმართველიც დაენიშნა. ამის შემდეგ გაკოტრების საქმის წარმოება იხსნებოდა განჩინებით, რომლის შინაარსიც განერილი იყო მე-11 მუხლში. ამ განჩინებით, ზუსტად, საათობრივად იყო დადგენილი, თუ როდის გაიხსნა გაკოტრების წარმოება. წარმოების გახსნით წარმოიშობოდა გაკოტრების მასა (მე-5 მუხლი), რომლის განკარგვაც, ძირითადად, მხოლოდ მმართველს შეეძლო. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა გაკოტრების კოლექტიური წარმოება, რომელიც 1996 წლის კანონის მე-2 თავით იყო მოწესრიგებული.

2007 წლის გადახდისუუნარობის კანონში წარმოების ეს ორი მონაკვეთი ერთმანეთთანაა შერწყმული. ეს არა მხოლოდ იმით ვლინდება, რომ ორივე წარმოება ახლა ერთ თავშია თავმოყრილი, არამედ ისინი შინაარსობრივადაც არიან გაერთიანებულნი. განჩინება განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ ახლა უკვე იმას ნიშნავს, რომ გახსნილია ვალაუვალობის (გადახდისუუნარობის) საქმის წარმოება (მე-19 მუხლი, მე-3 აბზაცი). თვითონ განჩინება, თავისი შინაარსის მიხედვით (21-ე მუხლი), 1996 წლის კანონით გათვალისწინებული წარმოების გახსნის შესახებ განჩინების მსგავსია. ამ მომენტში უკვე წარმოიშობა ასევე ვალაუვალობის მასა, რომელიც აქ „სამეურვეო ქონებად“ იწოდება (მე-3 „რ“ მუხლი). წარმოების გახსნის მომენტის გადმონევა და მისი დამთხვევა განცხადების წარმოებაში მიღების მომენტზე, არ არის წმინდა ტერმინოლოგიური საკითხი. 1996 წლის გაკოტრების კანონის მიხედვით, სასამართლოს წარმოების გახსნამდე უნდა შეემონებინა, მართლაც იყო თუ არა სახეზე გაკოტრების საფუძველი. ფაკულტატიურად დანიშნული დროებითი მმართველი სწორედ იმიტომაც იყო დროებითი, რომ ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, იყო თუ არა სახეზე მოვალის ვალაუვალობისა და წარმოების გახსნისათვის აუცილებელი წინაპირობები. 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი წარმოების გახსნის მომენტს, დროის თვალსაზრისით, წინ გადმოსწევს, თუმცა, ამავე დროს, იმასაც თვლის, რომ ამ მომენტისათვის მოვალის გადახდისუუნარობის საკითხი ჯერ კიდევ არ არის ამომწურავად გარკვეული. ახლა უკვე სავალდებულოდ დასანიშნმა მეურვემ, 1996 წლის კანონში გათვალისწინებული ექსპერტის მსგავსად, პირიქით, უნდა შეადგინოს მოხსენება მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ (26-ე მუხლი, მე-2 „გ“ აბზაცი). მომრიგებელი საბჭოს მიერ მისაღები გადაწყვეტილებების ერთ-ერთ ალტერნატივას მიეკუთვნება აგრეთვე წარმოების შეწყვეტა, თუკი სახეზე არ არის გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საფუძველი (33-ე და 34-ე მუხლები). ამ მხრივ, ვალაუვალობის წარმოების გახსნა ემსგავსება სასამართლო გამოკვლევამდე გადაწყვეტილების გამოცხადებას. წარმოების ორივე მონაკვეთის ერთმანეთთან შერწყმა აშკარა ხდება აგრეთვე 34-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობის შემთხვევაშიც, რომლის თანახმადაც, წარმოება მაშინაც შეიძლება შეწყდეს, როცა მოვალეს შეუძლია, „ვალი დაფაროს სხვა კრედიტორებისათვის ზიანის მიუყენებლად“. აქ იგულისხმება იმ კრედიტორის ვალი, რომელმაც წარადგინა ვალაუვალობის წარმოების გახსნის განცხადება. 33-ე მუხლის მე-4 აბზაცი იმეორებს მე-20 მუხლის მე-2 აბზაცის ნებს, რომლის თანახმადაც, წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში იმავე კრედიტორს 3 თვის განმავლობაში აღარ შეუძლია იმავე საფუძველით ვალაუვალობის განცხადების შეტანა. კანონმდებელს ამით, როგორც ჩანს, სურდა, მომრიგებელ საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილება მიეღო ვალაუვალობის განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც სასამართლომ, 21-ე მუხლის მიხედვით, განჩინებით წარმოებაში მიიღო. გახსნილ წარმოებაში არ

არის გამართლებული იმ კრედიტორის განსაკუთრებული როლის წამოწევა, რომელმაც განცხადება შეიტანა. ამიტომაც, როგორც 1996 წლის გაკოტრების კანონი (მე-6 მუხლი, მე-2 აბზაცი), ასევე 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი (მე-14 მუხლი, მე-3 აბზაცი) სწორად ანესრიგებს, რომ კრედიტორს მხოლოდ ვალაუფვალობის წარმოების გახსნამდე შეუძლია კანონზომიერად საკუთარი განცხადების უკან გატანა. მხოლოდ ამ მომენტამდე არსებობს დავა განმცხადებელ კრედიტორსა და მოვალეს შორის. ამის შემდეგ სახეზეა კოლექტიური წარმოება, რომელშიც ყველა კრედიტორი თანაბარი უფლებამოსილებით მონაწილეობს. აქ უკვე მთავრდება განცხადების შემტანი კრედიტორის განსაკუთრებული როლი.

### **7.1.2 წარმოება ვალაუფვალობის განცხადების წარმოებაში მიღებამდე**

2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი მხოლოდ ცოტა ნორმას შეიცავს იმის შესახებ, რაც განცხადების წარმოებაში მიღებამდე უნდა ხდებოდეს. კანონის მე-19 და მე-20 მუხლები შექმნილია სარჩელის მიღების შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით. ისინი შეიცავენ მხოლოდ იმ თავისებურებებს, რომ განცხადების შემტანს არ შეიძლება სასამართლომ მისცეს დამატებითი ვადა განცხადების ხარვეზის აღმოსაფხვრელად, ხარვეზის გამოსასწორებლად მოქმედებს მხოლოდ კანონით განსაზღვრული 5-დღიანი ვადა. განცხადების წარმოებაში არმიღების შემთხვევაში განმცხადებელს ეკრძალება, შემდეგი 3 თვის განმავლობაში იმავე საფუძვლით შეიტანოს ვალაუფვალობის ახალი განცხადება. მე-19 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, „აკმაყოფილებს თუ არა განცხადება ამ კანონის მოთხოვნებს“. ეს ნორმა მიმსგავსებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლთან. იქ მოსამართლე წყვეტს, აკმაყოფილებს თუ არა სარჩელი 178-ე მუხლის წინაპირობებს (სარჩელის შინაარსი და სტრუქტურა). შესაბამისად, გადახდისუუნარობის განცხადების შემთხვევაში მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, არის თუ არა შესრულებული გადახდისუუნარობის კანონის მე-14 და მომდევნო მუხლებით განსაზღვრული განცხადების შეტანის წინაპირობები.

სამოქალაქო პროცესის მსვლელობის მსგავსად, გასაგები იქნებოდა, გადახდისუუნარობის განცხადების განხილვის წარმოებაშიც მიგვეჩინა, რომ გადაწყვეტილება ზეპირი განხილვის გარეშე მიიღება. თუკი მოვალეს თავად შეაქვს განცხადება, ეს, ალბათ, კანონის მცირე ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა კრედიტორის

განცხადების ირგვლივ გადაწყვეტილების მიღებისას ეს უკვე ფატალური იქნებოდა, ვინაიდან განცხადების წარმოებაში მიღების შემთხვევაში მაშინვე იხსნება ვალაუვალობის წარმოება და ხდება მოვალის უფლებებში შეჭრა, რაც ამ შემთხვევაში განხორციელდებოდა სასამართლოს მიერ მოვალის მოსმენის გარეშე. თუმცა უფრო შეფარულ ადგილას კანონი განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინების ნორმის (21-ე მუხლი) შემდეგ 22-ე მუხლში (სათაურით „მოვალის ინფორმირება“) შეიცავს ორ წესს, რომლებიც სხვა წარმოებაზე მიუთითებენ. ამ წესის მიხედვით, მოვალეს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განცხადების შეტანის თაობაზე და იგი ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს ვალაუვალობის განცხადების „განხილვაში“. 23-ე მუხლში სანქციის სახით არის დადგენილი, რომ კრედიტორთა კრებაზე აუცილებლად უნდა გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება, თუკი მოვალე არასაპატიო მიზეზით ორჯერ ზედიზედ არ გამოცხადდა სასამართლოში. თუმცა გაურკვეველია, იყო თუ არა ნავარაუდევი, რომ ეს ნორმები იმოქმედებდნენ მხოლოდ ვალაუვალობის განცხადების მიღების შემდეგ წარმოებისათვის. მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს ნორმები ისე უნდა განიმარტოს, რომ ისინი უკვე განცხადების განხილვის წარმოებისათვის მოქმედებენ. ამიტომაც გადაწყვეტილება განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ მხოლოდ მას შემდეგ უნდა იქნეს მიღებული, როცა მოვალეს მიეცემა შესაძლებლობა, ზეპირი განხილვისას გამოხატოს თავისი პოზიცია. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ წარმოების ამ ეტაპზე სხვა კრედიტორები ჯერ არ იყვნენ ჩართულნი და ინფორმირებულნი.

ვალაუვალობის განცხადების წარმოებაში მიღების ყოვლისმომცველ შედეგებს ასევე უნდა ჰქონდეს შედეგები მე-15—მე-18 მუხლების შემონმების თვალსაზრისით. შესადარებელი შემონმებისას, ანუ შესრულებულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობები, სასამართლო ჯერ არ ამოწმებს იმას, არის თუ არა სარჩელი ასევე დასაბუთებული. თუმცა ვალაუვალობის წარმოებაში სასამართლო იღებს ძალზე მნიშვნელოვან წინასწარ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, მართლაც სახეზეა თუ არა გაკოტრების საფუძველი. ამიტომაც შემონმების მთავარი სიძიმე იმას ეფუძნება, არის თუ არა გაკოტრების ასეთი საფუძველი დამაჯერებლად წარმოდგენილი. კრედიტორის განცხადების შემთხვევაში კანონის მე-18 მუხლი მოითხოვს, კრედიტორმა წარმოადგინოს ინფორმაცია დასაფარი ვალის ვადამოსულობისა და მოვალის წერილობით თავისდროულად გაფრთხილების შესახებ, ასევე მტკიცებულებები მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ. კანონი მეტს არაფერს ამბობს, თუ რა მტკიცებულებებია ეს და როგორ შეძლებს კრედიტორი მათ წარმოდგენას. ინფორმაცია ვადამოსული ვალის შესახებ შეიძლება მხოლოდ იმას ნიშნავდეს, რომ კრედიტორებმა თანმიმდევრულად წარმოაჩინონ



მოთხოვნის არსებობა. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა მოთხოვნილ იქნეს, რომ კრედიტორებმა წარმოადგინონ სათანადო ხელშეკრულებები, ანგარიშები და სხვ., მაგრამ ასევე საჭიროა მოთხოვნილი იქნეს, რომ კრედიტორებმა განმარტონ, თუ როგორი რეაქცია ჰქონდა მოვალეს ვალის გადახდის მოთხოვნაზე, კერძოდ, ხომ არ აქცია მან სადავოდ მოთხოვნის საფუძვლიანობა. წესები, რომლებიც შეეხება მოვალის წინასწარ ინფორმირებას ვალაუფალოში მოსალოდნელი განცხადების შესახებ, მოვალისათვის გარკვეული კომპენსაცია იმისათვის, რომ განცხადების შეტანის შემდეგ მოკლე დროშივე იქნება მიღებული გადაწყვეტილება ვალაუფალობის წარმოების გახსნის შესახებ. ამიტომაც სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მტკიცებულებას მოვალის ინფორმირებულობის შესახებ და ვადის დაცვას. მოვალის გადახდისუუნარობის მტკიცებულებები შესაძლებელია ორგვარად იქნეს წარმოდგენილი: ერთი მხრივ, საბუთად შეიძლება გამოდგეს მოვალის აღიარებები — როდესაც მოვალე კრედიტორს თვითონ აცნობებს, რომ არ შეუძლია ვალის გადახდა, ეს, ცხადია, გადახდისუუნარობის შესახებ მტკიცებულებაა; მეორე მხრივ, წარუმატებელი იძულებითი აღსრულება შეიძლება გადახდისუუნარობის საკმარის მტკიცებულებად იქნეს მიჩნეული. საქმე უფრო რთულდება სხვა სიტუაციებში, როცა საკითხი დგება — საკმარისია თუ არა სამხილები, რომელთა მიხედვით შეიძლება დავასკვნათ მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ. თუ, მაგალითად, მოვალე ვერ იხდის თავისი სანარმოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელ მომსახურებათა საფასურს (სინათლის, გაზის გადასახადებს, ხელფასებს და სხვ.) და არსებობს რისკი იმისა, რომ მათ მომავალშიც ვერ გადაიხდის, მაშინ ზოგიერთი რამ იმაზე მეტყველებს, რომ მას არ შეუძლია გადახდა. სხვა მხრივ, ასევე ის მაღალი მოთხოვნები, რომლებიც წაყენებული აქვს კრედიტორს განცხადების შეტანის უფლებამოსილების მინიჭებისას, შეიძლება გარკვეულწილად იმაზე მიუთითებდეს, რომ ასეთ შემთხვევებში მოვალის გადახდისუუნარობა ისედაც სავარაუდოა. 2009 წლის ცვლილებების კანონით სიახლეა სასამართლოს ვალდებულება, კრედიტორის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე თავისი ინიციატივით გამოითხოვოს აუცილებელი მტკიცებულებები (მე-15 მუხლი, მე-2 აბზაცი).

## 7.2 გადაწყვეტილება წარმოების გახსნის შესახებ

სასამართლოს გადაწყვეტილების ალტერნატიულ შესაძლებლობებად კანონი განიხილავს მხოლოდ ვალაუვალობის განცხადების წარმოებაში არმიღებას ან მის წარმოებაში მიღებას და შემდგომ ვალაუვალობის საქმის წარმოების გახსნას. იგი არ იღებს არანაირ პრევენციულ ზომას იმ შემთხვევისათვის, როცა არ არსებობს (საკმარისი ოდენობის) ვალაუვალობის მასა.

### 7.2.1 გადაწყვეტილება ვალაუვალობის არასაკმარისი მასის არსებობისას

ვალაუვალობის საქმის წარმოებისას არცთუ ისე უმნიშვნელო ხარჯები წარმოიშობა. სულ მცირე, ეს არის სასამართლო ხარჯები, მმართველის ხარჯები და ხარჯები მოვალის ქონების მართვისა და ლიკვიდაციისთვის. ვალაუვალობის კანონებში ზოგადაა აღიარებული, რომ ეს ხარჯები მოვალის ქონებიდან პირველ რიგში უნდა დაიფაროს, ვიდრე გაკოტრების კრედიტორებს გადაუხდიან. ზოგადად არ არის აღიარებული, თუ როგორ უნდა აუაროს ვალაუვალობის კანონმა გვერდი იმ სიტუაციას, როცა წარმოების გახსნამდე ვლინდება, რომ აღნიშნული ხარჯების დასაფარავად მოვალის ქონება საკმარისი არ არის.<sup>19</sup> ვალაუვალობის ზოგიერთი კანონი ასეთ შემთხვევებში უარს აცხადებს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნაზე ვალაუვალობის მასის უკმარისობის გამო. რამდენადაც წარმოების მიზნად ვალაუვალობის კრედიტორთა (თანაბარზომიერი) დაკმაყოფილებაა მიჩნეული, გახსნაზე უარი თანმიმდევრულიცაა, ვინაიდან ეს მიზანი მიუღწევადი ხდება. თუმცა სასამართლოს ამგვარი ძირითადი გადაწყვეტილებით პრობლემა სრულად მაინც ვერ დაიძლეოდა, ვინაიდან ამგვარი გადაწყვეტილების მიღებამდე გარკვეული თანხები ხშირად უნდა იქნეს გახარჯული. კერძოდ, თავდაპირველად, ჯერ უნდა დადგინდეს, თუ რა მოცულობისაა მოვალის ქონება. საწარმოს შემთხვევაში კი, როგორც წესი, ამ საკითხის შესწავლა ექსპერტს დაევალება ხოლმე. ბუნებრივია, რომ ამ ექსპერტს გასამრჯელო უნდა გადაუხადონ. ამიტომაც სასამართლოს სალარომ ყველა შემთხვევაში უნდა გამოყოს ფინანსური საშუალებები, რათა იგი, სულ მცირე, წარმოების გახსნის გადაწყვეტილების მიღებამდე მაინც იქნეს გამოყენებული, მიუხედავად იმისა, საკმარისია თუ არა ვალაუვალობის მასა წარმოების გახსნისათვის.

<sup>19</sup> UNCITRAL Legislative Guide, me-2 ნაწილი, თავი 1B 6.

ამას გარდა, ვალაუფალობის სხვა კანონები, პოზიტიური გაგებით, იმასაც ითვალისწინებს, რომ ვალაუფალობის არასაკმარისი მასის შემთხვევაშიც ვალაუფალობის წარმოების ფარგლებში განხორციელდეს საწარმოს საბოლოო ლიკვიდაცია. ამ გზით, სულ ცოტა, ის მაინც იქნება გამოკვლეული, თუ როგორ მივიდა საქმე მოვალის ვალაუფალობამდე. ასეთი გამოკვლევის გარეშე კი არსებობს საფრთხე იმისა, რომ ვალაუფალობის წარმოების წინ მოვალე თავის ქონებას გადამალავს, ამასთან, არ არსებობს რაიმე ინსტანცია, რომელიც აქ ჯეროვან გამოკვლევებს ჩაატარებდა. გარდა ამისა, ვალაუფალობის წარმოების ჩატარების გარეშე არ არსებობს მონესრიგებული წარმოება ჯერ კიდევ არსებული ქონებრივი ღირებულებების გასანაწილებლად. სამენარმეო საზოგადოების დირექტორი ან დირექტორის (პარტნიორების) მიერ განსაზღვრული სხვა პირი<sup>20</sup>, მენარმეთა შესახებ კანონის მიხედვით, მართალია, არის ლიკვიდაციაზე ვალდებული, მაგრამ არ არსებობს საკონტროლო ინსტანცია, რომელიც ამას შეამონწმებდა და არ არსებობს პრიორიტეტების ნუსხა, რომელიც აღკვეთდა იმას, რომ ლიკვიდატორი თავისი სურვილისამებრ ზოგიერთ კრედიტორს დააკმაყოფილებდა, ზოგიერთს კი არა. თუკი ვალაუფალობის კანონი ვალაუფალობის მასის არასაკმარისობის შემთხვევაშიც ითვალისწინებს ვალაუფალობის წარმოების განხორციელებას, ამისათვის იგი გარკვეულ ფინანსურ შესაძლებლობებსაც უნდა ითვალისწინებდეს. ზოგიერთი კანონი ამისათვის ითვალისწინებს საჯარო ფონდს ან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მმართველის დანიშვნას.

1996 წლის გაკოტრების კანონი მე-9 მუხლში ითვალისწინებდა სასამართლოს მიერ ვალაუფალობის განცხადების უარყოფას, როცა გაკოტრების მასა, სავარაუდოდ, არ იყო საკმარისი, დაეფარა წარმოების ხარჯები (მე-9 მუხლი 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი). 2007 წლის გადახდისუნარობის კანონი კი ასეთ შესაძლებლობას არ იცნობს. ამდენად, კანონის ტექსტის მიხედვით, ვალაუფალობის წარმოება ყოველთვის უნდა გაიხსნას, როცა სახეზეა გაკოტრების საფუძველი. წარმოების დაფინანსების საკითხი არასაკმარისადაა მონესრიგებული მე-6 მუხლით. წარმოების არავითარი დაფინანსება არ არსებობს მაშინაც, როცა მოვალე ითხოვს გაკოტრების წარმოებას მე-17 მუხლის შესაბამისად. როცა ვალაუფალობის განცხადება შეაქვს კრედიტორს, მან სასამართლო ბაჟის გარდა, რომელიც 5.000 ლარს შეადგენს, სასამართლოს სადებოზიტო ანგარიშზეც კიდევ 5.000 ლარი უნდა შეიტანოს. ამ თანხით უნდა დაიფაროს სასამართლო ხარჯები და მმართველის (მეურვის) გასამრჯელო. თუმცა ეს წესი, კანონის ტექსტის შესაბამისად, მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როცა წარმოება შეწყდება. წარმოების შეწყვეტა კი, 34-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ მაშინ

<sup>20</sup> მენარმეთა კანონში 2010 წლის 27 აპრილს განხორციელებული ცვლილებით სამენარმეო საზოგადოების დირექტორი აღარ ხდება სავალდებულო წესით ლიკვიდატორი. პარტნიორებისა ან დირექტორის გადაწყვეტილებით ასეთად შეიძლება განისაზღვრის სხვა პირიც (მე-14.1 მუხლი).

ხდება, როცა არ არსებობს გაკოტრების საფუძველი ან იგი მოგვიანებით ისპობა. ამდენად, სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანილი თანხა არის მოსალოდნელი ხარჯების უზრუნველყოფა, იმ შემთხვევისათვის, როცა კრედიტორის განცხადება უსაფუძვლო აღმოჩნდება. ყველა სხვა შემთხვევაში, მათ შორის, ვალაუვალობის წარმოების გახსნისას, მას ეს თანხა უკან უბრუნდება.<sup>21</sup> ვინაიდან არ არსებობს დაფინანსების სხვა საშუალებები, პრაქტიკულად წარმოება შეიძლება ვერც განხორციელდეს. სასამართლოები იქითკენ იხრებიან, რომ მასის არმქონე წარმოებაში წარმოების გახსნას უარყოფენ სამართლებრივი დაცვის საჭიროების არარსებობის საფუძველით. დანართში ნახავთ არგუმენტაციას ფიქტიური კაზუსის საფუძველზე; ისე კი, წარმოების მსვლელობისას, მოგვიანებითაც, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სასამართლო წარმოების პრიორიტეტული ხარჯებიც კი შეიძლება ვერ დაიფაროს. შეიძლება წარმოიშვას, ასე ვთქვათ, ვალაუვალობა ვალაუვალობის წარმოებაში. ვალაუვალობის კანონი უნდა ანესრიგებდეს, თუ ასეთ შემთხვევაში რა შედეგებმა შეიძლება იჩინოს თავი. ამ შემთხვევაში 1996 წლის გაკოტრების კანონი 29-ე მუხლის 1-ლ პუნქტში ითვალისწინებდა, რომ წარმოება უნდა შეწყვეტილიყო. 2007 წლის გადახდისუნარიობის კანონი კი ამასთან დაკავშირებით არაფერს ადგენს. ასე რომ, ისევ ისმის იგივე კითხვა — ხომ არ არის ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებული, მსგავსი არგუმენტაციის მოშველიებით წარმოება შეწყვიტოს.

## 7.2.2 განჩინება წარმოების გახსნის შესახებ

ვალაუვალობის განცხადების წარმოებაში მიღება იწვევს იმ კლასიკურ შედეგებს, რაც ასევე მოწესრიგებულია 1996 წლის გაკოტრების კანონით. კერძოდ, ჩერდება ცალკეული კრედიტორების მიერ დაწყებული იძულებითი აღსრულება. კრედიტორები ვალდებული არიან, თავიანთი მოთხოვნები ვალაუვალობის წარმოებაში განაცხადონ. მოვალის ქონება ახლა უკვე ვალაუვალობის მასას წარმოადგენს. წარმოების გახსნით ახლა იწყება ვალაუვალობის კოლექტიური წარმოება, 7.1.1 ქვეთავში დასახელებული გაურკვევლობებით. კანონში ჩადებული წარმოების გახსნის დროებითობა იმით ვლინდება, რომ ისევ და ისევ რჩება 34-ე მუხლით გათვალისწინებული წარმოების შეწყვეტის შესაძლებლობა; იგი იმითაც ვლინდება, რომ ვალაუვალობის განცხადების წარმოებაში მიღებით ჯერ მხოლოდ მეურვე ინიშნება, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, 1996 წლის გაკოტრების კანონით გათვალისწინებულ გაკოტრების დროებით მმართველს ემსგავსება. მოვალე ჯერ სრულად არ კარგავს

<sup>21</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით დანართ №1-ში მოცემული მაგალითები.

საკუთარი ქონების განკარგვის უფლებამოსილებას, იგი ახორციელებს მას სასამართლოსა და მეურვის ზედამხედველობით (ამასთან დაკავშირებით იხ. ქვეთავი 9.1).

## 8. ვალაუვალობის მასა

ვალაუვალობის მასად შეიძლება განხილული იქნეს მოვალის ქონება, რომლის განკარგვაც შესაძლებელია ვალაუვალობის საქმის წარმოების გახსნის შედეგად, ისიც მხოლოდ ვალაუვალობის კანონის ნორმათა შესაბამისად. სამართლებრივ სისტემებში არსებობს განსხვავებული თვალსაზრისები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს ეს ცნება სწორად გაგებული.<sup>22</sup> მაგრამ უდავოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ვალაუვალობის მასა სპეციალური (განსაკუთრებული) ქონების სახეობაა, რომელიც ვალაუვალობის საქმის წარმოების გახსნით წარმოიშობა. მართალია, მოვალესთან რჩება საკუთრების ფორმალური უფლებები და მმართველზე მხოლოდ განკარგვის უფლებამოსილება გადადის,<sup>23</sup> მაგრამ მმართველი თავისი ფუნქციების შესრულებისას მაინც არ განიხილება მოვალის წარმომადგენლად, კერძოდ, იგი მოვალის მითითებებს არ ექვემდებარება. მოვალის ქონება, ძირითადად, კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება, თუმცა ვალაუვალობის მმართველი არც კრედიტორთა წარმომადგენელია, იგი უფრო მეტად იმ ფუნქციას ახორციელებს, რაც მას კანონით აქვს დაკისრებული და რომელიც მან კრედიტორთა მითითებისაგან დამოუკიდებლად უნდა განახორციელოს.<sup>24</sup> მთელი ქონება ძირითადად ვალაუვალობის მასად გადაიქცევა. ამასთან, ფიზიკური პირების გაკოტრებისას, წესისამებრ, ის ქონება გამოირიცხება, რომელიც ვალაუვალობის წარმოების ფარგლებს გარეთაც კრედიტორთა ხელყოფისაგან არის დაცული, როგორც აღსრულებას მიუქცევადი ქონება.

2007 წლის გადახდისუნარობის კანონი „სამეურვეო ქონების“ ცნებით მე-3 მუხლის „რ“ პუნქტში მისდევს საყოველთაოდ აღიარებულ ტრადიციას. ეს ცნება გარკვეულწილად საკუთრების მინდობიდან გამომდინარე ვალდებულებაზე უნდა მიუთითებდეს. აქ არ განვიხილავთ, თუ როგორ უნდა იქნეს ეს ცნება გაგებული,

<sup>22</sup> UNCITRAL Legislative Guide, Part 2, Chapter II A.

<sup>23</sup> აქ არ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც სამეურვეო რეჟიმის დროს მოვალე განკარგვის შეზღუდულ უფლებამოსილებასაც ინარჩუნებს.

<sup>24</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით აგრეთვე როინ მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, მეორე გადამ. გამოცემა, თბ., 2006წ., გვ. 37-41.

სამართლებრივი თეორიის თვალსაზრისით, და, ამის შესაბამისად, როგორ უნდა იყოს მისადაგებული მმართველის სტატუსი, სამართლებრივი თეორიის თვალსაზრისით, მისადაგებული. მოვალე-ფიზიკური პირის შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ ვალაუვალობის წარმოების გახსნის შემდეგ შექმნილი ქონებაც ვალაუვალობის მასას მიეკუთვნება. ამან შეიძლება სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს, როდესაც, მაგალითად, მოვალე ვალაუვალობის წარმოებისას ახალ საქმეს წამოიწყებს. კანონის მთელი კონცეფცია ხომ ისედაც ვალაუვალობის ხანმოკლე წარმოებას ეფუძნება. არ არსებობს ასევე გააზრებული გადაწყვეტა არც საწარმოს ფუნქციონირების შენარჩუნებისათვის და არც ვალაუვალობის მასის შესაძლო გაზრდისათვის ვალაუვალობის წარმოების მიმდინარეობისას. მითითებული ნორმები აქ იმ პოზიციაზე დაყრდნობითაა წარმოდგენილი, რომ მმართველმა ოპტიმალურად მართოს ქონება. თავდაპირველად წარმოდგენილი იქნება მმართველის მიერ ვალაუვალობის მასის მართვის საყოველთაოდ გავრცელებული წესები, ხოლო ის, თუ კონკრეტულად როგორ აწესრიგებს 2007 წლის კანონი ვალაუვალობის მასის მართვის საკითხებს, ცალკე იქნება წარმოდგენილი.

ვალაუვალობის მასის შინაარსის გაგებას აადვილებს იმის ცოდნა, რომ *Istmasse* (არსებული მასა) განვასხვავოთ *Sollmasse*-საგან (სავალდებულო მასისაგან). *Istmasse* ის ქონებაა, რომელიც სახეზეა (ანუ არსებობს) წარმოების დაწყებამდე. რამდენადაც ამ დროს საქმე მატერიალურ ქონებას (მოძრავ და უძრავ ნივთებს) ეხება, მმართველი დაეუფლება და მართავს მას. ხოლო თუ საქმე მოთხოვნებს ან არამატერიალურ უფლებებს ეხება, მმართველს მხოლოდ მათი განკარგვის უფლებამოსილება აქვს. ამასთან, მმართველს მოვალის ქონების მიმართ, წესით, ისეთივე უფლებები აქვს, როგორც ჰქონდა მოვალეს. ამ დროს იტყვიან ხოლმე, რომ მმართველი მოვალის ქურქშია გახვეული. თუკი მოვალე გაანათხოვრებდა თავის კუთვნილ ნივთს, მაშინ მმართველი ამ საკუთრებას ისევე განკარგავდა, როგორც მანამდე ამას მოვალე მოიმოქმედებდა; ხოლო თუკი მოვალეს მხოლოდ მფლობელობა აქვს ნივთის მიმართ, რომელიც მან სხვისგან ინათხოვრა, მაშინ მმართველსაც მხოლოდ ფლობის უფლება აქვს. თუ მესაკუთრეს ნივთის გამოთხოვის უფლება აქვს, მაშინ მმართველსაც ზუსტად იგივე ვალდებულება აკისრია, როგორც თავად მოვალეს ვალაუვალობის საქმის წარმოების გახსნამდე. ამდენად, ვალაუვალობის წარმოების მიმდინარეობისას *Istmasse* (არსებული მასა) იმის მიხედვით შემცირდება, თუკი მმართველი მესაკუთრეებს თავიანთ კუთვნილ საგნებს დაუბრუნებს.

ჩვეულებისამებრ, ვალაუვალობის კანონები მმართველს ისეთ განსაკუთრებულ უფლებებსაც ანიჭებენ, რომლებიც მოვალეს მანამდე არ გააჩნდა. ისინი ვალაუვალობის მასის გაზრდას ემსახურებიან. განსაკუთრებული უფლებები, უპირველეს

ყოველსა, სამ სფეროზე ვრცელდება: პირველ რიგში, მმართველს ხშირად ეძლევა შესაძლებლობა, მაშინაც ფლობდეს სანარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო წარმოების საშუალებებს, როცა ისინი მესამე პირს ეკუთვნის, ანდა როცა მესამე პირს მათზე უზრუნველყოფილი უფლება აქვს. ასეთი უფლება კი მესამე პირს ვალაუვალობის წარმოების გარეშე ურთიერთობებში მიანიჭებდა უფლებას, რათა თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუქციონზე გაეყიდა უზრუნველყოფის საგანი. ამ სფეროში იმ საკითხს შეეხებთ, თუ როგორ დამოკიდებულებაშია ვალაუვალობის კანონი უზრუნველყოფილი კრედიტორის მიმართ; მეორე განსაკუთრებული უფლება მმართველს, ჩვეულებისამებრ, იმ საკითხთან დაკავშირებით ეძლევა, თუ როგორია მისი არჩევანის უფლება იმ ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომლებიც ორივე მხარის მიერ ჯერ კიდევ არ არის სრულად შესრულებული: მოითხოვს თუ არა იგი ხელშეკრულების შესრულებას, თუ განიხილავს მას როგორც დამთავრებულს. ასეთი განსაკუთრებული უფლება მნიშვნელოვანია, ვინაიდან თვით სანარმოსათვის შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ის, რომ მოვალის სახელშეკრულებო პარტნიორები ვალაუვალობის საქმის წარმოების შემდეგაც შეასრულებენ თავიანთ არსებულ სახელშეკრულებო ვალდებულებებს. სხვა მხრივ, მართალია, ვალაუვალობის მასა შემცირდება, თუკი მმართველი საპირისპირო შესრულებას განახორციელებს, მაგრამ ასეთ დროს აუცილებელია ორმხრივი უფლებების ზუსტად მონესრიგება; განსაკუთრებულ უფლებათა მესამე სფეროა იმ იურიდიულ მოქმედებათა შეცილება, რომელთა შედეგადაც მოხდა ვალაუვალობის მასის შემცირება. ამ უფლების გამოყენებით არ უნდა იქნეს დაშვებული, რომ ვალაუვალობის მასის შემადგენელი ნაწილები არამართლზომიერი გზით ხელმისაწვდომი გახდეს კრედიტორებისათვის, ანდა ცალკეული კრედიტორი იმგვარად იქნეს დაკმაყოფილებული, რომ ეს წინააღმდეგობაში მოვიდეს ყველა კრედიტორის თანაბარზომიერად დაკმაყოფილების მიზანთან.

აქედან გამომდინარე, *Sollmasse* (სავალდებულო მასა) შეიძლება დავახასიათოთ როგორც ვალაუვალობის მასა, რომელიც დადგენილი წესების დაცვით ჩატარებული ვალაუვალობის წარმოების დამთავრებისას განკუთვნილია ვალაუვალობის კრედიტორების დასაკმაყოფილებლად. ამდენად, პირველ რიგში, მმართველის ამოცანაა, წარმოების დაწყებისას სრულად მოუყაროს თავი *Istmasse*-ს და დაეუფლოს მას, და შემდეგ გარდაქმნას არსებული მასა შეძლებისდაგვარად უფრო დიდ სავალდებულო მასად. ქონების მართვის გარდა, რომელშიც მოიაზრება აგრეთვე სანარმოს ფუნქციონირების გაგრძელება, მმართველის განკარგულებაშია კიდევ სხვა განსაკუთრებული უფლებებიც.

ვალაუვალობის მასის მოცულობის საკითხი 2007 წლის გადახდისუნარობის კანონში იმ სახითაა მონესრიგებული, როგორც ეს იყო 1996 წლის გაკოტრების

კანონში. ვალაუვალობის მასაში შედის მოვალის მთელი ქონება, გარდა მოვალე-ფიზიკური პირის იძულებით აღსრულებას დაუქვემდებარებელი ქონებისა. ვალაუვა-ლობის მასაში შედის აგრეთვე ვალაუვალობის საქმის წარმოების დროს წარმოშობი-ლი მოვალის ქონება. მაგრამ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები მმართველის განსაკუთრებული უფლებების სფეროში.

### 8.1. ამოსარიცხი და უფლებრივად დატვირთული ნივთები

ამოსარიცხ ნივთებად ითვლებიან ისეთი ნივთები, რომლებიც, მართალია, არსე-ბულ მასას განეკუთვნებიან, მაგრამ მმართველმა ისინი იმ პირს უნდა გადასცეს, რომელსაც მათ მიმართ სანივთო უფლებები აქვთ. თუკი მესამე პირებს ქონებაზე საკუთრების უფლება აქვთ, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ მათ ამ ქონების ვა-ლაუვალობის მასიდან გამოცალკევების მოთხოვნის უფლება აქვთ (გამოცალკევების უფლება). თუკი ნივთებზე უზრუნველყოფის უფლება არსებობს, მაშინ შეიძლება იმაზე საუბარი, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს უფლება აქვს, ვალაუვალო-ბის წარმოებისაგან განცალკევებით ამ ნივთით დაკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა (განცალკევებით დაკმაყოფილების უფლება). ზოგადად, სწორადაა მიჩნეული, რომ ასეთი პირების სანივთო უფლებებს, ძირითადად, ასევე ვალაუვალობის წარმოე-ბაშიც უნდა სცენ პატივი. თუმცა, სხვა მხრივ, როგორც საყოველთაოდ აღიარე-ბულია, ვალაუვალობის წარმოების ეკონომიკური წარმატებისათვის გადამწყვეტი შეიძლება იყოს ის, რომ ცალკეულ კრედიტორებს არ მიეცეთ მთლიანი საწარმოს ღირებულების გაუფასურების უფლება, რათა არ გამოიყენონ მასიდან იმ ნივთების გამოცალკევების ან მათგან განცალკევებით დაკმაყოფილების უფლება, რომლებსაც საწარმოს ფუნქციონირებისათვის ცენტრალური მნიშვნელობა აქვთ. ვალაუვალო-ბის კანონმა ამ შემთხვევაში ეს ინტერესები ყურადღებით უნდა დააბალანსოს. ამ შემთხვევაში უფლებების შეზღუდვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, მაშინ, როდესაც უნდა განხორციელდეს საწარმოს რეორგანიზაცია, ანდა როდესაც უნდა გაიყიდოს ეკონომიკურად ფუნქციონირებადი საწარმო (going concern).

უზრუნველყოფილი უფლებებით დატვირთული ნივთების მიმართ ვალაუვალობის კანონებს სხვადასხვა ძირითადი პოზიცია აქვთ. ვალაუვალობის კანონები, რომლე-ბიც საწარმოს გადარჩენას ისახავენ მიზნად, სულ მცირე, იმის შესაძლებლობას უშვებენ, რომ დატვირთული ნივთებიც ვალაუვალობის მასაში დარჩეს. ეს შეიძლება ნესად იქნეს შემოღებული იმ კრედიტორისათვის, რომელიც განცალკევებით დასაკ-



მაყოფილებლად მასიდან მისთვის ნივთის გადაცემას მოითხოვს, თუკი იგი დაასაბუთებს, რომ ეს ნივთი საწარმოს ფუნქციონირებისათვის არ არის საჭირო. თუმცა შესაძლებელია, პირიქით, გამონაკლისის სახით შემოღებულ იქნეს, რომ მმართველს შეეძლოს, უარი განაცხადოს მასიდან ნივთის გადაცემაზე, თუკი საწარმოს შემდგომი არსებობისათვის ამ ნივთის ქონა აუცილებელია. ამასთან, შეუზღუდავად ან გარკვეული შეზღუდვით შეიძლება გაგრძელდეს უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა — დაკმაყოფილდეს უზრუნველყოფილი ნივთის სალიკვიდაციო ამონაგებიდან.

მესამე პირის საკუთრების უფლებასა და უზრუნველყოფილ უფლებას შორის განსხვავების პოვნა არცთუ ისე ადვილია, თუკი ტრანზაქციებს ეკონომიკური თვალსაზრისით შევხედავთ. ნასყიდობისას გამყიდველზე საკუთრების უფლების შენარჩუნება (ე.წ. პირობადებული საკუთრება) შეიძლება ასევე უზრუნველყოფის საშუალებად მივიჩნიოთ. თავდაპირველად ეს ეხება უზრუნველყოფილ საკუთრებას, ასევე ლიზინგის გარკვეულ ხელშეკრულებებს. ხელშეკრულების ფორმის მიხედვით მოთხოვნების გადაცემას ასევე ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება დაედოს საფუძვლად, ანდა მოთხოვნების გადაცემა, უბრალოდ, მხოლოდ უზრუნველყოფის მიზნით ხდებოდეს.

### 8.1.1 საკითხის განხილვა გაკოტრების 1996 წლის კანონში

გაკოტრების შესახებ 1996 წლის კანონის მე-20 მუხლის 1-ლი აბზაცი აწესრიგებდა მესამე პირების (ანუ საკუთრების კრედიტორების) გამოცალკევების მოთხოვნას. თუმცა ამ ნორმაში მოწესრიგებული იყო, რომ მმართველს უნდა დაებრუნებინა მესამე პირებისათვის მათი კუთვნილი ნივთები, ტუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნა აბსოლუტურად და ამომწურავად არსებობდა. ეს უფრო მეტად იმას ნიშნავდა, რომ ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნა, რომელიც საკუთრებას ეფუძნება, ვალაუვალობის წარმოებაშიც შესასრულებელია მმართველის მიერ. ვალაუვალობის საქმის წარმოების გარეთაც მესაკუთრეს არ შეუძლია, ყველა გარემოების საფუძველზე მოითხოვოს ქონების უკან დაბრუნება, ვინაიდან, წესისამებრ, მფლობელთან სახელშეკრულებო ურთიერთობები არსებობს და ამ სახელშეკრულებო მოწესრიგებას უპირატესობა ენიჭება. ფაქტობრივად, არასოდეს იქმნება ისეთი სახის სიტუაცია, როდესაც მოვალე, უბრალოდ, ფლობს მესამე პირის ნივთებს. როგორც წესი, მას ნივთებზე მფლობელობა

წარმოეშობა სახელმწიფოებრივი ურთიერთობების საფუძველზე. მაგალითად, მოვალემ იქირავა ეს ნივთები ან იყიდა პირობადებული საკუთრებით (გამყიდველზე საკუთრების უფლების შენარჩუნებით). ქირავნობის ხელშეკრულების შემთხვევაში, არსებობს ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება და, შესაბამისად, გამქირავებლის უკან დაბრუნების მოთხოვნა ხელშეკრულების დასრულების მომენტიდან. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, თუ რა მოუვა ქირავნობის ხელშეკრულებას ვალაუფალობის საქმის წარმოების დაწყების შემთხვევაში. სახელმწიფოებრივი მოწყობის უპირატესობა გვხვდება აგრეთვე პირობადებული საკუთრებით ნასყიდობისას, ვინაიდან გამყიდველს არ შეუძლია, ზოგადი სამოქალაქო სამართლის ნორმების მიხედვით მოითხოვოს გაყიდული ნივთის (რომელიც მისი საკუთრებაა) უკან დაბრუნება მანამდე, ვიდრე მყიდველი ჯერ კიდევ ასრულებს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავის ვალდებულებებს.

1996 წლის გაკოტრების კანონის მე-20 მუხლის მე-2 აბზაცი აწესრიგებდა უზრუნველყოფილი კრედიტორების საკითხს. უზრუნველყოფილად მიიჩნეოდა არა მხოლოდ ისეთი კრედიტორი, რომელსაც ჰქონდა გირავნობის უფლება მოვალის ქონებაზე, არამედ ისეთი კრედიტორიც, რომელსაც მოვალის საგნები ეკუთვნოდა „უზრუნველყოფის მიზნით“. როგორც ეტყობა, ამ აბზაცის განმარტებამ გარკვეული პრობლემები გამოიწვია:<sup>25</sup> ერთი მხრივ, ეს აბზაცი პირველ აბზაცთან მიმართებით აწესრიგებდა, რომ პირობადებული საკუთრება არ განიხილებოდა მხოლოდ როგორც უზრუნველყოფის საშუალება. პირობადებული საკუთრებით გამყიდველის უფლებები ხვდებოდა 1-ლი აბზაცის მოწესრიგების ქვეშ. გარდა ამისა, ისიც განისაზღვრა, რომ მოვალის ქონებაზე არსებული კრედიტორთა ყველა უფლება, სხვა მხრივ, იმდენად ექცევა 1-ლი აბზაცის მოწესრიგების ქვეშ, რამდენადაც ეს უფლებები უზრუნველყოფას ემსახურება. ამდენად, თუკი მოვალე არ მიანიჭებს კრედიტორს არც გირავნობის და არც იპოთეკის უფლებას, არამედ გადასცემს მას საკუთრებას და იმავდროულად შეათანხმებს მასთან, რომ ეს საკუთრება უკან დაუბრუნდება მოვალეს ვალის გასტუმრების შემთხვევაში (უზრუნველყოფილი საკუთრება), მაშინ აღნიშნული საკუთრება განიხილება როგორც იპოთეკა; ეს ნორმა აწესრიგებდა ასევე საკითხს, როდესაც მოვალემ უზრუნველყოფის მიზნით ანალოგიური წესით დაუთმო კრედიტორებს მესამე პირთა წინააღმდეგ არსებული მოთხოვნები. განსხვავება მოთხოვნების ნამდვილ გაყიდვასა და უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის წმინდა სახის დათმობას შორის უნდა ვიპოვოთ ეკონომიკური თვალსაზრისის მიხედვით.

ასეთი უზრუნველყოფილი კრედიტორებისათვის მოწესრიგებული იყო, რომ დაკმაყოფილების მიზნით უზრუნველყოფილი ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნას

<sup>25</sup> იხ. როინ მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, მე-2 გამოცემა, გვ. 94, 95.

(განცალკევებით დაკმაყოფილების მოთხოვნას) ისინი ვერ წარადგენდნენ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში. დათმობილ მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოთხოვნების განკარგვის უფლებამოსილებას მმართველი ინარჩუნებდა. ამდენად, უზრუნველყოფილი ნივთები რჩებოდა ვალაუვალობის მასაში და მათი ლიკვიდაცია ც ვალაუვალობის წარმოების ფარგლებში ხორციელდებოდა, ხოლო უზრუნველყოფილი კრედიტორი ინარჩუნებდა მხოლოდ უფლებას, უპირატესად დაკმაყოფილებულიყო ნივთის გაყიდვიდან მიღებული ამონაგებით. თუმცა მისი ეს უფლება იმით იყო შეზღუდული, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მხოლოდ ამონაგების 3/4-ს გადაუხდიდნენ. დარჩენილი თანხა რჩებოდა ვალაუვალობის მასაში არაუზრუნველყოფილი კრედიტორების დასაკმაყოფილებლად. ამდენად, უზრუნველყოფილი საგნის გაყიდვით უზრუნველყოფილი კრედიტორი მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა სრულად დაკმაყოფილებულიყო, თუკი ამონაგები 1/3-ით აღემატებოდა მის მოთხოვნას (გამოსაანგარიშებელი მაგალითი: მოთხოვნა = 200 ლარს; ამონაგები თანხა = 134 ლარს; კრედიტორს უნდა გადაუხადონ 134 ლარის მაქსიმუმ  $3/4 = 100,5$  ლარს. დარჩენილი 90,5 ლარით (200—100,5) კრედიტორი არის არაუზრუნველყოფილი კრედიტორი). მე-20 მუხლის მოწესრიგება მიმართული იყო საწარმოს გადარჩენის ხელშეწყობისაკენ. უზრუნველყოფილი კრედიტორები ვეღარ გაანადგურებდნენ საწარმოს ერთიან ქონებას წარმოებისათვის მნიშვნელოვანი ქონების საგნების მასიდან ამოღებით. ამით კი, საკმაოდ იზრდებოდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების პერსპექტივები.

### 8.1.2. საკითხის განხილვა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ 2007 წლის კანონში

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ 2007 წლის კანონი იძლევა უზრუნველყოფილი კრედიტორის ცნებას მე-3 მუხლში. უზრუნველყოფილ კრედიტორად, მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიიჩნევა ისეთი კრედიტორი, რომლის მოთხოვნაც უზრუნველყოფილია იპოთეკით, გირავნობით ან საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებით. ამასთან, დამაბნეველია ის გარემოება, რომ ამ კრედიტორს იმავდროულად ასევე „ახალ კრედიტორსაც“ უწოდებენ. თუმცა ამას კანონში არანაირი სხვა შედეგი არ მოჰყვება. უნდა ითქვას, რომ კანონის ამ ნორმას აშკარად აკლია 1996 წლის კანონის მე-20 მუხლის მსგავსი მკაფიო რეგულირება. ამიტომაც აღნიშნული შემთხვევები უნდა

მონესრიგდეს მოქმედი კანონის სხვა ნორმებიდან გამომდინარე. როდესაც ვეცნობით ვალაუფალობის მასის დეფინიციას მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც, სამეურვეო ქონებას „მხოლოდ“ მოვალის საკუთრებაში არსებული საგნები მიეკუთვნება, თავისთავად, ამით სახეზეა ასევე ვალაუფალობის მასიდან სხვისი საკუთრების გამოცალკეების მოთხოვნაც, რაც მანამდე ცალსახად იყო მონესრიგებული 1996 წლის კანონის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტით. სამაგიეროდ, ამ განმარტებას აკლია სპეციალური მონესრიგება იმ საკუთრებაზე, რომელიც კრედიტორს მისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გადაეცა. აღნიშნული ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ასეთ კრედიტორს შეუძლია, ასევე მოითხოვოს ვალაუფალობის მასიდან საკუთრების გამოცალკეება.

თუმცა რეკომენდებულია კანონის იმგვარად გამოყენება, რომ ასეთმა კრედიტორებმა თავიანთი უფლებების განხორციელება შეძლონ მხოლოდ როგორც 1996 წლის კანონით განსაზღვრულმა უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა. უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებებთან დაკავშირებით კანონი იძლევა, ძირითადად მხოლოდ მდუმარე გადაწყვეტას. მართალია, არსად არ არის ნახსენები, მაგრამ უზრუნველყოფილ კრედიტორს არ შეუძლია უზრუნველყოფილი საგნიდან მისი მოთხოვნის განცალკეებით დაკმაყოფილების უფლება ისე განახორციელოს, რომ მოითხოვოს ვალაუფალობის მასიდან ნივთის გამოცალკეება და მისთვის გადაცემა. კანონი მდუმარედ უფრო მეტად იმას ეყრდნობა, რომ უზრუნველყოფილი საგნების გასხვისება ვალაუფალობის წარმოების ფარგლებში ხორციელდება. ეს კი შეესაბამება 1996 წლის კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის წესებს. საწარმოს ქონება, როგორც ერთი მთლიანი, უნდა შენარჩუნდეს. მისი ერთიანობა კი იმით არ უნდა დადგეს საფრთხის ქვეშ, რომ თავისი მოთხოვნის განცალკეებით დაკმაყოფილების მიზნით უზრუნველყოფილმა კრედიტორმა უზრუნველყოფილი საგნის მასიდან ამოღება შეიძლება ვალაუფალობის წარმოების გარეთ მოითხოვოს.

უზრუნველყოფილი საგნიდან უზრუნველყოფილი კრედიტორის დასაკმაყოფილებლად 41-ე მუხლი შეიცავს წესებს, რომელთა თანახმადაც, მას რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები სრულად გადაეცემა. ამ წესის სიტყვასიტყვითი განმარტების თანახმად, უზრუნველყოფილი კრედიტორი უფრო უკეთესადაა წარმოდგენილი, ვიდრე ეს 1996 წლის კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით იყო განსაზღვრული. ამასთან, 41-ე მუხლი შესაბამისად აღწერს იმ უფლებებს, რომლებიც გამომდინარეობს კრედიტორის უზრუნველყოფიდან. რამდენადაც უზრუნველყოფილი საგანი მხოლოდ უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ემსახურება, მიღებული ამონაგებიც გადაეცემა მას მხოლოდ მისი მოთხოვნის მოცულობის შესაბამისად. ამონაგების ნაშთი კი რჩება ვალაუფალობის მასაში არაუზრუნველყო-

ფილი კრედიტორების დასაკმაყოფილებლად (41-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამონაგები არ არის საკმარისი უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ კრედიტორის დარჩენილი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ მოთხოვნად და იგი დაკმაყოფილდება როგორც არაუზრუნველყოფილი კრედიტორი, მე-40 მუხლის შესაბამისად (41-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

41-ე მუხლში მოცემული წესები შეესაბამება უზრუნველყოფილი კრედიტორის სამართლებრივ მდგომარეობას, როგორც ეს ზოგადად არის მიღებული. მას არ გააჩნია განსაკუთრებული უფლებები მოვალის მთლიან ქონებაზე — ასეთი უფლებები უზრუნველყოფილ კრედიტორს აქვს მხოლოდ უზრუნველყოფილ საგანზე. ამდენად, ამ განსაკუთრებული უფლებების გამოყენება მას შეუძლია მხოლოდ ვალაუვალობის წარმოებაში. თუმცა კანონი, ალბათ, მართებულ დასკვნას აკეთებს მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როდესაც უზრუნველყოფილი საგანი ნაწილ-ნაწილ იყიდება. ხოლო, თუკი ამის საპირისპიროდ, მთლიანი საწარმოს გასხვისება ხდება, მაშინ კანონიდან, სავარაუდოდ, ის გამომდინარეობს, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორის განსაკუთრებული მდგომარეობა მოვალის მთლიან ქონებასთან არის მიმართებაში. ისე ჩანს, თითქოს კრედიტორი უზრუნველყოფილ საგანზე არსებულ თავის განსაკუთრებულ უფლებებზე უარს ამბობს იმით, რომ მას, მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, უპირატესობა ენიჭება მთლიანი ქონებიდან დაკმაყოფილებილას. ამით ის გამომდინარეობს, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მთლიანობაში განსაკუთრებული ფართო უფლებები 39-ე მუხლით ენიჭება. შემდგომში კი, მოსალოდნელია, უზრუნველყოფილი კრედიტორი, რომლის მოთხოვნაც 41-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით მეტწილად არაუზრუნველყოფილი აღმოჩნდებოდა, მე-40 მუხლის წესების მიხედვით უპირატესად დაკმაყოფილდება სხვა არაუზრუნველყოფილ კრედიტორებზე ადრე. ეს კი ადასტურებს, რომ კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაშია თანმიმდევრულად გამოყენებადი, როდესაც მე-40 მუხლის მიხედვით დადგენილ პრიორიტეტებს უპირატესობა მიენიჭება 41-ე მუხლის მიხედვით უზრუნველყოფილი კრედიტორის განცალკევებით დაკმაყოფილებასთან შედარებით (იხ. 11.3).

## 8.2 შეცილების მომწესრიგებელი ნორმები

ვალაუვალობის წარმოებები იწყება იმ მომენტიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ, როდესაც მოვალე ხედავს თავისი ეკონომიკური მდგომარეობიდან შესაძლო

გამოსავალს. ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ მოვალემ ვალაუვალობის წარმოების დაწყებამდე არსებული პერიოდით ისარგებლოს, კრედიტორებისაგან ხელმიუწვდომლად აქციოს ქონებაში შემავალი საგნები და შედარებით დაბალ ფასად მიჰყიდოს ისინი, ან სულაც აჩუქოს თავის ნათესაებს თუ ახლობელ პირებს; არსებობს იმის საფრთხეც, რომ მოვალემ უკვე თავისი ზოგადი გადახდისუუნარობის პირობებშიც უპირატესად დააკმაყოფილოს ცალკეული კრედიტორი; ისიც შეიძლება მოხდეს, რომ ცალკეულმა კრედიტორმა მოვალის კრიზისის პირობებში დამატებითი საკრედიტო გარანტიები მიიღოს მისგან და ამით განსაკუთრებულ უპირატესობას მიაღწიოს. მოვალის ასეთი მოქმედების მოტივაცია ხშირ შემთხვევაში შეიძლება იყოს ფასეული ქონების გაკოტრებისაგან თავის არიდება და ამით თავისი მომავალი ეკონომიკური არსებობის უზრუნველყოფა.<sup>26</sup>

შეცილების მომწესრიგებელი ნორმების უკეთ გასაგებად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ იურიდიული ქმედებები თავისთავად კი არ არის ბათილი, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ისინი, საქმიანი ქცევის თვალსაზრისით, სრულიად ნორმალური და მისაღებია. იურიდიული ქმედებები მხოლოდ „საექვოდ“ მიიჩნევა, რამდენადაც ისინი ხორციელდება ვალაუვალობის წარმოებასთან დაკავშირებით და ამით ზიანდება, ზოგადად, კრედიტორთა დაკმაყოფილების, ხოლო, სპეციალურად, კრედიტორების თანაბარზომიერი დაკმაყოფილების მიზანი. ვინაიდან შეცილების მეშვეობით, პრაქტიკულად, გარიგება უკუქცევითად შეიძლება ბათილად გამოცხადდეს, საჭიროა, ზუსტად მოწესრიგდეს ის წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც ეს შეიძლება მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ზიანი მიადგეს საქმიანი ბრუნვის ზოგადი წესებისადმი ნდობას. მაგალითად, როდესაც ვალაუვალობის წარმოების გახსნამდე მოვალემ დააკმაყოფილა კრედიტორი ხელშეკრულებით შეთანხმებულ ზუსტ დროში და ზუსტი ფორმით, მაშინ ასეთი კრედიტორისათვის ცოტა გაუგებარი ხდება, თუ რატომ უნდა დაუბრუნოს მან ვალაუვალობის მასას მიღებული თანხა მხოლოდ იმიტომ, რომ ვალაუვალობის მმართველმა სადავოდ აქცია მოვალის მიერ გადახდილი თანხა.

არსებობს ობიექტური და სუბიექტური გარემოებები იმ კრიტერიუმების დასადგენად, თუ რომელი იურიდიული ქმედებები უნდა იქნეს შეცილებული. ობიექტურ გარემოებად, როგორც წესი, მიიჩნევა ვალაუვალობის წარმოებასთან დროითი სიახლოვე. ვალაუვალობის მომწესრიგებელი კანონები, ხშირ შემთხვევაში, ახდენენ ვალაუვალობის წარმოების დაწყებამდე არსებული „დროის საექვო მონაკვეთის“ დეფინიციას. დროის აღნიშნული მონაკვეთი შეიძლება განსხვავებული იყოს შეცილების ცალკეული ჯგუფებისათვის. ობიექტურ გარემოებად მიიჩნევა შეთანხმებული

<sup>26</sup> იხ. როინ მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, მეორე გადამ. გამოცემა, 2006, გვ. 129.

ეკვივალენტი. „საექვოდ“ მიიჩნევა მოვალის ნებისმიერი ქონების საგნების გაჩუქება ან შედარებით დაბალ ფასად გასხვისება. „საექვოდ“ მიიჩნევა ასევე გარემოება, როდესაც მოვალე ისეთ იურიდიულ ქმედებას განახორციელებს, რომლის ვალდებულებაც მას „არ ჰქონდა, არ ჰქონდა ამ დროისათვის ან არ ჰქონდა ამ სახით“. მაგალითად, როდესაც მოვალე კრედიტორს გარკვეულ საკრედიტო გარანტიებს აძლევს ისე, რომ ეს წინასწარი მასთან არ ჰქონდა შეთანხმებული. ის ასრულებს ჯერ კიდევ ვადამოუსვლელ ვალდებულებას, ან კიდევ, ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად მოვალე კრედიტორს უთმობს თავის მოთხოვნებს მესამე პირების წინააღმდეგ. „საექვოდ“ მიიჩნევა აგრეთვე ისეთი ობიექტური გარემოებაც, როდესაც კონტრაჰენტი მოვალესთან დაახლოებული პირია. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გარემოებები მიიჩნევა „საექვოდ“, ამის გაგება ისე არ შეიძლება, თითქოს მართლდება ეჭვი, რომ მოვალეს ნამდვილად თავისი კრედიტორებისათვის ზიანის მიყენება სურს. ასეთი რამ შესაძლებელია, თუმცა არა აუცილებლად სავალდებულო. „საექვობა“ ნიშნავს იმას, რომ იგი მოვალის გადახდისუნარობით არის განპირობებული. აქედან გამომდინარე, შეცილების უფლებამოსილების ობიექტური გარემოების წინაპირობად ხშირად მიიჩნევა ის ფაქტი, იყო თუ არა მოვალე მართლაც უკვე გადახდისუნარო იურიდიული ქმედების განხორციელების მომენტისათვის. ის შეიძლებოდა ეკონომიკური გარემოებების გამო იძულებული გამხდარიყო, განეხორციელებინა ისეთი ქმედებები, რომლებიც მოგვიანებით შეცილებადი გახდებოდა ვალაუფალობის წარმოების დანყებისას. მაგალითად, მოვალე შეიძლება, სავარაუდოდ, იძულებული გამხდარიყო, შედარებით დაბალ ფასად გაეყიდა საქონელი, ან მიეცა რომელიმე კრედიტორისათვის გარკვეული საკრედიტო გარანტიები იმის გამო, რომ მომავალში მასთან უნდა ითანამშრომლოს.

უფლებამოსილი შეცილების სუბიექტურ გარემოებად, უწინარეს ყოვლისა, უნდა მივიჩნიოთ კრედიტორისათვის ზიანის მიყენების განზრახვა. ყველაზე დამაჯერებლად შეცილებადად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი იურიდიული ქმედება, რომელსაც კრედიტორისთვის ზიანის მიყენების განზრახვით ახორციელებს როგორც მოვალე, ასევე ის პირი, რომელიც სარგებელს იღებს ამ ქმედებიდან. ამაზე დაფუძნებული შეცილება შეიძლება, იმავდროულად, მიჩნეულ იქნეს შეცილების უძველეს ფორმად. ე.წ. „*actio pauliana*“ იყო რომაული სამართლის ერთგვარი სარჩელი, რომელმაც ეს სახელი მიიღო მისი შემქმნელის, გვიანი კლასიკური ხანის ედილისაგან (რომელი მოხელის ტიტულია), იულიუს პაულუსისაგან. სარჩელი დასაბუთებული იყო იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე თანამშრომლობდა არაკეთილსინდისიერ კრედიტორთან, რაც მოვალის ვალაუფალობისას დანარჩენ კრედიტორებს მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა. ასეთი შეცილებისას პრობლემა ის იყო, თუ როგორ დადასტურდე-

ბოდა ზიანის მიყენების განზრახვა, რომელიც, საბოლოო ჯამში, კვლავ ობიექტურ გარემოებებს უნდა დაფუძნებოდა. შედარებით მარტივად დამტკიცებად სუბიექტურ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ ცოდნა მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ. ასეთი ცოდნის დასადასტურებლადაც კი უნდა მივმართოთ ობიექტურ გარემოებებს, რომლებიც მარტივად შეიძლება დავახასიათოთ.

ვალაუვალობის კანონთა უმეტესობა იყენებს აღნიშნული ობიექტური და სუბიექტური გარემოებების კომბინირებულ ფორმებს, რათა შესაძლო შეცილებისას დეფინირებულ იქნეს ზუსტად გამიჯნული ფაქტები. სინამდვილეში, ძალიან რთულია, გაიმიჯნოს საფუძვლიანი შეცილების ცალკეული ფაქტობრივი გარემოებები. ბევრ სხვა კანონთან შედარებით, UNCITRAL Legislative Guide განასხვავებს ტრანზაქციების 3 ძირითად სახეს, რომლებიც შეცილებას უნდა დაექვემდებარონ. ამასთან, ტრანზაქციის პირველი 2 სახე არა მხოლოდ კრედიტორების მიმართ, არამედ აგრეთვე სხვა პირების მიმართაც შეიძლება იქნეს გამოყენებული:<sup>27</sup>

• **იურიდიული ქმედება, რომელიც განზრახაა მონოდებული, რათა ჩაშალოს, შეაფერხოს ან გააჭიანუროს კრედიტორთა დაკმაყოფილება**

ასეთი იურიდიული ქმედების პრობლემა ისაა, რომ განზრახვა პირდაპირ იშვიათადაა დამტკიცებადი. განზრახვა, კერძოდ, უნდა დაეფუძნოს გარე ფაქტორებს, როდესაც გარკვეული როლი შეიძლება ყველა შემთხვევაში ობიექტურმა კრიტერიუმმა შეასრულოს. ნათესავთან განხორციელებული იურიდიული მოქმედება საეჭვო გარემოებაა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მას ქონებას ბევრად უფრო დაბალ ფასად გადასცემენ. კიდევ უფრო საეჭვოა ის ფაქტი, როდესაც მოვალე გადახდისუუნაროა და მის მიერ დადებული გარიგება ჩვეულებრივ საქმიან ქცევებს არ შეესაბამება და ა.შ.

• **ქონების დაბალ ფასად გადაცემა**

აქ, უწინარეს ყოვლისა, მოიაზრება მოვალის ყველა გაჩუქებული ნივთი, ასევე ყველა ის ტრანზაქცია, რომელთა დროსაც მოვალის მთელი ქონება მესამე პირებს შედარებით დაბალ ფასად გადაეცა. არცთუ ისე ადვილია ნყალგამყოფის გავლება ქონების შესაბამისი ეკვივალენტით გადაცემასა და „დაბალ ფასად“ გადაცემას შორის. ამასთან, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ტრანზაქციებს მართლაც ლეგალური ხასიათი აქვთ. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი ტრანზაქციები, მართლაც, უშუალოდ ამცირებენ მოვალის ქონებას, შესაბამისად, არსებობს კრედიტორებისათვის ზიანის განზრახ მიყენების ეჭვი, რამეთუ ან მოვალეს სურს თავისი ქონების კრედიტორებისაგან დაცვა, ან კრედიტორები იყენებენ ბოროტად მოვალის უკი-

<sup>27</sup> UNCITRAL Legislative Guide, Part 2, Chapter F 3.



დურესად მძიმე მდგომარეობას. თუმცა ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დროით და შინაარსობრივი ურთიერთკავშირი მოგვიანებით გახსნილ ვალაუვალობის საქმის წარმოებასთან. ეს მოსაზრება ამგვარადაც შეიძლება ჩამოგვეყალიბებინა: ამ შეცილების დროისა ობიექტური ფაქტობრივი გარემოება ახლოს დგას კრედიტორისათვის ზიანის განზრახ მიყენების დასკვნასთან. და როდესაც ეს ურთიერთკავშირი არსებობს დამდგარ და მოსალოდნელ ვალაუვალობას შორის, მაშინ მოქმედებების სადავოდ ქცევა გამართლებულია.

• **კრედიტორებისათვის უპირატესობის მინიჭება**

შეცილების სხვა ორივე ფაქტობრივი გარემოებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევის განსაკუთრებულობა ისაა, რომ მოვალის კონტრაჰენტი კრედიტორია, რომლის სამართლებრივი მდგომარეობაც შეცილებადი იურიდიული მოქმედებით გაუმჯობესდა ვალაუვალობის წარმოებაში არსებულ მდგომარეობასთან შედარებით. ამ შემთხვევის დროს, ალბათ, კიდევ უფრო რთულია „შეცილებას დაქვემდებარებულ“ და „შეცილებას დაუქვემდებარებელ“ იურიდიულ მოქმედებათა გამიჯვნა. ვინაიდან ყოველთვის, როდესაც მოვალე ვალაუვალობის წარმოების დაწყებამდე აკმაყოფილებს რომელიმე კრედიტორს, ან აძლევს მას საკრედიტო გარანტიებს, ეს ფაქტი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ამ კრედიტორის მდგომარეობას ვალაუვალობის წარმოებაში არსებულ მის მდგომარეობასთან შედარებით. იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორი დაკმაყოფილდა, მაშინ მას მეტი ველარ მიადგება ვერანაირი ზიანი ვალაუვალობის წარმოების მეშვეობით, ხოლო თუკი კრედიტორს საკრედიტო გარანტიები მიეცა, მაშინ ვალაუვალობის წარმოებაში მას ექნება უზრუნველყოფილი კრედიტორისათვის დამახასიათებელი პრივილეგირებული მდგომარეობა. ყველა ეს ქმედება შეცილებადი რომ ყოფილიყო, მაშინ ეს, ზოგადად, დაასამარებდა სამართლებრივი ბრუნვის უსაფრთხოებისადმი ნდობას. ამდენად, ვალაუვალობის კანონმა ზუსტად უნდა ჩამოაყალიბოს ის წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია შეცილება. ძირითად კრიტერიუმებად განიხილება: მოვალის ფაქტობრივი გადახდისუნარობა იურიდიული მოქმედების განხორციელების მომენტისათვის, და ასევე ბევრი სხვა გარემოება, რომელთა საფუძველზეც შესაძლოა დავასკვნათ, რომ საქმე არ ეხებოდა „ჩვეულებრივ“ გარიგებას. ამ დროს მხედველობაში იღებენ იმას, რომ: მოვალე არ იყო შესრულებაზე ვალდებული, ამ სახით არ იყო ვალდებული, ან ამ დროისათვის არ იყო შესრულებაზე ვალდებული. მიჯნად შეიძლება გამოვიყენოთ ცოდნა მოვალის გადახდისუნარობის შესახებ.

## 8.2.1 შეცილება 1996 წლის გაკოტრების კანონის მიხედვით

1996 წლის კანონი შეცილების საკითხებს აწესრიგებდა მე-17 მუხლში. ამ ინსტიტუტს, მართალია, კანონი გასაჩივრებით მოიხსენიებდა, მაგრამ თავისი შინაარსით ეს იყო შეცილება. შეცილება უნდა განხორციელებულიყო სარჩელის მეშვეობით გაკოტრების წარმოების გახსნიდან 3 წლის განმავლობაში. შეცილების კლასიკურ ფაქტობრივ გარემოებად, უწინარეს ყოვლისა, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დასახელებული იყო კრედიტორისათვის ზიანის განზრახ მიყენება. ეს გარემოება შეიძლება დროში შეუზღუდავად გამოყენებულიყო ვალაუფალობის წარმოებამდე არსებული ყველა იურიდიული ქმედების მიმართ. ამის წინაპირობა იყო მოვალის მხრიდან კრედიტორისათვის ზიანის მიყენების განზრახვა და მისი საქმიანი პარტნიორის მხრიდან — ამ ფაქტის ცოდნა. ეს იყო შეცილების კლასიკური ფაქტობრივი გარემოება, თუმცა იგი წარმოაჩენდა განზრახვის დამტკიცებადობის ყველა ზემოთ აღნიშნულ პრობლემას.

შეცილების გარემოებების ფორმულირებისას აქცენტი, საერთოდ, კეთდება ორ ძირითად გარემოებაზე, კერძოდ: ერთი მხრივ, გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიზე, და მეორე მხრივ, გადახდისუუნარობის ფაქტის ცოდნაზე. მე-17 მუხლის „ბ“ — „დ“ ქვეპუნქტების მიხედვით შეცილება იყო მხოლოდ ის იურიდიული ქმედებები, რომლებიც განხორციელდა გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიდან. გაკოტრების მმართველი, „დ“ ქვეპუნქტის ძირითადი წესების მიხედვით შეიძლება შესცილებოდა ყველა იმ პირს, რომელთათვისაც იურიდიული ქმედების განხორციელების მომენტში ცნობილი იყო მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ. ეს იყო შეცილების ძალიან ფართო უფლება. ამასთან, გადახდისუუნარობის ცოდნის ფაქტის მტკიცება თავისი სიმარტივეთ საკმარისი იყო, რათა გადახდისუუნარობა იმ პირებისათვის, რომელთათვისაც იურიდიული ქმედება განხორციელდა, „გარემოებებიდან გამომდინარე ცნობილი უნდა ყოფილიყო“. შეცილების უფლება ძალიან ფართოდ მომცველი იყო იმიტომაც, რომ იგი არ იზღუდებოდა დროში, ანუ დროით არ იყო შემოფარგლული, თუ ვალაუფალობის წარმოებამდე რა ვადაში უნდა ყოფილიყო იურიდიული ქმედება განხორციელებული. იმ შემთხვევაში, თუკი, მაგალითად, მოვალემ მოგვიანებით გახსნილ გაკოტრების წარმოებამდე 8 თვით ადრე დააკმაყოფილა კრედიტორი, ხოლო კრედიტორისათვის ცნობილი იყო, რომ მოვალე ამ მომენტისათვის უკვე იყო ზოგადად გადახდისუუნარო, მაშინ აღნიშნული გარეგება ექვემდებარებოდა შეცილებას და კრედიტორსაც ვალაუფალობის მასაში უკან უნდა დაებრუნებინა მიღებული თანხა. მართალია, ეს შეესაბამებოდა ვალაუფალობის წარმოების მიზანს, ვინაიდან კრედიტორთა თანაბარზომიერ დაკმაყოფილებას

ხომ თავისი საფუძველი სწორედ მოვალის გადახდისუნარობაში აქვს, თუმცა, ზოგადი სამართლებრივი ბრუნვისათვის ერთგვარად ხელისშემშლელი ფაქტორი შეიძლება ყოფილიყო.

მე-17 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, ტრანზაქციები მოყვანილია ახლო გარემოცვაში მყოფ პირებთან დაკავშირებით. ორივე ფაქტობრივი გარემოება წინამდებარე ფორმით ერთმანეთისაგან რთულად გამიჯვნადი იყო. 2001 წელს განხორციელებულ დიდ ცვლილებებამდე კანონის ტექსტის „ბ“ ქვეპუნქტში საუბარი იყო „ფულის გადახდაზე“, ხოლო „გ“ ქვეპუნქტში „ქონებრივი ფასეულობების გადაცემაზე“. თუკი გადავხედავთ ამ ნორმის წარმოშობის ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ თავდაპირველად შემოთავაზებული ვარიანტის „ბ“ ქვეპუნქტში საუბარი უნდა ყოფილიყო „სასყიდლიან შესრულებაზე“, ხოლო „გ“ ქვეპუნქტში „ქონებრივი ფასეულობების უსასყიდლო გადაცემაზე“.<sup>28</sup> ამით ის უნდა თქმულიყო, რომ „გ“ ქვეპუნქტით მოწესრიგებული იყო „ქონების დაბალ ფასად გადაცემის“ განსაკუთრებული შემთხვევები. ახლო გარემოცვაში მყოფ პირებთან მიმართებით შეცილებადი იყო ქონების გადაცემის ყველა ფაქტი, რომლებიც შედგა გადახდისუნარობის ფაქტის დადგომის შემდეგ. ამრიგად, მნიშვნელობა არ ენიჭებოდა ახლო გარემოცვაში მყოფი პირების ცოდნას მოვალის გადახდისუნარობის ფაქტის შესახებ. რაც შეეხება, „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ახლო გარემოცვაში მყოფი პირების სასარგებლოდ შესრულებულ „გადახდებს“, ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა სწორედ ახლო გარემოცვაში მყოფ პირებს, განსხვავებით ყველა სხვა შემთხვევისაგან, როდესაც მტკიცების ტვირთი გაკოტრების მმართველზე იყო. ახლო გარემოცვაში მყოფ პირს მხოლოდ მაშინ შეეძლო თავი დაეღწია შეცილებისათვის, თუკი იგი დაამტკიცებდა, რომ მისთვის ცნობილი არ იყო კრედიტორებისათვის ზიანის მიყენების განზრახვა.

### 8.2.2 შეცილება 2007 წლის გადახდისუნარობის კანონის მიხედვით

2007 წლის გადახდისუნარობის კანონი შეცილების საკითხს 35-ე მუხლში აწესრიგებს. ამ მუხლის 1-ლ პუნქტში დასახელებულია შეცილების ორი ფაქტობრივი გარემოება. ამასთან, შეცილება ეფუძნება ისეთ ქმედებებს, რომლებიც განხორციელდა გადახდისუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანამდე 6 თვით ადრე. მე-2 პუნქტში კი ეს ვადა 1 წლამდეა გაგრძელებული, თუკი სარგებლის

<sup>28</sup> 2001 წლის 10 აპრილს განხორციელებული ძირეული ცვლილებების დროს, რაც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაკოტრების კანონის ნოვაციით არის ცნობილი (იხ. როინ მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, მე-2 გამომუშავებული გამოცემა, თბ., 2006, წინათქმა, გვ. VIII), აღნიშნული ნორმები სწორედ თავდაპირველი ფორმულირებებით შეიცვალა.

მიმღები (აქ: გარიგების კონტრაჰენტი) მოვალესთან დაკავშირებული პირი ან მოვალის ნათესავია.

„ა“ ქვეპუნქტით საცილოდ არის გამოცხადებული მოვალის ნებისმიერი ქმედება, „რომელმაც ხელი შეუშალა კრედიტორთა თანაბარზომიერ დაკმაყოფილებასა და კონკრეტულ კრედიტორს უპირატესობა მიანიჭა იმავე რიგის სხვა კრედიტორებთან შედარებით“. მართალია, ვალაუვალობის წარმოების მიზანი კრედიტორთა თანაბარზომიერი დაკმაყოფილებაა, მაგრამ შეცილების წინაპირობა აქ, საბოლოოდ, მხოლოდ ისაა, რომ გარიგება ვალაუვალობის წარმოებამდე 6 თვის ან 1 წლის განმავლობაში უნდა შემდგარიყო. ამის შემდგომ შეცილებას ექვემდებარება ყველა ქმედება, რომლებითაც მოვალემ დროის ამ მონაკვეთში დააკმაყოფილა კრედიტორი და მისცა მას საკრედიტო გარანტიები. ეს მოსაზრება შეიძლებოდა იმგვარადაც გამოგვეხატა, რომ ვალაუვალობის წარმოების გახსნის მომენტი ფიქტიურად 6 თვით არის გადმონეული. ცალსახაა, რომ ზოგადი საქმიანი ურთიერთობები „გადახდისუუნარობის დათქმის“ ქვეშ ხვდება. შესრულებაზე დაფუძნებული ქმედებები მხოლოდ მაშინ გახდება „მყარად შეცილებადი“, თუკი ამის შემდგომად 6 თვის განმავლობაში არ გაიხსნება ვალაუვალობის საქმის წარმოება.

მსგავსი ხერხით შეცილების ფაქტობრივი გარემოება „ბ“ ქვეპუნქტში ზოგადად არის ფორმულირებული. აქ, ალბათ, იგულისხმება ზემოთ განხილული „ქონების დაბალ ფასად გადაცემა“. ხოლო თუკი საცილოდ იქცევა ყველა ის გარიგება, „რომელმაც შედეგად მოჰყვა სამეურვეო ქონების გაუფასურება“, მაშინ აღნიშნული ფორმულირება ბევრად უფრო მოცულობითი გამოდის. თუ, მაგალითად, მოვალემ ვალაუვალობის წარმოებამდე 5 თვით ადრე დადო ხელშეკრულება, რომლის მეშვეობითაც მან განიზრახა დიდი მოგების მიღება, მაშინ შესაძლოა, სწორედ ამ ხელშეკრულებამ გამოიწვიოს ქონების გაუფასურება, თუკი მას შედეგად მოჰყვა დიდი ზარალი. აშკარად უსამართლო იქნებოდა ამ ხელშეკრულების გასაჩივრება იმ შედეგით, რომ კონტრაჰენტმა ვალაუვალობის მასაში უკან უნდა დააბრუნოს მიღებული შესრულება.

### 8.3 ხელშეკრულებების განხილვა

8.2 პუნქტში განხილულმა პრობლემებმა ცხადყო, რომ ვალაუვალობის კანონი ერევა მესამე პირთა უფლებებში, რათა მიაღწიოს ვალაუვალობის წარმოების მიზნებს. მსგავსი ძირითადი პრობლემა თავს იჩენს ხელშეკრულებების განხილვისას.

განვითარებულ ეკონომიკაში სანარმოს მიერ დადებულ ხელშეკრულებებს ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი ენიჭებათ. ხელშეკრულებებს ეკონომიკური სარგებელი აქვთ, ვინაიდან ისინი შუამავლობენ მოვალის მოთხოვნას ნაკისრი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებების ნაკლოვანება ისაა, რომ მოვალე, თავის მხრივ, შესრულებაზე ვალდებული. თუკი ვსაუბრობთ, რომ ვალაუვალობის წარმოების დროს მიღწეულ იქნეს ვალაუვალობის წარმოების მიზნები, მაშინ უნდა შეიცვალოს ის პრინციპი, რაც მოქმედებს ვალაუვალობის წარმოების ფარგლებს გარეთ: ხელშეკრულებები ისე უნდა შესრულდეს, როგორი სახითაც ისინი დაიდო (ლათინურად: *pacta sunt servanda*). თუმცა ეს აუცილებელი არ არის ნებისმიერ შემთხვევაში. როდესაც, მაგალითად,<sup>29</sup> მოვალემ დადო ნასყიდობის ხელშეკრულება საქონლის შესყიდვაზე, რომლის ფასიც ბევრად ნაკლებია თანამედროვე საბაზრო ღირებულებაზე, მაშინ უფრო მომგებიანია, თუკი ვალაუვალობის მმართველი ამ ხელშეკრულების შესრულებას მოითხოვს, ვინაიდან მას შეუძლია, ეს საქონელი ვალაუვალობის მასისათვის მომგებიანად გაყიდოს. კონტრაქტისათვის კი ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები უნდა შეასრულოს, ისევე, როგორც ეს მოხდებოდა ვალაუვალობის წარმოების ფარგლებს გარეთ. იმ შემთხვევაში, თუკი, პირიქით, ამ პერიოდში შეძენილი საქონლის საბაზრო ღირებულება დაეცემოდა შესყიდვის ფასზე დაბლა, მაშინ ვალაუვალობის მასის ღირებულება შემცირდებოდა, თუკი ვალაუვალობის მმართველი გამყიდველისაგან მაინც მიიღებდა საქონელს, გადაიხდიდა მის საფასურსა და შემდეგ კვლავ გაასხვისებდა მას უფრო დაბალ ფასად. ამდენად, მმართველი არც ისურვებდა ამის გაკეთებას მაშინაც კი, როდესაც კონტრაქტის გამოიყენებდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი წესების შესაბამისად.

ვალაუვალობის წარმოებაში მმართველს უნდა მიეცეს მოსაფიქრებელი ვადა, რათა მან მოვალის სანარმოს ეკონომიკური მდგომარეობის შემონმებისას გონივრულად გადანყვიტოს, თუ რომელი ხელშეკრულებების შესრულება იქნებოდა ვალაუვალობის მასისათვის ხელსაყრელი. როგორც წესი, პრობლემური არ არის ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც სრულად შესრულდა ერთ-ერთი მხარის მიერ, ხოლო მეორე მხარის მიერ საერთოდ არ არის შესრულებული. თუ ზემოთ მითითებულ მაგალითში გამყიდველმა სრულად მიაწოდა მყიდველს საქონელი, მაშინ მმართველი აღარ გადაიხდის მის საფასურს, არამედ გამყიდველს იმაზე მიუთითებს, რომ მან თავისი მოთხოვნა ვალაუვალობის წარმოებაში განაცხადოს. ხოლო როდესაც, პირიქით, მოვალემ სრულად გადაიხადა შეძენილი საქონლის საფასური, მაგრამ იგი ჯერ არ მიუღია, მაშინ მმართველი ყველა შემთხვევაში მოითხოვს მისთვის საქონ-

<sup>29</sup> Nach UNCITRAL Legislative Guide, Part 2, Chapter E 1.

ლის მიწოდებას. პრობლემურია, უწინარეს ყოვლისა, ისეთი შემთხვევები, როდესაც სახეზეა ვალდებულებათა ნაწილობრივი შესრულება. მაგალითად, მოვალემ გადაიხადა ავანსი, მაგრამ საქონელი ჯერ კიდევ არ მიუღია. ანდა როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მმართველმა, როდესაც მოვალემ პირობადებული საკუთრებით შეძენილი საქონელი მიიღო და მხოლოდ ნაწილობრივ გადაიხადა მისი საფასური. ეს ყველაფერი კი იმაზეა დამოკიდებული, არის თუ არა საჭირო შეძენილი საქონელი სანარმოს საქმიანობის გასაგრძელებლად, თუ მას სანარმოსათვის არავითარი მნიშვნელობა აქვს. დაბოლოს, არსებობს ხელშეკრულების კიდევ სხვა სახეები, რომლებიც განსხვავდება ზემოთ განხილული ნასყიდობის ხელშეკრულებებისაგან. სანარმოსათვის, როგორც წესი, მნიშვნელოვანია აგრეთვე ქირავნობის ხელშეკრულებები, ანდა გრძელვადიანი მომსახურებისა და მიწოდების ხელშეკრულებები; დღევანდელ ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აგრეთვე ფრენშიაზინგის ხელშეკრულებები; ასევე მნიშვნელოვანია კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებები და ხელშეკრულებები თანამშრომელთათვის პენსიების გადახდის შესახებ.

ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორ განიხილავს ვალაუფალობის კანონმდებლობა იმ სახელშეკრულებო დათქმებს, რომლებშიც მოწესრიგებულია, რომ ვალაუფალობის წარმოების დაწყება ავტომატურად იწვევს ხელშეკრულების დასრულებას ან აძლევს კონტრაჰენტს ხელშეკრულების უვადოდ მოშლის უფლებას.<sup>30</sup> არსებობს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ ეს სახელშეკრულებო დათქმები შენარჩუნდეს ხელშეკრულების დადების თავისუფლების თვალსაზრისით. სხვა მხრივ, ამ გარემოებამ ვალაუფალ სანარმოს საქმიანობის გაგრძელების ყოველგვარი შესაძლებლობა შეიძლება მოუსპოს, თუკი, მაგალითად, ქირავნობის მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები, მიწოდების გრძელვადიანი ხელშეკრულებები ან ხელშეკრულებები პატენტის გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ დასრულდება, თუკი დაიწყება ვალაუფალობის საქმის წარმოება ან არსებობს მისი დაწყების საფრთხე. ამიტომაც რეკომენდებულია, რომ ვალაუფალობის კანონმდებლობამ გაითვალისწინოს ამ დათქმების გამოუყენებლობის შესაძლებლობები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვალაუფალობის კანონის იმპერატიულ ნორმებს ექნებათ უპირატესობა სახელშეკრულებო დათქმებთან შედარებით. მსგავსი იმპერატიული ნორმები კი, როგორც წესი, ითვალისწინებს, რომ მმართველი იღებს გადაწყვეტილებას, გარკვეული დროის ფარგლებში გააგრძელოს ხელშეკრულება, თუ უარყოს იგი.

რამდენადაც ხელშეკრულებები ვალაუფალობის წარმოების გახსნის შემდეგაც აგრძელებს მოქმედებას ან კანონის ძალით ან კიდევ მმართველის არჩევანის საფუძველზე, გრძელვადიან ხელშეკრულებებთან დაკავშირებით ყოველთვის იბადება

<sup>30</sup> იხ. ცალკეულ მოსაზრებებთან დაკავშირებით UNCITRAL Legislative Guide, Part 2 , Chapter E 2.

კითხვა, ხომ არ ნიშნავს ხელშეკრულების შესრულება იმას, რომ მმართველმა ყველა ვალდებულება უნდა შეასრულოს. იმ შემთხვევაში, თუ მოვალემ, მაგალითად, დადო მიწოდების გრძელვადიანი ხელშეკრულებები და ბოლო მიწოდებების საფასური ველარ გადაიხადა უშუალოდ ვალაუფალობის წარმოების გახსნის წინ, მაშინ საწარმოს საქმიანობის გაგრძელებისას მმართველი შეიძლება იძულებული გახდეს, აირჩიოს მიწოდების ხელშეკრულების შესრულება. თუმცა, როდესაც საქმე ეხება ნაწილობრივ შესრულებებს, რეკომენდებულია ისეთი ნესების გათვალისწინება, რომელთა დროსაც მხოლოდ ახალი მიწოდებები უნდა იქნეს სრულად გადახდილი, მაშინ როცა ძველი ვალდებულებები ვალაუფალობის მოთხოვნების სახით უნდა გაცხადდეს ვალაუფალობის ტაბულაში. კონტრაჰენტისათვის ხშირად ბოლომდე გაუგებარი რჩება, თუ რატომ უნდა გააგრძელოს მან კვლავინდებურად საქონლის მიწოდება იმ მეორე კონტრაჰენტისათვის, რომელსაც ჯერაც არ დაუფარავს და, ალბათ, ვერც დაფარავს ძველი მიწოდებების საფასურს. ამიტომაც რეკომენდებულია, რომ ხელშეკრულების მხარეებს მიეცეთ გარკვეული გარანტიები ახალი ვალდებულებების შესასრულებლად; ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ვალაუფალობის წარმოების გახსნაზე განცხადების წარდგენის შემდეგ და საქმის წარმოების გახსნამდე ვალაუფალობის დროებითი მმართველი მოითხოვს მიწოდებების გაგრძელებას, მაშინ აღნიშნული მიწოდებების საფასური სრული მოცულობით უნდა დაიფაროს.

გრძელვადიანი ხელშეკრულებების შესრულების შესახებ ზემოთ აღნიშნული ნესები გაყოფადი შესრულებების დროს გამოიყენება აგრეთვე ქირავნობის ხელშეკრულებების მიმართაც, როდესაც მოვალე დამქირავებელია. თუკი მმართველი ამ ხელშეკრულებების დროს აირჩევს ხელშეკრულების არშესრულებას (უარყოფს მას), მაშინ გრძელვადიანი ქირავნობის ხელშეკრულებების შემთხვევაში დამქირავებელს შეიძლება წარმოეშვას ზიანის ანაზღაურების საკმაოდ მაღალი მოთხოვნა. იმისათვის, რომ შეიზღუდოს ასეთი რამ, ხშირად, ხელშეკრულების შესრულების უარყოფის სანაცვლოდ, კანონი ითვალისწინებს მმართველის უფლებას, მოშალოს ხელშეკრულება. ანალოგიურად, მხოლოდ ხელშეკრულების მოშლის უფლებაა გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებების შემთხვევაშიც, თუმცა შრომითი ხელშეკრულებების დროს ხშირად ჩნდება მნიშვნელოვანი კითხვები, ვინაიდან შრომის სამართალი, როგორც წესი, მოცულობითი დარგია, ყოველთვის იბადება კითხვა — უნდა მოქმედებდეს თუ არა იგი ვალაუფალობის შემთხვევაშიც. სპეციალური ნორმები ხშირად ვრცელდება ასევე სხვადასხვა ფინანსური ხელშეკრულების მიმართაც. ამ გზით თავიდან უნდა იქნეს აცილებული, მმართველმა წმინდა ფინანსური მოტივით, კონტრაჰენტისათვის ზიანის მისაყენებლად, თვითნებურად არ განახორციელოს თავისი არჩევანის უფლება.

### 8.3.1 ხელშეკრულებების საკითხის განხილვა 1996 წლის გაკოტრების კანონის მიხედვით

1996 წლის გაკოტრების კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტი შეიცავდა ზოგად წესს, რომლის მიხედვითაც გაკოტრების მმართველს ჰქონდა არჩევანის უფლება ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც გაკოტრების წარმოების გახსნის მომენტისათვის ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ იყო სრულად შესრულებული ხელშეკრულების ორივე მხარის მიერ. არჩევანის ამ უფლების ცალკეული დეტალები ამომწურავად არ იყო მოწესრიგებული. თუმცა მმართველის არჩევანის უფლება, ნებისმიერ შემთხვევაში, იმას ნიშნავდა, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობისას კონტრაჰენტი ასე მარტივად ვერ გამოიყენებდა სხვა მხრივ მიცემულ თავის სამართლებრივ შესაძლებლობებს. თუკი, მაგალითად, მმართველი არ დაფარავდა ნასყიდობის დარჩენილ ფასს, მაშინ გამყიდველი ამის გამო ასე უბრალოდ ვერ გავიდოდა ხელშეკრულებიდან და უკან ვერ მოითხოვდა პირობადებული საკუთრებით გაყიდულ საქონელს. მან, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოუწოდოს მმართველს, გამოიყენოს თავისი არჩევანის უფლება და მიიღოს გადაწყვეტილება ან ხელშეკრულების ორმხრივად შესრულების, ანდა ხელშეკრულების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ.

გარდა ამისა, 1-ლი პუნქტი შეიცავდა კონტრაჰენტის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მნიშვნელოვან წესს. ერთი მხრივ, მოწესრიგებული იყო, რომ კონტრაჰენტს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეეძლო წაეყენებინა მხოლოდ როგორც გაკოტრების კრედიტორს. ამდენად, მას მოთხოვნა უნდა განეცხადებინა გაკოტრების ტაბულაში და შეეძლო, ზოგადად ჰქონოდა, მაქსიმუმ, ნაწილობრივი დაკმაყოფილების მოლოდინი; მეორე მხრივ, ამ ფორმულირების საფუძველზე უნდა მივსულიყავით დასკვნამდე, რომ კონტრაჰენტს შეეძლო, სწორედ მხოლოდ ზიანის ანაზღაურება მოეთხოვა. რამდენადაც ხელშეკრულების ზოგადი სამართლის მიხედვით მას სხვა მოთხოვნები შეეძლო წაეყენებინა, ამ შემთხვევაში ეს გამორიცხული იყო. გამყიდველი ან მენარმე, მაგალითად, ვერ გავა ხელშეკრულებიდან და ვერ მოითხოვს მოვალისათვის მინოდებული საქონლის უკან დაბრუნებას. თუმცა სხვა წესი მოქმედებდა მაშინ, როდესაც ის ჯერ კიდევ რჩებოდა გაყიდული საქონლის მესაკუთრედ, ვინაიდან საქონელი პირობადებული საკუთრებით იქნა გაყიდული. ამ შემთხვევაში გამყიდველს საკუთრებაზე დაყრდნობით შეეძლო მოეთხოვა თავისი კუთვნილი ქონების ვალაუვალობის მასიდან გამოცალკეება (იხ. ზემოთ, 8.1.1).

შრომისა და ქირავნობის ხელშეკრულებებისათვის სპეციალურ ნორმებს შეიცავდა მე-2 და მე-3 პუნქტები. ეს ხელშეკრულებებიც აგრძელებდნენ მოქმედებას ვა-



ლაუჯალობის წარმოების გახსნისას, თუმცა შრომის ხელშეკრულებები ორივე მხარეს შეეძლო მოეშალა ორკვირიანი ვადის დაცვით. გაკოტრების კანონით შემოღებული იყო შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის უფრო მოკლე ვადა, ვიდრე ეს იმ პერიოდის შრომის კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული.<sup>31</sup> შეწყვეტის მოკლე ვადის გამოყენებით გაკოტრების მმართველს შეეძლო დაესრულებინა მოვალის საწარმოში მუშაკთა არარენტაბელური საქმიანობა.<sup>32</sup>

რაც შეეხება ქირავნობის ხელშეკრულებებს, ისინი მმართველს შეეძლო მოეშალა კანონით განსაზღვრულ 3-თვიან ვადაში, თუკი მოვალე დამქირავებელი იქნებოდა.

### 8.3.2 ხელშეკრულებების საკითხის განხილვა 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის მიხედვით

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ 2007 წლის კანონი არ შეიცავს არავითარ ნორმას ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადახდისუუნარობის წარმოების დაწყებისას მოქმედებას აგრძელებს ხელშეკრულებების შესახებ არსებული ზოგადი ნორმები. ამან შეიძლება გადახდისუუნარობის წარმოებისათვის ძალიან უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს. გაუქმების შესახებ ზემოთ ნახსენები ყველა დათქმა ნამდვილია და მათ შეიძლება ყველა მნიშვნელოვანი ხელშეკრულების დამთავრება გამოიწვიონ. ზოგადი სახელშეკრულებო სამართლის მიხედვით, კონტრაქტმა, რა თქმა უნდა, ამ დათქმების გარეშე შეიძლება, დაასრულოს ხელშეკრულებები, თუკი მოვალე გადახდის ვადას გადააცილებს, და შესაბამისად, მოსთხოვოს მას ზიანის ანაზღაურება; მოვალე, პირიქით, ხელშეკრულებით შებოჭილი რჩება, თუკი მას, მაგალითად, დადებული აქვს ქირავნობის გრძელვადიანი ხელშეკრულება და კონტრაქტში არ არის დაინტერესებული ამ ხელშეკრულების დამთავრებით. მმართველი ვერ მოშლის ხელშეკრულებას ქირავნობის უფრო ხელსაყრელი ხელშეკრულების დადების გამო, ანდა, მაგალითად, შედარებით მცირე ფართის დაქირავების მიზნით. იმ შემთხვევების დროსაც, როდესაც გადახდისუუნარობის წარმოების დაწყებისას ხელშეკრულებები აგრძელებს მოქმედებას ხელშეკრულების ზოგადი ნორმების მიხედვით, რეკომენდებულია,<sup>33</sup> რომ ამ

<sup>31</sup> 1974 წლის საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ვადა სხვადასხვა შემთხვევისათვის შეადგენდა 1 ან 2 თვეს.

<sup>32</sup> იხ. როინ მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2006, გვ. 111-113.

<sup>33</sup> UNCITRAL Legislative Guide, Part 2, Chapter E 3 A ნაწილი 132.

ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნები დაკმაყოფილდეს მხოლოდ როგორც კრედიტორთა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები. თუმცა საკითხავია, თუ რამდენად არის ასეთი რამ შესაძლებელი 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის მიხედვით. კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი განმარტავს ახალი კრედიტორის ცნებას, როგორც კრედიტორისას, რომლის მოთხოვნაც წარმოიშვა სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ. მართალია, ქირავნობის ხელშეკრულება (რომელიც დაიდო გადახდისუუნარობის წარმოების დაწყებამდე) არის ყოველთვიური ქირის გადახდის სამართლებრივი საფუძველი, მაგრამ ქირის გადახდის ვალდებულება ყოველთვის იმ თვეს წარმოიშობა, რომელ თვესაც ის უნდა იქნეს გადახდილი. მე-40 მუხლი კიდევ უფრო ცხადად განსაზღვრავს, რომ ვალაუვალობის განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ წარმოშობილი დავალიანებები, უპირატესად, მეორე რიგში უნდა დაკმაყოფილდეს. წარმოების დაწყების შემდეგ ჯერ კიდევ გადასახდელმა ქირის თანხებმა შეიძლება მაშინაც კი ამონაწერს ვალაუვალობის მასის ძირითადი ნაწილი, როდესაც მმართველი საერთოდ არ საჭიროებს დაქირავებულ ფართს, ან სიამოვნებით მოშლიდა ქირავნობის ხელშეკრულებას.

## 8.4 ვალაუვალობის მოთხოვნებისა და შემხვედრი მოთხოვნების

### ურთიერთგაქვითვა

კრედიტორი შესაძლოა იმავდროულად მოვალის მოვალეც იყოს. როგორც მოვალის მოვალე (მესამე ვალდებული პირი), იგი ვალდებულია, მოვალის მოთხოვნა სრული მოცულობით შეასრულოს ვალაუვალობის მასის მიმართ. მაგრამ მას, როგორც კრედიტორს, გადახდისუუნარობის წარმოებაში შეიძლება ჰქონდეს თავისი მოთხოვნების მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილების იმედი. ამიტომაც იგი იმითაა დაინტერესებული, რომ მოახდინოს ორივე მოთხოვნის ურთიერთგაქვითვა. თუკი მას ამის უფლება მისცეს, მაშინ, საბოლოო ჯამში, იგი ერთგვარ უზრუნველყოფილ კრედიტორად წარმოგვიდგება. თუკი მას, კერძოდ, შეუძლია თავისი მოთხოვნის გაქვითვა, ეს უთანაბრდება მოვალისადმი არსებული მისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას. იმავდროულად შემცირდება ვალაუვალობის მასა, რომელშიც შედიოდა, აგრეთვე, ამავე კრედიტორის წინააღმდეგ არსებული მოთხოვნა. ამდენად, ვალაუვალობის მასა ვეღარ გამოიყენება ყველა კრედიტორის დასაკმაყოფილებლად. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გარემოების წარმოშობის მომენტი შეიძლება დადგეს როგორც ვალაუვალობის წარმოების გახსნამდე, ისე მისი გახსნის შემდეგ.

გაც. ვალაუვალობის კანონმა უნდა მონაწილეობს, მოთხოვნათა ასეთი ურთიერთგაქვითვები თუ რამდენადაა დასაშვები ვალაუვალობის წარმოების დროს.

ზოგადად რეკომენდებულია, რომ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, რომელიც დასაშვები იყო ვალაუვალობის წარმოების გახსნამდე, ასევე დასაშვებია წარმოების გახსნის შემდეგაც. იმავდროულად აუცილებელია იმაზე ზრუნვა, რომ ეს უფლება ბოროტად არ იქნეს გამოყენებული. მაგალითად, მესამე ვალდებულმა პირმა შეიძლება მოვალის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის დროს ბევრად უფრო დაბალ ფასად შეისყიდოს კრედიტორებისაგან მათი მოთხოვნები, ვიდრე ამ მოთხოვნების ნომინალური ღირებულებაა. შესაძლოა, კრედიტორები დასთანხმდნენ ამ გარიგებას იმის შიშით, რომ ვალაუვალობის წარმოების შემთხვევაში მათი მოთხოვნები კიდევ უფრო დაბალი კვოტით დაკმაყოფილდება. მესამე ვალდებულ პირს კი შეუძლია, ამ ურთიერთმოთხოვნების გაქვითვით მოვალის მიმართ არსებული საკუთარი ვალდებულებები ბევრად უფრო ნაკლები ფინანსური დანახარჯებით შეასრულოს, ვიდრე მას მოვალისათვის სინამდვილეში უნდა გადაეხადა. ვალაუვალობის მასა შემცირდება, ვინაიდან ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით არავითარი გადახდები აღარ განხორციელდება ვალაუვალობის მასაში.

სხვაგვარი პრინციპია, როდესაც ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა სწორედ ვალაუვალობის წარმოების გახსნის შემდეგ წარმოიშობა. ზოგად ამოსავალ პრინციპად შეიძლება ითქვას ყოფილიყო ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის აკრძალვა. ეს განსაკუთრებულად ცხადი ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი, მაგალითად, ვალაუვალობის წარმოების გახსნის შემდეგ იძენს ვალაუვალობის მასიდან რაიმე ქონებრივ ნივთს. თუკი არ იარსებებდა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის უფლების არანაირი შეზღუდვა, მაშინ კრედიტორს შეეძლო მოვალის მიმართ საკუთარი მოთხოვნა გაექვითა სყიდვის ფასის გადახდის მოთხოვნაში. ამით იგი მიაღწევდა საკუთარი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, მაგრამ შეამცირებდა ვალაუვალობის მასას. ვალაუვალობის კრედიტორებმა შეიძლება ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გარემოება იმგვარადაც გამოიყენონ, რომ თავიანთი მოთხოვნები დაუთმონ მესამე ვალდებულ პირებს. ამ უკანასკნელებმა კი შემდეგ შეიძლება ეს მოთხოვნები გაქვითონ მათ მიმართ მმართველის არსებულ მოთხოვნებთან.

საქმიან ურთიერთობებში ერთი კონცერნის ფარგლებში ხელშეკრულების გაფორმებითა და ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შეთანხმებით არსებობს მრავალი შესაძლებლობა, რომლებიც მიზნად ისახავენ, აღარ ჰქონდეთ ვალაუვალობის მასისადმი დავალიანება და საკუთარ ან სხვა მონაწილე პირთა მოთხოვნების ურთიერთგაქვითვით მიაღწიონ საკუთარი მოთხოვნების შეძლებისდაგვარად მეტ დაკმაყოფილებას.

ფილემას. ვალაუფალობის კანონმა კონკრეტული და წინასწარ გათვლილი პასუხი უნდა გასცეს იმ კითხვას, თუ რამდენად მყარია ასეთი შეთანხმებები ვალაუფალობის შემთხვევაში. მხოლოდ რთული ფინანსური ხელშეკრულებების დროსაა ზოგადად რეკომენდებული, რომ ამ ხელშეკრულებებში მოცემული ჩვეულებრივი დათქმები ნამდვილად იქნეს აღიარებული ერთ-ერთი კონტრაჰენტის ვალაუფალობის შემთხვევაში.<sup>34</sup> მასში მოცემული ჩვეულებრივი „close out netting“ ნიშნავს, რომ ერთ-ერთი კონტრაჰენტის ვალაუფალობის შემთხვევაში ყველა ხელშეკრულება მთავრდება და იქვითება ყველა ურთიერთმხრივი მოთხოვნა. ასეთი პრაქტიკის აღიარება ნიშნავს, რომ ურთიერთმხრივ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით არ მოქმედებს ასევე სხვა ჩვეულებრივი ნორმები, და რომ შესრულებული გადახდები, საბოლოოდ, ნამდვილად ჩაითვლება, ისე, რომ შეცილებაც აღარ არის შესაძლებელი.

#### 8.4.1 ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა 1996 წლის გაკოტრების კანონის მიხედვით

1996 წლის გაკოტრების კანონით ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა მოწესრიგებული იყო მე-13 მუხლის მე-5 პუნქტში. ეს ნორმა ძირითადად შეიცავდა წესებს, რომელთა სარეკომენდაციო ხასიათზეც ზემოთ აღვნიშნავდით. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესახებ შეიძლება განცხადებული ყოფილიყო ასევე გაკოტრების წარმოების დროს, თუკი გაქვითვის გარემოება მანამდე იქნებოდა წარმოშობილი. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საერთოდ იყო აკრძალული, თუკი გაქვითვის გარემოება მხოლოდ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ იყო წარმოშობილი. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გაქვითვა ფორმალურად იყო შესაძლებელი, ის მაშინაც იკრძალებოდა, თუკი გასაქვითი მოთხოვნა შეცილებად გარემოებებში იყო შექცნილი. ამ თავის 8.4 პუნქტში მოყვანილი მაგალითი (ვალაუფალობის მოთხოვნის შესყიდვა მესამე ვალდებული პირის მიერ იმ მომენტისათვის, როდესაც მოვალე უკვე იყო გადახდისუუნარო) შეიძლება ისე გაგვეხილა, რომ გაქვითვა ძირითადად დასაშვებია იყო, ვინაიდან გაქვითვის გარემოება ვალაუფალობის საქმის წარმოების გახსნამდე იყო წარმოშობილი. თუმცა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა დაუშვებელი იყო, როდესაც გასაქვითი მოთხოვნა შეცილებადი სამართლებრივი ქმედებით იყო შექცნილი. წარმოების გახსნის შემდეგ მესამე ვალდებულმა პირმა ვალაუფალობის მოთხოვნის შექცენით შეიძლება მეტი ვეღარ მოიპოვოს გაქვითვის შესაძლებლობა.

<sup>34</sup> UNCITRAL Legislative Guide, Part 2, Chapter H, ნაწილი 208 და შემდგომი ნაწილები.

კომპლექსური ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში გაკოტრების კანონით შეუძლებელი იყო, მარტივად გადაწყვეტილიყო სამართლის ამ ურთულესი დარგის ყველა საკითხი.

#### **8.4.2 ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის მიხედვით**

2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი საერთოდ არ შეიცავს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ნორმებს. ის მხოლოდ წინ წამოწევს ძირითად საკითხს, კერძოდ, სამოქალაქო სამართლის ზოგადი დებულებების მიმართებას გადახდისუუნარობის კანონის ნორმებთან. გადახდისუუნარობის კანონი, მართალია, სანარმოს ვალაუვალობის შემთხვევაში განსაკუთრებულ ნორმებს გვთავაზობს, კერძოდ, როგორც მატერიალურ სამართალში. ისე საპროცესო სამართალში, თუმცა, რამდენადაც ასეთი განსაკუთრებული ნორმები არ არსებობს, მოქმედებას ზოგადი ნორმები აგრძელებს. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისათვის კი ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის დებულებები შეუზღუდავად მოქმედებს. ამდენად, ისინი მაშინაც მოქმედებენ, როდესაც გაქვითვის გარემოება ვალაუვალობის წარმოების გახსნის შემდეგ წარმოიშვა. შესაბამისად, კრედიტორსაც და მესამე ვალდებულ პირსაც გაქვითვისათვის ზემოთ აღნიშნული ყველანაირი შესაძლებლობა ეძლევათ, რაც, წესით, არ უნდა მიეცეთ.

ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის უკიდურესი შემთხვევა შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი რომელიმე ქონებრივ ნივთს მოვალის ქონების აუქციონზე შეიძენს. სყიდვის ფასის გადახდის სანაცვლოდ, კრედიტორმა შეიძლება განაცხადოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესახებ, სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის მიხედვით. არსებული სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს მას ვერც კი აეკრძალება. გადახდისუუნარობის კანონის „საპირისპირო ფანტაზიით“ გამოსაყენებლად მხოლოდ 21-ე მუხლისათვის შეიძლება მიგვემართა. მასში მოწესრიგებულია, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემდეგ კრედიტორს არავითარი გარანტია აღარ შეიძლება მიეცეს. ვალაუვალობის მასიდან ნივთების ყიდვით გაქვითვის გარემოების წარმოშობა, სიტყვასიტყვითი გაგებით, მართალია, არ არის გარანტიის მიცემა, თუმცა, ეკონომიკური თვალსაზრისით, მყიდველი იქცევა უზრუნველყოფილ კრედიტორად, თუკი მას ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის უფლება მიეცემა.

## 9. ვალაუვალობის მასის მართვა და მისი განკარგვის უფლებამოსილება

მხოლოდ ერთეული სამართლებრივი სისტემაა, სადაც ვალაუვალობის წარმოების მიმდინარეობისას მოვალეს უფლება ეძლევა, თავად განკარგოს თავისი ქონება. ყველაზე ცნობილი გამონაკლისია აშშ-ის გაკოტრების კოდექსის (Bankruptcy Code) მე-11 თავი (chapter 11), რომელიც მიზნად ისახავს მხოლოდ მოვალის რეორგანიზაციას და არა მის ლიკვიდაციას. მოვალე წარმოადგენს თავისი ქონების მმართველს, ე.წ. debtor-in-possession. მსგავსი მოწესრიგება არსებობს სხვა ქვეყნების ვალაუვალობის კანონებშიც, რომელთა შესაბამისადაც, მოვალე მეტწილად მმართველის ზედამხედველობით ინარჩუნებს ქონების განკარგვის უფლებას. ამის მიზეზი მუდამ ისაა, რომ მოვალის განსაკუთრებული საბაზრო ცოდნა ნაყოფიერი უნდა გახდეს საწარმოს რეორგანიზაციისათვის. სხვა შემთხვევაში მოქმედებს მმართველის მიერ ვალაუვალობის მასის მართვის პრინციპი. ამისათვის სამართლებრივი სისტემები სხვადასხვა დასახელებას გვთავაზობენ. მმართველს შეიძლება შეზღუდული კომპეტენციები ჰქონდეს, როდესაც ის, მაგალითად, ვალაუვალობის საქმის გახსნის წარმოებაში მხოლოდ დროებით მმართველად ინიშნება. სალიკვიდაციო წარმოებაში არსებული მისი ამოცანები განსხვავდება იმ ამოცანებისაგან, რომლებიც მას რეორგანიზაციის წარმოებაში აქვს. ამასთან, ერთსულოვნება მაშინ არსებობს, როდესაც მმართველი ცენტრალურ როლს ასრულებს ვალაუვალობის კანონის ეფექტური გამოყენებისას. ის განკარგავს მოვალის ქონებას და ვალდებულია დაიცვას იგი, შეინარჩუნოს და გაზარდოს ქონების ღირებულება, დაიცვას კრედიტორებისა და დასაქმებულთა ინტერესები, ასევე იმაზე იზრუნოს, რომ კანონი გამოყენებულ იქნეს ეფექტურად და მიუკერძოებლად. მმართველის კვალიფიკაცია, გამოცდილება და პირადი თვისებები ვალაუვალობის წარმოების ნამდვილობის მიმართ არის ნდობის საფუძველი.<sup>35</sup> ამასთან, ვალაუვალობის კანონები მიუთითებს მმართველის შერჩევის, მისი ანაზღაურებისა და კონტროლის მრავალმხრივობაზე.

ერთსულოვნება არსებობს აგრეთვე იმ თვისებების ზოგად მოთხოვნებშიც, რომლებიც მმართველს უნდა ჰქონდეს. აქ, პირველ რიგში, აღსანიშნავია პროფესიული კვალიფიკაციები, განსაკუთრებით, სამართლის, ეკონომიკისა და საფინანსო ბუღალტერიის დარგებში. ამას გარდა, მმართველს უნდა ჰქონდეს პროფესიული გამოცდილება და კარგი პირადი თვისებები. მას უნდა შეეძლოს ეკონომიკური ხასიათის გადანყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება. მმართველად მეტწილად ფი-

<sup>35</sup> UNCITRAL Legislative Guide, Part 2, Chapter III, 35-ე მუხლი.

ზიკური პირები ინიშნებიან. თუმცა არსებობს ვალაუფვალობის კანონებიც, რომლებიც მმართველად იურიდიულ პირებსაც უშვებენ. ვალაუფვალობის კანონები აგრეთვე იმის მიხედვით განსხვავდებიან, მმართველები უნდა იყვნენ თუ არა რომელიმე სპეციალური პროფესიული ორგანიზაციის წევრები. იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს მმართველის პროფესიული ორგანიზაციის წევრად ყოფნის ვალდებულება, როგორც წესი, ასეთი ორგანიზაციის ამოცანებია თავისი წევრების კვალიფიკაციის შემოწმება და მათი გადამზადების ხელშეწყობა. ამას გარდა, არსებობს ისეთი სამართლებრივი სისტემები, სადაც რომელიმე სახელმწიფო ორგანო ვალაუფვალობის კანონის გამოყენებისას მნიშვნელოვან ამოცანებს ახორციელებს. ასეთი ტიპის სამართლებრივ სისტემებში ამ სახელმწიფო ორგანოს შეუძლია, ასევე თავად დაინიშნოს მმართველი. ეს ხშირად ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ვალაუფვალობის მასა არ არის საკმარისი ვალაუფვალობის წარმოების ხარჯების დასაფარავად. ხოლო თუკი ვალაუფვალობის კანონი არ ითვალისწინებს წესს, რომლის მიხედვითაც ვალაუფვალობის განცხადება შეიძლება უარყოფილ იქნეს მასის სიმცირის გამო, მაშინ მმართველად ხშირ შემთხვევაში სწორედ ეს სახელმწიფო ორგანო ინიშნება.

ყველა წესის მიხედვით, მმართველის შერჩევა კონკრეტული წარმოებისათვის სასამართლოს მიერ ხდება. თუ რომელიმე ქვეყანაში ვალაუფვალობის წარმოებისათვის სპეციალური ორგანო არსებობს, მასაც აძლევენ შესაძლებლობას, დაასახელოს კონკრეტული მმართველი. ხშირად კრედიტორებიც ახდენენ ზეგავლენას მმართველის დასახელებაზე. ეს კი იმ სახით ხდება, რომ კრედიტორებს შეუძლიათ გადააყენონ უკვე დაინიშნული მმართველი. ძალზე იშვიათად, და ისიც მხოლოდ რეორგანიზაციის წარმოებისას, მოვალესაც ეძლევა მმართველის დანიშვნის უფლება. თუმცა ამ შემთხვევაში დიდია იმის საშიშროება, რომ ეს მმართველი არ იქნება ჭეშმარიტად დამოუკიდებელი.

მმართველს აქვს ფართო ფუნქციები. UNCITRAL-მა შეადგინა ჩამონათვალი, რომელიც მმართველის ფუნქციების შესახებ ზოგად წარმოდგენას იძლევა,<sup>36</sup> რაც ნათელს ხდის მმართველის ძირითად როლს ვალაუფვალობის წარმოების წარმატებულად განხორციელებისათვის. იმავდროულად, მმართველის საქმიანობის აუცილებელი კონტროლი სხვადასხვა სახით შეიძლება განხორციელდეს კრედიტორის, მოვალისა და სასამართლოს მეშვეობით. კონტროლისათვის მნიშვნელოვანია მმართველის მიერ ანგარიშების სისტემატური წარდგენა, მისი პირადი პასუხისმგებლობა თავისი მოვალეობების დარღვევისას, ასევე მისი ნებისმიერ დროს გადაყენებისა თუ გადარჩევის შესაძლებლობა.

<sup>36</sup> იხ. დანართი №3.

ვალაუვალობის ნებისმიერ კანონში ერთ-ერთი ძირითადი საკითხია მმართველის ანაზღაურება. აქვე უნდა განვასხვავოთ მისი დანახარჯების ანაზღაურებისა და მის მიერ განეული საქმიანობის გასამრჯელოთი ანაზღაურების საკითხი. დანახარჯები, რომლებიც მმართველს წარმოეშობა თავისი ამოცანების განხორციელებისას, განიხილება როგორც ვალაუვალობის წარმოების ხარჯები, რომლებიც ვალაუვალობის მასიდან უპირატესად უნდა იქნეს გადახდილი. ხოლო მმართველის გასამრჯელოს გამოსაანგარიშებლად არსებობს გამოთვლის სხვადასხვა კრიტერიუმი: არსებობს ანაზღაურება დახარჯული დროის მიხედვით, ასევე, ისეთი სახის ანაზღაურება, რომელიც იანგარიშება ვალაუვალობის მასის კვოტის მიხედვით. მმართველის ანაზღაურების ყველა სისტემას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი ითვალისწინებს ვალაუვალობის მასის მართვის სამ განსხვავებულ ფაზას. გადახდისუუნარობის წარმოების გახსნასა<sup>37</sup> და გაკოტრების ან რეაბილიტაციის წარმოების დაწყებამდე პერიოდში მოვალეს, მეურვეს, კრედიტორებსა და სასამართლოს, რომელთა ურთიერთობებიც ერთმანეთთან არცთუ ისე ცალსახაა, აქვთ თავიანთი უფლებამოსილებები. გაკოტრების წარმოებაში არსებობს გაკოტრების მმართველი, ხოლო რეაბილიტაციის წარმოებისას — რეაბილიტაციის მმართველი. ამ ორივე საქმის წარმოებაში კრედიტორებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ, მაშინ როცა სასამართლოს როლი არცთუ ისე მნიშვნელოვანია. ასევე მოვალესაც არა აქვს გადამწყვეტი როლი.

## 9.1 ვალაუვალობის მასის მართვა გაკოტრებისა და რეაბილიტაციის წარმოების დაწყებამდე

2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის 21-ე მუხლის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის მიხედვით, მოვალე წარმოების გახსნისთანავე<sup>38</sup> ინარჩუნებს თავისი ქონების განკარგვის უფლებამოსილებას. თუმცა მისი ნებისმიერი იურიდიული ქმედება მხოლოდ მეურვის ან სასამართლოს თანხმობითაა დასაშვები. ეს შეზღუდვა შეეხება ყველა სახის ახალ გარიგებას, ასევე ყველა იურიდიულ ქმედებას უკვე არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებით. აღნიშნული მუხლის თავდაპირველი ვერსია ითვალისწინებდა მხოლოდ სასამართლოს თანხმობას. ეს იყო პრაქტიკულად განუხორციელებადი მოწესრიგება. მოსამართლე უნდა ჩაბმულიყო საწარმოს

<sup>37</sup> იგულისხმება გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში მიღება.

<sup>38</sup> იგულისხმება გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში მიღება.



ყველა სამეურნეო საქმეში. თანხმობის საჭიროება ეფუძნებოდა, კერძოდ, არა მხოლოდ განსაზღვრულ, არსებითი ხასიათის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, არამედ, ნორმის სიტყვასიტყვითი გაგებით, იგი შეეხებოდა აგრეთვე მიმდინარე სანარმოო საქმიანობისას მიღებულ ყოველდღიურ გადაწყვეტილებებსაც. ეს კი ნამდვილად არ შეესაბამება მოსამართლის საქმიანობის ფორმებსა და მეთოდებს. გარკვეული სახის პრაქტიკული გადაწყვეტა შეიძლებოდა მოგვეძებნა მხოლოდ კანონის ოდნავ თამამი ინტერპრეტაციით, ვინაიდან მითითება გაკეთდა აუცილებლად დასანიშნი მეურვის კომპეტენციებზე. კანონის 26-ე მუხლის მიხედვით, მეურვე ვალდებულია, შეინახოს სამეურვეო ქონება და დაიცვას იგი დაზიანებისა და განადგურებისაგან. თუმცა არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, იზღუდება თუ არა ამით თვითონ მოვალის უფლებამოსილება და ვალდებულებები. ყველა შემთხვევაში ეს ვალდებულება ემყარება მხოლოდ ქონების სხეულებრივ საგნებს. გარდა ამისა, მეურვემ უნდა განახორციელოს კონტროლი სანარმოს მართვასა და წარმომადგენლობაზე, თუმცა, მეურვეს არავითარი განსაკუთრებული კანონისმიერი უფლებამოსილებები არ ენიჭება. კანონის სიტყვასიტყვითი განმარტებით, სანარმოს საქმიანობის გაგრძელებისას მოვალე, კერძოდ, არ არის დამოკიდებული მეურვის თანხმობაზე. ამასთან, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, მეურვემ უნდა „განახორციელოს ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, რომლებიც დაკავშირებულია სამეურვეო ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვასთან“. თუმცა ეს შეზღუდვები სწორედ იმაშია, რომ მოვალეს მხოლოდ „სასამართლოს თანხმობით“ შეეძლო განეკარგა თავისი ქონება. აქედან გამომდინარე, ამ ნორმის განმარტება ისე შეიძლებოდა, რომ სასამართლოს მაგივრად მოვალისათვის იურიდიული ქმედებების განხორციელებაზე თანხმობა შეეძლო და ვალდებული იყო მიეცა მეურვეს. იმავე „ზ“ ქვეპუნქტში მითითებული სხვა წესის თანახმად, სასამართლომ უნდა გასცეს ნებართვა განჩინების ფორმით, „ამ საკითხზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში“. ნორმის ამ განმარტებით, ისეთი პრაქტიკა შეიქმნებოდა, რომლის მიხედვითაც მოვალეს ვალაუვალობის მასის განკარგვის უფლებამოსილება შემდგომშიც მეურვის თანხმობით ექნებოდა. მხოლოდ მაშინ, როცა ორივე რაიმე საკითხზე ვერ შეთანხმდებოდა, სასამართლოს განჩინებით უნდა მიეღო გადაწყვეტილება. 2009 წლის ცვლილებების კანონით 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ისე შეიცვალა, რომ ეს ყველაფერი უკვე კანონშია მოწესრიგებული. ეს, რა თქმა უნდა, მისასაღმებელია. ამ მოწესრიგებით შეიზღუდა, მაგრამ არ გაუქმებულა სასამართლოს ჩართულობა ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას, თუმცა არ არის მოწესრიგებული, თუ რომელი პროცესის მიხედვით უნდა მიიღოს სასამართლომ გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ მეურვის შემონმებისა და მოხსენების წარდგენის ვალდებულებები. თუმცა გაურკვეველია, ჰქონდა თუ არა კანონმდებელს

ჩაფიქრებული ეკონომიკურ საკითხებში სასამართლოს ასეთი ფართოდ მომცველი ჩართვა. ის ფაქტი, რომ კანონმდებელმა მომრიგებელი საბჭოს მეშვეობით სასამართლოს ჩამოართვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების უფლება, შეიძლება სულ საპირისპირო რამეზე მეტყველებდეს. საწარმოს მართვის საკითხებში სასამართლოს ჩართვა სხვა საფუძვლითაც ქმნის აგრეთვე ერთგვარ პრობლემას. რამდენადაც სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებები განჩინების ფორმით უნდა მიიღოს, საქმე გვექნება ეკონომიკური გადაწყვეტილებების ფორმალიზებასთან. ყველა განჩინება ექვემდებარება კერძო საჩივრით გასაჩივრებას, კერძოდ, ყველა იმ პირის მხრიდან, ვისაც ეს განჩინება შეეხება.

აღნიშნული წესის შემდგომი ხარვეზი ისაა, რომ არავითარი პრევენციული ზომების მიღება არ ხდება უმოქმედო, უუნარო და, საერთოდ, დაბნეული მოვალისათვის. მეურვისა და სასამართლოს თანხმობის ნამდვილი საჭიროება, სახელდობრ, იმას ნიშნავს, რომ მეურვეს ან სასამართლოს თავისი ინიციატივით არ შეუძლიათ გარიგებების შესრულება. ისინი იმით არიან შებოჭილნი, რომ მოვალე ამოქმედდება და თანხმობას მოითხოვს. ამდენად, უმოქმედო ან, საერთოდ, დაბნეული მოვალის შემთხვევაში არ არსებობს ვინმე, ვინც შეძლებდა გარიგებების შესრულებას. მიზანშეწონილი იქნებოდა, თუკი ასეთი შემთხვევისათვის გაფართოვდებოდა მეურვის კომპეტენციების სფერო. თუმცა, გადხდის უუნარობის დღევანდელ წარმოებებში იგრძნობა 1996 წლის კანონის გავლენა, როდესაც მეურვეს გაკოტრების მმართველად მიიჩნევენ იმ ფუნქციებით, რაც გაკოტრების მმართველს ამ კანონით ჰქონდა მინიჭებული. ეს არის სწორედ მიზეზი იმისა, რომ მოვალეც, მიუხედავად ახალი კანონით მისთვის მინიჭებული გაზრდილი უფლებამოსილებისა, მაინც პასიურია. ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ მეურვის კომპეტენციები, სულ მცირე, გაკოტრების დროებითი მმართველის უფლებამოსილებებს მაინც უნდა გაუთანაბრდეს.

ამ საკმაოდ ბუნდოვან სიტუაციას ნათელს ჰფენს წესი, რომელსაც ვხვდებით გაკოტრების წარმოების ნორმებში. 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოფილი კრედიტორები კრედიტორთა მოთხოვნების შესამონმებელი კრების შემდეგ ერთხმად იღებენ გადაწყვეტილებას მოვალის მიერ ახალი ვალების წარმოშობის შესახებ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობენ უზრუნველყოფილი კრედიტორები, მაშინ გადაწყვეტილებას იღებს კრედიტორთა კრება ხმათა უბრალო უმრავლესობით (39-ე მუხლის მე-4 პუნქტი). მოთხოვნების შესამონმებელი კრება თავდაპირველად უნდა ჩატარებულიყო გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში (21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). 2009 წლის ცვლილებების კანონმა აქ გონივრული შესწორება შეიტა-

ნა, რომლის მიხედვითაც გადახდისუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებასა და კრედიტორთა პირველ კრებას შორის შუალედი 30 დღე მაინც უნდა იყოს. ამიტომ კრებაც, ჩვეულებისამებრ, გვიან, ან არცთუ ძალიან გვიან ჩატარდება. მართალია, შეიძლება სხვადასხვა სახის ვალი წარმოიშვას, მაგრამ შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად აქ მხოლოდ კრედიტების აღება მოიაზრება და არა სხვა ვალდებულებებიც, რომლებიც მხოლოდ იმიტომ შეიძლება წარმოიშვას, რომ ხელშეკრულებები დაიდოს.

ვალაუვალობის ნებისმიერ წარმოებაში კრედიტების აღება მნიშვნელოვანი საკითხია. დაფინანსების საკითხთან ერთად, რომელიც შეიძლება უკვე ვალაუვალობის წარმოების გახსნისას წარმოიშვას,<sup>39</sup> შეიძლება მოგვიანებით შეიქმნას სიტუაცია, როდესაც სახეზე აღარ იქნება საკმარისი ლიკვიდური სახსრები საწარმოს საქმიანობის გასაგრძელებლად. საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ხშირად შეიძლება წარმოიშვას ასეთი სიტუაცია, ბუნებრივია, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად გამოვა ვალაუვალობის მასის ღირებულების შენარჩუნება და გაზრდა. ისეთი საწარმოს შემთხვევაში, რომელიც ეკონომიკურად ჯერ კიდევ საქმიანობს, დაფინანსების წყარო უკვე იმით ჩნდება, რომ ვალაუვალობის კრედიტორებზე აღარ მოხდება გადახდები. ხანგრძლივად სიცოცხლისუნარიანმა საწარმომ, აქედან გამომდინარე, უნდა შეძლოს, სულ მცირე, ნამეტი თანხის გამომუშავება. გარდა ამისა, მმართველის განკარგულებაშია შეცილების უფლებები, რომლებმაც შეიძლება ვალაუვალობის მასის გამდიდრებამდე მიგვიყვანოს. ამის მიუხედავად, ვალაუვალობის წარმოების დასაწყისშივე ხშირად წარმოიშობა კრედიტის აღების აუცილებლობა. კრედიტის მიმცემს შეიძლება ჰქონდეს ნდობა იმისა, რომ კრედიტის უკან დაბრუნება უპირატესად მოხდება მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. თუმცა ის, როგორც წესი, ამის გარდა, მოითხოვს საკრედიტო გარანტიებს. თუკი ამისათვის ვალაუვალობის მასიდან გარკვეული ქონებრივი საგნები უნდა დაგირავდეს, მაშინ ჩნდება კითხვა, კრედიტის მიმცემს უნდა მიეცეს თუ არა უპირატესი უფლება იმ ნივთებთან დაკავშირებით, რომლებიც უკვე დაგირავებულია უზრუნველყოფილი კრედიტორების სასარგებლოდ. თუკი ეს შემთხვევა გვექნება, მაშინ აზრი აქვს, რომ კრედიტის აღება მოხდეს მხოლოდ უზრუნველყოფილი კრედიტორების თანხმობით. კანონი აწესრიგებს, რომ უზრუნველყოფილი ნივთები ვალაუვალობის მასაში უნდა დარჩეს (იხ. პუნქტი 8.1.2). თუმცა კანონი მკაფიოდ არ აწესრიგებს უპირატესი დატვირთვის დასაშვებობას კრედიტის ახალი გამცემის სასარგებლოდ. ამასთან, გაუგებარია, მე-40 მუხლის რიგითობიდან რომელი წესი ვრცელდება ამასთან დაკავშირებით.

<sup>39</sup> იხ. ზემოთ პუნქტი 7.2.1.

კრედიტის მისაღებად დაწესებული ბარიერები ძალიან მაღალია, ვინაიდან საჭიროა ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის თანხმობა. ასე რომ, ნებისმიერმა უზრუნველყოფილმა კრედიტორმა შეიძლება თვითნებურადაც დაბლოკოს კრედიტის მიღება. მისი უფლებამოსილება მნიშვნელოვნად სცილდება საკუთარ ინტერესებს. ეს ინტერესები კი მხოლოდ იმით გამოიხატება, რომ მას საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად უნარჩუნდება თავისი უზრუნველყოფილი ნივთის ღირებულება. თუმცა მას შეუძლია აღკვეთოს ვალაუვალობის წარმოების აუცილებელი დაფინანსება მაშინაც კი, როდესაც მისი ინტერესები საერთოდაც არ იქნება ხელშეხებული. ამიტომაც ნამდვილად რეკომენდებულია, რომ კრედიტის აუცილებლად მიღების გადაწყვეტილება ვალაუვალობის წარმოების პირველი თვის განმავლობაში მიღებულ იქნეს უზრუნველყოფილი კრედიტორების ჩართვის გარეშე.

## 9.2 ვალაუვალობის მასის მართვა გაკოტრების მმართველის მიერ

მმართველობის დროითი გადასვლა გაკოტრების წარმოების დაწყებისას ზუსტად არ არის მონესრიგებული, მიუხედავად 26-ე მუხლის მე-5 პუნქტში შეტანილი ცვლილებისა, რომელიც 2009 წელს განხორციელდა. 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, მეურვის უფლებამოსილება მთავრდება, როგორც კი სასამართლო დაამტკიცებს მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებას გაკოტრების წარმოების დაწყების შესახებ. მომრიგებელი საბჭოს ეს გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს 33-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და 25-ე მუხლის მიხედვით. ამასთან, თუკი მოვალე გაკოტრების შესახებ განაცხადებს მე-17 მუხლის მიხედვით, მაშინ გაკოტრების საქმის წარმოება დაიწყება მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე (36-ე მუხლის მე-2 პუნქტი). მაშინაც კი, როდესაც გაკოტრების საქმის წარმოება იწყება მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, წარმოიშობა დროსთან დაკავშირებული ხარვეზი, ვინაიდან გაკოტრების მმართველი ინიშნება სასამართლო განჩინების გამოქვეყნებიდან მხოლოდ 3 დღის ვადაში (37-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

გაკოტრების მმართველთან დაკავშირებით თავდაპირველად მონესრიგებული იყო, რომ იგი ახორციელებს საწარმოს მართვასა და წარმომადგენლობას (37-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). ამით მთავრდებოდა მოვალისა და სასამართლოს უფლებამოსილებები მასის განკარგვასთან დაკავშირებით. აქ 2009 წლის ცვლილებების კანონმა შემოიღო წესი, რომელიც, ერთი შეხედვით, ალბათ, მხოლოდ დეტალურ განხორციელებად შეიძლება მიიჩნიონ. ამ წესის მიხედვით, გაკოტრების მმართველი მენარმეთა კანონის მიხედვით იღებს კონკრეტულად მართვისა და წარმომადგენ-

ლობის ყველა კომპეტენციას. დირექტორებს უჩერდებათ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ეს არ არის პრობლემური, ვინაიდან საქმე ვალაუვალობის მასის მართვას ეხება. თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნული უფლებამოსილება გაკოტრების მმართველს უნდა გადაეცეს. ამასთან, მოვალეს შემდგომშიც უნდა შეეძლოს, რომ ვალაუვალობის წარმოებაში თავისი ინტერესები წარმოადგინოს. სამეწარმეო საზოგადოების შემთხვევაში ასეთი რამ, რა თქმა უნდა, ახალი მონესრიგების მეშვეობით გამორიცხულია, ვინაიდან მას აღარა ჰყავს ქმედუნარიანი წარმომადგენლობითი ორგანოები. ამით ასევე წარმოიქმნება ღია დაპირისპირება 21-ე მუხლის მე-3 პუნქტთან, ვინაიდან ამ ნორმის მიხედვით მოვალის საწარმოს კანონისმიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია, ეს საწარმო ვალაუვალობის წარმოებაში წარმოადგინოს.

გაკოტრების მმართველის არსებითი ამოცანებია: სამეურვეო ქონების აუქციონზე გაყიდვა (38-ე მუხლი), ამონაგების განაწილება (მე-40 მუხლი) და ამის შემდგომ კრედიტორებისა და სასამართლოს მიმართ ანგარიშის წარდგენა (42-ე მუხლი). თუმცა, გაკოტრების მმართველის ასევე მნიშვნელოვანი ამოცანაა ვალაუვალობის მასის მართვა და მასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა, რომლებზეც საუბარი იყო ნაშრომის მე-8 თავში. ეკონომიკურად მოქმედი საწარმოსათვის ამას გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. კანონის ტექსტი ქმნის უფრო მეტად დაკონსერვებული (დახურული) საწარმოს სურათს, რომლის მატერიალური ქონებაც მხოლოდ აუქციონზე უნდა გაიყიდოს. ამ ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს გაკოტრების წარმოება მხოლოდ გაკოტრების მმართველსა და კრედიტორებს შორის მოსახდენი საქმეა. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. ვალაუვალობის წარმოებაში სასამართლოსაც აქვს მნიშვნელოვანი ფუნქციები. მაგალითად, სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, როდესაც წარედგინება განცხადება აუქციონის ვადების შემცირების შესახებ (38-ე მუხლის მე-15 პუნქტი), სასამართლომ უნდა მიიღოს ასევე გადაწყვეტილება 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით უზრუნველყოფილ კრედიტორებსა და სხვა კრედიტორებს შორის დავის შემთხვევაში. დაბოლოს, სასამართლომ უნდა მიიღოს განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების შესახებ (42-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

ძალზე უჩვეულოა კრედიტორებსა და გაკოტრების მმართველს შორის ურთიერთობა. იგი იმ სახითაა მონესრიგებული, რაც, თითქოსდა, განუხორციელებლობის შთაბეჭდილებას ტოვებს. გაკოტრების მმართველსა და კრედიტორებს შორის უნდა დაიდოს ხელშეკრულება, რომელიც მონესრიგებს მმართველის უფლებამოსილების, მისი ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხებს (37-ე მუხლის მე-4 პუნქტი). უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა შეიძლება, 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახ-

მად, შეაჩერონ „კრედიტორთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების“ აღსრულება. 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, საკითხი უნდა გადაწყდეს „ურთიერთშეთანხმების“ გზით; ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

სამართლებრივი შეუძლებლობა იმით გამოიხატება, რომ „კრედიტორები“ ვერ შეძლებენ გაკოტრების მმართველთან ხელშეკრულების დადებას, ვინაიდან ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ კერძო სამართლის სუბიექტებს შორის, „კრედიტორები“ კი არ არიან ასეთი სუბიექტები, ასევე არც კრედიტორთა კრება ან კრედიტორთა კომიტეტი. ამდენად, წმინდა სამართლებრივად შესაძლებელი იქნებოდა, რომ ყველა კრედიტორმა გაკოტრების მმართველთან დადოს ეს ხელშეკრულება. ერთადერთ კრედიტორს, რომელიც ხელშეკრულებას არ დაეთანხმებოდა, შეეძლო ხელი შეეშალა მისი გაფორმებისათვის. კანონის თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, ვივარაუდეთ, რომ აღნიშნული ნორმა შეიძლებოდა მხოლოდ ისე განმარტებულიყო, რომ გაკოტრების მმართველის ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის პირობები განისაზღვროს კრედიტორთა კრების მიერ, ანდა კრედიტორთა კომიტეტის მიერ, თუკი ასეთი შეიქმნა და მას ასეთი ფუნქცია გადაეცა. ამ არგუმენტის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ 39-ე მუხლის მე-2 პუნქტში საუბარია კრედიტორთა მიერ მიღებულ „გადაწყვეტილებაზე“. ამის შემდეგაც დარჩა გარკვეული უცნაურობა, რომ გაკოტრების მმართველის უფლებამოსილებები და მისი პასუხისმგებლობა კანონიერი საფუძვლის გარეშე უნდა განხორციელდეს. ხმათა უმრავლესობის მქონე კრედიტორმა შეიძლება უპრობლემოდ დანიშნოს გაკოტრების მმართველი, რომელსაც გაათავისუფლებს ნებისმიერი პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ, იმავდროულად, მისცემს მალალ ანაზღაურებას. ერთი შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს კრედიტორი ასეთ შემთხვევაში თავისივე ინტერესების საზიანოდ მოქმედებს, მაგრამ, როდესაც იგი ზედა რიგის კრედიტორია, მაშინ მისთვის შეიძლება სულერთი იყოს, მიადგება თუ არა ზიანი ქვედა რიგის კრედიტორებს. ამ წესის შემოღებისათვის კანონმდებლის გადაწყვეტილება იმიტომაც არის გაუგებარი, რომ მეურვის უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობა კანონით არის განსაზღვრული, მისი ანაზღაურების საკითხს კი სასამართლო განსაზღვრავს (26-ე მუხლი).

2009 წლის ცვლილებების კანონმა 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი ხელახლა დეტალურად მოაწესრიგა. თუმცა ამით მან სიცხადე მაინც ვერ შემოიტანა: ჯერ ერთი, რა თქმა უნდა, დადასტურდა ზემოაღნიშნული განმარტება, რომ გაკოტრების მმართველი კრედიტორთა კრების მიერ აირჩევა; მეორეც, ახლა მოწესრიგდა, რომ გაკოტრების მმართველი შეიძლება სასამართლომ დანიშნოს, თუკი კრედიტორთა კრე-

ბაზე გაკოტრების მმართველის არჩევა ვერ მოხერხდა. სხვა მხრივ, აქცენტი იმაზეა გაკეთებული, რომ გაკოტრების მმართველის უფლებები და მოვალეობები, ისევე როგორც მისი პასუხისმგებლობა, კრედიტორებთან დადებული ხელშეკრულებით მონესრიგდეს. სასამართლოსაც მხოლოდ ის უფლებამოსილება აქვს, რომ გაკოტრების მმართველი კრედიტორების მიერ შემოთავაზებულ კანდიდატაგან დანიშნოს. ეს კი, ალბათ, ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ კრედიტორებს სხვადასხვა კანდიდატის წარდგენა შეუძლიათ, რაც სავარაუდოდ, ნიშნავს, რომ სხვადასხვა კრედიტორისაგან სხვადასხვა შეთავაზება შეიძლება გაკეთდეს. დავუშვათ, სულ 5 კრედიტორია. მაშინ თითოეულ კრედიტორს შეეძლო თითო კანდიდატი წარედგინა და ამ კანდიდატთან ხელშეკრულება გაეფორმებინა. კრედიტორთა კრებაზე არა მხოლოდ იმაზე იმსჯელებდნენ, თუ ვისი კანდიდატი უფრო უკეთესი გაკოტრების მმართველია, არამედ — იმაზეც, თუ როგორია ხელშეკრულების სხვა პირობები, რომლებიც ამ კანდიდატებთან შეთანხმდა. ერთი მოითხოვს, ალბათ, მხოლოდ პატარა გასამრჯელოს, თუმცა არ იკისრებს ამისათვის არავითარ პასუხისმგებლობას; მეორე მოითხოვს დიდ გასამრჯელოს, მაგრამ ამისათვის შესთავაზებს დიდ პასუხისმგებლობას და სხვ. კრედიტორთა კრებაზე არჩეული, ანდა სასამართლოს მიერ დანიშნული გაკოტრების მმართველიც მაშინ ხელშეკრულების საფუძველზე იმოქმედებდა, რომელსაც იგი დადებდა ერთ ან რამდენიმე კრედიტორთან. მაშინ იგი, ბუნებრივია, სწორედ ამ კრედიტორების წინაშე იქნებოდა განსაკუთრებით ვალდებული. არ უნდა დავუშვათ, რომ შემდგომში იგი ისევ ყველა კრედიტორის ზემდგომი ინტერესებით იმოქმედებს, როგორც ეს, ჩვეულებისამებრ, გაკოტრების მმართველის სამართლებრივ მდგომარეობას შეესაბამება. კანონის მთავარი ლაიტმოტივი ამის მიხედვით ის იქნებოდა, რომ ცალკეულ კრედიტორებს მოეფიქრებინათ, აქვთ თუ არა მათ ისეთი დიდი ინტერესი გაკოტრების წარმოების განხორციელების მიმართ, რომ ისინი ასევე მზად არიან, გაკოტრების მმართველის თანამდებობაზე ერთ კანდიდატთან გააფორმონ ხელშეკრულება. კანონი ასევე ასკვნის: თუ არცერთმა კრედიტორმა არ წარმოადგინა გაკოტრების მმართველის კანდიდატურა, მაშინ გაკოტრების წარმოება შეწყდება. ამის შემდეგ, მენარმეთა შესახებ კანონის ნორმების შესაბამისად, სანარმო გაუქმდება და ლიკვიდირდება — ასე უნდა იქნეს, ალბათ, გაგებული ლიკვიდაციაზე მითითება 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბოლოში.

### 9.3 ვალაუვალობის მასის მართვა რეაბილიტაციის მმართველის მიერ

რეაბილიტაციის წარმოება მაშინვე დასრულდება, როგორც კი განხორციელდება რეაბილიტაციის გეგმა (52-ე მუხლი). თუმცა გაუგებარია, გულისხმობს თუ არა 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი იმას, რომ რეაბილიტაციისათვის გარკვეული ვადა უნდა დაწესდეს. ამ ნორმიდან ნებისმიერ შემთხვევაში ის გამომდინარეობს, რომ შესაძლებელია განისაზღვროს ვადა რეაბილიტაციისათვის. სხვა მხრივ, რეაბილიტაციის წარმოება სრულდება კრედიტორთა სრული დაკმაყოფილებით, რეაბილიტაციის გეგმის პირობების შესაბამისად (49-ე მუხლი). აქედან ის გამომდინარეობს, რომ რეაბილიტაციის წარმოების დასრულებამდე საქმე ისევ ვალაუვალობის მასასთან გვაქვს, რომელსაც რეაბილიტაციის მმართველი განკარგავს; საქმე კვლავ ვალაუვალობის იმავე წარმოებას ეხება, რომელიც, რეაბილიტაციის გეგმის ჩაშლის შემთხვევაში შეიძლება ისევ გაკოტრების წარმოებაში გადავიდეს (52-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნა და მდგომარეობა 44-ე მუხლში ზუსტად ისევე იყო მოწესრიგებული, როგორც ეს არის 37-ე მუხლში გაკოტრების მმართველის შემთხვევაში. ამასთან, მკაფიოდ იქნა მოწესრიგებული, რომ რეაბილიტაციის მმართველმა უნდა განახორციელოს „მენარმეთა შესახებ“ კანონით სანარმოს დირექტორისა და პარტნიორთა კრებისათვის მინიჭებული ყველა უფლებამოსილება. მოვალის სანარმო ამით სრულად გადადიოდა რეაბილიტაციის მმართველის განკარგვით უფლებამოსილებაში. ამით კი წარმოიშობოდა წინააღმდეგობრიობა 21-ე მუხლის მე-3 პუნქტში მოცემულ წესთან, ვინაიდან მასში გათვალისწინებულია რეაბილიტაციის წარმოებისთვის მოვალის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებების შენარჩუნება.

იმის გარდა, რომ რეაბილიტაციის მმართველის ამოცანები მენარმეთა შესახებ კანონიდან გამომდინარეობდა, სახეზე იყო კიდევ უფრო მეტი შეუძლებლობა იმისა, რომ კრედიტორებს იმავდროულად განესაზღვრათ მისი უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის ფარგლები.

2009 წლის ცვლილებების კანონით განხორციელდა ერთგვარი სასიკეთო ცვლილება. მაშინ როცა მოვალის სანარმოს წარმომადგენლობითი ორგანოები ახლა უკვე გაკოტრების წარმოებაში ყველა უფლებას კარგავენ (იხ. ზემოთ 9.2.), ასეთი რამ რეაბილიტაციის წარმოებაში უკვე აღარ ხდება. კანონის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის ახლად ჩამოყალიბებული რედაქციით, კრედიტორთა კრება განსაზღვრავს რეაბილიტაციის მმართველისა და სანარმოს ხელმძღვანელის უფლებამოსილებებს. ძირითა-



დად გონივრულ წესად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ მოვალის სანარმოს წარმომადგენლობითი ორგანოები შემდგომშიც ახორციელებენ უფლებამოსილებებს, რადგანაც რეაბილიტაციის მიზანი ხომ ისაა, სანარმოს არსებობა გაგრძელდეს რეაბილიტაციის წარმოების დამთავრების შემდეგაც.

ამასთან, ნორმა ისე უნდა განიმარტოს, რომ მისი მეშვეობით წესრიგდებოდეს მხოლოდ რეაბილიტაციის მმართველსა და დირექტორებს შორის კომპეტენციათა შიდა დანაწილება. საქმიან პარტნიორობსა და მესამე პირებთან გარეშე ურთიერთობებში, ასევე თვით პარტნიორობთან ურთიერთობებშიც კი რეაბილიტაციის მმართველი და დირექტორები პასუხისმგებელი იქნებოდნენ ზოგადი მოქმედი დებულებების საფუძველზე. ანალოგიურად უნდა განიმარტოს 50-ე მუხლის მე-2 პუნქტიც. ამ ნორმის თანახმად, კრედიტორები „ზედამხედველობას“ უწევენ რეაბილიტაციის მმართველს რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებაში. ზედამხედველობა არ შეიძლება იმგვარად განიმარტოს, რომ რეაბილიტაციის მმართველი და დირექტორები კრედიტორთა მითითებებს ექვემდებარებიან. რამდენადაც აქაც რეაბილიტაციის მმართველის საქმიანობის საფუძველად კვლავ კრედიტორებთან დადებული ხელშეკრულება დასახელებული, გაკოტრების მმართველის შემთხვევაში გამოთქმული ეჭვები იმავენაირად მოქმედებს (იხ. ზემოთ 9.2.). ისინი უფრო გამკაცრებულია, ვინაიდან რეაბილიტაციის წარმოების შემთხვევაში საქმე მოქმედ სანარმოს ეხება. ამასთან, პასუხისმგებლობის კანონისმიერი ნორმები შეიძლება არასრულფასოვნად მონესრიგდეს კრედიტორებთან დადებული ხელშეკრულებით.

2009 წლის ცვლილებების კანონმა 44-ე მუხლის მე-6 პუნქტში შემოიტანა უჩვეულო ნორმა, რომლის მიხედვით, სანარმოს კაპიტალის გაზრდა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ რეაბილიტაციის მმართველისა და ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის თანხმობით. ეს ნორმა კი უჩვეულო იმიტომაცაა, რომ, ჩვეულებრივ, პრობლემა ისაა, რომ კაპიტალის ასეთი გაზრდა ხშირად აუცილებელია. თუმცა არავინაა მზად იმისათვის, რომ ინვესტიციები განახორციელოს იმ სანარმოში, რომელიც ვალაუვალობის წარმოებაშია.

## 10. ვალაუვალობის კრედიტორთა ცნება

საყოველთაო წესია, რომ მხოლოდ ისინი მიიჩნევიან ვალაუვალობის კრედიტორებად, რომელთაც ჰქონდათ საფუძვლიანი მოთხოვნა ვალაუვალობის წარმოების გახსნის მომენტისათვის. რაც შეეხება მოგვიანებით წარმოშობილ მოთხოვნებს,

ვალაუვალობის კანონი შეიძლება ანესებდეს, რომ ეს კანონი მათ საერთოდ არ შეეხება. ეს შემთხვევა, ძირითადად, გვხვდება ფიზიკური პირის ქონებაზე გახსნილ ვალაუვალობის წარმოებაში, როცა მოვალე ვალაუვალობის წარმოების გახსნის შემდეგ თვითონ იღებს ახალ ვალებს. მაგრამ კანონი შეიძლება იმასაც ანესებდეს, რომ მოგვიანებით წარმოშობილი მოთხოვნები უპირატესად უნდა დაკმაყოფილდნენ. სამენარმეო საზოგადოების ვალაუვალობის შემთხვევაში ახალი ვალები, ძირითადად, მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, თუ მმართველი შემდგომშიც გააგრძელებს საწარმოს საქმიანობას, ანდა იგი მართავს მოვალის ქონებას და ახდენს მის ლიკვიდაციას. ამრიგად, მასის მართვის უფლებამოსილების განხორციელებისას გაკოტრების მმართველი ამყარებს ვალდებულებითსამართლებრივ, აგრეთვე შრომითსამართლებრივ ურთიერთობებს, დებს ხელშეკრულებებს კონტრაჰენტებთან.<sup>40</sup> ამ საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ახალი ვალდებულებები, როგორცაა შესრულების, ანუ გარკვეული გასამრჯელოსა თუ ანაზღაურების (ქირის, ხელფასის, ჰონორარის, ნასყიდობის ფასის და ა.შ.) გადახდის ვალდებულება, წარმოების ხარჯების მსგავსად, მასიდან ვალაუვალობის კრედიტორებზე ადრე უნდა დაკმაყოფილდეს.<sup>41</sup> ამიტომაც ეწოდებათ მათ მასის კრედიტორები. კრედიტორთა ამ ჯგუფის უკეთ გაგებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ასეთი კრედიტორები განვიხილოთ არა მხოლოდ ვალაუვალობის კრედიტორებად, რომელთაც უპირატესი დაკმაყოფილების უფლება აქვთ, არამედ აგრეთვე კრედიტორთა ისეთ ჯგუფად, რომელსაც საგაკოტრებო წარმოება, როგორც ასეთი, საერთოდ არ ეხება. მასის კრედიტორი მმართველის მხრიდან თავისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას ზუსტად ისევე შეიძლება ელოდოს, როგორც ჩვეულებრივი კრედიტორი დაელოდებოდა ვალაუვალობის წარმოების გარეთ თავისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას. მასის კრედიტორს იმის უფლებაც აქვს, რომ სასამართლო გზით ისევე წაუყენოს თავისი მოთხოვნა მმართველს, როგორც, ჩვეულებრივ, ამას მოიმოქმედებდა ნებისმიერი კრედიტორი სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით. ვალაუვალობის კრედიტორი კი, ამის საპირისპიროდ, ჩვეულებრივ, შეიძლება მოელოდეს გაკოტრების მასის სალიკვიდაციო ამონაგებიდან თავისი მოთხოვნის მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებას. გარდა ამისა, იგი იმითაცაა შეზღუდული, რომ ვერ შეძლებს ვალაუვალობის წარმოებაში თავისი უფლებების განხორციელებას. ამასთან, ვალაუვალობის კრედიტორებს ვალაუვალობის წარმოებაში მხოლოდ ორი ძირითადი უფლება აქვთ, კერძოდ: ხმის უფლება კრედიტორთა კრებაზე და მონაწილეობის უფლება ვალაუვალობის მასის ლიკვიდაციით მიღებული

<sup>40</sup> როინ მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, მე-2 გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2006, გვ. 97.

<sup>41</sup> UNCITRAL Legislative Guide, me-2 ნაწილი, V თავი, § 8.

ამონაგების განაწილებაში.<sup>42</sup> მათ უარი ეთქვათ, ვალაუვალობის წარმოების ფარგლებს გარეთ თავისი უფლებების აღსრულებაში. ხმის უფლება აქ დასახელებულია როგორც გადამწყვეტი უფლება წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად. ამონაგების განაწილების უფლება რეორგანიზაციის წარმოებისას შეიძლება გარდაიქმნას დაკმაყოფილების უფლებად ვალაუვალობის გეგმის პირობების მიხედვით.

1996 წლის გაკოტრების კანონში, მიუხედავად მონესრიგების სიმწირისა, ცხადი იყო გაკოტრების (ვალაუვალობის) კრედიტორებსა და მასის კრედიტორებს შორის განსხვავება. ვალაუვალობის კრედიტორთა მოთხოვნების შემდგომი აღსრულება დაუშვებელი იყო მე-11 მუხლის მიხედვით. მათი მოთხოვნები კმაყოფილდებოდა მე-18 მუხლის შესაბამისად მხოლოდ და მხოლოდ გაკოტრების ტაბულის მიხედვით. ამისათვის მათ უნდა განეცხადებინათ თავიანთი მოთხოვნები მე-11 მუხლის მიხედვით. მათი უფლება კრედიტორთა კრებაზე კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ, 22-ე მუხლის მიხედვით, ორიენტირებული იყო მათი მოთხოვნის ღირებულებაზე. მასის კრედიტორებისათვის მე-19 მუხლი აწესრიგებდა, რომ ისინი გაკოტრების მასიდან პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. მათზე არ ვრცელდებოდა ვალაუვალობის კრედიტორებისათვის არსებული წესები. ისინი არ მონაწილეობდნენ წარმოებაში და შეეძლოთ, თავიანთი მოთხოვნები პირდაპირ განეხორციელებინათ გაკოტრების მმართველის წინაშე და, საჭიროების შემთხვევაში, მიემართათ სარჩელით სასამართლოსათვის.

2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი შეიცავს წესებს, რომელთა მეშვეობითაც იშლება განსხვავება კრედიტორების ამ ორ ჯგუფს შორის. მე-3 მუხლის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების მიხედვით, კრედიტორებს ახალი კრედიტორებისაგან განასხვავებენ. მოცემული დეფინიციის მიხედვით, შეიძლება, რომ ახალი კრედიტორები მასის კრედიტორებთან გაგვეთანაბრებინა. მაგრამ ეს მთლად სწორი არ არის, ვინაიდან ხომ შეიძლება, ახალი ვალდებულებებიც წარმოიშვას, რომლებიც არც გაკოტრებისა და არც მასის ვალდებულებებია. ახალი კრედიტორები, თანახმად მე-40 მუხლისა, დაკმაყოფილდებიან მეორე რიგში, სასამართლო ხარჯების შემდეგ. ერთი შეხედვით, ეს თითქოს ისეთი წესია, რომელიც არსებითად არ განსხვავდება 1996 წლის გაკოტრების კანონის მე-19 მუხლში მოცემული წესისაგან, მაგრამ არსებითი განსხვავება ისაა, რომ აქ მასის კრედიტორები განიხილებიან როგორც პრივილეგირებული გაკოტრების კრედიტორები. 29-ე მუხლიდან, რომელიც კრედიტორთა მოთხოვნების წარდგენისა და შემოწმების საკითხს აწესრიგებს, ცალსახად გამომდინარეობს კანონმდებლის აზრი, რომ ახალმა კრედიტორებმაც თავიანთი მოთხოვნები ვალაუვალობის წარმოებაში უნდა განაცხადონ. ეს პრაქტიკულად არ არის განხორ-

<sup>42</sup> UNCITRAL Legislative Guide, me-2 ნაწილი, V თავი, § 1.

ციელებადი. არავინ იქნება მზად იმისათვის, რომ მმართველთან საქმიან ურთიერთობებში შევიდეს, თუკი იგი ვერ მოსთხოვს მას (მმართველს) თავისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას — მან თავისი მოთხოვნა ვალაუფალობის წარმოებაში უნდა განაცხადოს და შემდეგ დაელოდოს მისი დაკმაყოფილების შანსს. კანონის სწორხაზოვანმა გამოყენებამ იქნებ კუროზამდეც მიგვიყვანოს. 29-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნები 30 დღის განმავლობაში უნდა იქნეს გაცხადებული. მოგვიანებით გაცხადებული მოთხოვნები, 30-ე მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდება ბოლო რიგში. 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ ახალმა კრედიტორმა უნდა ივარაუდოს, რომ იგი საერთოდ ვერ დაკმაყოფილდება.

იმისათვის, რომ კანონი პრაქტიკულად გამოყენებადი იყოს, ამოსავალი ისაა, რომ მასის კრედიტორები არ უნდა იყვნენ ვალდებულნი, თავიანთი მოთხოვნები ვალაუფალობის წარმოებაში განაცხადონ, მათ უნდა ჰქონდეთ იმის უფლება, რომ შესრულება უშუალოდ გაკოტრების მმართველს მოსთხოვონ. ეს უკანასკნელიც ასევე უფლებამოსილი უნდა იყოს, უპირატესად დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები. ასეთი პრაქტიკისათვის კანონისმიერი საფუძვლის განმარტება არცთუ ისე ადვილია. ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელი იქნებოდა, რომ, მე-40 მუხლის მე-4 აბზაცის თანახმად, გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია, კრედიტორთა მოთხოვნები ასევე „ნაწილ-ნაწილ გადახდით“ დააკმაყოფილოს. აქედან კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კრედიტორთა დაკმაყოფილება დასაშვებია საწარმოს რეალიზაციის შედეგად მიღებული ამონაგების ჩვეულებრივ განაწილებამდეც. თუ სადავო იქნებოდა მასის კრედიტორის მოთხოვნის მართლზომიერება, მაშინ მისთვის მაინც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ვალაუფალობის მასის მიმართ მოთხოვნის განცხადება. ასე საკითხს სასამართლო გზით ნათელი სწრაფად მოეფინებოდა.

## 11. კრედიტორთა მოთხოვნების დადგენა

საგაკოტრებო წარმოებაში ვალაუფალობის კრედიტორთა უფლებებისათვის (კრედიტორთა კრებაზე კენჭისყრაში ხმის უფლება და ამონაგების განაწილებაში მონაწილეობის უფლება) მნიშვნელოვანია, ზუსტად დადგინდეს მათი მოთხოვნების ოდენობა. ვალაუფალობის კანონმა უნდა მოაწესრიგოს, თუ რა სახით უნდა განაცხადოს კრედიტორმა თავისი მოთხოვნა, რათა შეძლოს წარმოებაში თავისი უფლებების განხორციელება. კანონი ასევე უნდა აწესრიგებდეს, თუ როგორ უნდა მოხდეს შემდეგ მოთხოვნის დადგენა. რამდენადაც კრედიტორებისათვის წარმოებაში მო-

ნაწილეობა წარმოების დასაწყისშივე უნდა იყოს ნებადართული, ანუ მანამდე ვიდრე მათი მოთხოვნები საბოლოოდ დადგინდება, ამიტომ მათი ხმის უფლება ხშირად წინასწარ უნდა განისაზღვროს.

უნდა განაცხადონ თუ არა ასევე უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა თავიანთი მოთხოვნები, იმაზე და მოკიდებული, უზრუნველყოფის საგნები არის თუ არა ვალაუვალობის მასის შემადგენელი ნაწილი. რამდენადაც უზრუნველყოფილ კრედიტორებს შეუძლიათ მოითხოვონ ნივთის მასიდან გამოცალკევება ან განცალკევებით დაკმაყოფილება (იხ. ამასთან დაკავშირებით 8.1 ქვეთავი), ლოგიკურად, მათი მხრიდან მოთხოვნის განცხადება სავალდებულოდ არ მოითხოვება, თუკი უზრუნველყოფის საგნის ღირებულება სრულად უზრუნველყოფს მოთხოვნას. ამასთან, ვალაუვალობის კანონი ნათლად უნდა აწესრიგებდეს უზრუნველყოფილი კრედიტორების საკითხს.

ძირითადი პრინციპის სახით შეიძლება განისაზღვროს, რომ კრედიტორთა ყველა მოთხოვნა შეიძლება განცხადებულ იქნეს. თუმცა ვალაუვალობის კანონები გამონაკლისებსაც ითვალისწინებენ ხოლმე, რომელთა მიხედვით, ზოგიერთი სახის მოთხოვნა შეიძლება საერთოდ არ იქნეს განცხადებული, ანდა ისინი ბოლო რიგში დააკმაყოფილონ. ეს შეეხება არა მხოლოდ ბანქოს ვალებს, არამედ აგრეთვე უცხოურ საგადასახადო დავალიანებებსა და ფულად ჯარიმებს. ამათ ხშირად მიეკუთვნება აგრეთვე პროცენტები, რომელთა გადახდის ვადა მხოლოდ ვალაუვალობის წარმოების გახსნის შემდეგ დგება.

ვალაუვალობის კანონები, ძირითადად, მოთხოვნების განცხადების ვადებსაც ითვალისწინებს ხოლმე. ეს ვადები არ უნდა იყოს მეტისმეტად მცირე, რათა თავიდან იქნეს აცილებული კრედიტორებისათვის უარყოფითი გარემოებები, განსაკუთრებით საზღვარგარეთ მყოფი კრედიტორებისათვის. ამასთან, მოთხოვნის გაცხადების ვადებმა, სხვა მხრივ, არ უნდა გამოიწვიოს წარმოების გაჭიანურება. ის, თუ რამხელა უნდა იყოს ეს ვადები გონივრულობის თვალსაზრისით, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოხდება მოთხოვნათა საფუძვლიანობის შემოწმება. თუკი შემოწმება კრედიტორთა კრებაზე ხდება, მაშინ, ამ საფუძვლიდან გამომდინარე, მოთხოვნათა წაყენების ვადა კრების ჩატარებამდე უნდა მთავრდებოდეს. თუკი მოთხოვნას მხოლოდ და მხოლოდ მმართველი ამოწმებს, მაშინ ვადები შეიძლება უფრო მოქნილი იყოს. მოთხოვნათა შემოწმების სახეზე არის უმთავრესად დამოკიდებული, თუ სად უნდა იქნეს მოთხოვნა წაყენებული — სასამართლოში თუ მმართველთან. მოთხოვნათა შემოწმება, როგორც წესი, გამარტივებული პროცედურით ხდება. ხშირად წესია, რომ მოთხოვნა საფუძვლიანად იქნეს მიჩნეული, თუკი მმართველის ან სხვა

კრედიტორის მხრიდან მოთხოვნის წინააღმდეგ პრეტენზია არ იქნება გაცხადებული. როცა სადავო ხდება მოთხოვნის საფუძვლიანობა, ვალაუვალობის კანონები, როგორც წესი, ითვალისწინებს ხოლმე, რომ სადავო საკითხი სასამართლოს გადაწყვეტილებით მოწესრიგდეს.

### 11.1. 1996 წლის გაკოტრების კანონით დადგენილი წესები

გაკოტრების კანონი ითვალისწინებდა მოთხოვნათა გაცხადებას იმ ვადაში, რომელსაც სასამართლო წარმოების გახსნასთან ერთად ადგენდა. მოთხოვნების გაცხადება ხდებოდა სასამართლოში და მასვე უნდა ეწარმოებინა გაკოტრების ტაბულა. მე-18 მუხლის მიხედვით, მოთხოვნების შემონმება ხდებოდა კრედიტორთა კრებაზე, რომელსაც სასამართლო უძღვებოდა. თითოეული მოთხოვნა ცალ-ცალკე უნდა განხილულიყო. მოვალეს განმარტება უნდა მიეცა მოთხოვნის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით. სასამართლოს ტაბულაში უნდა ჩაენერა, იქნებოდა თუ არა მოთხოვნის საფუძვლიანობა შედავებული მმართველის ან რომელიმე კრედიტორის მიერ. ამის შემდეგ მონაწილეებს<sup>43</sup> შეეძლოთ, მიეღოთ გადაწყვეტილება, მათი დავა სასამართლო გზით გარკვეულიყო თუ არა. მოთხოვნის საფუძვლიანობის სასამართლო გზით გარკვევა უნდა მომხდარიყო, ჩვეულებრივ, სასარჩელო წარმოებაში, გაკოტრების წარმოების გარეთ. სადავო მოთხოვნის მქონე გაკოტრების კრედიტორს სარჩელი იმის წინააღმდეგ უნდა შეეტანა, ვინც შეედავა მის მოთხოვნას (გაკოტრების მმართველის ან მასთან მოდავე კრედიტორის წინააღმდეგ). ხოლო თუკი სადავო მოთხოვნის მქონე კრედიტორს უკვე ჰქონდა სააღსრულებო ფურცელი თავისი მოთხოვნის თაობაზე, მაშინ სარჩელი, პირიქით, მას უნდა შეეტანა, ვინც შეედავებოდა მის მოთხოვნას.

21-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნების განცხადება ამისათვის განკუთვნილი ვადის გასვლის შემდეგ კიდევ შეიძლებოდა მანამდე, სანამ, 27-ე მუხლის მიხედვით, კრედიტორთა უკანასკნელ კრებაზე არ დამტკიცდებოდა გაკოტრების საბოლოო ცხრილი, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო განაწილება. დაგვიანებით გაცხადებული მოთხოვნებიც უნდა შემონმებულიყო კრედიტორთა კრებაზე. თუმცა დაგვიანებით გაცხადებული მოთხოვნები განაწილებისას ბოლო რიგს იკავებდნენ.

იმ აუცილებლობის გათვალისწინებით, რომ სადავო მოთხოვნები ჩვეულებრივი სასარჩელო გზით უნდა განხილულიყო, მათი საფუძვლიანობა შეიძლება გაურკვე-

<sup>43</sup> აქ მონაწილეებში იგულისხმებიან სადავო ურთიერთობების მონაწილენი, კერძოდ, სადავო მოთხოვნის მქონე კრედიტორი და მასთან მოდავე კრედიტორი ან გაკოტრების მმართველი.

ველი დარჩენილიყო დიდი ხნის განმავლობაში, შეიძლება გაკოტრების წარმოების დასრულებამდეც კი. და ეს, საერთოდ, არ შეიძლება მივიჩნიოთ უჩვეულო გარემოებად, ვინაიდან ხშირად კრედიტორს ეკარგება ინტერესი, გაურკვეველი შედეგის პირობებში სასარჩელო გზით გადაამონუმბინოს თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობა, თუკი ის ვარაუდობს, რომ გაკოტრების საქმის წარმოებაში დაკმაყოფილების დაბალ კვოტას მიიღებს, ან შეიძლება საერთოდაც ვერ დაკმაყოფილდეს. ამასთან, ასეთმა გაურკვეველობამ ხელი არ უნდა შეუშალოს გაკოტრების წარმოების მსვლელობას. ამიტომაც 22-ე მუხლი კრედიტორთა კრებაზე კენჭისყრისათვის ითვალისწინებდა, რომ სადავო მოთხოვნების შემთხვევაში მათი ხმის უფლების შესახებ სასამართლო მიიღებდა გადაწყვეტილებას, რომელიც არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას. ამონაგების განაწილების შემთხვევაში, კანონი არ ითვალისწინებდა მსგავს წესებს. 27-ე მუხლის თანახმად, საბოლოო ცხრილი უნდა განხილულიყო კრედიტორთა კრებაზე და იგი სასამართლოს უნდა დაემტკიცებინა. ამ საბოლოო ცხრილში, რომლის საფუძველზეც ხდებოდა განაწილება, შეიძლებოდა მხოლოდ იმ კრედიტორების ჩაწერა, რომელთა მოთხოვნებიც დადგენილი იყო. კანონიდან პირდაპირ არ გამომდინარეობდა, თუ რა უნდა გაკეთებულიყო, როცა ამ მომენტისათვის ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და დაუმთავრებელი იყო ცალკეულ კრედიტორთა სასარჩელო წარმოებები. სწორი იქნებოდა, თუკი იმ აზრამდე მივიდოდით, რომ არ განაწილებულიყო ამონაგების ის ნაწილი, რომელიც შეიძლებოდა, ამ კრედიტორებს მიეღოთ განაწილებისას. 1996 წლის კანონი გარკვეულწილად უშვებდა მასაში თანხების შეჩერებას. მაგალითად, 28-ე მუხლის მიხედვით, დამატებითი განაწილებისას კრედიტორები შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყვნენ აგრეთვე მასაში შეჩერებული თანხებიდან, თუმცა რა პირობებითა და საფუძველზე უნდა მომხდარიყო თანხების მასაში შეჩერება, ამაზე კანონი დუმდა.

## 11.2. 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონით დადგენილი წესები

გადახდისუუნარობის კანონი, 29-ე მუხლის თანახმად, იმეორებს გაკოტრების კანონის იმ ნორმას, რომ მოთხოვნები სასამართლოს უნდა წარედგინოს და შემდეგ კრედიტორთა კრებაზე უნდა შემონმდეს. ამის შემდეგ სასამართლომ გაკოტრების ცხრილიც უნდა შეადგინოს. 2009 წლის ცვლილებების კანონმა შემოიღო იმის საჭიროება, რომ მოთხოვნები დამატებით მეურვესთანაც იქნეს წარდგენილი. სწორია ის, რომ ნაკლებად მიზანშეწონილია მოთხოვნების სასამართლოსათვის წარდგენა.

მოთხოვნათა შემოწმება, კერძოდ, უკვე კრედიტორთა პირველსავე კრებაზე უნდა მოხდეს. ეს კრება მეურვის მიერ უნდა მომზადდეს და მანვე უნდა იკისროს მოთხოვნათა ერთგვარი წინასწარი შემოწმების ფუნქცია. ამიტომ ყველა შემთხვევაში, უფრო პრაქტიკულია, როდესაც მოთხოვნები მეურვესთან არის წარდგენილი. თუმცა უსარგებლო და ზედმეტია, როდესაც მოთხოვნები ახლა უკვე ცალკე სასამართლოს, და ცალკე მეურვესაც წარედგინება. მოთხოვნების წარდგენის ვადას აქ თავად კანონი ადგენს და იგი განისაზღვრება გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადით. მხოლოდ საზღვარგარეთ მყოფი კრედიტორების მოთხოვნებისათვის შეუძლია სასამართლოს, სხვა ვადა განსაზღვროს. ასევე უცვლელი დარჩა ის წესი, რომლის თანახმადაც, დაგვიანებით განცხადებული მოთხოვნები ბოლო რიგში იქნება დაკმაყოფილებული.

30-ე მუხლი შეიცავს წესს, რომ დაგვიანებით განცხადებული მოთხოვნების აღიარების საკითხს სასამართლო წყვეტს. ეს აქამდე არსებულ წესთან შედარებით სიახლეა, ვინაიდან მათი შემოწმება აღარ ხდება კრედიტორთა კრებაზე. ამასთან, სხვაგვარად ხდება მოთხოვნათა შემოწმებაც კრედიტორთა კრებაზე. 29-ე მუხლის მე-3 აბზაცის თანახმად, კრედიტორთა კრებაზე გადაწყვეტილებას მოთხოვნების აღიარებისა ან მისი უარყოფის შესახებ ახლა უკვე სასამართლო იღებს. თუკი 1996 წლის გაკოტრების კანონის მიხედვით, სასამართლო მხოლოდ გაკოტრების ცხრილში ჩანერდა, მოთხოვნა შედავებულ იქნა თუ არა, და ვის მიერ, ახლა უკვე ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით თავად სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნების საფუძვლიანობის შესახებ. კრედიტორთა კრება, რომელზეც მოთხოვნები შემოწმდება, იღებს გარკვეულწილად სასამართლო პროცესის სახეს, რომელიც ყველა კრედიტორის მოთხოვნას განიხილავს. 29-ე მუხლი აქვე აწესრიგებს, რომ კრედიტორებმა თავისი მოთხოვნების დასამტკიცებლად განცხადებას უნდა დაურთონ წერილობითი დოკუმენტები და სხვა მტკიცებულებები. ამას გარდა, მოცემულია წესი, რომლის თანახმადაც, მეურვეს შეუძლია, განმცხადებელ კრედიტორს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია და მტკიცებულებები. ამით მეურვეს გარკვეულწილად მოთხოვნათა წინასწარი შემოწმების ფუნქცია ეკისრება. შემდგომში კრედიტორთა კრებაზე სასამართლოს ამ დოკუმენტებთან ერთად მხოლოდ მეურვისა და „მხარეების“ მოსმენის შესაძლებლობა აქვს. ეს არის ამ კანონის საკმაოდ დიდი განსხვავება 1996 წლის კანონით დადგენილ წესებთან შედარებით. ამასთან, შეიძლება საკითხავი იყოს, თუ რამდენად სწორია ეს წესი. კრედიტორთა მოთხოვნების სიმრავლის გამო გადაჭარბებულად ჩანს მათ წარდგენასთან დაკავშირებული კანონის ეს წესები, განსაკუთრებით იმ მოთხოვნების მიმართ, რომლებიც, ალბათ, სადავო არ არის. შედარებით მცირე, მართლაც, უდავო მოთხოვნათა მიმართ იმის იძულება,



რომ სასამართლომ კრედიტორთა კრებაზე მაშინვე მიიღოს გადაწყვეტილება მათი საფუძვლიანობის შესახებ, წარმოების გადაჭარბებულ დაჩქარებად მიიჩნევა, რაც გადაწყვეტილების ხარისხზე აისახება. კანონი დაწვრილებით არ არეგულირებს, თუ რა ფორმით უნდა მიიღოს და დაასაბუთოს სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება. აქ იმ მოსაზრებას უნდა დავეყრდნოთ, რომ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება განჩინების ფორმით უნდა მიიღოს. ეს განჩინება კი შეიძლება შემდგომში, მე-7 — მე-10 მუხლების შესაბამისად, კერძო საჩივრით დაჩქარებული წესით გასაჩივრდეს. მაშინაც კი, როდესაც კერძო საჩივარს სუსპენზიური ეფექტი არ გააჩნია, მასალების შემდგომ სასამართლოში გადაგზავნით ზარალდება ვალაუფალობის წარმოება. ფაქტობრივად და სამართლებრივად უდავო მოთხოვნების მიმართ კერძო საჩივრის დაჩქარებული წარმოება არ იქნებოდა შესაბამისი წარმოება კვალიფიციური გადაწყვეტილებებისათვის.

1996 წლის კანონისაგან განსხვავებით, ძალზე სწრაფად დგინდება, თუ ვინ მიიღებს კრედიტორის სახით მონაწილეობას ამონაგების მოგვიანებით განაწილებაში. მოთხოვნის დადგენამდე კრედიტორთა კრებაზე ხმის უფლების საკითხთან დაკავშირებით 2007 წლის გადახდისუნარობის კანონი წინააღმდეგობრივ ნორმებს შეიცავს. 31-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნის აღიარებამ, თავდაპირველად, კრედიტორს უნდა შესძინოს უფლება, თავისი მოთხოვნის პროპორციულად მიიღოს მონაწილეობა კრედიტორთა კრებაში. 27-ე მუხლის მე-13 აბზაცი კი კრედიტორთა პირველ კრებასთან დაკავშირებით საპირისპიროდ აწესრიგებს, რომ მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ კრედიტორს, რომელმაც დადგენილ ვადაში წარადგინა თავისი მოთხოვნა. არ არსებობს წესი, რომელიც იქნებოდა 1996 წლის კანონის 22-ე მუხლის მსგავსი, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს ხმის უფლებასთან დაკავშირებით შეეძლო დროებით მიეღო გადაწყვეტილება. ამით კრედიტორი საკმაოდ გაზრდილი მოთხოვნის წარდგენით შეძლებდა კრედიტორთა პირველ კრებაზე თავისთვის დიდი ხმის უფლების მიღებას ან მოითხოვდა კრედიტორთა ახალი კრების მოწვევას, ვინაიდან სახეზე არ იქნებოდა კრების გადაწყვეტილებაუნარიანობა.

### 11.3. პრიორიტეტები მასის განაწილებისას

ვალაუფალობის წარმოების იდეალია ყველა კრედიტორის მიმართ თანაბარი მიდგომა, მაგრამ გაკოტრების კანონების მხოლოდ მცირე რაოდენობა თუ იცავს ზუსტად ამ პრინციპს. არსებობს მრავალი განსხვავებული წესი და არსებობს მრავ-

ვალი საფუძველი კრედიტორთა განსხვავებულად განსახილველად. პრიორიტეტებზე აგებული სიის გასამართლებლად, ხშირ შემთხვევაში, შესავალი იწყება წინადადებით, რომ ვალაუვალობის კანონმა ის კრედიტორები უნდა განიხილოს თანაბრად, რომლებიც თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან. ეს გარემოება კი შემდგომში იძლევა მრავალი არგუმენტაციის შესაძლებლობას უპირატესად დაკმაყოფილების პრეტენზიისათვის. UNCITRAL Legislative Guide-დან ვერ დგინდება ამასთან დაკავშირებით ზოგადად აღიარებული სტანდარტი. ზოგადად მხოლოდ ის არის აღიარებული, რომ საგანგებო რეგულირება ესაჭიროება გაკოტრების მასის მართვისათვის საჭირო ხარჯებსა და უზრუნველყოფილ კრედიტორებს. კრედიტორთა დაკმაყოფილების ზედა ან ქვედა რიგების შესაძლო კატეგორიებად დასახელებულია საგადასახადო მოთხოვნები, დასაქმებულ პირთა ხელფასები, აგრეთვე სანარმოს მესაკუთრეთა და მათთან დაახლოებულ პირთა მოთხოვნები.

თუ ერთმანეთს შევადარებთ 1996 წლის გაკოტრების კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ გაკოტრების ცხრილს და გადახდისუუნარობის კანონის მე-40 მუხლით გათვალისწინებულ ცხრილს, თვალში საცემია, რომ 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონში წარმოების ხარჯები და გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემდეგ წარმოშობილი ვალდებულებები პირველ სამ რიგს იკავებენ. მე-10 თავში იმაზე მივუთითეთ, რომ ეს ხარჯები და მასის ვალდებულებები სულაც არ უნდა იყოს გაკოტრების ცხრილში შეტანილი, თუნდაც გამართლებული იყოს მათი უპირატესად დაკმაყოფილება.

2007 წლის გადახდისუუნარობის კანონში მეოთხე რიგში უზრუნველყოფილი მოთხოვნებია დასახელებული. ესეც უჩვეულო წესია, ვინაიდან განაწილება გაკოტრების ცხრილის მიხედვით ხომ მთელი ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგებიდან ხდება, მაშინ როცა უზრუნველყოფილი კრედიტორების განსაკუთრებული უფლებები უზრუნველყოფის თითოეულ საგანთანაა დაკავშირებული. ამიტომაც არ იყო მოხსენიებული 1996 წლის გაკოტრების კანონის მე-18 მუხლში უზრუნველყოფილი კრედიტორების განსაკუთრებული უფლებები — მათი დაკმაყოფილება მე-20 მუხლის მიხედვით წინასწარ ხდებოდა უზრუნველყოფილი საგნების გაყიდვიდან მიღებული ამონაგებით. 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის 41-ე მუხლის მიხედვით, ჩანს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში მსგავს შედეგამდე მივიღვართ, როცა ვალაუვალობის მასის ქონებრივი საგნები ცალ-ცალკე იყიდება. 41-ე მუხლის წაკითხვა ისე შეიძლება, რომ უზრუნველყოფილი საგნების გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგებიდან თავდაპირველად უნდა მოხდეს უზრუნველყოფილი კრედიტორების ანგარიშსწორება, როგორც ეს არის გათვალისწინებული 1996 წლის გაკოტრების კანონის მე-20 მუხლით.

თუმცა ამ ნორმის ასეთი განმარტება ვერ გაითვალისწინებდა, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორები, მე-40 მუხლის თანახმად, მხოლოდ მეოთხე რიგში უნდა დაკმაყოფილდნენ. ამდენად, ეს წესი გულისხმობს, რომ უზრუნველყოფილი საგნების გაყიდვიდან უპირატესად დაკმაყოფილება აგრეთვე სასამართლო ხარჯები და მასის ვალდებულებები. ხოლო თუკი ისინი სრული მოცულობით დაკმაყოფილდა, მაშინ საქმე შეიძლება უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილებამდეც მივიდეს. ამიტომაც მე-40 მუხლი 41-ე მუხლთან შედარებით უპირატესად უნდა იქნეს გამოყენებული. თუმცა უცნობია, დანახულ იქნა თუ არა კანონის შემუშავებისას საკანონმდებლო რეგულირების ეს თანამიმდევრობა.

თანმიმდევრული იქნებოდა აგრეთვე, თუკი 41-ე მუხლის ნორმას მაშინაც გამოვიყენებთ, როცა საწარმო როგორც ერთი მთლიანობა გაიყიდება. ნორმის ტექსტიდან თუ ამოვალთ, 41-ე მუხლი ამ შემთხვევაში შეიძლება არ გამოვიყენებოდეს. მაგრამ უზრუნველყოფილი კრედიტორების უპირატესი დაკმაყოფილების არსი მოითხოვს, რომ ერთმანეთისაგან განვასხვავოთ, სრული მოცულობით არიან ისინი თუ არა უზრუნველყოფილი, თუ მოთხოვნის ოდენობასთან მიმართებით უზრუნველყოფილი საგნის ღირებულებიდან რაიმე ქვეუზრუნველყოფა გამომდინარეობს. იმ მოცულობით, როგორც ასეთი ქვეუზრუნველყოფა არსებობს, თანმიმდევრული იქნებოდა, თუკი არაუზრუნველყოფილი კრედიტორის მსგავსად მხოლოდ ერთი გადახდა განხორციელდებოდა. ამ თვალსაზრისით ნორმის გამოყენების შედეგად უზრუნველყოფილი საგნების ღირებულება ცალ-ცალკე უნდა დადგენილიყო, თუნდაც შემდეგ საწარმო როგორც ერთი მთლიანობა გაიყიდოს და ამით ერთიანი ფასი მივიღოთ. ზოგიერთ საგანთან დაკავშირებით, რომლებსაც საბაზრო ღირებულება აქვთ, ეს შეიძლება მარტივიც იყოს. სხვა საგნების შემთხვევაში კი ამან შეიძლება სირთულეები შექმნას, რაც ვალაუფლობის წარმოებისათვის უჩვეულო არ არის.

სხვა მხრივ, 2007 წლის გადახდისუნარობის კანონმა შეინარჩუნა საგადასახადო დავალიანებების პრივილეგირება და დაგვიანებით გაცხადებული მოთხოვნების არაპრივილეგირება. 1996 წლის გაკოტრების კანონის საპირისპიროდ, მან ყოველგვარი პრივილეგია წაართვა გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე ბოლო სამი თვის სახელფასო მოთხოვნებს. ამასთან, აქ საქმე ეხება სამართლებრივ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომელთა სიბრძნეც შეიძლება სადავო გახდეს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს საწარმოს გადარჩენისათვის, კერძოდ, თანამშრომლები იმის გამო არ შეწყვეტენ ნაჩქარევად ხელშეკრულებებს, რომ ვერ დაინახავენ ხელფასების ანაზღაურების პერსპექტივას. და ბოლოს, მე-40 მუხლის მეხუთედან მეშვიდე აბზაცებში მოცემულია წესები, რომელთა თანახმადაც, რომელიმე კრედიტორი, სხვა დანარჩენ კრედიტორთა თანხმობით, შეიძლება უპირატესად

დაკმაყოფილდეს. ამ წესის არსი გაურკვეველია, ვინაიდან იმავდროულად მოითხოვება, რომ კრედიტორმა უარი განაცხადოს დაუზუსტებელ მოთხოვნებზეც.

## 12. წარმოებაში კრედიტორთა მონაწილეობა

ვალაუვალობის წარმოებაში კრედიტორთა მონაწილეობისას გასათვალისწინებელია, რომ მათი ინტერესები, როგორც წესი, მმართველის მიერ იმ სახით ხორციელდება, რომ იგი მოვალის ქონებას მართავს, ახდენს მის ლიკვიდაციას და ამონაგებს კრედიტორთა შორის ანაწილებს. გარდა ამისა, ვალაუვალობის კანონები კრედიტორებს შესაძლებლობას აძლევს, სხვადასხვა ინტენსივობით მიიღონ მონაწილეობა წარმოებაში, განსაკუთრებით, მიიღონ აუცილებელი ინფორმაცია საქმის წარმოების განვითარების შესახებ, თუმცა აგრეთვე საკუთარი გადაწყვეტილებებით ზეგავლენა მოახდინონ წარმოების შედეგებზე. ზოგიერთი კანონი კრედიტორებს მხოლოდ ძალიან შეზღუდული მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს, ზოგიერთი კი კრედიტორთა ზეგავლენას ავრცელებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მისაღებია წარმოების მიმდინარეობისას. ეს შეიძლება შეეხებოდეს ქონების მნიშვნელოვანი ნივთების გაყიდვას, თუმცა აგრეთვე მმართველის მიერ კრედიტორების ალებსაც. კრედიტორთა გავლენა შეიძლება ისეთ საკითხებს შეეხებოდეს, როგორცაა, მაგალითად, უნდა წარმართოს თუ არა მმართველმა გარკვეული სასამართლო პროცესები. ზეგავლენა შეიძლება შეეხებოდეს საკითხს, უნდა იქნეს თუ არა აღიარებული ვალაუვალობის კრედიტორთა მოთხოვნები, აგრეთვე იმასაც, თუ როგორ უნდა მოხდეს მმართველის ანაზღაურება. ზოგადი ტენდენციის სახით შეიძლება განიხილებოდეს ის, რომ კრედიტორთა მონაწილეობა, როგორც წესი, რეორგანიზაციის პროცესში უფრო დიდია, ვიდრე წმინდა სალიკვიდაციო პროცესში. რამდენადაც რეორგანიზაციის წარმოებას საფუძვლად გეგმა უდევს, რომელიც კრედიტორებმა კენჭისყრით უნდა დაამტკიცონ, ამიტომ მათი მონაწილეობა სავალდებულოც კი არის.

პრობლემა, რომელიც ვალაუვალობის კანონის პროექტის შექმნისას უნდა იქნეს დანახული, ხშირად კრედიტორთა მზადყოფნის არარსებობაა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ წარმოების პროცესში, ვინაიდან ისინი თავისათვის ვერავითარ უპირატესობებს ვერ ხედავენ. ინტერესი შეიძლება აღიძრას კრედიტორთა მიმართ აქტიური საინფორმაციო პოლიტიკის გატარების ნყალობით. სხვა მხრივ, დანახულ უნდა იქნეს ის საფრთხე, რომ კრედიტორების მოსმენისა და მათი გადაწყვეტილებების მიმართ

ზედმეტად გაზრდილმა მოვალეობამ წარმოება შეიძლება უსარგებლოდ გააჭიანუროს და გაართულოს კიდევ.

წარმოებაში კრედიტორთა კოლექტიური მონაწილეობის ფორმებად მიიჩნევა კრედიტორთა კრებები და კრედიტორთა კომიტეტები. კრედიტორთა კრებასთან დაკავშირებით მოსაწესრიგებელია საკითხი, თუ როდის და რა სიხშირით უნდა იქნეს იგი მოწვეული, ვის შეუძლია მისი მოწვევა, რა სახით წესრიგდება კენჭისყრა და რა საკითხებზე უნდა მიიღონ კრედიტორებმა გადაწყვეტილება. კრედიტორთა კომიტეტებთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან უნდა განასხვავონ ორი სხვადასხვა ფორმა. კრედიტორთა კომიტეტები შეიძლება ისე შეიქმნას, რომ მათ ყველა კრედიტორის ინტერესები წარმოადგინონ. კრედიტორთა კომიტეტი ყველაზე მეტად ემსგავსება სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს. როგორც ეს უკანასკნელი აკონტროლებს გამგობას (დირექტორატს) საერთო კრებებს შორის, რომლებშიც აქციების ყველა მფლობელს შეუძლია მონაწილეობის მიღება, ზუსტად ასევე აკონტროლებს კრედიტორთა კომიტეტი მმართველს. მაგრამ არსებობს ამისაგან განსხვავებული ვალაუფალობის სამართლის პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც შეიძლება სხვადასხვა კრედიტორთა კომიტეტი შეიქმნას. კრედიტორთა ჯგუფებიდან, რომლებსაც განსაკუთრებული ინტერესი აქვთ ვალაუფალობის წარმოებაში, თითოეული ქმნის თავის ცალკეულ კრედიტორთა კომიტეტს და ამით ცდილობენ, გარკვეული ზეგავლენა მოახდინონ წარმოების შედეგზე. კრედიტორთა კომიტეტების სხვადასხვა სტატუსმა შეიძლება ზეგავლენა იქონიოს მათი ნევრების ანაზღაურებაზე. კრედიტორთა კომიტეტის პირველი ფორმის შემთხვევაში გასაგებია, რომ ისინი ანაზღაურებას გაკონტრობის მასიდან იღებენ. საბოლოო ჯამში, ისინი ხომ ყველა კრედიტორის ინტერესებს ემსახურებიან; კრედიტორთა კომიტეტის მეორე ფორმის შემთხვევაში კი იმავე სახით ეს სავალდებულო არ არის.

2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი კრედიტორებს წარმოებაზე ზემოქმედების დიდ შესაძლებლობას ანიჭებს. იგი იცნობს კრედიტორთა კრებაზე და კრედიტორთა კომიტეტებში მონაწილეობის კლასიკურ ფორმებს. ამას გარდა, კანონი სხვადასხვა ადგილას ითვალისწინებს აგრეთვე „უზრუნველყოფილ კრედიტორთა“ ან „კრედიტორთა“ გადაწყვეტილებებს, ისე, რომ გაუგებარია, რა სახით უნდა მოხდეს კრედიტორთა მონაწილეობა.

## 12.1 კრედიტორთა კრება

კრედიტორთა კრებას, როგორც ეს უკვე გვხვდებოდა 1996 წლის გაკოტრების კანონში, უძღვება სასამართლო. მაგრამ მისი მომზადებისა და ორგანიზაციისათვის ახლა მეურვე, ასევე გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველია უფლებამოსილი. კრედიტორთა პირველი კრება თავდაპირველად სავალდებულოდ უნდა ჩატარებულიყო განაცხადის წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღეში (21-ე მუხლი, 1-ლი „ბ“ აბზაცი, 27-ე მუხლი, მე-12 აბზაცი). ეს ვადა ამკარად მოკლე იყო, ვინაიდან, 29-ე მუხლის თანახმად, კრედიტორებს მოთხოვნების წარსადგენად 30-დღიანი ვადა ჰქონდათ. 2009 წლის ცვლილებების კანონმა ამჯერად 21-ე მუხლის 1-ლ „ბ“ პუნქტში მოანესრიგა, რომ წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების გამოქვეყნებიდან კრედიტორთა პირველი კრების დღემდე შუალედი 30 დღე უნდა იყოს. ამდენად, კრედიტორთა ამ პირველი კრებისათვის საბოლოო მომენტი მეტი აღარ არსებობს, მაგრამ კრება არც ძალიან გვიან უნდა შედგეს. კრედიტორთა აღნიშნულ პირველ კრებაზე უნდა შემოწმდეს კრედიტორთა მოთხოვნები (29-ე მუხლი, მე-2 აბზაცი) და მეურვემ უნდა წარმოადგინოს მოხსენება მოვალის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (27-ე მუხლი, მე-14 აბზაცი). თუკი მოვალემ შეიტანა განცხადება მე-17 მუხლის მიხედვით, კრედიტორთა კრებაზე მაშინვე დაინიშნება გაკოტრების მმართველი (27-ე მუხლი, მე-16 აბზაცი). ამას გარდა, კრედიტორთა პირველ კრებაზე მომრიგებელი საბჭოც უნდა შეიქმნას (27-ე მუხლი, მე-18 აბზაცი, 32-ე მუხლი, მე-2 აბზაცი). კანონი იმ მოსაზრებას ეფუძნება, რომ კრედიტორთა პირველი კრება დიდხანს გაგრძელდება, თუმცა იგი მაქსიმუმ 7 დღეს შეიძლება გრძელდებოდეს (27-ე მუხლი, მე-17 აბზაცი), მომდევნო კრებები კი არაუმეტეს 3 დღისა (27-ე მუხლი, მე-11 აბზაცი). კრედიტორთა უმრავლესობის მოთხოვნით მოსამართლემ ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს.

კრედიტორთა კრება თავდაპირველად მხოლოდ მაშინ უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილებაუნარიანი, თუ მას დაესწრებოდა ან წარმოდგენილი იქნებოდა „კრედიტორთა ნახევარზე მეტი“ (27-ე მუხლი, მე-4 აბზაცი). კანონის გაუგებარი ენის გამო, არ იყო ცხადი, თუ ამაში რა იგულისხმებოდა. ერთი მხრივ, შეიძლებოდა აქცენტი მოთხოვნათა ოდენობაზე გაკეთებულიყო, ვინაიდან 27-ე მუხლის მე-7 პუნქტშია მოწესრიგებული, რომ კრედიტორთა კრებაზე კენჭისყრისათვის ერთი ლარის მოთხოვნაზე 1 ხმა მოდის, ხოლო გადაწყვეტილებები კრედიტორთა კრებაზე მიიღება ხმათა უმრავლესობით (27-ე მუხლი, მე-6 აბზაცი). კრედიტორს, რომელიც ხმათა 50%-ზე მეტს ფლობს, თავისი წერილობითი განცხადებით შემდეგი კრებები შეუძლია ზედმეტადაც კი აქციოს. მხოლოდ მისი წერილობითი განცხადება

კრედიტორთა კრების გადაწყვეტილებად ითვლება (27-ე მუხლი, მე-10 აბზაცი). ამ განმარტების საწინააღმდეგოდ შეიძლება გვეთქვა, კანონმდებელმა მოთხოვნათა შემოწმებისას მოანესრიგა, რომ კრედიტორი, რომელსაც ერთი უზრუნველყოფილი და ერთიც არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა აქვს, განიხილოს როგორც ორი კრედიტორი (29-ე მუხლი, მე-4 აბზაცი). ამ წესის არსი, მართალია, ამოუცნობია, მაგრამ კანონი მოთხოვნას და პირს განასხვავებს ერთმანეთისაგან. ამდენად, შემდგომში შეიძლება ასევე დაგვესკვნა, რომ საქმე კრედიტორთა რაოდენობას ეხება, თუკი გადაწყვეტილება უნარიანობისათვის აუცილებელია დამსწრე „კრედიტორთა“ უმრავლესობა. 2009 წლის ცვლილებების კანონით ახლა უკვე სიცხადე იქნა შემოტანილი — ამის მიხედვით, მნიშვნელოვანია, ესწრება თუ არა კრედიტორთა მთლიანი ხმების 51%. ეს კი შესაბამისობაში მოდის იმასთან, რომ კრედიტორთა მეორე კრება გადაწყვეტილება უნარიანია, „მიუხედავად წარმოდგენილ ხმათა რაოდენობისა“ (27-ე მუხლი, მე-8 აბზაცი).

იმ წესთან დაკავშირებით, როდესაც მოიწვევა კრედიტორთა მეორე და შემდგომში მესამე კრება, თუკი მეორე კრება არ შედგება, ან მან ვერ მიიღო გადაწყვეტილება (27-ე მუხლი, მე-9 აბზაცი), ახალი კანონი იმით პასუხობს, რომ კრედიტორთა კრებას ახლა სხვა ფუნქცია აქვს, ვიდრე მას ჰქონდა 1996 წლის გაკოტრების კანონით. წარმოების გაგრძელებისათვის სავალდებულოა, რომ კრედიტორებმა კრებაში მიიღონ მონაწილეობა და იქ მიიღონ გადაწყვეტილებები. ეს გარემოება ყველაზე მეტად ნათელი ხდება გაკოტრებისა და რეაბილიტაციის მმართველის არჩევისას. თუკი მმართველი არ იქნა არჩეული კრედიტორთა კრების მიერ, მაშინ წარმოება ვერ გაგრძელდება. 1996 წლის გაკოტრების კანონის მიხედვით, კრებაზე კრედიტორებს შეეძლოთ წარმოებაზე ზეგავლენის მოხდენა. მათ ასევე შეეძლოთ შეეცვაღათ სასამართლოს მიერ დანიშნული გაკოტრების მმართველიც. თუმცა წარმოება მაშინაც შეიძლება განხორციელებულიყო, როცა არცერთი კრედიტორი არ მიიღებდა კრედიტორთა კრებაში მონაწილეობას. 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი გაურკვეველად ტოვებს საკითხს, თუ რა უნდა მოხდეს, თუკი კრედიტორთა მესამე კრებაზეც არ იქნება გადაწყვეტილება მიღებული. გაკოტრების მმართველის არჩევისათვის ცვლილებების კანონმა 37-ე მუხლის მე-2 აბზაცში შემოიღო წესი, რომ მაშინ ვალაუფალობის წარმოება უნდა შეწყდეს და იმავდროულად უნდა დაიწყოს ლიკვიდაცია. ეს ცნება გულისხმობს ლიკვიდაციას მენარმეთა შესახებ კანონის მიხედვით.

## 12.2 კრედიტორთა კომიტეტი

კრედიტორთა კრება უფლებამოსილია, უბრალო უმრავლესობით შექმნას კრედიტორთა კომიტეტი. მას შეუძლია, მოანსსრიგოს მისი შემადგენლობა და უფლებამოსილებები. კანონი ცალსახად ადგენს, რომ კრედიტორთა კომიტეტი სავალდებულო არ არის (27-ე მუხლი, მე-5 „გ“ აბზაცი და 28-ე მუხლი). თუმცა, პრაქტიკულად, წარმოების ეფექტურად წარმართვისათვის აუცილებელია, ასეც მოხდეს. კანონი ბევრ შემთხვევაში ითვალისწინებს, რომ კრედიტორებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები, თუნდაც ეს ორგანიზაციულად კრედიტორთა კრებაზეც ვერ მოხდეს. მაგალითად, გაკოტრების მმართველი უნდა დაინიშნოს გაკოტრების წარმოების შესახებ განჩინების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში (37-ე მუხლი). ამასთან დაკავშირებით კი საჭიროა, რომ ჯერ ვინმე უფლებამოსილმა პირმა განცხადება შეიტანოს კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე (27-ე მუხლი, მე-3 აბზაცი). სასამართლოს ინიციატივით კრების მოწვევას კანონი იცნობს მხოლოდ პირველი კრების შემთხვევაში. ასეთ დროს კრედიტორთა კრება 5 დღეში უნდა შედგეს. ამასთან, არ არის იმის გარანტია, რომ ეს მიიღწევა, ან იქნება თუ არა კრება გადაწყვეტილებაუნარიანი. შემდგომში უკვე, აუცილებლობის შემთხვევაში, საქმე შეიძლება მეორე და მესამე კრებამდეც მივიდეს.

ამიტომაც რეკომენდებულია, კრედიტორთა კომიტეტი პირველმა კრებამ შექმნას, რომელიც ყოვლისმომცველად წარმოადგენს კრედიტორთა ინტერესებს.

## 12.3 უზრუნველყოფილი კრედიტორები

კანონი უზრუნველყოფილ კრედიტორებს ისეთი სახით ანიჭებს უფლებებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ ეს უფლებები კოლექტიურად უნდა განახორციელონ ან, სულ ცოტა, განიხილონ მაინც. მაგალითად, 39-ე მუხლის 1-ლ აბზაცში საუბარია უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ასეთი გადაწყვეტილება კი მხოლოდ იმ კრებაზე შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომელზეც პრობლემა მანამდე იქნა განხილული. 38-ე მუხლის მე-12 აბზაცის თანახმად, უზრუნველყოფილი და ახალი კრედიტორების შეთანხმებით უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილება შეიძლება მათთვის უზრუნველყოფის საგნების გაცემით მოხდეს. ასეთი რამ ასევე გაგებულ უნდა იქნეს აგრეთვე როგორც კოლექტიური შეთანხმება. და ბოლოს, სარეაბილიტაციო გეგმის დამტკიცება უზრუნველყოფილ



ფილი კრედიტორების თანხმობით ხდება. არცერთ შემთხვევაში კანონი არ შეიცავს სპეციალურ წესებს იმის შესახებ, თუ რა სახით უნდა მოხდეს გადაწყვეტილებების მიღება. იგი ამ საკითხის გადაწყვეტას მიანდობს, ასე ვთქვათ, უზრუნველყოფილი კრედიტორების თვითორგანიზაციას. თუკი ეს ასე არ მოხდება, ვალაუფალობის წარმოებისათვის დადგება ისეთი სამართლებრივი შედეგები, როდესაც ყველა დასახელებულ შემთხვევაში მოთხოვნილი იქნება გადაწყვეტილების ერთხმად მიღება; თუ ეს ასე არ მოხდა, ვერ იქნება აღებული ახალი ვალები და არ მოხდება კრედიტორთა გადაწყვეტილებების შეჩერება (39-ე მუხლის მე-2 პუნქტი), რეაბილიტაციის გეგმა მხოლოდ 47-ე მუხლის მე-2 და მომდევნო მუხლების შესაბამისად განხორციელდება, ხოლო 2009 წლის ცლილებების კანონით ახლად შემოღებული 38-ე მუხლის მე-12 პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტის მიხედვით, მოხდება ქონების გაყიდვა მასში მითითებული წესების შესაბამისად.

## 12.4 კრედიტორები

მე-3 მუხლის „მ“ პუნქტში კანონი განსაზღვრავს, რომ კრედიტორთა გადაწყვეტილებაში მოიაზრება ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება კრედიტორთა კრების ან კრედიტორთა კომიტეტის მიერ. თუმცა არ შეიძლება ამ ორივე კოლექტიური ორგანოს ერთმანეთთან გათანაბრება. კრედიტორთა კრების შემთხვევაში დაწესებულია, თუ როგორ იქმნება აქ გადაწყვეტილებები. კრედიტორთა კომიტეტს კი მხოლოდ ის უფლებამოსილებები აქვს, რომლებსაც მას კრედიტორთა კრება ანიჭებს. როდესაც კრედიტორთა კრება კრედიტორთა კომიტეტს ფართო უფლებამოსილებით აღჭურავს, მხოლოდ მაშინ შეიძლება ამ ორი ორგანოს გადაწყვეტილების ერთმანეთთან გათანაბრება. კანონი ბევრ მუხლში უთითებს კრედიტორთა უფლებამოსილებების შესახებ ისე, რომ არ არის ცალსახა, თუ რა სახით უნდა განახორციელონ მათ ეს უფლებამოსილებები. ხანდახან კი ეს პირიქითაც არის: 39-ე მუხლის მე-4 აბზაცში კონტროლის უფლებამოსილება გამოკვეთილად კრედიტორთა კრებაზეა გადაცემული. თუ ამას სიტყვასიტყვით გავიგებთ, მაშინ გამოდის, რომ კრედიტის აღების შესახებ მაშინაც კრედიტორთა კრებამ უნდა გადაწყვიტოს, როდესაც ამ უფლებამოსილებას კრება ცალსახად კრედიტორთა კომიტეტს გადასცემდა. ვფიქრობთ, ეს არ შეიძლება ამ ნორმის აზრი იყოს. სიტყვასიტყვით თუ გავიგებთ, კრედიტორთა კრება აქ იღებს ასევე უფლებას, შეაჩეროს 39-ე მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული „კრედიტორთა“ გადაწყვეტილებები. მაშინ ეს იქნებოდა უფლება, შეეჩერებინათ საკუთარი გადაწყვეტილებები. ამიტომაც, კანონის

სწორი განმარტების მიზნით, უნდა დავასკვნათ, რომ კრედიტორთა კოლექტიური გადაწყვეტილებებისათვის ყოველთვის კრედიტორთა კრება ან ერთ-ერთი ამ უფლებით აღჭურვილი კრედიტორთა კომიტეტი უფლებამოსილი.

მაშინ, კანონის ცალკეული წესების შემთხვევაში, უნდა გაიმიჯნოს, აქ კოლექტიური გადაწყვეტილება იგულისხმება, თუ საქმე ცალკეული ინტერესის განხორციელებას ეხება. ცალსახად კოლექტიურ ინტერესზე საუბარი გაკოტრების მმართველის უფლებამოსილებების მონესრიგებისას (37-ე მუხლი, მე-4 აბზაცი), აუქციონის პირობების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას (38-ე მუხლი, მე-11 აბზაცი), რეაბილიტაციის გეგმის წარდგენისათვის განკუთვნილი ვადის გაგრძელებისას (43-ე მუხლი, მე-2 აბზაცი) და რეაბილიტაციის მმართველის არჩევისას (44-ე მუხლი). სხვა დანარჩენ შემთხვევაში, როცა სასამართლო კრედიტორთა უფლებამოსილებებზე საუბრობს, საქმე მათ ინდივიდუალურ უფლებამოსილებებს შეეხება. ეს მაშინ ხდება, როცა კრედიტორთა თანხმობით, შეიძლება მოთხოვნათა დაკმაყოფილების რიგითობა შეიცვალოს (მე-40 მუხლი, მე-2, მე-5, მე-6 აბზაცი) და როცა საქმე შეეხება რეაბილიტაციის გეგმაში ვალების შეცვლის შესახებ თანხმობას (49-ე მუხლი). სხვა წესების შემთხვევაში, შეიძლება ფიქრი ინტერესთა კოლექტიურ და ინდივიდუალურ განხორციელებაზე. ეს შეეხება, მაგალითად, ზედამხედველობას რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებაზე (50-ე მუხლი, მე-2 აბზაცი). 2009 წლის ცვლილებების კანონით აღნიშნული გარემოება ახლა უკვე გარკვეულიცაა: ერთი მხრივ, ზედამხედველობა ხორციელდება კოლექტიურად კრედიტორთა კრების მიერ; მეორეს მხრივ, ცალკეულ ნებისმიერ კრედიტორსაც შეუძლია, ასეთი ზედამხედველობა განახორციელოს იმგვარად, რომ გაეცნოს მოვალის წლიურ ანგარიშსა და რეაბილიტაციის გეგმას (50-ე მუხლი, მე-2 პუნქტი). ძალზე ძნელია 51-ე მუხლში გათვალისწინებული წესის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც, „კრედიტორებს“ შეუძლიათ რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებების შეტანა.

### 13. მოვალის სამართლებრივი სტატუსი წარმოებაში

მოვალის სამართლებრივი სტატუსი, მისი უფლებები და მოვალეობები მნიშვნელოვანწილად იმით იკვეთება, რომ საწარმო ვალაუვალი ხდება. ვალაუვალობის დადგომამდე მოვალე არა მხოლოდ ფორმალურად იყო საწარმოს მესაკუთრე, არამედ იგი ის პირიც იყო, რომელსაც, პირველ რიგში შეეხო საწარმოს წარმატება თუ წარუმატებლობა. როცა ჩნდებოდა დანაკლისი, ის მოვალეს უნდა ეტვირთა. ეს

გარემოება იცვლება, როცა მოვალე ვალაუფალი ხდება. მოვალის საკუთარი კაპიტალი, როგორც წესი, უკვე ღირებულებადაკარგულია. ქონების ნებისმიერი შემცირება ახლა უკვე კრედიტორებს აზარალებს. ამ საფუძვლიდან გამომდინარე, ვალაუფალობის წარმოებას შედეგად უკვე ის მოსდევს, რომ მოვალის ქონებაზე კონტროლი კრედიტორთა ერთობლიობაზე გადადის.<sup>44</sup>

თუმცა მოვალეს ძირითადი უფლებები მაინც უნარჩუნდება. ამაში შედის მისი უფლება, თვითონ დაიცვას თავი ვალაუფალობის წარმოების გახსნისაგან. ყოველ შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა წარმოება კრედიტორებისაგან აღიძრება, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ წარმოება ვალაუფალობის წარმოების გახსნის თვალსაზრისით და უკვე გახსნილი წარმოება. მხოლოდ გახსნილ წარმოებაში, რომელიც კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება, ვლინდება მოვალის დაქვემდებარებული როლი. ამ დროსაც უნდა შეუნარჩუნდეს მას უფლება, მოუსმინოს სასამართლომ და მიიღოს ინფორმაცია წარმოების მსვლელობის შესახებ. ამას გარდა, მოვალე, როგორც წესი, თეორიულად მაინც ინარჩუნებს ქონების უკან დაბრუნების არსებულ უფლებას, რომელიც შეიძლება ზედმეტად დარჩეს კრედიტორთა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ. რეორგანიზაციის წარმოებაში მისი უფლებები შეიძლება კიდევ უფრო გაფართოვდეს, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, რეორგანიზაციის გეგმა შემდგომში მოვალემაც უნდა განახორციელოს. სხვა მხრივ, ვალაუფალობის კანონში ყოველთვის უნდა იყოს გატვალისწინებული ის, რომ მოვალეებმა წარმოებაში საერთოდ აღარ მიიღონ მონაწილეობა. ამიტომაც კანონი არ შეიძლება შეიცავდეს ისეთ წესებს, რომლებიც ამ შემთხვევაში შეუძლებელს გახდიდნენ წარმოების გაგრძელებას.

მეორე მხრივ, მოვალეებს განსაკუთრებული ვალდებულებები აქვთ; ამასთან, აუცილებელია, ეს ვალდებულებები უკვე წარმოების გახსნისას არსებობდნენ.<sup>45</sup> უპირველეს ყოვლისა, ეს ვალდებულებები გამოხატულია ფართო მოვალეობაში — მოვალემ გასცეს ინფორმაცია საწარმოს ყველა საქმის, ქონებისა და ვალდებულებების შესახებ. ეს მოვალეობა ეფუძნება არა მხოლოდ აქტუალური მომენტისათვის არსებულ მდგომარეობას, არამედ აგრეთვე ადრე არსებულ ყველა სახის ეკონომიკურ აქტივობასაც. თანაც, იგი არა მხოლოდ იმ სახით უნდა არსებობდეს, რომ ინფორმაცია გასცეს მმართველის ან სასამართლოს მოთხოვნით, არამედ მოვალე ვალდებული უნდა იყოს, თავისი ინიციატივით, მონესრიგებულად წარმოადგინოს ინფორმაციები (კრედიტორთა და მოვალეთა სიები, ხელშეკრულებები და ა.შ.). მოვალე ვალდებული უნდა იყოს, ინფორმაციის გაცემის გარდა, დაეხმაროს მმართველს და

<sup>44</sup> UNCITRAL Legislative Guide, მე-2 ნაწილი, III თავი, 34-ე პარაგრაფი.

<sup>45</sup> UNCITRAL, Legislative Guide, მე-2 ნაწილი, III თავი, 22-ე პარაგრაფი.

მზად იყოს მასთან თანამშრომლობისათვის. ამაში შედის მისი მთავარი მოვალეობა, წარუდგინოს მმართველს ქონების ყველა საგანი და მთელი საქმიანი დოკუმენტაცია. ამასთან, მმართველთან თანამშრომლობის მოვალეობა შეიძლება მოიცავდეს აგრეთვე მოვალეობასაც, რომ იგი დაეხმაროს მას საზღვარგარეთ არსებული ქონების მოძიებაში. ხანდახან ისეც ხდება ხოლმე, რომ მხოლოდ მოვალეს, და არა მმართველს, მიუწვდება ხელი ამ ქონებაზე. ამიტომაც ვალაუვალობის კანონი იმაზეც უნდა ზრუნავდეს, რომ იძულებითი გახადოს მოვალის ვალდებულებები. სხვა მხრივ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ინფორმაციის გაცემით მოვალემ შეიძლება თავი საფრთხეში ჩაიგდოს და მის მიმართ აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა ჩადენილი დანაშაულის გამო, ანდა ინფორმაციები იყოს საწარმოო საიდუმლოება, რომლის გაცემითაც ცალკეული კრედიტორი შეიძლება პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფორმაციის გაცემის კონფიდენციალურობა.

წმინდა სალიკვიდაციო წარმოების ფარგლებში არსებობს ფართოდმომცველი თანხმობა მოვალის ამ სამართლებრივი სტატუსის შესახებ. თუმცა არ არსებობს საყოველთაო თანხმობა იმის ირგვლივ, არის თუ არა მოვალის ეს დაკნინებული როლი სათანადო მაშინაც, როცა საქმე არა მხოლოდ საწარმოს ლიკვიდაციას, არამედ რეორგანიზაციის წარმოებასაც ეხება, ანდა როცა საქმე ეხება საწარმოს, როგორც ეკონომიკურად მოქმედი ერთი მთლიანობის, გაყიდვას. ვალაუვალობის ზოგიერთი კანონი ამ წარმოებებში მოვალეს ფართო უფლებებს ანიჭებს. ამასთან, კანონები შუალედურ პოზიციას იკავებენ, რითაც მოვალეს აძლევენ შესაძლებლობას, გააგრძელოს საწარმოს საქმიანობა მმართველის, სასამართლოს ან ასევე კრედიტორთა მეთვალყურეობისა თუ კონტროლის ქვეშ. კანონებმა ასეთ შემთხვევაში ზუსტად უნდა გამიჯნონ არსებული უფლებამოსილებები. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კანონები, რომლებიც რეორგანიზაციის წარმოებაში მოვალეს შესაძლებლობას აძლევენ, როგორც საკუთარმა მმართველმა, ისე გააგრძელოს საქმიანობა თავისი საწარმოს ფუნქციონირებისათვის (debtor-in possession). აქედან გამომდინარე პრობლემები ძალზე რთულია და მოითხოვს კარგად აპრობირებულ წესებსა და, შესაბამისად, ვალაუვალობის წარმოების კარგად ფუნქციონირებად პრაქტიკას.

მოვალის აქტიური როლის უპირატესობად ის მიიჩნევა, რომ იგი საუკეთესოდ იცნობს საკუთარ საწარმოს და მას ყველაზე ადრე შეუძლია რეაბილიტაციის გეგმის შედგენა. გარდა ამისა, თავისი საწარმოს ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობამ მოვალეს შეიძლება მისცეს საბაზი იმისა, რომ მან, რაც შეიძლება დროულად, შეიტანოს ვალაუვალობის განცხადება, თუკი ჯერ კიდევ არსებობს რეორგანიზაციის შესაძლებლობა; თუმცა მოვალის ასეთი ძლიერი როლის საწინააღმდეგოდ

შეიძლება ის მეტყველებდეს, რომ კრედიტორებს დაკარგული აქვთ ნდობა მოვალისადმი, რაც ხელს უშლის მათ მზადყოფნას, ითანამშრომლონ მასთან. ვალაუფალობის წარმოებაში მოვალის ინტერესები, ისევე როგორც კრედიტორთა ინტერესები, არაა ერთი მიმართულების. თუ მოვალეს უფლება აქვს, გააგრძელოს თავისი საწარმოს საქმიანობა, მაშინ ამით ძირი ეთხრება ვალაუფალობის წარმოების მიზნებს. კერძოდ, ყოველთვის არსებობს იმის საფრთხეც, რომ მოვალე თავისი შიდა კონფიდენციალური ცოდნის მეშვეობით რეორგანიზაციისას მნიშვნელოვან უპირატესობებს მოიპოვებს.

2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის 21-ე მუხლის მე-3 აბზაცში, ძირითადად მონესრიგებულია, რომ მოვალეს შეუძლია, ვალაუფალობის წარმოებაში წარმოადგინოს თავისი უფლებები. ამას მიეკუთვნება მისი უფლება, მოსმენილ იქნეს გახსნის წარმოებაში (22-ე მუხლი). ვალაუფალობის წარმოების გახსნის შემდეგ მას შეუძლია მხოლოდ მეურვის, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში — სასამართლოს თანხმობით განკარგოს საკუთარი ქონება (21-ე მუხლი, მე-2 „ა“ პუნქტი). 24-ე მუხლის თანახმად, მან მეურვესა და კრედიტორებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მას შეუძლია აღძრას შუამდგომლობა მეურვის აცილების შესახებ (26-ე მუხლი, მე-6 აბზაცი) და მონაწილეობა მიიღოს კრედიტორთა კრებაში (27-ე მუხლი, მე-13 აბზაცი); მას უფლება აქვს აგრეთვე მოითხოვოს კრედიტორთა კრების მოწვევა (27-ე მუხლი, მე-3 აბზაცი). არ არის მონესრიგებული მოვალის ცალსახა ვალდებულება კრედიტორთა კრებაში მონაწილეობის შესახებ. როდესაც კრედიტორთა პირველ კრებაზე მოხდება მოთხოვნათა შემონიშვნა, მაშინ, 29-ე მუხლის მე-3 აბზაცის თანახმად, სასამართლომ ამასთან დაკავშირებით „მხარეებს“ უნდა მოუსმინოს. უპრიანია, თუკი მოვალე ესწრება კრებას და გამოთქვამს მოსაზრებას მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ, თუმცა იქ არ არის გარკვევით მონესრიგებული მოვალის მონაწილეობის სავალდებულობის საკითხი. 2009 წლის ცვლილებების კანონით შეიძლება დავუშვათ, რომ ასეთი ვალდებულება შემოღებულ იქნა, რომლის შესაბამისად, სასამართლომ, კერძოდ, გადანყვეტილება უნდა მიიღოს „მოვალის მიერ მოთხოვნის აღიარების ან უარყოფის მიხედვით“. ეს კი მაშინაა შესაძლებელი, როდესაც მოვალეც ესწრება კრებას. ამასთან, კანონი არ ითვალისწინებს არავითარ წესს ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც მოვალე, ფაქტობრივად, არ ესწრება კრებას. ამიტომ უნდა ჩავთვალოთ, რომ სასამართლო მაშინაც (ანუ მოვალის არარსებობის შემთხვევაშიც) მიიღებს გადანყვეტილებას წარდგენილ მოთხოვნების საფუძვლიანობის შესახებ.

ნამდვილად არ არის პრივილეგია მოვალის უფლება, რომ მაშინ შეიტანოს ვალაუფალობის განცხადება, როცა მას გადახდისუუნარობა ემუქრება. ამას მხოლოდ

მაშინ ექნებოდა აზრი, თუკი იგი შეძლებდა ზეგავლენის მოხდენას რეაბილიტაციის წარმოების მიმართულებით, მას კი, პირიქით, მხოლოდ გაკოტრების საქმის წარმოების აღძვრა შეუძლია (მე-17 მუხლი). ეს რომ მისთვის უპირატესობა არ არის, უკვე იქიდანაც ვლინდება, რომ გაკოტრების წარმოება სანქციის სახითაა გათვალისწინებული, თუ იგი სასამართლოს წინაშე ორჯერ არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება (23-ე მუხლი). კანონის მიხედვით, მას შეუძლია, საკუთარი ინიციატივით ან კრედიტორთა კრების გადაწყვეტილებით მოამზადოს რეაბილიტაციის გეგმა (46-ე მუხლი, 1-ლი აბზაცი) და რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადებისას მასთან კონსულტაციებიც უნდა აწარმოონ (46-ე მუხლი, მე-2 აბზაცი), მაგრამ მას არ შეუძლია გეგმაზე გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენა და რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებისას მას არ გააჩნია თავისი საწარმოს არანაირი განკარგვის უფლებამოსილება. საბოლოო ჯამში, აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მოვალეს არ შეუძლია მოელოდეს ვალაუვალობის წარმოებიდან რაიმე უპირატესობას. თუმცა გაუგებარია, რომელი სამართლებრივ-პოლიტიკური მისაზრებებიდან გამომდინარე გადაწყვიტა კანონმდებელმა, წარმოების გახსნის შემდეგ მოვალეს ისევ დარჩეს თავისი ქონების განკარგვის უფლება. ცხადია, მოვალეს ვალაუვალობის განცხადების შეტანა აიძულა მხოლოდ განცხადების შეტანის ვალდებულებამ, მენარმეთა შესახებ კანონის მიხედვით.

## 14. მომრიგებელი საბჭო

მომრიგებელი საბჭო კოლევიალური ორგანოა, რომელიც ასეთი ფორმით ვალაუვალობის სხვა კანონებში ცნობილი არ არის. იგი შედგება სამი წევრისაგან და იქმნება კრედიტორთა პირველ კრებაზე მოთხოვნათა შემომწმების დასრულებისთანავე (32-ე მუხლი, მე-2 აბზაცი). ერთ წევრს ირჩევს კრედიტორთა კრება, მეორე წევრს კი მოვალე ნიშნავს; ორივე წევრმა კი შემდეგ მესამე წევრი უნდა შეარჩიოს. კანონი მიმართავს სათანადო ზომებს იმ შემთხვევისათვის, როდესაც კრედიტორთა პირველი კრება ერთ წევრს ვერ აირჩევს, და ასევე იმ შემთხვევისათვის, როდესაც პირველი ორი წევრი ვერ შეთანხმდებიან მესამე წევრზე. ამ ორივე შემთხვევაში გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს. თუმცა არ არსებობს წესი იმ შემთხვევისათვის, როდესაც მოვალე არავის დანიშნავს.

მომრიგებელმა საბჭომ ცენტრალური საკითხი უნდა გადაწყვიტოს, კერძოდ, გაკოტრების წარმოება უნდა განხორციელდეს თუ რეაბილიტაციის წარმოება. გა-

დანყვეტილების მესამე შესაძლებლობის სახით მხედველობაში მისაღები ვალაუფალობის წარმოების შეწყვეტა, როდესაც არ არსებობს ვალაუფალობის წარმოების წინაპირობები (33-ე მუხლი, მე-3 აბზაცი). კვალიფიკაციის სახით წევრებისათვის თავდაპირველად მხოლოდ ის იყო გათვალისწინებული, რომ ისინი ქმედუნარიანი არიან (32-ე მუხლი, მე-7 აბზაცი). მეურვის შემთხვევაში (მუხლი 26, 1-ლი აბზაცი), ასევე გაკოტრების მმართველისა (37-ე მუხლი, მე-3 აბზაცი) და რეაბილიტაციის მმართველის (44-ე მუხლი, მე-3 აბზაცი) შემთხვევაში გათვალისწინებულია სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც. გარდა ამისა, ამ ორგანოებს, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვებათ, რომ ისინი დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. მომრიგებელი საბჭოს წევრებისათვის კი ეს გათვალისწინებული არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ მომრიგებელი საბჭო უფრო მეტად არბიტრაჟს ემსგავსება. კანონმდებელს, ალბათ, იმის იმედი ჰქონდა, რომ მოვალის და კრედიტორთა კრების მიერ არჩეული „მიკერძოებული“ წევრები მესამე წევრის მიერ იქნებოდნენ განეიტრალებულნი. 2009 წლის ცვლილებების კანონმა ახლა უკვე შემოიღო, რომ მომრიგებელი საბჭოს ყველა წევრი დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კეთილსინდისიერი უნდა იყოს და გარდა ამისა, უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უმაღლესი განათლება (32-ე მუხლი, მე-7 პუნქტი). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ნორმები იმის შესახებ, იღებენ თუ არა ანაზღაურებას მომრიგებელი საბჭოს წევრები და როგორ უნდა მოხდეს საერთოდ ანაზღაურების დადგენა. აქედან გამომდინარე, მათ ანაზღაურების გარეშე უნდა იმუშაონ.

აზრი არა აქვს მომრიგებელი საბჭოს არჩევას, როცა მოვალე, მე-17 მუხლის მიხედვით, თვითონ შეიტანს გაკოტრების განცხადებას. 27-ე მუხლის მე-16 აბზაციის მიხედვით, კრედიტორთა პირველსავე კრებაზე ხომ გაკოტრების მმართველი უნდა აირჩეს. ამით გაკოტრების წარმოებაც მაშინვე დაწყებულად მიიჩნევა (36-ე მუხლი, მე-2 აბზაცი). მართალია, არ არსებობს ცალსახად მომრიგებელი საბჭოს შექმნის ვალდებულებისაგან გამონაკლისი, თუმცა პრაქტიკულად მას გადასაწყვეტად რჩება მხოლოდ საკითხი ვალაუფალობის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ამას შედეგად კუროიზი მოჰყვებოდა, თუკი მმართველი აუქციონს ატარებს მაშინ, როცა მომრიგებელი საბჭო პარალელურად იმაზე ბჭობს, უნდა შეწყდეს თუ არა წარმოება იმის გამო, რომ არ არსებობს გაკოტრების საფუძველი.

მომრიგებელი საბჭო გადაწყვეტილებებს ხმათა უმრავლესობით იღებს. ამასთან, კანონი ადგენს, რომ თავის შეკავების უფლება არცერთ წევრს არ აქვს (32-ე მუხლი, მე-8 აბზაცი). კანონი არ შეიცავს ნორმებს ან მითითებებს იმის თაობაზე, თუ მომრიგებელმა საბჭომ რა კრიტერიუმების მიხედვით უნდა მოახდინონ არჩევანი გაკოტრების საქმის წარმოებასა და რეაბილიტაციის წარმოებას შორის. ივარაუ-

დება, რომ მას გადაწყვეტილებების მიღება საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია. გადაწყვეტილებების მიღების თაობაზე მხოლოდ ისაა მონესრიგებული, რომ ოქმი სამივე წევრის მიერ უნდა იყოს ხელმოწერილი. არ არსებობს წესები იმის შესახებ, ოქმი რას უნდა შეიცავდეს, არც იმის შესახებ არსებობს ნორმა, რომ გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებები უნდა გამოქვეყნდეს (33-ე მუხლი, მე-7 აბზაცი, 25-ე მუხლთან კავშირში). აქ ერთი უცნაური პარალელი იკვეთება იმავდროულად გათვალისწინებულ სასამართლოს განჩინებებთან ერთად: მომრიგებელი საბჭოს მიერ საქმის წარმოების შეწყვეტისას გათვალისწინებულია სასამართლოს განჩინება 34-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისას — 36-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით და რეაბილიტაციის წარმოების შეწყვეტისას — 44-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით. თუმცა სასამართლოს წილად საერთოდ აღარ მოდის გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია. თავისი განჩინებით სასამართლო მეტწილად მხოლოდ მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებას აქვეყნებს. ამან კი იქამდე შეიძლება მიგვიყვანოს, რომ აღარ იარსებებს სამართლებრივი დაცვა „მცდარი“ გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ. მართალია, სასამართლოს განჩინების წინააღმდეგ ფორმალურად კერძო საჩივრის შეტანაა შესაძლებელი, მაგრამ ამით ხომ ყველა შემთხვევაში შეიძლებოდა იმის თქმა, რომ არ უარსებია მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებას, ხოლო თავად მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ არ არსებობს გასაჩივრების საშუალება, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმე არა გვაქვს სასამართლო გადაწყვეტილებასთან.

გამომდინარე იქიდან, რომ გაკოტრების წარმოება შეიძლება მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე, მოვალის განცხადების საფუძველზე, აღიძრას (36-ე მუხლი, მე-2 აბზაცი), დაისმის კითხვა, მეტი სიცხადისათვის ხომ არ უნდა მიიღოს სასამართლომ ამ შემთხვევაშიც რაიმე დეკლარაციულად მოქმედი განჩინება. ამაზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ: სასამართლოს შეეძლო, ასევე მეტი სიცხადისათვის, თავის განჩინებებში გადმოეცა სხვა კანონისმიერი შედეგები. კანონის გაუგებრობების შემთხვევაში წარმოების მონესრიგებისათვისაც ეს შეიძლებოდა საჭიროც ყოფილიყო. ასე შეეძლო, მაგალითად, სასამართლოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ განჩინებით იმაზე მიეთითებინა, რომ გაკოტრების საქმის წარმოება განჩინების გამოქვეყნებით იწყება, და რომ სანარმოს მართვა და წარმომადგენლობა გადადის გაკოტრების მმართველზე, რომელიც 3 დღის ვადაში ინიშნება (36-ე, 37-ე მუხლები). რამდენადაც კანონმა არანაირი წესი არ განსაზღვრა იმისათვის, თუ რა ხდება ამ 3 დღეში მოვალის ქონების მართვასთან დაკავშირებით, სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ მოვალისა და მეურვის აქამდე არსებული უფლებამოსილე-



ბები გრძელდება. 2009 წლის ცვლილებების კანონით ახლა უკვე გარკვევით მონეს-რიგდა, რომ კრედიტორები განსაზღვრავენ რეაბილიტაციის გეგმის მომზადების ვადას, რომელიც სასამართლომ უნდა გამოაქვეყნოს (44-ე მუხლი, მე-2 პუნქტი).

## 15. ლიკვიდაცია თუ რეორგანიზაცია

2007 წლის გადახდისუნარობის კანონი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს გადაწყვეტილებას გაკოტრების ან რეაბილიტაციის წარმოების განხორციელების შესახებ. აქ ეს განზოგადებული ფორმით მანამდე უნდა იქნეს განხილული, ვიდრე შემდგომში ორივე წარმოება იქნება წარმოდგენილი.<sup>46</sup> ვალაუვალობის კანონის მიზნების დაყვანა შეიძლება ორ ძირითად პრობლემამდე: პირველ შემთხვევაში, საკითხი ეხება იმას, თუ როგორ ნაწილდება წარმოების მონაწილეებს შორის ვალაუვალობით წარმოშობილი რისკი. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, თუ რამდენად შეეხება მათ ვალაუვალობის წარმოება. აქვე მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა უფლებები აქვთ მათ წარმოების მიმდინარეობისას. ეს პრობლემა განხილულ იქნა წინა თავებში; მეორე პრობლემა არსებული ქონების ოპტიმალურად რეალიზაციაა. ამასთან, ვალაუვალობის კანონები, ძირითადად, არა მხოლოდ კრედიტორთა, არამედ ყველა მონაწილის ინტერესებს ითვალისწინებს და, ალბათ, მთელი სახალხო მეურნეობაც აქვთ მხედველობის არეში. თუკი ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის მიზნებს ერთმანეთისაგან განასხვავებენ, მაშინ ამას ორი ასპექტი ექნება: ერთი წმინდა ფინანსური ხასიათისაა. ზოგიერთი საწარმოს მიმართ ხშირია შემთხვევა, როცა მას, როგორც ერთ მთლიანობას, უფრო მაღალი ღირებულება აქვს, ვიდრე მისი ქონების ცალკეულ შემადგენელ საგნებს მათი ცალ-ცალკე გაყიდვისას. ამიტომ ვალაუვალობის წარმოებაში საქმე იმასთან გვაქვს, რომ ეს ღირებულება რეალიზებულ იქნეს და იგი არ განადგურდეს საწარმოს ცალკეულ ნაწილებად დაშლის შედეგად; მეორე ასპექტი ისაა, რომ საწარმოს გადარჩენა შეიძლება დასაქმებულებისა და სახალხო მეურნეობისათვის ერთიანობაში უფრო ფასეული აღმოჩნდეს. ამიტომ, კრედიტორთა ინტერესებზე უფრო მეტად ამ საფუძვლიდანაც გამომდინარე, უნდა შენარჩუნდეს საწარმო, როგორც ეკონომიკურად მოქმედი ერთეული.

ძირითადად ეს მიზნები შეიძლება რეალიზდეს როგორც ლიკვიდაციის, ისე რეორგანიზაციის წარმოების ფარგლებში. ყველაზე მარტივი იქნებოდა, ეს ორი წარმოება ერთმანეთისაგან ისე განგვესხვავებინა, რომ ლიკვიდაციის წარმოების

<sup>46</sup> ამასთან დაკავშირებით ძალიან ვინრო, მაგრამ ადვილად დასამახსოვრებელ მიმოხილვას მოიცავს IMF-ის პუბლიკაციები, *Orderly & Effective Insolvency Procedures*, გვ. 2 და შემდგ.

შემთხვევაში მოვალის ქონების გასხვისება მომხდარიყო, მაშინ როცა რეორგანიზაციისას შენარჩუნდებოდა მოვალის საწარმო როგორც სამართლებრივი სუბიექტი. საწარმოს გაყიდვა მხოლოდ მაშინ უთანაბრდება მის დაშლას, როცა მისი ქონების საგნები ცალ-ცალკე გასხვისდება. ამასთან, რამდენადაც შესაძლებელია საწარმოს, როგორც ერთი მთლიანობის, გაყიდვა, შესაბამისად, შესაძლებელია ამ სახით იგი, როგორც ეკონომიკურად მოქმედი ერთეული, მაშინაც კი გადარჩეს, როცა იგი უკვე სხვა საწარმოს მფლობელი სუბიექტის საკუთრებაში იმყოფება. ვალაუვალობის წარმოებას ის უპირატესობა აქვს, რომ კრედიტორთა შორის ამონაგების განაწილების საკითხი გაყიდვის საკითხისაგანაა გამიჯნული. განაწილების საკითხები ხომ შესაძლებელია, საწარმოს გაყიდვის შემდეგაც მოწესრიგდეს. რეორგანიზაციის წარმოების დროს კი, პირიქით, კრედიტორთა დაკმაყოფილება ხდება საწარმოს მომავალი შემოსავლებიდან. რეორგანიზაციის წარმოების წინაპირობაა, მონაწილეთა შორის მოლაპარაკებების პროცესში გაირკვეს, თუ როგორ განაწილებენ ისინი მომავალ შემოსავლებს. კლასიკური გაგებით, ეს განისაზღვრება გეგმით, რომელსაც მონაწილენი კენჭს უყრიან.

წარმოების ამ ორ სახეს შორის არსებული ფუძემდებლური განსხვავება საყოველთაოდ აღიარებულია. რეორგანიზაციის წარმოების ფორმისათვის აშშ-ის 1978 წლის გაკოტრების კოდექსს ჰქონდა საწყისი ეფექტი და მან სხვა ქვეყნებში მსგავს წესებს მისცა დასაბამი.<sup>47</sup> პრაქტიკაში განსხვავება კი ყოველთვის არ არის ცალსახა. საწარმოს, როგორც ერთი მთლიანობის, გაყიდვაში, ჩვეულებრივ, გულისხმობენ აქტივების გაყიდვას (asset deal). ამასთან, სწორედ იმ ქვეყნებში, რომლებსაც არ გააჩნიათ ხანგრძლივი გამოცდილება გაკოტრების სამართალში, არსებობს წინადადებები, დაუშვან აგრეთვე პარტნიორების წილების გაყიდვაც (share deal).<sup>48</sup> 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონმა გაყიდვის ეს ფორმა გაკოტრების წარმოებაში გაითვალისწინა. პროცედურა არ არის პრობლემების გარეშე. აქცენტი იმაზე გაკეთდა, რომ, უპირველესად, არსებობს საფრთხე, კარგად გათვითცნობიერებულმა პირებმა საწარმო შეიძლება მის ღირებულებაზე ბევრად უფრო იაფად შეიძინონ. გაყიდვის ასეთი ფორმის შემთხვევაში გაყიდვის შემდეგ საწარმო კვლავ დარჩება იმავე სამართალსუბიექტის საკუთრებაში, როგორც ეს, ჩვეულებრივ, ხდება რეორგანიზაციის წარმოებისას. თუმცა მხოლოდ პარტნიორები შეიცვლებიან. შემდგომში უკვე ახალი პარტნიორის გადასაწყვეტი იქნება, გააგრძელოს თუ არა საწარმოს,

<sup>47</sup> შდრ. ასევე ოლივერ ჰარტი, Different approaches to Bankruptcy, ეკონომიკური კვლევების ჰარვარდის ინსტიტუტი, Diskussion Paper No. 1903 (სექტემბერი. 2003), <http://post.economics.harvard.edu/2000papers/2000list.html>

<sup>48</sup> მანფრედ ბალცი, equity auctions and anew concept of priority, [http://papers.ssrn.com/so13/papers.cfm?abstract\\_id=264511](http://papers.ssrn.com/so13/papers.cfm?abstract_id=264511)

როგორც ეკონომიკური ერთეულის, საქმიანობა, შეაჩეროს მისი ფუნქციონირება თუ ნაწილებად დაშალოს იგი. საწარმოს ასეთი გაყიდვით აქ, სულ მცირე, ერთ პუნქტში ასწრებს ამონაგების განაწილების საკითხს, ვიდრე ეს აქტივების გაყიდვისას (asset deal) გვხვდება. რამდენადაც პარტნიორთა წილების გასხვისება ხდება, უეჭველია, აქამდე არსებულ პარტნიორებს არაფერი დარჩებათ. ეს, ჩვეულებრივ, შეესატყვისება კიდევ პრიორიტეტების სიას, მაგრამ იგი სავალდებულო არ არის. რეორგანიზაციის წარმოებაში, რომელიც კენჭისყრით დამტკიცებულ გეგმას ემყარება, იმას უნდა უყარონ კენჭი, კვლავ ინარჩუნებენ თუ არა წინა პარტნიორები წილებს საწარმოში. ეს ვითარება ხშირად საბაზად გამოიყენება ხოლმე რეორგანიზაციის საწინააღმდეგოდ. რამდენადაც რეორგანიზაციის გეგმა ყოველთვის ითვალისწინებს, რომ კრედიტორები უარს აცხადებენ საკუთარი მოთხოვნების ნაწილზე, ეს შეიძლება განაწილების პრიორიტეტების სიის დარღვევაც კი იყოს. 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონმა რეაბილიტაციის წარმოებაში პრაქტიკულად დაამკვიდრა პრინციპი, რომ კრედიტორები სრულად უნდა იყვნენ დაკმაყოფილებულნი. ასეთ შემთხვევაში პრობლემა შეიძლება ამ პრინციპის განუხორციელებლობა იყოს.

წარმოების ორივე სახე ასევე ერთმანეთში გადადის, თუ რეორგანიზაციის გეგმაში მოწესრიგებულია პარტნიორთა წილების გაყიდვა ან კრედიტორთა მოთხოვნების საზოგადოების წილებად გარდაქმნა (debt to equity swap). შემდგომში შეიძლება საქმე შეეხებოდეს ერთსა და იმავე სამართლის სუბიექტს, რომელიც წარმოების დამთავრების შემდეგ საწარმოს საქმიანობას გააგრძელებს. საწარმოს ხშირი სტრუქტურული ცვლილებების, ცალკეული ნაწილების გაყიდვისა და იმის შედეგად, რომ ახლა პარტნიორებად სხვები გვევლინებიან, თითქმის აღარაფერია შემორჩენილი თავდაპირველი საწარმოს იდენტურობისაგან.

ვალაუფალობის კანონები უნდა ადგენდეს, არსებობდეს თუ არა განსხვავებული წარმოებები ლიკვიდაციისა და რეაბილიტაციისათვის. ასეთ შემთხვევაში საჭიროა, იმავდროულად არსებობდეს წესი, თუ როგორ და როდის უნდა მოხდეს ერთი წარმოებიდან მეორეზე გადასვლა. ვალაუფალობის კანონმა ასევე შეიძლება ერთიანი წარმოება აირჩიოს. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ერთიანი წარმოების ფარგლებში უნდა გადანყდეს საკითხი საწარმოს ლიკვიდაციისა თუ გადარჩენის შესახებ. მხოლოდ კვლავაც მნიშვნელოვანია, წარმოების წესები ისეთი იყოს, რომ მიღწეულ იქნეს საწარმოს ქონების ოპტიმალური რეალიზაციის მიზანი და შენარჩუნდეს სიცოცხლისუნარიანი საწარმო.

## 16. აუქციონის ჩატარება

1996 წლის გაკოტრების კანონმა გაკოტრების მმართველს მიანდო ქონების ლიკვიდაციის სახის განსაზღვრა. 26-ე მუხლი მხოლოდ იმას ითვალისწინებდა, რომ მას რეალიზაცია რაც შეიძლება საუკეთესო პირობებით უნდა განეხორციელებინა. ამ დროს ქონების რეალიზაციის ეფექტურობა დაცული იყო, ერთი მხრივ, გაკოტრების მმართველის მატერიალური პასუხისმგებლობით (მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი), მეორე მხრივ, გაკოტრების მმართველის ინტერესით, რაც დაკავშირებული იყო გასამრჯელოს სიდიდესთან (33-ე მუხლი) და, მესამე მხრივ, სასამართლოს ზედამხედველობით (მე-15 მუხლის მე-6 პუნქტი).<sup>49</sup>

2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი ქონების გაყიდვისათვის თავდაპირველად სავალდებულოდ ადგენდა საჯარო აუქციონის ფორმას (38-ე მუხლი). ამისათვის გათვალისწინებული იყო 3 აუქციონის ჩატარება. მესამე აუქციონის შემთხვევაში სავალდებულოდ იყო გათვალისწინებული, რომ ქონების ყველა ნივთი გაყიდულიყო. კერძოდ, აუქციონი ისე უნდა ყოფილიყო ორგანიზებული, რომ „სამეურვეო ქონება მთლიანად გაყიდულიყო“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ აუქციონი უკიდურეს შემთხვევაში უკიდურესად დაბალი (დემპინგური) ფასით უნდა ჩატარებულიყო. კანონით სავალდებულო ეს „მთლიანი გაყიდვა“, ძირითადად შენარჩუნდა, თუმცა 2009 წლის ცვლილებების კანონით იგი თანამიმდევრულად მოდიფიცირებულ იქნა. სავალდებულოდ დარჩა მხოლოდ ორი აუქციონი. გარდა ამისა, ქონება ასევე შეიძლება პირველ და მეორე აუქციონებს შორის თავისუფლად გაიყიდოს (38-ე მუხლის მე-9<sup>1</sup> პუნქტი); ხოლო მეორე აუქციონის შემდეგ ქონება შეიძლება გაიყიდოს, ან კრედიტორებს საკუთრებაში აუქციონის გარეშე გადაეცეს (38-ე მუხლის მე-12<sup>1</sup> პუნქტი).

აუქციონის ანდა ქონების გაყიდვისათვის მჭიდრო ვადებია დადგენილი. ვადების გაგრძელება კანონით არ არის გათვალისწინებული, არამედ გათვალისწინებულია მხოლოდ მათი შემცირება სასამართლოს დასაბუთებული განჩინების საფუძველზე (38-ე მუხლი, მე-15 პუნქტი). კანონით გათვალისწინებული ნორმები აუქციონის შესახებ მთლიანობაში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საქმე უფრო მეტად სწრაფ საჯარო გაყიდვას ეხება, ვიდრე ქონების ეკონომიკური თვალსაზრისით ოპტიმალურ რეალიზაციას. ეკონომიკური თვალსაზრისით, ყოველთვის წამგებიანია, როცა გამყიდველი იძულებულია, რაიმე სასწრაფოდ გაიყიდოს. 38-ე მუხლის მე-15 აბზაცი ითვალისწინებს ვადის შემცირებას, თუკი საქმე ეხება აუქციონზე გასატანი ქონების ღირებულების მნიშვნელოვან შემცირებას. თუმცა ასეთ შემთხვევაში უფრო უპრიანი

<sup>49</sup> შდრ. როინ მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, მეორე გადამ. გამოცემა, თბ., 2006, გვ. 45.

იქნებოდა ვადის გაგრძელება, თუკი, სხვა მხრივ, ვერ ხერხდება შესაბამის ფასად გაყიდვა.

თავად აუქციონის პირობებიც, ვალაუფალობის სამართლის არსიდან გამომდინარე, უფრო მეტად ქონების ოპტიმალური რეალიზაციის საწინააღმდეგოდ მეტყველებს. აუქციონის დროს ფასის წამატების შესახებ გადანყვეტილების მიღება პრაქტიკულად შეიძლება მხოლოდ შემოთავაზებული ფასის შემდეგ მოხდეს. აუქციონში მონაწილეთა რაოდენობა არ შეიძლება შეიზღუდოს და არც სხვა სახის შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს (38-ე მუხლი, მე-6 აბზაცი). დაუშვებელია აგრეთვე მყიდველთათვის დამატებითი ვალდებულებების დაკისრება. ასე მაგალითად, გაკოტრების მმართველმა არ შეიძლება მოითხოვოს, რომ მყიდველმა საწარმოს შენარჩუნების მიზნით ინვესტიციების განხორციელების ვალდებულება აიღოს. ერთმანეთისაგან არც მყიდველთა განსხვავება უნდა მოხდეს იმის მიხედვით, თუ როგორი სახის სავარაუდო ეკონომიკურ გადანყვეტილებებს მიიღებენ ისინი სამომავლოდ. ისეთივე თანაბარი მიდგომა უნდა არსებობდეს იმ მყიდველის მიმართ, რომელსაც მიზნად აქვს საწარმოს დახურვა, როგორც იმ მყიდველის მიმართ, რომელსაც სურს საწარმოს საქმიანობის გაგრძელება.

კანონი, ძირითადად ეფუძნება საწარმოს, როგორც ერთი მთლიანობის, გაყიდვას. პირველი აუქციონისათვის ეს კანონითაც არის გათვალისწინებული (38-ე მუხლი, მე-9 აბზაცი). კრედიტორების გადანყვეტილებაზე დამოკიდებული, მეორე აუქციონზე საწარმო ერთიანი კომპლექსის სახით გაიყიდოს თუ ნაწილ-ნაწილ (38-ე მუხლი, მე-10 და მე-11 პუნქტები). 38-ე მუხლის მე-13 აბზაცში საწარმოს, როგორც ერთი მთლიანობის, გასხვისების ორივე ფორმა განსხვავებულია. ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე არსებით განსხვავებაზე. *asset deal*-ის შემთხვევაში მხოლოდ ქონების ის საგნები იყიდება, რომლებიც, ფაქტობრივად არის აუქციონზე გასაყიდად შეთავაზებული. *Share deal*-ის შემთხვევაში კი ეს სხვაგვარადაა. რადგანაც მყიდველი იძენს საწარმოს წილებს, იგი ავტომატურად ხდება საზოგადოების ქონების ყველა საგნის მესაკუთრე, მაშინაც კი, თუ ისინი აუქციონზე არც იყვნენ ასეთებად მოხსენიებული. თუ მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ საწარმო კიდევ სხვა ქონებასაც ფლობდა, მაშინ ისიც მყიდველს (და ახალ პარტნიორს) ეკუთვნის. აქ აშკარაა, რომ კარგად გათვითცნობიერებულ პირებს, ისევე როგორც საწარმოს ადრინდელ დირექტორებს ან პარტნიორებს, საწარმოში არსებული ვითარების შესახებ თავიანთი გააზრებული ცოდნის გამო შეიძლება აუქციონზე აბსოლუტურად თვალსაჩინო უპირატესობა ჰქონდეთ. ვალაუფალობის წარმოების ფარგლებს გარეთ საწარმოს წილების მყიდველი მათთან ერთად, მართალია, საწარმოს ყველა ვალდებულება-საც შეიძენდა, თუმცა აქ კანონი გაყიდვის საინტერესო ვარიანტებს ითვალისწინებს.

შემძენმა უნდა შეიძინოს დაუტვირთავი და ვალებისაგან თავისუფალი სანარმო. ამით უქმდება უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებები სანარმოს ქონების მიმართ. უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნები დაკმაყოფილდება მხოლოდ გაყიდვიდან მიღებული ამონაგებიდან. ასეთი სახის გაყიდვისას, რა თქმა უნდა, არასაკმარისად არის გააზრებული ერთი საკითხი: ვალებისაგან თავისუფლებაში აქ შეიძლება გავიგოთ მხოლოდ ის, რომ ყველა ვალში გაკოტრების ტაბულაში მითითებული ვალები იგულისხმება. ასევე შეიძლება დავასკვნათ, რომ აქ ის ვალებიც ივარაუდება, რომლებიც უკვე არსებობდა ვალაუვალობის წარმოების გახსნისას და კრედიტორს ისინი არ განუცხადებია. ხოლო თუკი ასეთი კრედიტორი მოგვიანებით გამოჩნდებოდა, მაშინ სანარმოს გაყიდვის შედეგად მისი მოთხოვნაც ასევე ანულირებული იქნებოდა. თუმცა, სხვა მხრივ, შენარჩუნდება სანარმოს სახელშეკრულებო ვალდებულებები, ისე, რომ პარტნიორთა წილების შემძენი მათ ასევე ავტომატურად „იძენს“. ეს მისთვის შეიძლება მომგებიანიც იყოს და წამგებიანიც, იმის მიხედვით, თუ როგორ არის ხელშეკრულებები შედგენილი. მყიდველისათვის წამგებიანობის თავიდან ასაცილებლად და აუქციონზე ამონაგების გასადიდებლად მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუკი ვალაუვალობის კანონებში ჩაიდებოდა ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წესები.<sup>50</sup>

სანარმოს, როგორც ერთი მთლიანობის, გაყიდვის ამ სხვადასხვა შესაძლებლობების გამო, ცხადია, მნიშვნელოვანია, გაყიდვის სახე აუქციონის პირობებში იყოს მითითებული. როგორც ჩანს, ამას კანონი სხვაგვარად ხედავს, ვინაიდან შეძენის შემდეგ იგი მყიდველს არჩევანის უფლებას ანიჭებს. ეს, ცოტა არ იყოს, ისე გამოიყურება, თითქოს ჯერ გაყიდვა ხორციელდება და შემდეგ მყიდველს შეუძლია აირჩიოს ის, რაც იყიდა.

პირველი აუქციონი უნდა ჩატარდეს გაკოტრების მმართველის დანიშნვიდან 30-ე დღეს. კანონის თავდაპირველი რედაქცია აქ ძალიან უჩვეულო წესს შეიცავდა: კანონით გათვალისწინებული მინიმალური ფასი ზუსტად იმდენი უნდა ყოფილიყო, რამდენიც არის გაკოტრების რეესტრში დაფიქსირებული მოთხოვნის ოდენობა. ცხადია, წესისამებრ, ისიც შეიძლება დავასკვნათ, რომ ვალაუვალობის წარმოების დროს სანარმო ზედავალიანებულია. ეს ნიშნავს, რომ ვალების ოდენობა ქონების ღირებულებაზე მეტია. თუკი ვალების ოდენობა მინიმალური ფასია, მაშინ პირველ აუქციონზე გაყიდვა წინასწარვეა ჩაშლისათვის განწირული. 2009 წლის ცვლილებების კანონმა აქ უკვე გონივრული წესი შემოიღო, რომ სანყისი ფასი განისაზღვრება ქონების საბაზრო ღირებულებით, ექსპერტის დასკვნის საფუძველზე (38-ე მუხლი, მე-9 პუნქტი).

<sup>50</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით 8.3 ქვეთავი.

იმ შემთხვევაში, თუ სანარმო პირველ აუქციონზე ვერ გაიყიდა, მაშინ 2009 წლის ცვლილებების კანონით შემოღებულ იქნა წესი, რომლის თანახმადაც მეორე აუქციონის ჩატარებამდე, რომელიც იმართება პირველი აუქციონიდან 30-ე დღეს, ქონება შეიძლება თავისუფლად (ანუ აუქციონის გარეშე) გაიყიდოს დადგენილ საბაზრო ფასად (38-ე მუხლი, მე-9<sup>1</sup> პუნქტი). მეორე აუქციონის შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს, რომ კრედიტორთა გადანყვევტილების საფუძველზე ქონება როგორც ერთიანი კომპლექსი გაიყიდოს. ამასთან, სანყისი ფასი უნდა შეესაბამებოდეს გაკოტრების ტაბულის პირველი ოთხი რიგის მოთხოვნათა ჯამს. ეს კი იმის მიმანიშნებელი იქნებოდა, რომ გაყიდვის შედეგად უნდა დაიფაროს წარმოების ხარჯები და უზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნები. კანონის თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, ძნელი იყო იმის ინტერპრეტაცია, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, როდესაც კრედიტორები გადანყვევტილებას არ მიიღებდნენ. 2009 წლის ცვლილებების კანონით ახლა უკვე სიცხადე იქნა შემოტანილი (38-ე მუხლი, მე-10 პუნქტი). მართალია, კრედიტორებს შეუძლიათ, მიიღონ გადანყვევტილება იმაზე, რომ ქონების საგნები ნაწილ-ნაწილ გაიყიდოს, მაგრამ თუ ისინი არ მიიღებენ გადანყვევტილებას, მაშინ მეორე აუქციონზე ქონება გაიყიდება ერთიანად.

თუმცა ამისათვის ცვლილებების კანონმა აშკარა წინააღმდეგობა შექმნა მეორე აუქციონზე სანყის ფასთან დაკავშირებით. კანონის 38-ე მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, ქონების მთლიანად გაყიდვისას სანყისი ფასი უნდა შეესაბამებოდეს პირველ აუქციონზე ქონების სანყისი ფასის ნახევარს, ანუ დადგენილი საბაზრო ფასის ნახევარს. ამასთან, მე-11 პუნქტის მიხედვით, სანყისი ფასი უნდა შეესაბამებოდეს 1-ლიდან მე-4 რიგის ჩათვლით კრედიტორთა მოთხოვნების ჯამს. შემდგომში უკვე გაურკვეველი რჩება საკითხი, რა ოდენობის უნდა იყოს სანყისი ფასი ქონების ცალკეული საგნების აუქციონზე რეალიზაციისას. მართალია, ცვლილებების შედეგად მე-10 პუნქტით მონესრიგდა, რომ ქონების ცალკეული საგნების (ანუ თითოეული ლოტის) სანყისი ფასი კრედიტორებმა უნდა დაადგინონ, თუმცა არაა განსაზღვრული ცალკეული ლოტის ღირებულების ოდენობა. ამდენად, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ცალკეული ლოტის სანყისი ფასი უფრო ნაკლები იყოს, ვიდრე, მაგალითად, მთელი სანარმოს საბაზრო ღირებულების ნახევარი. კანონი ისე უნდა განიმარტოს, რომ ასეთი რამ დაუშვებელი იყოს. ამდენად, ქონების ცალკეული საგნების სანყისი ფასი, სულ მცირე, უნდა შეესაბამებოდეს მთელი სანარმოს საბაზრო ღირებულების ნახევარს.

თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, მეორე აუქციონის შემდეგ უზრუნველყოფილი კრედიტორები განსაკუთრებულ უფლებებს იღებდნენ. 38-ე მუხლის მე-12 აბზაცის მიხედვით, მათ შეეძლოთ, შეთანხმება დაედოთ, რომ დაკმაყოფილებულ-

ლიყვნენ უზრუნველყოფის საგნების მათთვის გადაცემით. ვინაიდან ეს ეხებოდა „უზრუნველყოფილ და ახალ კრედიტორებს“, ნორმის განმარტება უფრო მრავალმნიშვნელოვანი იყო. ერთი შესაძლებლობა იქნებოდა, რომ ამით მხოლოდ მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის გაურკვეველი ფორმულირება გამეორებულიყო, სადაც უზრუნველყოფილი კრედიტორები დახასიათებული იქნებოდნენ ასევე როგორც ახალი კრედიტორები. ასეთი განმარტების მიხედვით შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყვნენ პირველი და მეოთხე რიგის კრედიტორები, მაშინ როცა მეორე და მესამე რიგის კრედიტორები ვერაფერს მიიღებდნენ, რადგანაც უზრუნველყოფის საგნების გადაცემის შემდეგ საკმარისი გასანაწილებელი მასა აღარ დარჩებოდა. ამიტომ აღნიშნული ნორმა იმდაგვარად უნდა ყოფილიყო გაგებული, რომ ასეთ შეთანხმებას მეორიდან მეოთხე რიგამდე განთავსებული კრედიტორები დებენ. გამომდინარე იქიდან, რომ მათ შემდგომში პირველი რიგის საპროცესო ხარჯები უნდა ეკისრათ, საქმე პირველი ოთხი რიგის კრედიტორთა დაკმაყოფილებამდე მივიდოდა, რაც შეესაბამებოდა მთელი სანარმოს საწყის ღირებულებას, 38-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით.

კანონი, ალბათ, იმდაგვარად უნდა ყოფილიყო გაგებული, რომ უზრუნველყოფის საგნების გადაცემით უზრუნველყოფილი კრედიტორები მაშინაც უნდა მიჩნეულიყვნენ დაკმაყოფილებულად, როცა გადაცემული საგნების ღირებულება საკმარისი არ იქნებოდა მათი მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად. ის, თუ როგორ უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ მეორე და მესამე რიგის კრედიტორები, ამის შესახებ კანონი არაფერს ამბობდა და იმას ეფუძნებოდა, რომ აღნიშნული საკითხი ხელშეკრულებით უნდა მოწესრიგებულიყო. საერთოდ, არავითარი წესი არ არსებობდა ხელშეკრულების შინაარსისათვის. ერთადერთი, წესის სახით შეიძლება ითქვას, რომ მეორიდან მეოთხე რიგამდე ყველა კრედიტორს უნდა მიეცა თანხმობა, და მათაც უნდა ეკისრათ საპროცესო ხარჯები. შეთანხმების შემდგომი ზღვარი შეიძლებოდა ის ყოფილიყო, რომ ვალაუვალობის მასიდან შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ უზრუნველყოფის საგნების ამოღება. დაუტვირთავი ქონებრივი საგნების აუქციონით გაყიდვა კი შეიძლებოდა მხოლოდ მესამე აუქციონზე განხორციელებულიყო. აქედან გამომდინარეობს, რომ ამ შეთანხმების დროსაც, როგორც სანარმოს მთლიანი კომპლექსის გაყიდვის შემთხვევაში, იგივე წესი დარჩა, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფის საგნების გაყიდვის შედეგად უპირატესად დაკმაყოფილებიან პირველი სამი რიგის კრედიტორები.

გარდა ამისა, ამ წესიდან უნდა დაგვესკვნა, რომ შეთანხმების განხორციელების შედეგად წინა რიგის კრედიტორები ჩაითვლებოდნენ ზუსტად ისევე დაკმაყოფილებულად, როგორც უზრუნველყოფილი კრედიტორები უზრუნველყოფის საგნე-



ბის ამოღებით. თუ რამდენიმე უზრუნველყოფილი კრედიტორი იქნებოდა, მაშინ შეთანხმებაში მოცემული უნდა ყოფილიყო ასევე წესები თითოეული კრედიტორის დაკმაყოფილებისა და წინა რიგის კრედიტორების დაკმაყოფილებაში მისი წილის შესახებ. დანართში მოცემული გამარტივებული კაზუსიდან, რომელიც ასეთ შეთანხმებას შეეხება, გამომდინარეობს, რომ მას შეიძლება გავლენა ჰქონდეს ბოლო რიგის კრედიტორებზე, მაგრამ ასევე მათ სასარგებლოდაც აისახოს. ბოლო რიგის კრედიტორთა დატვირთვის თავიდან ასაცილებლად უნდა არსებობდეს მექანიზმი, რომელიც მათ საკუთარი ინტერესების გატარების საშუალებას მისცემს. თუმცა აღნიშნული რამ კანონში არ იქნა გათვალისწინებული.

კანონის თავდაპირველი რედაქციით (38-ე მუხლის მე-12 აბზაცი) მესამე აუქციონზე უნდა მომხდარიყო ქონების „მთლიანად გაყიდვა“. გაყიდვა უზრუნველყოფის საგნებსაც მოიცავდა, თუკი მანამდე უზრუნველყოფილ და ახალ კრედიტორებს შორის არ შედგებოდა შეთანხმება 38-ე მუხლის მე-12 აბზაცის შესაბამისად. ბევრი რამ იმაზე მეტყველებდა, რომ კანონმდებელი ცალკეული ქონებრივი საგნების გაყიდვას ეფუძნებოდა. სერთოდ, 41-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული წესის შესაბამისად უნდა დადგეს შედეგი, რომლის მიხედვით, უზრუნველყოფის ცალკეული საგნის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები უპირატესად უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად უნდა იქნეს გამოყენებული. ამასთან, 11.3 ქვეთავში უკვე აღვნიშნეთ, რომ განაწილება, ძირითადად, მე-40 მუხლით უნდა განხორციელდეს. ეს ასახულია დანართში მაგალითებად მოყვანილ კაზუსებში. საამისოდ სხვა არგუმენტი იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ კანონის თავდაპირველი რედაქციით მმართველს თავისუფლად შეეძლო, მესამე აუქციონის პირობები თვითონ დაედგინა. ამ უფლებამოსილების ფარგლებში მას შეეძლო, აუქციონზე ხელახლა გაეტანა სანარმო როგორც ერთი მთლიანობა ან ქონების ყველა საგანი ცალ-ცალკე გაეყიდა. მას ისიც შეეძლო, რომ საგნების აუქციონზე ცალ-ცალკე გაყიდვისას გაერთიანებინა ისინი ერთ საგნობრივ ჯგუფად და ისე გაეყიდა. ბოლოს დასახელებული პროცედურა ზოგჯერ შემოთავაზებულიც კია. თუკი ვალაუფალობის მასაში ქონების ისეთი საგნებია, რომლებიც ფაქტობრივად გაუყიდავია, მაშინ ყველაფრის გაყიდვის მიზანი შეიძლება იმით მიიღწეს, რომ ისინი შეთავაზებული იქნება სხვა საგნებთან ერთად. შესაბამისად, მათ შესაძენად მყიდველიც ადვილად მოიძებნება.

2009 წლის ცვლილებების კანონმა 38-ე მუხლის ახალი მე-12<sup>1</sup> აბზაცის შექმნით ახალი მექანიზმი შემოიღო. ამ მექანიზმის მიხედვით, მესამე აუქციონი საერთოდ აღარ არსებობს. თუმცა სავალდებულოდაა დადგენილი, რომ ქონება 60 დღის ვადაში უნდა გაიყიდოს ან კრედიტორების საკუთრებაში გადავიდეს. ამასთან დაკავშირებული წესები ისეთი გაურკვეველია, შეიძლებოდა თითქმის, გვევარაუდა, რომ

კანონმდებლისთვის სულ ერთია, აღნიშნული ქმედებები როგორ განხორციელდება. აქ მთავარი ისაა, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ მოვალის ქონება საერთოდ აღარ რჩება. წარმოების ქვაკუთხედებად შეიძლება ის მივიჩნიოთ, რომ რეალიზაციის შესახებ გადანყვეტილება ახლა უკვე ყველა კრედიტორის მიერ უნდა იქნეს მიღებული, და რომ საქმე მთლიან ქონებას შეეხება. ამდენად, გადანყვეტილებას მხოლოდ უზრუნველყოფილი და ახალი კრედიტორები არ იღებენ, და საქმეც მხოლოდ უზრუნველყოფის საგნებს აღარ ეხებათ. რეალიზაციის ნაბიჯები შემდეგია: კრედიტორები უფლებამოსილნი არიან, როგორც მესაკუთრეებმა ქონება ნატურით მიიღონ ან გაკოტრების მმართველს ქონების გაყიდვის წესი განუსაზღვრონ. თუკი ეს 60 დღის ვადაში არ მოხდება, მაშინ გაკოტრების მმართველმა კრედიტორებს ქონების ნატურით მიღება უნდა შესთავაზოს. თუ ერთი რომელიმე კრედიტორი უარს იტყვის ამაზე, მაშინ ეს მიიჩნევა მოთხოვნაზე უარის თქმად და ქონება სხვა კრედიტორებს შეეთავაზება. ხოლო თუკი ყველა კრედიტორი უარს განაცხადებს გადაცემაზე, მაშინ ვალაუვალობის წარმოება შეწყდება და მოხდება საწარმოს ლიკვიდაცია მენარმეთა შესახებ კანონის მიხედვით.

ამ პროცედურის ძირითადი პრობლემა ისაა, რომ ქონების რეალიზაციის წესები სარეალიზაციო ამონაგების განაწილების წესებთან არის აღრეული. რეალიზაციის ყველაზე მარტივი წესია, ქონება იმას გადაეცეს, რომელიც მას ყველაზე მეტად ითხოვს. ამონაგების განაწილების ყველაზე მარტივი წესია, რომ იგი პროპორციულად განაწილდეს მე-40 მუხლის პრიორიტეტების სიის მიხედვით. მაგრამ როგორ შეიძლება ეს მოხდეს, თუკი ორივე წესი აღრეულია? ქონების ცალკეული საგნები თავისი საბაზრო ღირებულების მიხედვით უნდა განაწილდეს. ავიღოთ, მაგალითად, ყველაზე მარტივი შემთხვევა, როდესაც გვაქვს 10 სახის საგანი, თითოეული 1.000 ლარის საბაზრო ღირებულებით. ისინი უნდა შევთავაზოთ კრედიტორებს მე-40 მუხლის პრიორიტეტების სიის მიხედვით. საპროცესო ხარჯები (რომლებიც 1-ლ რიგს შეესაბამება) იმ კრედიტორებმა უნდა იკისრონ, რომლებიც ნატურით იღებენ ქონების საგნებს, ანუ ქონების საგნები თავდაპირველად ახალ კრედიტორებს (რომლებიც მე-2 რიგში არიან განთავსებულნი) უნდა შევთავაზოთ. 2009 წლის ცვლილებების კანონის მე-40 მუხლის ახალი შემოღებული მე-4<sup>1</sup> აბზაცის მიხედვით, ეს კრედიტორები ხომ, თანხის გადახდით უნდა დაკმაყოფილდნენ. ამდენად, ქონების საგნები მე-3 რიგის კრედიტორებს უნდა შევთავაზოთ. დაუშვათ, რომ მეურვის გასამრჯელოს მოთხოვნა 2.500 ლარია. ის მზად იქნებოდა, რომ საკუთრებაში მიეღო ქონების A, B და C საგნები. ასეთმა მიდგომამ კი უცნაურობამდე შეიძლება მიგვიყვანოს, კერძოდ, მეურვე მიიღებდა 3.000 ლარის ქონებას თავისი 2.500-ლარიანი მოთხოვნისათვის. მაგრამ ახლა მას შესთავაზებენ ქონებას D, E და F საგნებს, რომელთა მიმართაც მას

ინტერესი არ გააჩნია. მან რა უარი უნდა თქვას თავის მოთხოვნაზე, თუკი იგი ამ წინადადებას უარყოფს? ეს, როგორც უკვე აღინიშნა, არის ყველაზე უბრალო მაგალითი. პრაქტიკაში თითქმის შეუძლებელია, რომ ცალკეულ კრედიტორებს ზუსტად იმდენი ქონება შესთავაზონ და მათ საკუთრებაში ზუსტად იმდენი ქონება მიიღონ, რამდენიც უნდა მიეღოთ ღირებულების მიხედვით, მე-40 მუხლის პრიორიტეტების სიის შესაბამისად.

## 17. რეაბილიტაციის წარმოება

რეაბილიტაციის წარმოებისათვის ისევეა მყარი ვადები დადგენილი, როგორც აუქციონისათვის. ამ ვადებს, საბოლოო ჯამში, იქამდე მივყავართ, რომ საქმე სულაც არ მივიდეს სარეაბილიტაციო წარმოებამდე. თავად ის ნორმებიც, რომლებიც გეგმის შინაარსსა და მისი მიღების შესახებ გადაწყვეტილებას ეხება, უფრო მის სანინაალმდეგოდ მეტყველებენ. შემდგომში თვალშისაცემია ის, რომ ვერ ხორციელდება კონტროლი რეაბილიტაციის გეგმის სათანადო კენჭისყრაზე. მომრიგებელი საბჭოს უფლებამოსილებები მთავრდება რეაბილიტაციის გეგმის განხილვისა და მოწონებისთანავე (32-ე მუხლი, მე-9 პუნქტი). სასამართლომ შეიძლება მხოლოდ კრედიტორთა კრებალა წარმართოს, ისიც მაშინ, თუკი მოითხოვენ მის მოწვევას. სხვა მხრივ, სასამართლოს აქვს კიდევ სხვა უფლებამოსილებები 48-ე მუხლისა და 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით. სასამართლოს შემდგომშიც კვლავ რჩება უფლებამოსილება, თუკი კრედიტორები დამატებით კიდევ განაცხადებენ მოთხოვნებს. თუმცა არ არსებობს მექანიზმი, რომლითაც შეიძლება რეაბილიტაციის გეგმაში ახალი აღიარებული მოთხოვნების ჩანერგა მიაღწიო. რამდენადაც გათვალისწინებულია რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებების შეტანა (51-ე მუხლი, მე-2 პუნქტი), ნაწილობრივ ფუჭია მითითება 47-ე მუხლის კენჭისყრის პროცედურაზე, ვინაიდან აქ დასახელებული მომრიგებელი საბჭო აღარ არსებობს.

რეაბილიტაციის წარმოება იწყება, 33-ე მუხლის შესაბამისად, მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებით. რეაბილიტაციის გეგმის წარმოსადგენად თავდაპირველად მხოლოდ 14 დღე იყო გათვალისწინებული (45-ე მუხლი). 2009 წლის ცვლილებების კანონით, კრედიტორები განსაზღვრავენ ვადას, რომელიც 60 დღეს არ უნდა აღემატებოდეს (43-ე მუხლი, მე-2 პუნქტი). კრედიტორთა კრებამ უნდა გადაწყვიტოს, თუ ვის დაავალებს იგი რეაბილიტაციის გეგმის მომზადებას — მოვალეს, ერთ ან რამდენიმე კრედიტორს თუ რეაბილიტაციის მმართველს (46-ე მუხლი, 1-ლი

პუნქტი). 2009 წლის ცვლილებების კანონმა გააუქმა ამ ნორმის თავდაპირველი რედაქცია, რომლითაც ამ პირთაგან ნებისმიერს შეეძლო, საკუთარი ინიციატივით მოემზადებინა და წარმოედგინა რეაბილიტაციის გეგმა. გეგმის პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს დასრულებული რეაბილიტაციის გეგმისათვის წაყენებულ ყველა მოთხოვნას. რეაბილიტაციის გეგმის განსახილველად და მოსაწონებლად 2009 წლის ცვლილებების კანონით მომრიგებელი საბჭოსათვის გათვალისწინებულია მაქსიმუმ 10-დღიანი ვადა (46-ე მუხლი, 6-ე აბზაცი). ადრეც ამისათვის ისედაც საკმაოდ მცირე, 14-დღიანი ვადა იყო გათვალისწინებული. თუკი მომრიგებელი საბჭო მოინონებს რეაბილიტაციის გეგმას, იგი შეიძლება 7 დღის ვადაში მიღებულ იქნეს ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის თანხმობით (47-ე მუხლი, 1-ლი აბზაცი). ასეთი მკაცრი ვადები იმიტომაც იწვევს გაოცებას, რომ, როგორც 46-ე მუხლში თვითონ კანონი აღიარებს, ასეთი გეგმის შესამუშავებლად მრავალი გასაუბრება და კონსულტაციებია აუცილებელი წარმოების ყველა მონაწილესთან.

რეაბილიტაციის გეგმა, მართალია, შეიძლება ითვალისწინებდეს კრედიტორთა მოთხოვნების მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ან მოთხოვნათა შეცვლას (49-ე მუხლი, 1-ლი აბზაცი), თუმცა ეს შესაძლებელია მხოლოდ სათითაოდ ყველა კრედიტორის თანხმობით (49-ე მუხლი, მე-2 აბზაცი). ამ გარემოების გათვალისწინებით კი შეიძლება დავასკვნათ, რომ დავცილდით მოვალის ვალებისაგან სრულად გათავისუფლების პრინციპს. ვალების ჯამი მაღალია, ვინაიდან პროცენტებიც უნდა იქნეს გადახდილი (მდრ. 46-ე მუხლი, მე-4 აბზაცი), სავარაუდოდ, — აგრეთვე ის პროცენტებიც, რომლებიც წარმოების დაწყების შემდეგ წარმოიშვა და რომლებიც არ უნდა გადახდილიყო 21-ე მუხლის მე-2 აბზაციის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად. ამგვარად, ცალკეულ კრედიტორს თანხმობის არმიცემით შეუძლია დაბლოკოს საერთო ჯამში მისაღები გეგმა. ვალაუვალობის კანონები, როგორც წესი, ასეთი შემთხვევებისათვის ითვალისწინებენ ხოლმე, რომ მოწინააღმდეგე კრედიტორების აზრი გარკვეულ გარემოებებში შეიძლება დაიძლიოს ხმათა უმრავლესობით. ის, თუ რა პირობებით შეიძლება ეს მოხდეს, საჭიროებს ინტერესთა ზუსტ შეჯერებას. თუკი, მაგალითად, რეაბილიტაციის წარმოება უფრო მეტად ეპასუხება ყველა კრედიტორის ინტერესებს, ვიდრე ლიკვიდაცია, მაშინ ცალკეულ კრედიტორებს მანამდე არ უნდა მიეცეთ დაბლოკვის უფლება, სანამ ისინი უფრო უარეს მდგომარეობაში არ აღმოჩნდებიან, ვიდრე სანარმოს ლიკვიდაციისას. ამგვარად, ცალკეულ მოწინააღმდეგე კრედიტორებს აიძულებენ, კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესებისათვის კვლავ მიიღონ წარმოებაში მონაწილეობა. მექანიზმი, რომელსაც 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის 49-ე მუხლის მე-3 და მე-4 აბზაციები შეიცავს, არ ითვალისწინებს ცალკეული კრედიტორის იძულების შესაძლებლობას, დაეთანხმოს

მოვალის ვალებისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებას. სხვა კრედიტორებს მხოლოდ ის შანსი რჩებათ, რომ სრული ღირებულებით გამოისყიდონ მონინალმდევე კრედიტორის მოთხოვნა და შემდეგ მიიღონ კენჭისყრაში მონაწილეობა, როგორც ახალი მოთხოვნის მფლობელებმა. თუკი, მაგალითად, რეაბილიტაციის გეგმა ითვალისწინებს მოვალის ვალებისაგან გათავისუფლებას ყველა მოთხოვნის 10%-ის ოდენობით, მაშინ მონინალმდევე კრედიტორისაგან რეაბილიტაციის გეგმის გადარჩენა მხოლოდ იმითაა შესაძლებელი, თუკი მისი მოთხოვნა სრული ნომინალური ღირებულებით იქნება შეძენილი. ამისათვის კი საერთოდ არ იქნება მზად ის კრედიტორი, რომლის მოთხოვნაც მხოლოდ 90%-ით უნდა დაკმაყოფილდეს. კრედიტორთა პრეტენზია საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე ეკონომიკური თვალსაზრისით შეიძლება შეფასდეს როგორც დინვესტიციის მცდელობა. ისინი ეცდებიან, სანარმოდან ამოიღონ ინვესტირებული ფული. ამ დროს ერთი კრედიტორი მაინც უნდა იყოს მზად, განახორციელოს ინვესტიცია მოთხოვნის ნასყიდობის ფასის ოდენობით, რომლის დროსაც წინასწარვე ნათელია, რომ ამით მისი დანაკარგი მხოლოდ 10%-ია.

დანვრილებით არ არის მოწესრიგებული, თუ რა პროცედურის სახით უნდა განხორციელდეს კენჭისყრა სარეაბილიტაციო გეგმასთან დაკავშირებით. მომრიგებელი საბჭოს უფლებამოსილებები მთავრდება მაშინვე, როგორც კი იგი მოიწონებს რეაბილიტაციის გეგმას (32-ე მუხლი, 9-ე აბზაცი). უზრუნველყოფილ კრედიტორთა კენჭისყრისთვის არ არსებობს რაიმე გათვალისწინებული პროცედურა.<sup>51</sup> კანონიდან არ ირკვევა, თუ რატომ უნდა უყარონ კენჭი რეაბილიტაციის გეგმას მხოლოდ უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა. მათ მიმართაც ხომ ძალაშია პრინციპი, რომ გეგმა არ შეიძლება ითვალისწინებდეს მათი მოთხოვნების ცვლილებას ან შემცირებას მათივე სურვილის საწინააღმდეგოდ. ამდენად, არ არსებობს რაიმე მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა უყარონ კენჭი რეაბილიტაციის გეგმას მხოლოდ უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა და არა — ყველა კრედიტორმა. სიცხადის შესატანად კიდევ ერთხელ უნდა დავეყრდნოთ ვალაუვალობის კანონის შესაძლო ალტერნატივებს. კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორთა უფლებებს ვალაუვალობის წარმოება არ ეხება. შესაბამისად, უზრუნველყოფილ კრედიტორებს შეუძლიათ, განცალკევებით დაკმაყოფილების მიზნით მოითხოვონ უზრუნველყოფის საგნის ვალაუვალობის მასიდან ამორიცხვა, ხოლო ვალაუვალობის წარმოებაში ისინი მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ თავიანთი არსებული მოთხოვნის შესაძლო არაუზრუნველყოფილი წილით. შესაბამისად, მათ არ ექნებოდათ ვალაუვალობის წარმოებაში განსაკუთრებული ხმის უფლება. თუკი განცალკევებით დაკმაყოფილე-

<sup>51</sup> იხ. ზემოთ 12.3 ქვეთავი.

ბის უფლება რეაბილიტაციის წარმოებაშიც მოქმედებს, მაშინ უზრუნველყოფილი კრედიტორები არ მიიღებენ მონაწილეობას რეაბილიტაციის გეგმის შესახებ კენჭისყრაში.<sup>52</sup> ხანდახან მათ ერთმევათ განცალკევებით დაკმაყოფილების უფლება, მხოლოდ რეაბილიტაციის წარმოებაში. ასეთ წარმოებაში, საზოგადოდ, აღიარებულია, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორებს არ უნდა მიეცეთ უფლება, გაანადგურონ საწარმოს ერთობლიობა უზრუნველყოფის საგნების მასიდან ამოღებით. ამიტომაც რეაბილიტაციის წარმოებაში ისინი მონაწილეობენ როგორც კრედიტორთა ერთი ჯგუფი სხვა ჯგუფების გვერდით. ამასთან, 2007 წლის გადახდისუნარიობის კანონი უზრუნველყოფილ კრედიტორებს არ აძლევს განცალკევებით დაკმაყოფილების უფლებას არც გაკოტრების წარმოებაში და არც რეაბილიტაციის წარმოებაში. მაგრამ უცნაური ისაა, რომ 47-ე მუხლში მხოლოდ მათ აქვთ გადაცემული რეაბილიტაციის გეგმის შესახებ კენჭისყრის უფლება და, გარდა ამისა, მასში მოცემულია მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მათ, გარკვეული გარემოების არსებობისას, მაინც შეუძლიათ მიაღწიონ ასევე განცალკევებით დაკმაყოფილებას.

47-ე მუხლში მოცემული მექანიზმი ნაწილობრივ მოთხოვნათა გამოსყიდვის მსგავსად წარიმართება, როგორც ეს გათვალისწინებულია 49-ე მუხლით. ახლა სხვა უზრუნველყოფილ კრედიტორებს შეუძლიათ, მონინალმდევე კრედიტორისაგან ნომინალურ ღირებულებაში გამოისყიდონ მისი მოთხოვნა. მაგრამ კანონი კიდევ ერთ შესაძლებლობას ითვალისწინებს — წარმოებიდან მოცილოს მონინალმდევე უზრუნველყოფილი კრედიტორი, თუკი მას შესთავაზებენ განცალკევებით დაკმაყოფილებას (47-ე მუხლი, მე-2 „ა“ აბზაცი). იმისათვის, რომ ამ ნორმას საერთოდ რაიმე აზრი მიენიჭოს, სულ მცირე, იგი ისე უნდა განიმარტოს, რომ მასთან ყველა შემთხვევაში საბოლოო კომპენსაცია იყოს დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაშიც შეიძლება არსებობდეს პრობლემები და ბოროტად გამოყენების შესაძლებლობები, რომლებიც დანართში მაგალითების სახით არის განმარტებული.<sup>53</sup>

სხვა დანარჩენ კრედიტორებს კენჭისყრაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ ეძლევათ, როცა ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორი არ დაეთანხმება გეგმის დამტკიცებას (47-ე მუხლი, მე-4 და მე-5 აბზაციები). მაშინ მათ ისეთივე შესაძლებლობები აქვთ, როგორებიც სხვა შემთხვევაში მხოლოდ უზრუნველყოფილ კრედიტორებს. გაუგებარია, თუ რა ლოგიკაა ამის უკან. ცალკეული უზრუნველყოფილი კრედიტორების მხრიდან უარის შემთხვევაშიც კი აზრი ექნებოდა იმას, რომ არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს იმავე უფლებების განხორციელება შეეძლოთ, რაც უზრუნველყოფილ კრედიტორებს. კრედიტორი, რომელიც

<sup>52</sup> იხ. IMF: Orderly & Effective Insolvency Procedures, გვ. 65.

<sup>53</sup> იხ. V დანართი.

გამოისყიდის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნას და ამით მიაღწევს მასთან დაკავშირებულ უზრუნველყოფას, გადაიქცეოდა უზრუნველყოფილ კრედიტორად.

უჩვეულოა, რომ კანონი არ ითვალისწინებს სასამართლოს მხრიდან რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას. ეს, თუნდაც, იმიტომ იქნებოდა აუცილებელი, რომ შეიძლებოდა, სადავო ყოფილიყო მიღებული გეგმის ძალამოსილების საკითხი. რეაბილიტაციის გეგმის განხორციელება შემდგომში უკვე რეაბილიტაციის მმართველს ევალება. რეაბილიტაციის გეგმის შეცვლა შესაძლებელია, თუ კრედიტორები მიიჩნევენ, რომ მისი განხორციელება ნაწილობრივ შეუძლებელია (51-ე მუხლი). აქ მთლიანად ხდება მითითება იმ ნორმებზე, რომლებიც ეხება თავდაპირველი გეგმის დადგენას. თითქმის არ შეიძლება დაეფუძვას, რომ კანონმდებელი იმას დაეფუძნა, თითქოს გეგმის შედგენის მთელი პროცესი დაცული იქნება მისი შეცვლის შემთხვევაშიც. ფორმულირება ცვლილებების შეტანის შესაძლებლობის შესახებ უფრო იმაზე მეტყველებს, რომ ცალკეულ კრედიტორებს შეუძლიათ დაეთანხმონ საკუთარი მოთხოვნების შეცვლას ან მათ შემცირებას. 2009 წლის ცვლილებების კანონმა აქ დააზუსტა (51-ე მუხლი, მე-2 პუნქტი), რომ რეაბილიტაციის მმართველი ამზადებს რეაბილიტაციის გეგმაში შესატან ცვლილებებს და „დასამტკიცებლად წარადგენს“. აქ, ალბათ, იგულისხმება, რომ ცვლილებებს ისევ უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა უნდა უყარონ კენჭი 47-ე მუხლის მიხედვით.

რეაბილიტაციის წარმოების შეწყვეტა, რომელსაც კანონისმიერად შედეგად გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება მოჰყვება, სასამართლოს შეუძლია მაშინ დაადგინოს, როცა რეაბილიტაციის გეგმა ვერ განხორციელდება (52-ე მუხლი). ნებისმიერ კრედიტორს შეუძლია წარადგინოს განცხადება და დაასაბუთოს რეაბილიტაციის გეგმის განხორციელების შეუძლებლობა. ამასთან, მან უნდა მიუთითოს, თუ გეგმის რომელი პუნქტები დაირღვა განაცხადის წარდგენის მომენტისათვის. განმარტებას საჭიროებენ ის ნორმები, რომლებშიც მოცემულია სიტყვები: „გეგმის განხორციელება“, „განხორციელების შეუძლებლობა“ და „გეგმის დარღვევა“. ის, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს რეაბილიტაციის გეგმა, მხოლოდ ზოგადადაა აღწერილი 46-ე მუხლის მე-3 აბზაცში. როგორც წესი, გეგმაში ასახულია სამეურნეო ღონისძიებები, რომელთა მეშვეობითაც უნდა აღმოიფხვრას გადახდისუუნარობა. შემდგომში გეგმა კონკრეტულად მიუთითებს, თუ როდის და რა გადახდები უნდა განხორციელდეს კრედიტორების მიმართ. შესაძლებელია და აუცილებელიც, 52-ე მუხლი ისე განიმარტოს, რომ რეაბილიტაციის გეგმის დარღვევაში იგულისხმებოდეს მხოლოდ გადახდის მოვალეობის შეუსრულებლობა. თუკი რეაბილიტაციის მმართველი არ განხორციელებს გეგმაში გათვალისწინებულ სამეურნეო ღონის-

ძიებებს, მაგალითად, არ განახორციელებს საწარმოში არავითარ სტრუქტურულ ცვლილებებს ან ამის ნაცვლად მიმართავს სხვა ღონისძიებებს, მაშინ მისმა ამ უმოქმედობამ წარმოების შეწყვეტა მანამდე არ უნდა გამოიწვიოს, სანამ კრედიტორებს გათვალისწინებულ თანხებს არ გადაუხდიან. კრედიტორებზე ვადის დარღვევით გადახდებმაც აგრეთვე მაშინვე არ უნდა გამოიწვიოს წარმოების შეწყვეტა. რეაბილიტაციის წარმოების შესაწყვეტად კანონი, მართალია, არც თანხის მინიმალურ მოცულობას ითვალისწინებს, ასეთი შეწყვეტისათვის საკმარისად მიიჩნევა ყოველი დარღვევა. მაგრამ სხვა მხრივ, არც მაშინ უნდა შეწყდეს რეაბილიტაციის წარმოება, როცა გეგმა ვერ განხორციელდება, არამედ მაშინ, როცა მისი განხორციელება შეუძლებელი ხდება. ამიტომ სასამართლომ ყველა გარემოებათა შეჯერების შემდეგ უნდა მიიღოს ბრძნული გადაწყვეტილება, ღირს თუ არა რეაბილიტაციის წარმოების გაგრძელება.

## 18. ვალაუვალობის წარმოების დამთავრება და შესაძლო განახლება

ვალაუვალობის (გადახდისუუნარობის) დაწყებული წარმოება შეიძლება ვადამდე დამთავრდეს გადახდისუუნარობის განაცხადის წარმოებაში არმიღებით (მე-20 მუხლი) ან გადაწყვეტილებით წარმოების შეწყვეტის შესახებ (34-ე მუხლი). ზემოთ უკვე მივუთითეთ იმაზე, რომ განცხადებაზე უარის თქმაც ფინანსური საფუძვლებიდან გამომდინარე შეიძლება იყოს აუცილებელი (შდრ. 7.2.1 ქვეთავი). გარდა ამისა, წარმოების მიმდინარეობისას ასევე შეიძლება აღმოჩნდეს, რომ წარმოების გაგრძელება შეუძლებელი გახდეს ფინანსური საფუძვლებიდან გამომდინარე (შდრ. 9 ქვეთავი). წარმოების სხვა სტადიებზეც ასევე შესაძლებელია, მოხდეს წარმოების შეჩერება. ასეთი რამ, მაგალითად, შეიძლება მოხდეს, თუ კრედიტორთა კრებაზე არც ერთი კრედიტორი არ გამოცხადდება, თუკი კრედიტორები ვერ დანიშნავენ გაკოტრების მმართველს, ან თუ მმართველთან ვერ დაიდო კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულება მისი უფლებამოსილებისა და ანაზღაურების შესახებ. 2009 წლის ცვლილებების კანონმა 37-ე მუხლის მე-2 პუნქტში დეტალური წესები შემოიღო, რომელთა მეშვეობითაც ასეთი სიტუაცია, ალბათ, იშვიათად შეიქმნება.

გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისათვის კანონი ითვალისწინებს სასამართლო განჩინებას, თუმცა არაფერს ამბობს მის შინაარსზე (42-ე მუხლი, მე-3 აბზაცი). 2009 წლის ცვლილებების კანონმა მოაწესრიგა, რომ საწარმო უნდა ამოი-



შალოს სამენარმეო რეესტრიდან. აქ აუცილებელია აღინიშნოს, ასეთი რამ არ შეიძლება მოხდეს, როდესაც მთლიანი საწარმოს მყიდველმა, 38-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, არჩევანი იმაზე შეაჩერა, რომ საწარმოს ერთადერთ პარტნიორად დარეგისტრირდეს. მანამდე გაკოტრების მმართველი ვალდებულია, სასამართლოსა და კრედიტორებს წარუდგინოს გაკოტრების ანგარიში (42-ე მუხლი, მე-2 აბზაცი). ანგარიში უნდა ასახავდეს ზუსტ სურათს გაკოტრების მასისა და მისი ლიკვიდაციის შესახებ. დაისმის კითხვა, თუ რა შემონმებები შეიძლება ან უნდა განახორციელონ კრედიტორებმა და სასამართლომ. 1996 წლის გაკოტრების კანონის თანახმად, საბოლოო ანგარიშს ამონმებდა სასამართლო და წარუდგენდა მას კრედიტორთა კომიტეტს, თუკი ასეთი არსებობდა. ამის შემდეგ საბოლოო ანგარიში განიხილებოდა კრედიტორთა კრებაზე. გარდა ამისა, 1996 წლის გაკოტრების კანონი ითვალისწინებდა, რომ კრედიტორთა კრებაზე განიხილებოდა საკითხი მასის განაწილების შესახებ გაკოტრების საბოლოო ტაბულის მიხედვით და შემდეგ იგი მტკიცდებოდა სასამართლო განჩინებით; ხოლო მას შემდეგ, რაც განაწილება, ფაქტობრივად განხორციელდებოდა და იგი სასამართლოს მიერ შემონმდებოდა, ამას მოჰყვებოდა განჩინება წარმოების დამთავრების შესახებ. 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის მიხედვით კი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება „გაკოტრების მმართველისა და კრედიტორთა ინფორმაციის შესაბამისად“. ეს ისე უნდა განიმარტოს, რომ ეს ნორმა 1996 წლის გაკოტრების კანონით დამკვიდრებულ პრაქტიკას შეესაბამება. 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი მხოლოდ სავალდებულოდ არ ითვალისწინებს კრედიტორთა საბოლოო კრებას.

თუმცა 1996 წლის გაკოტრების კანონისაგან განსხვავებით, წარმოების ფაქტობრივი დამთავრება განჩინებასთან ჯერ კიდევ არაა დაკავშირებული. გაკოტრების საქმისწარმოება მხოლოდ მაშინ დასრულდება, როცა ამონაგები ასევე განაწილებულია (42-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი). ამონაგები თავდაპირველად ჯერ სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე უნდა შენახულიყო და იგი მხოლოდ სამი თვის შემდეგ უნდა განაწილებულიყო. 2009 წლის ცვლილებების კანონის მიხედვით, დეპოზიტზე შენახვის აუცილებლობა ახლა მხოლოდ თანხის ერთი ნაწილისათვის მოქმედებს ისე, რომ არაფერია ნათქვამი, თუ რა ოდენობისაა ეს ნაწილი.

კანონი ასევე არაფერს ამბობს სხვა აუცილებელი საბოლოო გადაწყვეტილებების შესახებ. გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს იმის შესახებ, რომ გაკოტრების მმართველის უფლებამოსილება მთავრდება და რომ მოვალეს, თუკი იგი ფიზიკური პირია, კვლავ შეუძლია თავისუფლად განკარგოს თავისი ქონება. 1996 წლის გაკოტრების კანონი 27-ე მუხლის მე-2 აბზაცში შეიცავდა დათქმას იმის თაობაზე, თუ რა შედეგები ჰქონდა წარმოების დამთავრებას კრედიტორთა დაუკ-

მაყოფილებელ მოთხოვნებზე. კერძოდ, კრედიტორებს შეეძლოთ გაეგრძელებინათ აღსრულება მოვალე-ფიზიკური პირის წინააღმდეგ. გაკოტრების ტაბულიდან ამონაწერი იყო სააღსრულებო ფურცელი. 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი არ შეიცავს ამასთან დაკავშირებით არავითარ დათქმას. ამასთან, ამ დუმილიდან იგივე სამართლებრივი შედეგი გამომდინარეობს, კერძოდ, ის, რომ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები აგრძელებს არსებობას. თუმცა კი, არ არსებობს წესი იმის თაობაზე, რომ ამონაწერი გაკოტრების ტაბულიდან იმავდროულად სააღსრულებო ფურცელიცაა.

რაიმე მონესრიგება არ არსებობს აგრეთვე რეაბილიტაციის წარმოების დამთავრებისათვის, როცა განხორციელდა რეაბილიტაციის გეგმა. როგორც ჩანს, კანონმდებელმა ჩათვალა, რომ ამისათვის არავითარი წესი არაა საჭირო, ვინაიდან კრედიტორთა დაკმაყოფილება ხომ ისედაც ხდება. ამის თაობაზე სავსებით შესაძლებელია მონაწილეებს შორის, დავა წარმოიშვას, რომელიც შემდგომში სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნება გასარკვევი. უპირველეს ყოვლისა, ცალსახად მოსაწესრიგებელია საკითხი, თუ როდის მთავრდება უფლებამოსილება რეაბილიტაციის მმართველისა, რომელიც არის საზოგადოების ხელმძღვანელი და რომელიც ახორციელებს პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას. აქედან გამომდინარე, ალბათ, გარდაუვალი უნდა იყოს, რომ სასამართლოებმა ამის თაობაზე გადაწყვეტილება განცხადების საფუძველზე მიიღონ, მაშინაც კი, თუ ეს კანონით არ არის მონესრიგებული.

საბოლოოდ, შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრების შემდეგ მცირე გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება აუცილებელი გახდეს წარმოების ისე განახლება. 28-ე მუხლში 1996 წლის გაკოტრების კანონი გარკვევით ითვალისწინებდა, რომ დამატებითი განაწილება შედგება, თუკი საბოლოო განაწილების შემდეგ გაირკვევა, რომ სახეზეა ჯერ კიდევ გასანაწილებელი ქონება. 2007 წლის კანონი ასეთ შემთხვევას არ ითვალისწინებს. თუმცა აუცილებლად საჭიროა მონესრიგდეს, თუ რა შეიძლება მოხდეს ასეთ შემთხვევაში. დავუშვათ, გაირკვა, რომ მოვალის სანარმოს კიდევ აქვს ქონებრივი ღირებულებები, რომლებიც უცნობი იყო გაკოტრების წარმოების მიმდინარეობისას. აქ წარმოიშობა ორი საინტერესო ალტერნატივა: დავუშვათ, სანარმო სამეწარმეო რეესტრში ამოიშალა, ვინაიდან (გარეგნულად) მთელი ქონება ნაწილ-ნაწილ ან ერთიანი ქონებრივი კომპლექსის სახით აუქციონზე იქნა რეალიზებული. მართალია, საზოგადოება ამოიშალა რეესტრიდან, რამდენადაც იგი თითქოსდა უქონელი გახდა, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ ეს არასწორი ვარაუდი იყო. ასე რომ, საზოგადოება, ფაქტობრივად, კვლავ არსებობს და ახლა აღმოჩენილი ქონების მესაკუ-

თრეა. ვინაიდან გადახდისუნარობის კანონი არ შეიცავს დამატებითი განაწილების ნორმებს, რჩება მხოლოდ ერთი გზა — ანალოგიურად იქნეს გამოყენებული სამოქალაქო საპროცესო ნორმები. აქ მხედველობაში იქნებოდა მისაღები საქმის წარმოების განახლება ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 423-ე მუხლი). ასე რომ, ამ გზით შეიძლება აუქციონზე იქნეს რეალიზებული აღმოჩენილი ქონება, ხოლო ამონაგები — კრედიტორებზე განაწილებული; მეორე ალტერნატივა ის იქნებოდა, რომ აუქციონზე გაიყიდებოდა არა საზოგადოების ქონება, არამედ საზოგადოების წილები. ამდენად, მყიდველი 38-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ერთადერთ პარტნიორად დარეგისტრირდებოდა და საზოგადოებაც არ ამოიშლებოდა სამენარმეო რეესტრიდან. ამრიგად, მყიდველი ავტომატურად გახდებოდა ასევე ახლად აღმოჩენილი ქონების მესაკუთრე, შესაბამისად, კრედიტორები ხელცარიელნი დარჩებოდნენ, ხოლო დამატებითი განაწილება არ იქნებოდა. ამდენად, არცთუ უმნიშვნელოა, დავინახოთ განსხვავება საწარმოს, როგორც ერთიანი კომპლექსის, გაყიდვის (იხ. ზემოთ, მე-16 თავი) ორივე შესაძლებლობისა.

## 19. სასამართლოს სამართლებრივი სტატუსი და ფუნქციები

სასამართლოს სამართლებრივი სტატუსისა და ფუნქციების საუკეთესოდ აღწერა მას შემდეგაა შესაძლებელი, როცა წარმოდგენილი იქნება ვალაუფალობის მთელი წარმოება. 1996 წლის გაკოტრების კანონში წარმოდგენილ სამართლებრივ სტატუსთან შედარებით, ნაწილობრივ, მნიშვნელოვან განსხვავებებთან გვაქვს საქმე. ვალაუფალობის მასასთან დაკავშირებული ყველა სასამართლო პროცესის ქვემდებარეობის გამო წარმოების მიმართ უფრო დიდი პასუხისმგებლობა ვლინდება. სასამართლოებს ჩამოერთვათ უფლებამოსილება, მიიღონ საკუთრივ გადაწყვეტილება ვალაუფალობის (გადახდისუნარობის) არსებობასთან დაკავშირებით, აგრეთვე — გადაწყვეტილება იმ საკითხის ირგვლივ, თუ რომელი წარმოება უნდა დაიწყოს: გაკოტრებისა თუ რეაბილიტაციისას. წარმოების გახსნის პროცესში სასამართლოს აქვს ფართო კომპეტენცია მეურვის დანიშვნისა და ვალაუფალობის მასის მართვის საქმეში. ამ დროს სასამართლომ ეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილებებიც უნდა მიიღოს. შეიცვალა სასამართლოს სტატუსი კრედიტორთა კრებაზე, ვინაიდან კრედიტორთა პირველ კრებაზე მოთხოვნათა შემონმება ახლა უკვე სასამართლო განხილვის სახით ხორციელდება. გაკოტრებისა და რეაბილიტაციის წარმოებაში წარმოების გაგრძელების პასუხისმგებლობა უფრო სრულად კრედიტორებსა და

მმართველებზეა გადასული. კანონით გათვალისწინებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ნაწილობრივ, წმინდა დეკლარაციული მნიშვნელობა აქვთ. სასამართლოთა მზარდ მნიშვნელობას ჩვენ პირადად იმაში ვხედავთ, რომ მათ უნდა უზრუნველყონ, გაურკვეველი და გაუაზრებელი საკანონმდებლო ვითარების პირობებშიც კი, ვალაუვალობის წარმოებები რაციონალურ დასასრულამდე იქნეს მიყვანილი. როგორც წარმოდგენილმა ვალაუვალობის წარმოებამ გვიჩვენა, ასეთი რამ სხვადასხვა სიტუაციაში აუცილებელი იქნება.

## **დანართი I. კრედიტორის მიერ დეპოზიტის გადახდის მნიშვნელობა მე-6 მუხლის მიხედვით**

გადახდისუუნარობის კანონის მე-6 მუხლის თანახმად, კრედიტორმა გადახდისუუნარობის განცხადების წარდგენისას უნდა გადაიხადოს 10.000 ლარი.

მე-6 მუხლის 1-ლი აბზაცის მიხედვით, 5000 ლარიდან გადაიხდება სასამართლოს ხარჯები და მმართველის (მეურვის) გასამრჯელო, როდესაც ვალაუვალობის წარმოება შეწყდება. გადახდისუუნარობის კანონის 34-ე მუხლის მიხედვით, ვალაუვალობის წარმოება შეიძლება იმ შემთხვევაში შეწყდეს, თუ მოვალე ფაქტობრივად გადახდისუუნარო არ არის. ამდენად, კრედიტორს თანხა იმიტომ არ უბრუნდება უკან, რომ გადახდისუუნარობის შესახებ მისი განცხადება დაუსაბუთებელი აღმოჩნდა. იმ შემთხვევაში, თუ ვალაუვალობის წარმოება არ შეწყდება, კრედიტორს უკან უნდა დაუბრუნდეს გადახდილი 5000 ლარი.

მე-6 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, კრედიტორი ვალდებულია, სასამართლოს ხარჯებისათვის გადაიხადოს 5000 ლარი. მე-6 მუხლი არ აწესრიგებს, რომ სასამართლოს ეს ხარჯები უკან უნდა დაბრუნდეს. ფაქტობრივად, მე-40 მუხლის მიხედვით, ის შემთხვევაა, როდესაც სასამართლოს ხარჯები მოვალის ქონების აუქციონიდან მიღებული ამონაგებიდან უნდა დაიფაროს. თუ სასამართლო ხარჯები მოვალის ქონებიდან იქნება გადახდილი, მაშინ ამ გარემოების გათვალისწინებით კრედიტორს სასამართლო ხარჯები უკან დაუბრუნდება. სხვა შემთხვევაში, დაირღვევა ვალაუვალობის წარმოების პრინციპი, კერძოდ, კრედიტორთა თანასწორობა, რასაც შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს:

მოვალეს ჰყავს 5 კრედიტორი, ყველა მათგანს აქვს თანაბარი მოთხოვნა 20.000 ლარის ოდენობით. გადახდისუუნარობის კანონის მე-40 მუხლის მიხედვით, თითოეულ მათგანს უკავია მე-5 რიგი. სამმა კრედიტორმა ერთობლივად წარადგინა გადახდისუუნარობის განცხადება (გადახდისუუნარობის კანონის მე-14 მუხლის 1-ლი აბზაცი). გადახდისუუნარობის კანონის მე-6 მუხლის თანახმად, კრედიტორებმა ერთობლივად გადაიხადეს 10.000 ლარი. რადგანაც გაკოტრების წარმოება გაიხსნა, მაშინ გადახდისუუნარობის კანონის მე-6 მუხლის 1-ლი აბზაცის მიხედვით, მათ 5000 ლარი უკან დაუბრუნდებათ. დაუშვათ, რომ აუქციონიდან ამონაგები შეადგენს 55.000 ლარს და პრივილეგირებული კრედიტორებისთვის გადახდილი უნდა იქნეს 30.000 ლარი. მაშინ 5 კრედიტორზე გასანაწილებლად რჩება 25.000 ლარი. თითოეულ კრედიტორს შეხვდება 5000 ლარი. რამდენადაც სამმა კრედიტორმა, რომლებმაც ერთობლივად შეიტანეს გადახდისუუნარობის განცხადება, გა-

დაიხადა სასამართლოს ბაჟი 5000 ლარის ოდენობით, თითოეული მათგანი თავისი მოთხოვნის მიხედვით, ფაქტობრივად, მიიღებს 3333,34 ლარს. ეს აშკარად არ არის სწორი. ამიტომ, მე-40 მუხლი შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: პირველ რიგში, ამონაგებიდან გადაიხდება სასამართლო ბაჟი მე-40 მუხლის 1-ლი აბზაცის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით და კრედიტორებს, რომლებმაც წარადგინეს განცხადება, გადახდილი თანხა უკან დაუბრუნდებათ. მაშინ მე-5 რიგის 5 კრედიტორზე გასანაწილებლად რჩება 20.000 ლარი. ასე რომ, ხუთივე კრედიტორი ერთნაირად მიიღებს 4000 ლარს.

**დნართი II. სასამართლოს გადაწყვეტილების ნიმუში ვალაუფალობის  
საკმარისი მასის არარსებობის გამო გადახდისუუნარობის  
განცხადების უარყოფის შესახებ**

**თბილისის საქალაქო სასამართლო**

სააქტო ნომერი:

**გადაწყვეტილება**

გადახდისუუნარობის წარმოება

**შპს „ა“-ს** ქონებაზე, წარმოდგენილი ..... სახით

— მოვალე და განმცხადებელი —

გადახდისუუნარობის განცხადება საქმისწარმოების დაწყებაზე არ იქნა მიღებული

**საფუძვლები:**

**I.**

მოვალემ ა.წ. \_\_\_\_\_ ლიკვიდატორის მეშვეობით წარადგინა გადახდისუუნარობის განცხადება. განცხადებით მან იმავდროულად მოითხოვა გაკოტრების წარმოების გახსნა. განცხადება აკმაყოფილებს „გადახდისუუნარობის საქმეთა წარმოების შესახებ“ 2007 წლის 28 მარტის კანონის (შემდგომში: გადაკა) მე-15 და მე-16 მუხლების ყველა წინაპირობას. განცხადების მიხედვით, მოვალის ქონება (გადაკა, მე-16 მუხლის „ა“ პუნქტი) შედგება 5 წლის კომპიუტერისაგან, რომლის მაქსიმალური ღირებულებაა 150 ლარი და საოფისე ინვენტარისაგან, რომლის მაქსიმალური ღირებულებაც ასევე 150 ლარს შეადგენს. საბანკო ანაგარიშები აღარ გააჩნია, ვინაიდან ბანკმა დებეტში მყოფი ანგარიში გააუქმა. ადრინდელი საქმიანობა თვეების წინ უკვე შეწყვეტილია. განცხადებაში უზრუნველყოფილი კრედიტორის სახით (გადახდისუუნარობის კანონის მე-16 მუხლის „ბ“ პუნქტი) მითითებულია ბანკი, 50.000 ლარის ოდენობის მოთხოვნით. უზრუნველყოფის მიზნით მოვალემ ბანკს დაუთმო კლიენტების მიმართ არსებული ყველა მოთხოვნა. ამდენად, ასეთი მოთხოვნები აღარ არსებობს. გადახდისუუნარობის კანონის მე-16 მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, მითითებულია შემდგომი 4 კრედიტორი, 70.000 ლარის ოდენობის ერთიანი მოთხოვნით. ესენი არიან: საგადასახადო ორგანო, 50.000 ლარის ოდენობის მოთხოვნით, ოფისის გამქირავებელი, 10.000 ლარის ოდენობის მოთხოვნით და ორი მომწოდებელი, თითოეული 5.000 ლარის ოდენობის მოთხოვნით. ყველა ეს მოთხოვნა ვადამოსულია და მათი საფუძვლიანობა მოვალის მიერ არ არის სადავოდ გამხდარი.

პარტნიორების მიერ წარმოდგენილი ა.ნ. \_\_\_\_\_ გადაწყვეტილების მიხედვით გადაწყდა საზოგადოების ლიკვიდაცია და დირექტორი დაინიშნა ლიკვიდატორად.

## II.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნა დაუშვებელია, რადგან არასაკმარისია წარმოების განხორციელებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ინტერესი.

გადახდისუუნარობის კანონის მე-5 პუნქტის მე-2 აბზაცის თანახმად თუ გადახდისუუნარობის კანონი გარკვეულ საკითხებზე არ შეიცავს სპეციალურ ნორმას, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. გადახდისუუნარობის კანონი არ შეიცავს სამართლებრივი დაცვის ინტერესის კონკრეტულ პირობებს. ხოლო საპროცესო სამართალში სამართლებრივი დაცვის ინტერესი განეკუთვნება სარჩელის დასაშვებობის ზოგად წინაპირობებს. ჩვეულებრივი შესასრულებელი სარჩელის შემთხვევაში, რომლის დროსაც მოსარჩელე საკუთარი უფლებისათვის თავისი სახელით აღძრავს სარჩელს, სამართლებრივი დაცვის ინტერესი არ იქნება განსაკუთრებულად გამოხატული, რადგან იგი, როგორც წესი, სახეზეა. ალიარებითი სარჩელისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი, ამის საპირისპიროდ, ცალსახად აწესრიგებს, რომ სამართლებრივი დაცვის ინტერესი დადებითად იქნეს წარმოდგენილი და დადგენილი. ამ ნორმაში ნათელი ხდება ზოგადი პრინციპი. საპროცესო სამართალს სურს, თავიდან აიცილოს ზედმეტი სარჩელები. წინამდებარე კაზუსში სახეზე არაა სამართლებრივი დაცვის ინტერესი, რადგან გადახდისუუნარობის წარმოების განხორციელებისას არცერთი მიზანი არ იქნება მიღწეული.

გადახდისუუნარობის კანონი, 1-ლი მუხლის მიხედვით, წარმოაჩენს ორად ორ მიზანს: საჭიროა მოვალისა და კრედიტორების იმ სახით დაცვა, რომ დაძლეულ იქნეს მოვალის ფინანსური პრობლემები და დაკმაყოფილდეს კრედიტორის მოთხოვნები, ანდა იმ სახით, რომ მოვალის ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგების განაწილებით დაკმაყოფილდეს კრედიტორთა მოთხოვნები (თუნდაც, ნაწილობრივ). ამ კაზუსში ორივე მიზანი შეიძლება ვერ იქნეს მიღწეული. ფინანსური პრობლემების დაძლევა, რაც გადახდისუუნარობის კანონის ფარგლებში რეაბილიტაციის წარმოებას გულისხმობს, შეუძლებელია არსებული ქონებრივი ურთიერთობების მიხედვით. გადახდისუუნარობის კანონი, მოვალის შესაბამისი განცხადების შემთხვევაში, სავალდებულოდ ითვალისწინებს გაკოტრების წარმოების განხორციელებას (გადახდისუუნარობის კანონი, მე-17 მუხლი). გაკოტრების წარმოებისას კანონის მიზანი შეიძლება ვერ იქნეს მიღწეული, რადგან ქონების რეალიზაციის სავარაუდო ამონაგები საკმარისი არ არის წარმოების ხარჯების დასაფარავად. გადახდისუუნარობის კა-



ნონის მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საპროცესო ხარჯები და მეურვის დანიშვნასა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები, ასევე მისი გასამრჯელო უნდა იქნეს გადახდილი ყველა კრედიტორის დაკმაყოფილებამდე. გადახდისუუნარობის წარმოების მე-6 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, საპროცესო ხარჯები შეადგენს მხოლოდ 5000 ლარს. ასე რომ, შეუძლებელია კრედიტორების ნაწილობრივი დაკმაყოფილება კი.

წარმოების განხორციელებისათვის სახეზე არა გვაქვს არა მხოლოდ სამართლებრივი დაცვის ინტერესი, არამედ თვით წარმოების განხორციელებაც ფაქტობრივად შეუძლებელია. სასამართლომ გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში მიღებასთან ერთად უნდა დანიშნოს მეურვე (გადახდისუუნარობის კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი). გადახდისუუნარობის კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მეურვის გასამრჯელო გადახდება სამეურვეო ქონებიდან. სამეურვეო ქონება (გადახდისუუნარობის კანონის მე-3 მუხლის „რ“ პუნქტი) ჩვენს კაზუსში შეადგენს მაქსიმუმ 300 ლარს. სასამართლომ ლიკვიდატორს პირადად მოუსმინა. როგორც მოსმენის შედეგად დადგინდა, არ არსებობს იმის ეჭვი, რომ მან სამეურვეო ქონების შესახებ სწორად და სრულად მიუთითა. არ არსებობს არანაირი პერსპექტივა იმისა, რომ ეს ქონება გაიზარდოს ვალაუვალობის წარმოების მიმდინარეობისას. მაშინაც კი, თუკი ქონების რეალიზაციიდან შესაძლო ამონაგები სრული მოცულობით მოხმარდებოდა მეურვის გასამრჯელოს და მასზე ადრე არ დაკმაყოფილდებოდა საპროცესო ხარჯები, შეუძლებელი იქნება ისეთი მეურვის პოვნა, რომელიც ასეთი გასამრჯელოსათვის მაღალი პასუხისმგებლობის რისკის პირობებში (გადაკა, 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი) შეასრულებს მეურვის მოვალეობებს. კანონი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ხაზინის სუბსიდიურ პასუხისმგებლობას მეურვის გასამრჯელოსა და ხარჯებისათვის. ასე რომ, გადახდისუუნარობის წარმოება ფაქტობრივად ვერ განხორციელდება.

გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში არმიღება არ ეწინააღმდეგება იმას, რომ ლიკვიდატორი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-14.2 მუხლის მიხედვით, კანონისმიერად ვალდებულია, წარადგინოს გადახდისუუნარობის განცხადება. ლიკვიდატორის ეს მოვალეობა შესრულებულად ითვლება განცხადების წარდგენით, მაშინაც კი, როდესაც სასამართლო არ მიიღებს განცხადებას წარმოებაში. გადახდისუუნარობის განცხადების წარდგენის ვალდებულების აზრი ისაა, რომ სალიკვიდაციო ამონაგების განაწილება გადახდისუუნარობის კანონის პრიორიტეტების წესის მიხედვით ხდება, თუკი ზედავალიანებით აღარ არის გარანტირებული, რომ ყველა კრედიტორი სრული ოდენობით დაკმაყოფილდება. გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში არმიღებით ლიკვიდატორს შეუძლია და ვალდებულიცაა, ეს აზრი

იმ სახით განახორციელოს, რომ იგი, თავდაპირველად, ლიკვიდაციას დაასრულებს, „მენარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით. მაშინაც კი, თუ გადახდისუუნარობის განცხადება არ იქნება ნარმოებაში მიღებული, ძალაში რჩება მისი ვალდებულებები, რეალიზაცია უყოს საზოგადოების აქტივებს და შეასრულოს ვალდებულებები. კრედიტორების დაკმაყოფილებისას ლიკვიდატორი ვალდებულია, ანალოგიურად დაიცვას გადახდისუუნარობის კანონის მე-40 მუხლით დარეგულირებული რიგითობა, რათა შესრულდეს გადახდისუუნარობის განცხადების ნარდგენის ვალდებულების არსი. ამონაგების სრულად განაწილების შემდეგ, როდესაც უკვე სახეზე იქნება საზოგადოების უქონლობა, ლიკვიდატორმა უნდა განახორციელოს საზოგადოების სამენარმეო რეესტრიდან ამოშლა.

მოსამართლე

---

### **დანართი III. ვალაუვალობის მასის წარმომადგენლის ამოცანებისა და ფუნქციების შესახებ**

ვალაუვალობის მასის წარმომადგენლი ვალდებულია:

- (ა) დაუყოვნებლივ მიიღოს მფლობელობაში და მართოს გაკოტრების მასას მიკუთვნებული ქონებრივი საგნები, ასევე მოვალის ყველა საქმიანი საბუთი;
- (ბ) წარმოადგინოს გაკოტრების მასა სამართლებრივ ურთიერთობებში;
- (გ) მოიძიოს საწარმოსათვის საჭირო დაფინანსება;
- (დ) წარმოადგინოს გაკოტრების მასა მიმდინარე სასამართლო და ადმინისტრაციულ წარმოებებში;
- (ე) მოიძიოს ინფორმაცია მოვალის, მისი ქონების, მისი ვალდებულებებისა და ადრინდელი გარიგებების, განსაკუთრებით ვალაუვალობისწინარე უშუალო პერიოდის გარიგებების შესახებ. ეს მოიცავს მოვალისა და იმ მესამე პირების გამოკითხვას, რომლებთანაც მოვალე სამართლებრივ ურთიერთობებში იმყოფებოდა;
- (ვ) მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რაც აუცილებელია მოვალის ქონების დასაცავად და შესანარჩუნებლად. ამას მიეკუთვნება მოვალის ქონებაზე არამართლობიერი განკარგვის მცდელობებისათვის ხელის შეშლა და მოვალის გარიგებების გასაჩივრების უფლება;
- (ზ) დაარეგისტრიროს მოვალის უფლებები, თუკი ამის საჭიროება არსებობს, რათა აღკვეთოს მესამე პირების მხრიდან კეთილსინდისიერი შექცენა;
- (თ) დაიქირაოს ბუღალტრები, ადვოკატები და სხვა სპეციალისტები და გადაუხადოს მათ გასამრჯელო, თუკი ეს საჭიროა დავალებების შესრულებისთვის;
- (ი) იმ მხრივ შეამოწმოს მოვალის მიერ დადებული ის ხელშეკრულებები, რომლებიც ხელშეკრულების მხარეების მიერ ჯერ არ არის სრულად შესრულებული, რათა დაადგინოს, მოითხოვოს მათი შესრულება, თუ უარი თქვას შესრულებაზე;
- (კ) აწარმოოს მოლაპარაკებები დასაქმებულებთან მათი უფლებებისა და მოთხოვნების შესახებ, ასევე იმ მოთხოვნის შესახებ, რომელიც უკავშირდება დანაპირებ პენსიას;
- (ლ) განახორციელოს სალიკვიდაციო წარმოებაში მოვალის ქონების ლიკვიდაცია;

- (მ) შეამონმოს კრედიტორთა მოთხოვნები, აღიაროს ისინი და აწარმოოს აღიარებულ კრედიტორთა მოთხოვნების აქტუალიზებული რეესტრი.
- (ნ) დროის სისტემატურ მონაკვეთებში მიაწოდოს სასამართლოსა და კრედიტორებს შუალედური ანგარიშები წარმოების მიმდინარეობის შესახებ. ეს ანგარიშები უნდა შეიცავდნენ, მაგალითად, დეტალურ საკითხებს კონკრეტულ დროის მონაკვეთში რეალიზებული ქონებრივი საგნების, მიღებული ფასის, განეული ხარჯების ან სხვა ინფორმაციის შესახებ, რომლის მიღების მოლოდინიც შეიძლება ჰქონდეთ სასამართლოსა და კრედიტორებს, შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ; აგრეთვე სამართავად დარჩენილი ქონებრივი საგნების შესახებ;
- (ო) მონაწილეობა მიიღოს კრედიტორთა კრებებზე;
- (პ) გააგრძელოს საწარმოს საქმიანობა რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის პროცესში, თუკი საწარმო ერთ მთლიანობად უნდა გაიყიდოს;
- (ჟ) შეიმუშაოს რეორგანიზაციის პროცესში გეგმა ან ხელი შეუწყოს ასეთი გეგმის შემუშავებას, ანდა, თუკი ეს მის კომპეტენციაში შედის, მოამზადოს ანგარიში იმის თაობაზე, თუ რატომ არის შეუძლებელი რეორგანიზაცია;
- (რ) ზედამხედველობა გაუწიოს რეორგანიზაციის გეგმის მიღებას და საჭიროების შემთხვევაში მის განხორციელებასაც;
- (ს) გაანაწილოს ამონაგები სალიკვიდაციო წარმოებაში, და სწრაფად და ეფექტურად დახუროს საწარმო, თუ ეს სხვა მონაწილეთა მნიშვნელოვანი ინტერესია;
- (ტ) კანონით გათვალისწინებული წესის მიხედვით წარუდგინოს სასამართლოს ან კრედიტორებს საბოლოო მოხსენება და საბოლოო ანგარიში, ვალაუვალობის მასის მართვის შესახებ
- (უ) შეასრულოს სხვა დავალებები, რომელთა შესრულება, კანონით დადგენილი წესის მიხედვით, შეიძლება მოითხოვოს სასამართლომ ან კრედიტორებმა.

## **დანართი IV. რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების განაწილების ლოგიკასთან დაკავშირებით**

**1-ლი კაზუსი:** უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილება მე-40 ან 41-ე მუხლის მიხედვით

ვალაუფალობის მასის ღირებულება შეადგენს 10.000 ლარს, კერძოდ, გაკოტრების მმართველმა ცალ-ცალკე გაყიდა ავტომანქანა 8.000 ლარად, ხოლო ოფისის ინვენტარი 2.000 ლარად. სასამართლოს ხარჯებმა შეადგინა 500 ლარი, წარმოების გახსნის შემდეგ წარმოშობილმა ვალებმა — 1.000 ლარი, ხოლო გაკოტრების მმართველის ხარჯებმა — 1.500 ლარი. სახეზეა ერთი უზრუნველყოფილი კრედიტორი 20.000 ლარის მოთხოვნით, რომელსაც დაგირავებული ჰქონდა ავტომანქანა. საგადასახადო დავალიანება შეადგენს 5.000 ლარს. სახეზეა აგრეთვე არაუზრუნველყოფილი კრედიტორი 10.000 ლარის მოთხოვნით.

მოთხოვნათა რეესტრის მიხედვით (მე-40 მუხლი) გადახდილ უნდა იქნეს:

პირველი რიგი: პროცესის ხარჯები	500
მეორე რიგი: ახალი ვალები	1.000
მესამე რიგი: მმართველის ხარჯები	1.500
მეოთხე რიგი: უზრუნველყოფილი მოთხოვნა	7.000
<b>საერთო ჯამში გადასახდელი თანხა:</b>	<b>10.000</b>

თუკი გადახდისუნარობის კანონის 41-ე მუხლის მიხედვით, ავტომანქანის გაყიდვიდან მიღებული სრული ამონაგებით უზრუნველყოფილი კრედიტორი დაკმაყოფილდებოდა, მაშინ, მე-40 მუხლის მიხედვით, კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად რჩება მხოლოდ 2000 ლარი. შედეგი ის იქნებოდა, რომ მმართველი მიიღებდა მხოლოდ 500 ლარს.

**მე-2 კაზუსი:** 41-ე მუხლის გამოყენება საწარმოს მთლიანად გაყიდვისას

საწარმო გაიყიდა სულ 100.000 ლარად. საწარმოს საკუთრებაში ჰქონდა ავტომანქანა, ოფისის ინვენტარი და პატენტი. მოთხოვნათა რეესტრის 1 — 3 რიგში ვალდებულებების საერთო მოცულობაა 30.000 ლარი. სახეზეა ორი უზრუნველყოფილი კრედიტორი, თითოეული 20.000 ლარის მოთხოვნით. „ა“ კრედიტორის მიერ დაგირავებული იყო ავტომანქანა, ხოლო „ბ“ კრედიტორის მიერ — პატენტი. მე-5 რიგის მოთხოვნები შეადგენს 50.000 ლარს.

განაწილება მე-40 მუხლის მიხედვით:

1—3 რიგის კრედიტორებზე	30.000
მე-4 რიგის კრედიტორებზე	40.000
მე-5 რიგის კრედიტორებზე	<u>30.000</u>

საერთო ჯამში გადასახდელი თანხა: 100.000

დავუშვათ, ავტომანქანის ცალკე გაყიდვისას ამონაგებმა მხოლოდ 5.000 ლარი შეადგინა. შემდეგ ასევე დავუშვათ, რომ პატენტი სანარმოს ყველაზე მნიშვნელოვანი ქონება იყო და მყიდველმა სანარმო მხოლოდ ამ პატენტის გამო შეიძინა. დავუშვათ, საგნების ცალკეული გაყიდვებიდან მიღებულმა ღირებულებამ 90.000 ლარი შეადგინა. ნათელია, რომ „ა“ კრედიტორი მხოლოდ ნაწილობრივ იყო უზრუნველყოფილი. 41-ე მუხლის მიხედვით, საგნების ცალკეული გაყიდვისას იგი მხოლოდ 5.000 ლარს მიიღებდა. ხოლო დარჩენილი 15.000 ლარის მოთხოვნით იგი იქნებოდა მე-6 რიგის არაუზრუნველყოფილი კრედიტორი. თუკი სანარმოს მთლიანად გაყიდვისას მას ასევე ამგვარად განიხილავდნენ, მაშინ 41-ე მუხლის მიხედვით განაწილება შემდეგი სახით მოხდებოდა:

1—3 რიგის კრედიტორებზე	30.000
მე-4 რიგის კრედიტორებზე	25.000
მე-5 რიგის კრედიტორებზე	45.000

საერთო ჯამში გადასახდელი თანხა: 100.000

**მე-3 კაზუსი:** შეთანხმება 38-ე მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით და მისი შედეგები.

ვალაუვალობის მასა მოიცავს ოფისის ინვენტარსა და 10 სატვირთო მანქანისაგან შემდგარ ავტოპარკს. ყველა სატვირთო მანქანა დაგირავებულია ბანკში, რომლის მოთხოვნის მოცულობა 300.000 ლარია. 1-იდან მე-3 რიგამდე მოთხოვნების საერთო ჯამია 30.000 ლარი. მე-5 რიგის მოთხოვნის ოდენობა 40.000 ლარია, ხოლო მე-6 რიგისა — 200.000 ლარი.

პირველ და მეორე აუქციონებზე შეთავაზებულ იქნა სანარმოს მთლიანად გაყიდვა. პირველ აუქციონზე მინიმალური ფასი იყო 570.000 ლარი, ხოლო მეორე აუქციონზე — 330.000 ლარი. მყიდველი არ გამოჩნდა. ამის შემდეგ ბანკი ახალ კრედიტორებთან დებს ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს, რომ ისინი სრულად დაკმაყოფილდებიან და ბანკი თავის თავზე იღებს სასამართლოს ხარჯებს. ამასთან, ბანკს გადაეცემა სატვირთო მანქანები. მესამე აუქციონზე ოფისის ინვენ-

ტარი 20.000 ლარად გაიყიდა. მე-40 მუხლის მიხედვით, ამ თანხიდან მე-5 რიგის საგადასახადო დავალიანებები 50%-ით დაკმაყოფილდება.

**1-ლი ალტერნატივა:** მე-3 აუქციონზე სატვირთო ავტომობილის ცალკე გაყიდვიდან ამონაგები იქნებოდა 20.000 ლარი. მთლიანი 220.000 ლარის ამონაგებიდან 30.000 ლარი წარიმართებოდა 1-ლიდან მე-3 რიგის კრედიტორებზე, ხოლო 190.000 ლარით დაკმაყოფილდებოდა ბანკი. თუკი ბანკი ვალაუვალობის მასიდან სატვირთო ავტომანქანების ამოღების შემდეგ შეძლებდა მათ გაყიდვას მთლიანობაში 200.000 ლარად, მაშინ იგი ამ შეთანხმებით თავისთვის არახელსაყრელ გარიგებას დადებდა, რადგან მან ამ თანხიდან სრულად უნდა დააკმაყოფილოს პირველი რიგის კრედიტორები. ასე რომ, მას მხოლოდ 170.000 ლარი დარჩება. ამ შეთანხმებით საგადასახადო ორგანო მიიღებს უპირატესობას 20.000 ლარის ოდენობით.

**მე-2 ალტერნატივა:** მე-3 აუქციონზე სატვირთო ავტომობილების ცალკე გაყიდვებიდან თითოეულის ამონაგები იქნებოდა 40.000 ლარი. მთლიანი ამონაგები 420.000 ლარის ოდენობით ისე განაწილდებოდა, რომ პირველიდან ხუთ რიგამდე კრედიტორები 370.000 ლარით სრულად დაკმაყოფილდებოდნენ, ხოლო მეექვსე რიგის კრედიტორი — 1/4-ით. დავუშვათ, რომ ბანკმა სატვირთო ავტომობილების ცალკე გაყიდვებიდან მსგავსი თანხა მიიღო 400.000 ლარის ოდენობით. მაშინ გამოდის, რომ შეთანხმებით თავისთვის სარფიანი გარიგება დადო. მან თავისი 300.000-ლარიანი მოთხოვნისათვის მთლიანობაში უზრუნველყოფილი ნივთების რეალიზაციით 370.000 ლარი მიიღო. 70.000 ლარის „მოგება“ ბანკმა მიიღო 20.000 ლარის საგადასახადოს დავალიანებისა და 50.000 ლარი მე-6 რიგის არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ხარჯზე.

**დასკვნა:** 1-ლი კაზუსის შემთხვევაში არ არის საჭირო სხვა კრედიტორების დაცვა, რადგან ისინი მხოლოდ უპირატესობას აღწევენ. მე-2 კაზუსში შეთანხმების სანინალმდეგოდ მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, თავი დაიცვან მისგან, ვინაიდან შეთანხმება მათ აწვებათ ტვირთად. ხოლო კანონი არ ითვალისწინებს მათი დაცვის რაიმე მექანიზმს.

## **დანართი V. რეაბილიტაციის გეგმის შესახებ კენჭისყრის ლოგიკასთან დაკავშირებით**

### **კაზუსი**

მაგალითის სახით აღებულია მე-4 დანართის მე-2 კაზუსი. ციფრებიდან ადვილად ამოსაცნობია, რომ მხოლოდ არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს და მოვალეს შეიძლება ჰქონდეთ სარეაბილიტაციო წარმოების ინტერესი. ეს კი ნორმალურ შემთხვევად შეგვიძლია განვიხილოთ. სრულად უზრუნველყოფილ კრედიტორს ზოგადად არ აქვს საწარმოს რეორგანიზაციის ინტერესი, არამედ სურს, რომ საწარმოს ლიკვიდაციის მეშვეობით სწრაფად დაკმაყოფილდეს მისი მოთხოვნა. მას ვალაუვალობის კანონი თუ განცალკევებით დაკმაყოფილების ნებას დართავს, მაშინ, ასე ვთქვათ, არანაირად არ შეეხება ვალაუვალობის წარმოება და მასში მონაწილეობას არ მიიღებს. 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი არ აძლევს უზრუნველყოფილ კრედიტორს განცალკევებით დაკმაყოფილების უფლებას, არც გაკოტრების წარმოებაში და არც — რეაბილიტაციის წარმოებაში. გარდა ამისა, 1-იდან მე-3 რიგის მოთხოვნები უპირატესად დაკმაყოფილდება. „ბ“ კრედიტორისათვის, რომლის სასარგებლოდაც პატენტი იქნა დაგირავებული, ეს გარემოება არ არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან ის ყველა შემთხვევაში სრულად იქნება დაკმაყოფილებული; ხოლო „ა“ კრედიტორს, რომლის სასარგებლოდაც ავტომანქანა იქნა დატვირთული, „თავი ქულში აქვს“. მართალია, იგი 5.000 ლარით არის უზრუნველყოფილი, მაგრამ 15.000 ლარით არაუზრუნველყოფილია. თუკი მას პერსპექტივა ექნება, რომ რეაბილიტაციის წარმოებაში უფრო მაღალ დაკმაყოფილებას მიაღწიოს, ვიდრე აუქციონის შემთხვევაში, მაშინ იგი მხარს დაუჭერს რეაბილიტაციის წარმოებას.

რეაბილიტაციის გეგმის კენჭისყრის ლოგიკა ის უნდა იყოს, რომ მას ყველა კრედიტორმა უნდა დაუჭიროს მხარი და არცერთი კრედიტორი არ უნდა შეენინა აღმდგოს რეაბილიტაციის წარმოებას, თუკი მისი მდგომარეობა, სულ მცირე, ისევე კარგია, როგორც ლიკვიდაციისას. ასეთი გარემოებების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს ცალკეული კრედიტორის დაყოლიება რეაბილიტაციის წარმოებაზე. ასეთ სიტუაციაში, სავარაუდოდ, პირველ რიგში, ის კრედიტორი აღმოჩნდებოდა, რომლის სასარგებლოდაც პატენტი იყო დაგირავებული. 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონი კენჭისყრის უფლებას მხოლოდ უზრუნველყოფილ კრედიტორებს ანიჭებს, ანუ იმ კრედიტორებს, რომელთაც რეაბილიტაციის წარმოების მიმართ ყველაზე ნაკლები ინტერესი აქვთ.



დავუშვათ, რომ „ბ“ კრედიტორი კენჭს არ უყრის რეაბილიტაციის გეგმას, ხოლო „ა“ კრედიტორი, პირიქით, ეთანხმება მას. ახლა ყველაფერი „ა“ კრედიტორზე დამოკიდებული. თუ იგი არაფერს მოიმოქმედებს, გეგმა ჩაიშლება. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, არის თუ არა ეს ყველა კრედიტორის ინტერესი. სხვა არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს არ აქვთ მოქმედების შესაძლებლობები, რადგან „ა“ კრედიტორი ხომ დაეთანხმა. სახეზე არ არის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის წინაპირობა, რომ ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორი შეენიანაღმდეგა რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას. „ა“ კრედიტორი ახლა უკვე მოლაპარაკების მომგებიან პოზიციაშია. თუკი „ბ“ კრედიტორი მოინდომებს განცალკევებით დაკმაყოფილებას, მაშინ „ა“ კრედიტორს შეუძლია მასთან ივაჭროს, თუ რა ფასად შესთავაზოს მას, 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მასიდან უზრუნველყოფილი ნივთის გამოყოფა და განცალკევებით დაკმაყოფილება. „ა“ კრედიტორი ასევე მოლაპარაკების მომგებიან პოზიციაშია, თუ არაუზრუნველყოფილ კრედიტორებსა და მოვალეს რეაბილიტაცია სურთ. რამდენადაც ისინი სანარმოს ფუნქციონირების გაგრძელებას პატენტს უკავშირებენ, განცალკევებით დაკმაყოფილება მოსპობდა რეაბილიტაციის ყველანაირ პერსპექტივას.

